კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY

# The 9th International Scientific Conference

for BA, MA and PhD students

# ABSTRACTS
# თეზისები

ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა

## მეცხრე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

12-13.06.2021

# სარჩევი
# CONTENTS


საერთაშორისო ურთიერთობების სექცია
Section of International Relations ........................................ 3

ჟურნალისტიკის სექცია
Section of Journalism ........................................ 31

სამართლის სექცია
Section of Law ........................................ 49

მევენახეობა-მეღვინეობის სექცია
Section of Viticulture-Winemaking ........................................ 84

მედიცინის სექცია
Section of Medicine ........................................ 96

მედიცინის სექცია / სტომატოლოგიის ქვესექცია
Section of Medicine / Subsection of Dentistry ........................................ 135

ბიზნესის სექცია / ფინანსების ქვესექცია
Section of Business / Subsection of Finance ........................................ 154

ბიზნესის სექცია / ტურიზმის ქვესექცია
Section of Business / Subsection of Tourism ........................................ 166

ბიზნესის სექცია / მენეჯმენტისა და ეკონომიკის ქვესექცია
Section of Business / Subsection of Management and Economics ........................................ 182

ბიზნესის სექცია / მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ქვესექცია
Section of Business / Subsection of Masters and Doctoral Students ........................................ 196

ირანისტიკის სექცია / პირველი ქვესექცია
Section of Iranian Studies / First Subsection ........................................ 212

ირანისტიკის სექცია / მეორე ქვესექცია
Section of Iranian Studies / Second Subsection ........................................ 229

# საერთაშორისო ურთიერთობების სექცია
# Section of International Relations

**ბექა ბოლქვაძე**
**ბესიკ თავართქილაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი

## ყარაბაღის მეორე ომი

2020 წლის 26 სექტემბერს აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, სომხეთმა უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში 48-ჯერ დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და მოხდა გასროლა აზერბაიჯანელთა მიმართულებით. რთულია და ასევე უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა მოხდა ე.წ საზღვარზე 26 სექტემბერს. ფაქტი მოწმობს იმას, რომ სწორედ ამავე დღეს აზერბაიჯანმა საკონტაქტო ხაზის გასწვრივ დაიწყო დიდი რაოდენობით ჯავაშან ტექნიკისა და საარტილერიო დანადგარების კონცენტრაცია, რაც მიანიშნებდა, სიტუაციის ესკალაციაზე. 27 სექტემბერს გამთენიისას, მთიანი ყარაბაღის საკონტაქტო ხაზიდან  აზერბაიჯანულმა არმიამ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე სომეხთა მიმართულებით მასირებული ცეცხლი გახსნა თითქმის ყველა კალიბრის საარტილერიო დანადგარებიდან, რასაც საპასუხოდ სომხეთმა უპასუხა სრული მობილიზაციით და პრეზიდენტმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა.

**Beka Bolkvadze**
**Besik Tavartkiladze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Alika Guchua**
Doctor of Political Science,
Assistant Professor

## The Second Karabakh War

On September 26, 2020, according to the Ministry of Defense of Azerbaijan, the Armenian side violated the ceasefire agreement 48 times in the last 24 hours and fired at the Azerbaijanis. It is difficult and also less important to determine what happened at the so-called border on September 26, but the fact is that on the same day Azerbaijan began to concentrate large numbers of armored vehicles and artillery equipment along the contact line, indicating that the situation was escalating. At dawn on September 27, the Azerbaijani army opened fire on Armenians from almost all caliber artillery pieces from the NagornoKarabakh contact line in the Nagorno-Karabakh region, to which Armenia responded with full mobilization and the President of Armenia declared martial law in the country.

**ბექა ბურჭულაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

## რუსეთის რბილი ძალა საქართველოში - გამოწვევები და საფრთხეები

რუსული პროპაგანდა და საინფორმაციო ომი ერთ-ერთი აქტუალური საკითხია როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო ურთიერთობებში. ევროპული სახელმწიფოები უკვე სრულად აცნობიერებენ რუსული დეზინფორმაციისა და საინფორმაციო ოპერაციების საფრთხეს და ცდილობენ შესაბამისი ზომები მიიღონ. საქართველოში რუსული რბილი ძალისა და სახელმწიფო პროპაგანდის გააქტიურებაზე უკვე წლებია მიმდინარეობს აქტიური დისკუსია. საქართველო არაერთხელ გამხდარა რუსეთის აგრესიული ნაბიჯების სამიზნე.

რუსეთის ფედერაცია საქართველოში საკუთარი სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად აქტიურად იყენებს “რბილ ძალას”, რაც აგრესიულ მედია პროპაგანდაში, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფონდების დაფუძნებასა და სხვადასხვა სახის ფორუმების ორგანიზებაში გამოიხატება. ამ აქტივობების ერთ-ერთი მთავარი მიზანი საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაძლიერება

და საქართველოს მოსახლეობის კიდევ უფრო მეტად პოლარიზებაა. ტერმინი „რბილი ძალა“ ამერიკელმა მეცნიერმა ჯოზეფ ნაიმ 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს გააცნო. ნაის განმარტებით, “რბილი ძალა” სახელმწიფოს უნარია, ხისტი ძალის გამოყენების გარეშე დადებითი განწყობებისა და დამოკიდებულებების შექმნით გავლენა მოახდინოს საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებზე. ეს არის კულტურული ძალა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოები ახდენენ საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზებას. იგი ეფუძნება სამ ძირითად წყაროს: კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები და საგარეო პოლიტიკა. შესაბაისად, რბილი ძალის არსი კონკრეტული სახელმწიფოს მხრიდან სასურველი მიზნის, ხისტი ძალის გამოყენების გარეშე მიღწევის კარგი საშუალებაა. ეს ყოველივე შეიძლება გულიხსმობდეს კულტურის, რელიგიის, ენის, ისტორიის ან ეკონომიკური თემატიკის გამოყენებას სხვადასხვა საინფორმაციო, საკომუნიკაციო თუ უშუალო ურთიერთობების მეშვეობით, რაც სამიზნე საზოგადოების დემორალიზაციას და დაყოლიებას შეუწყობს ხელს.

თემის მიზანია გაანალიზოს რუსული „რბილი ძალის“ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული ამოცანები და მიმოიხილოს ეროვნულ დონეზე პროპაგანდასთან ბრძოლის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. ასევე, მნიშვნელოვანია, რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა და სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარების შესაძლებლობები.

**Beka Burtchuladze**
Caucasus International University
Doctoral Studies
**Supervisor: Vakhtang Maisaia**
Doctor of Political Science,
Professor

## Russian Soft Power in Georgia: Challenges and Threats

Russian propaganda and information warfare are some of the pressing issues both in Georgia and in international relations. The European States are already fully aware of dangers of Russian disinformation and information operations and are trying to take relevant measures. For years there has been is a very active discussion about the activation of Russian “soft power” and propaganda in Georgia.  Georgia has repeatedly been the target of Russia's aggressive politics. The Russian Federation is actively using "soft power" to achieve its strategic goals in Georgia, which is manifested in aggressive media propaganda, the establishment of non-governmental organizations and foundations, and the organization of various forums. One of the main goals of these activities is to strengthen anti-Western sentiments in society and further polarize the Georgian population. The term "soft power" was introduced to the world by the American scientist Joseph Nye in the late 80's. According to Nye, "soft power" is the ability of a state to influence other actors in the

international system by creating positive attitudes without the use of hard power. It is a cultural force through which states pursue their own foreign policy goals. It is based on three main sources: culture, political values, and foreign policy. Consequently, the essence of soft power is a good way to achieve the desired goal by a particular state without the use of hard power. All of this may involve the use of culture, religion, language, history, or economic themes through a variety of informational, communicative, or direct relationships that will help to demoralize and persuade the target community.

The aim of the topic is to analyze the foreign policy priorities of the Russian "soft power" and to review the steps taken at the national level to combat propaganda. The struggle against Russian propaganda and opportunities for the development of strategic communications are also important.

**ქეთევან ბაღდავაძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ლია ახალაძე**
ისტორიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## თავდაცვის სექტორი და გენდერული თანასწორობა

უსაფრთხოების სექტორი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია, რადგან ქვეყნის შიდა უსაფრთხოება გარკვეულწილად განმსაზღვრელი ხდება ქვეყნის გარე უსაფრთხოებისა. თავდაცვის სექტორი გენდერული კონტექსტის ჭრილში კვლევისას მკაფიოდ გამოკვეთა უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობის დაშორება. საკითხი ეხება მამაკაცების აქტიურ ჩართვას დაზვერვაში, თავდაცვაში ეს კი ხდება ქალების ხარჯზე.

ქალთა თავდაცვის სექტორში რეალიზაცია საკმაოდ რთული და კომპლექსური საკითხია. სწორედ ამ ფონზე ყოველ სახელმწიფოში უნდა შეიქმნას მაკონტროლებელი სისტემა ე.წ. შეიარაღებული და უშიშროების ძალების გადამოწმების სპეციფიკა, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე გადაამოწმებს თავდაცვის ძალებში მომუშავე ყველა პირს.

ქალითა სრული ინტეგრაცია თავდაცვის სექტორში გამოიწვევს:

საზოგადოების დადებით მუხტს და შესაბამისად უსაფრთხოების სექტორის ადამიანური რესურსი გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე მანამდე;

ქალები მიმართულნი არიან ნაკლები ანარქიისა და მშვიდობისკენ.

ქალის უფრო მეტად წარმოჩენა სამხედრო სფეროში სახელმწიფოს დაეხმარება მეტი ადამიანი გამოიყვანოს სახლიდან და ჩაებას ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ წინსვლაში.

**Ketevan Baghdavadze**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Lia Akhaladze**
Doctor of History,
Associate Professor

## Defense Sector and Gender Equality

The security sector is one of the most important components of the state, as the internal security of the country becomes to some extent the determinant of its external security. A study of the gender context in the defense sector has clearly identified the gap in gender equality in the security sector. The issue concerns the active involvement of men in intelligence, while in defense this happens at the expense of women.

Women's self-realization in the defense sector is a rather difficult and complex issue. It is against this background that a control system should be established in each state, i.e. the specifics of the Armed Forces and Security Forces Verification, which verifies all persons working in the defense forces over a period of time.

Full integration of women in the defense sector will lead to:

The positive charge of the society and consequently the human resources of the security sector will be much more than before;

Women are  inclined towards less anarchy and more peace.

Greater representation of women in the military field will help the state get more people out of the houses and get them involved in the political and social progress of the country.

**მაკა ბასილიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ქეთევან შოშიაშავილი**
ისტორიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## საქართველოს ეკონომიკა გლობალიზაციის  პროცესში

საქართველო გლობალიზაციის საერთო სივრცეშია მოქცეული და თანდათან იკავებს თავის პოზიციას მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ქვეყანა მსოფლიოს ახალი გამოწვევის პროცესს შეხვდა ეკონომიკურად წელგაუმართავი, მართვის მოუქნელი მექანიზმით და დაუხვეწავი სტრატეგიით,

თუმცა მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, ისტორიული ტრადიციებით, სოფლის მეურნეობის უნიკალური დარგებითა და მრავალფეროვანი ყოფითი კულტურით.

საქართველო მიეკუთვნება გარდამავალი ეკონომიკის რეფორმის პერიოდში მყოფ ქვეყანას და მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, როგორც ქვეყნის გარეთ ექსპორტს ისე ქვეყნის შიგნით შემოსულ ინვესტიციებს, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრადობას, სამუშაო ადგილების შექმნას და ქვეყანაში არსებული ფულადი ერთეულის გამყარებას სავალუტო ბირჟაზე.

გლობალიზაციის პროცესის შედეგად ფორმირებული გლობალური ეკონომიკა გულისხმობს არა მარტო ერთიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, არამედ სახელმწიფოთა შიგნით და სახელმწიფოთაშორის პოლიტიკურეკონომიკური ურთიერთობების ერთიანი პრინციპის - პოლიტიკურ-ეკონომიკური დემოკრატიის, საბოლოო ანგარიშით კი,სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ადამიანთა უფლებების დაცვის და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საუკეთესო ფორმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დამკვიდრებას.

საქართველოს უპირატესობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია მისი უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც ქვეყნას ეხმარება გლობალურ პროექტებში აქტიურად მიიღოს მონაწილეობა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სატრანსპორტო-კომუნიკაციური და გლობალურ-ენერგეტიკული პროექტები, ტურისტული პოტენციალის ზრდა და განვითარება, უნდა არინიშნოს, რომ საქართველოს ტურიზმის განვითარებაზე და ზოგადად ეკონომიკაზე დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო პანდემიამ.მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის შეფასებით, 2020 წელს საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები შემცირდება 1-3%-ით.

საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესში ჩართვა, მთელი რესურსით ისე, რომ დაცული იყოს ბალანსი და შენარჩუნდეს საქართველოს ინდივიდუალურობა .

**Maka Basilidze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Ketevan Shoshiashvili**
Doctor of History,
Associate Professor

## Economy of Georgia in the Process of Globalization

Georgia is in the common space of globalization and is gradually taking its position due to its geopolitical situation. The country has faced a new global challenge with a damaged economy, an inflexible management mechanism, and unrefined strategies while having rich natural resources, historical traditions, unique branches of agriculture, and diverse everyday cultures.

Georgia is one of the countries in the period of transition economic reform, and both exports and in-country investments are vital for the country; they will contribute to the sustainability of the economy, creation of workplaces and strengthening the currency in the currency exchange.

The global economy formed as a result of the globalization process means not only the formation of a unified economic system, but also the establishment of the best principle of political-economic relations within states and between states - political-economic democracy, and ultimately the best form of civil society as the best form of protection of human rights and public order in all countries of the world.

One of the biggest advantages of Georgia is its profitable geographical location, which helps the country to actively take part in the global projects. Transport communication and global energy projects, as well as increased development and growth of tourism are important for the improvement of the country's economy. It should be noted that the world pandemic has had a great impact on the development of tourism and the economy in general in Georgia. According to the World Tourism Organization, in 2020 international tourist traffic decreased by 1-3%. Since tourism is one of the fields of economy, it provides the source of income and foreign exchange rate.

The strategic goal of Georgia is to engage in the process of globalization with all its resources so as to maintain the balance and the individuality of the country.

**ნინო ბოჭოიძე**
**გოჩა მიქაუტაძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ზვიად აბაშიძე**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## გაზის როლი რუსეთ-გერმანიის ურთიერთობებში: ორმხრივი ენერგეტიკული დიპლომატია

საერთაშორისო ურთიერთობებში დაპირისპირება და თანამშრომლობა არა ანტონიმი, არამედ ერთი და იგივე მონეტის სხვადასხვა მხარეა. რუსეთი და ენერგიით მდიდარი სხვა ავტორიტარული სახელმწიფოები თავიანთი ენერგიის ექსპორტს საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად იყენებენ.

მსოფლიოში გაზის უდიდესი ექსპორტიორი რუსეთისათვის ბუნებრივი აირი ქვეყნის ეკონომიკის ცენტრალური ნაწილია, ხოლო ექსპორტისათვის უმნიშვნელოვანეს ბაზარს გერმანიის ენერგეტიკული სექტორი წარმოადგენს.

სტატია იკვლევს ენერგორესურსების (გაზი) როლს, ქვეყნებს შორის არსებულ ენერგეტიკულ დიპლომატიაში.

კვლევა ამტკიცებს, რომ ბუნებრივი აირით წარმართული ორმხრივი ურთიერთობები წარსულშიც და დღესაც განიცდის პარადიგმების სხვადასხვაგვარ ცვლილებებს, რაც გამოწვეულია მხარეების ამბივალენტური ბუნებითა და წინააღმდეგობრიობით. გერმანია უპირატესობას ანიჭებს ეკონომიკურ სარგებელს და საკითხს პოლიტიკური კონტექსტის, სამეკავშირეო ინტერესებისა და საფრთხეების შესახებ უგულებელყოფს, რითაც კრემლს ეძლევა საშუალება გაზარდოს თავისი გავლენის არეალი საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე.

**Nino Bochoidze**
**Gocha Mikautadze**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Zviad Abashidze**
Doctor of Political Science,
Associate Professor

## The Role of Gas in Russian-German Relations: Bilateral Energy Diplomacy

Controversy and cooperation in international relations are not antonyms, but different sides of the same coin. Russia and many other energy-rich authoritarian states use their energy exports as a tool of foreign policy.

For Russia, the world's largest gas exporter, natural gas is the central part of the country's economy and the most important market for exports is the German energy sector.

The article explores the role of energy resources (gas) in energy diplomacy between countries.

The study argues that bilateral relations based on natural gas have undergone various paradigm shifts in the past and present, due to the ambivalent nature and contradictions of the parties.

Germany favors economic benefits and ignores the issue of political context, allied interests and threats, thus enabling the Kremlin to increase its sphere of influence in the international political arena.

**გიგა გოგუა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი

## თანამედროვე სამხედრო-საზღვაო ფლოტის რაობა აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტის მაგალითზე

ნებისმიერი სახელმწიფოს სიძლიერის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი კომპონენტი შეიარაღებული ძალებია, რომელიც თავის მხრივ ჩვეულებრივ იყოფა სამ ნაწილად, ესენია სამხედრო-სახმელეთო ჯარები, სამხედრო-საჰაერო ძალები და სამხედრო-საზღვაო ძალები. ამ ეტაპზე მხოლოდ აშშ-ს გააჩნია მეოთხე კომპონენტი სამხედრო-კოსმოსური ძალები. თუ სახელმწიფოს გააჩნია შესაძლებლობა, რომ მას გააჩნდეს სამხედრო-საზღვაო ძალები მან აუცილებლად უნდა განავითაროს ეს სამხედრო მიმართულება. არსებობენ სახელმწიფოები რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი საერთოდ არა ქვთ და არც იმდენი ეკონომიკური რესურსი აქვთ, რომ მათ სამხედრო-საზღვაო ძალები გააჩნდეთ.

ზემოთ აღნიშნული კომპონენტები ან მათი დიდი ნაწილი სამხედრო მიმართულებების მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოებს გააჩნიათ, ვინაიდან ზღვაზე გასასვლელის გარდა საჭიროა კოლოსალური ფულადი დანახარჯები სრულფასოვანი არმიისთვის და მით უმეტეს სრულფასოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის. ნაშრომში განხილულია სამხედრო საზღვაო ძლების როლი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და მისი პოლიტიკის გატარებაში აშშ-ის მაგალითზე. საუბარია სამხედრო საზღვაო ძალების ტიპებზე და კლასიფიკაციაზე, თუ რა დანიშნულება გააჩნიათ მათ და რამდენად არის მათი ყოლა აცილებელი ქვეყნის სრულფასოვანი უსაფრთხოებისთვის. ასევე, ყურადღება გამახვილებულია შავი ზღვის აკვატორიაში აშშ-ის სამხედრო გემების გააქტიურებაზე და მათ როლზე რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფაში.

**Giga Gogua**
Caucasus International University
Postgraduate Studies
**Supervisor: Alika Guchua**
Doctor of Political Science, Assistant Professor

## The Entity of the Navy in the Modern Period on the Example of the US Navy

One of the most important components of the strength of any state is the armed forces, which, in turn, are usually divided into three parts: the ground forces, the air force and the navy. At the moment, only the United States has the fourth component, the military-space

force. If a state has the ability to have naval forces, it must definitely develop this military direction. There are states that do not have access to the sea at all and do not have enough economic resources to have naval forces. That is why only powerful states have the aforementioned components or a significant part of them, since besides having an outlet to the sea, colossal monetary expenditures are required for a full-fledged army and especially for a full-fledged navy. The article discusses the role of the naval forces in ensuring the security of states and pursuing their policies on the example of the United States. We are talking about the types and classification of naval forces, what their purpose is and to what extent their presence is necessary for the complete security of the country. It also focuses on the activation of US warships in the Black Sea and their role in ensuring peace in the region.

**ერეკლე გოზალიშვილი**
**ლილი გაბადაძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: დიანა ენდელაძე**
მაგისტრი ევროპულ ინტერდისციპლინარულ კვლევებში

## თურქეთის ევროკავშირში ინტეგრირების პერსპექტივა

თურქეთი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სახელმწიფოა შავი ზღვის რეგიონში. ის წინა საუკუნიდან იღწვოდა ევროპეიზაციისათვის. თუმცა, 2008 წლიდან, პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეინიშნება დემოკრატიული და ადამიანის უფლებათა პრინციპების რღვევა. რის გამოც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი და მისი ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა დღითიდღე უფრო სკეპტიკურად გამოიყურება.

პროცესები, რომლებიც თურქეთში მიმდინარეობს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შავი ზღვის ან კავკასიის რეგიონისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის - თურქეთს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო ძალები ჰყავს (ნატოში მეორე) და შესაბამისად მისი პოლიტიკური დღის წესრიგი საერთაშორისო სისტემაში მნიშვნელოვანია.

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს და მოცემულია დოკუმენტებისა და აკადემიური ნაშრომების ანალიზი.

საკვლევი კითხვა: ასრულებს თუ არა თურქეთი ევროკავშირთან დადებულ ასოცირების ხელშეკრულებას და აკმაყოფილებს თუ არა მასში გაწევრიანების მინიმალურ მოთხოვნებს?

ჰიპოთეზა: თურქეთი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ნაწილობრივ ასრულებს. დღეისათვის ქვეყანა ავტორიტარული მმართველობისკენ მიისწრაფვის და არ აკმაყოფილებს ევროკავშირის წევრობის შესაბამის სტანდარტებს.

**Erekle Gozalishvili**
**Lili Gabadadze**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Diana Endeladze**
Master of Arts in European
Interdisciplinary Studies

## Prospects of Turkey's Integration into the European Union

Turkey is one of the most important states in the Black Sea region. It has been striving for Europeanization since the last century. However, given the political situation since 2008, there have been violations of democratic and basic human rights principles. Therefore, Turkey's foreign policy course is highly doubted. The prospect of its joining the EU looks increasingly skeptical.

The importance of the issue: the processes that are taking place in Turkey are important not only for the Black Sea or the Caucasus regions, but also for the whole world. Turkey has one of the best military forces in the world (the second in NATO) and therefore its political agenda is important in the international system.

Research Methods: the paper is based on qualitative research methods and will be used to analyze documents and academic articles. This will allow us to better understand the issue.

Research Question: does Turkey comply with the Association Agreement with the European Union and does it meet the minimum membership requirements?

Hypothesis: Turkey is partially fulfilling the Association Agreement with the European Union. At present, the country aspires to authoritarian rule and does not meet the minimum relevant standards of EU membership.

**დეა კაკაბაძე**
**მარიამ მიქიანი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: სანდრა სულაძე**
დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრი

## კოვიდ პანდემიის გავლენა აფრიკის განვითარებად ქვეყნებზე, ჩრდილოეთ-სამხრეთის დიქოტომიის პირობებში

კოვიდ პანდემია დღევანდელობის უმთავრეს გამოწვევად გვევლინება.

აღნიშნული გამოწვევა უფრო ცხადად გამოვლინდა აქამდეც არსებული ჩრდილოეთ-სამხრეთის დაპირისპირების პრიზმაში. განსაკუთრებული სიმძრაფრით კი, აფრიკის განვითარებადი ქვეყნებიში.

ნაშრომში განხილულია აფრიკის განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ ყოფაზე პანდემიის გავლენა და რა ნაბიჯები გადაიდგა ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად განვითარებული ქვეყნების მხრიდან.

ნაშრომი მეთოდოლოგიურად განეკუთვნება თვისებრივ კვლევას. საკითხის გაანალიზების მიზნით გამოვიყენეთ ექსპერტთა მოსაზრებები და ემპირიული კვლევები.

ნაშრომში წარმოჩენილია აფრიკის განვითარებად ქვეყნებში არსებული დაპირისპირებები კოვიდ პანდემიასთან საბრძოლველად.


**Dea Kakabadze**
**Mariam Mikiani**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Sandra Suladze**
Master of Diplomacy and
International Politics


## Impact of the Covid Pandemic on Developing African Countries under the North-South Dichotomy


The Covid Pandemic is a major challenge today. This challenge was more clearly manifested in the prism of the existing North-South confrontation, and with particular intensity, in the developing countries of Africa.

The paper will discuss how intensively the pandemic has affected the economic and social life of developing countries in Africa and what steps have been taken by developed countries to address this problem.

The paper methodologically belongs to qualitative research. We used expert opinions and empirical studies to analyze the issue.

The paper highlights the controversy surrounding the Covid pandemic in developing African countries.

**თორნიკე ყრუაშვილი**
**ნიკოლოზ მახარობლიშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ვლადიმერ ნაფეტვარიძე**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

## ევროკავშირისა და გაეროს პოლიტიკა სირიელ მიგრანტთა მიმართ

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება თანამედროვეობაში არსებულ ერთ-ერთ მწვავე და საკმაოდ აქტუალურ არაერთი რეგიონის მომცველ საკითხს- ევროკავშირისა და გაეროს პოლიტიკა სირიელი მიგრანტების მიმართ.

საკითხი არ კარგავს აქტუალობას, ვინაიდან სახელმწიფოების არაერთი მცდელობისა სირიის კონფლიქტი ბოლომდე არ არის ამოწურული, შესაბამისად სირიელ მიგრანტთა რიცხვი ევროპისთვის რეკორდულ ნიშნულზეა.

სირიელ მიგრანტთა მდგომარეობისთვის ევროკავშირისა და გაეროს საქმიანობა და რაციონალური გადაწყვეტილებები, უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

ნაშრომში, ევროკავშირისა და გაეროს პოლიტიკა, ევროპაში სირიელი მიგრანტების ზრდის პერსპექტივიდან არის განხილული.

ნაშრომში დეტალურადა განხილული ევროკავშირისა და გაეროს შეთანხმებები სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოსთან საიმიგრაციო პოლიტიკის ასპექტში.

საკითხზე მუშაობისას, მთავარი მიზნის მისაღწევად წარმოგვეჩინა ევროკავშირისა და გაეროს პოლიტიკა სირიელ მიგრანტთა მიმართ, გამოვიყენეთ საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტები, ზოგიერთი სახელმწიფოს საიმიგრაციო პოლიტიკის ამსახველი წყაროები და საერთაშორისო კვლევები (სტატისტიკები, ანგარიშები).

ნაშრომის ფარგლებში განისაზღვრება ვარაუდები იმის შესახებ, თუ რამდენად ერთიანი იქნება ევროპა ამ პრობლემის წინააღმდეგ და შეძლებს თუ არა საერთაშორისო პარტნიორობა გარკვეულ დონეზე სირიის კრიზისის შეჩერებას.

**Tornike Kruashvili**
**Nikoloz Makharoblishvili**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Vladimer Nafetvaridze**
Doctor of Political Science

## EU and UN Policy towards Syrian Migrants

The present paper concerns one of the most pressing and topical issues of modern times - the policy of the European Union and the United Nations towards Syrian migrants.

The issue is still urgent, as despite numerous attempts by the states, the Syrian conflict is not over, so the number of Syrian migrants is at a record level for Europe.

EU and UN activities and rational decisions are a top priority for the situation with Syrian migrants.

The paper discusses EU and UN policies from the perspective of increasing the number of Syrian migrants in Europe.

The paper discusses in detail the EU-UN agreements with various European countries in terms of immigration policy. In order to achieve the main goal of presenting the EU and UN policy towards Syrian migrants, we used official documents published by international organizations, sources of immigration policy of some countries and international studies (statistics, reports).

The paper identifies assumptions about how united Europe will be against this problem and whether the international partnership will be able to stop the Syrian crisis to some extent.

**ვასიკო ხორავა**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: თორნიკე თურმანიძე**
დოქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში,
ასოცირებული პროფესორი

## რუსეთის პოლიტიკა არქტიკაში: მიზნები და საშუალებები

არქტიკა მსოფლიო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, რომლის აკვატორიაში წარმოდგენილია მრავალი ღირებული რესურსი (ნავთობი, გაზი, თევზი და სხვა). რუსეთის მხრიდან ამ რეგიონში საკუთარი აქტივობის ზრდას მრავალი განზომილება გააჩნია (ძირითადად, სამხედრო შეიარაღების ზრდა-ტესტირება და ეკონომიკური პუნქტების, მარშრუტების განვითარება) და ყოველივე ეს დაკავშირებულია 2014 წლის ყირიმის ომის შემდეგ დასავლეთთან გაუარესებულ ურთიერთობებთან. სამხედრო თვალსაზრისით (ახალი ატომური წყალქვეშა იარაღის „პოსეიდონის“ ტესტირება, 2019 წლის ბოლოს ატლანტის ოკეანეში გაგზავნილი 10 რუსული წყალქვეშა გემი, რომლებიც ცდილობდნენ გრენლანდიასა და ისლანდიას შორის არსებული მონაკვეთის შეუმჩნევლად (ეს მცდელობა წარუმატებელი იყო, ნატოს რადარებმა დააფიქსირეს) გადალახვას, არქტიკის საზღვარზე სამხედრო ინფრასტრუქტურის ზრდა და სხვა), რუსეთის აქტიურობა, რომელიც ნატოს მტრად აღქმის პირდაპირი გამოვლინებაა, ატარებს პროვოკაციულ სახეს, რაც ამჟამინდელ სტაბილურობას დიდი საფრთხის ქვეშ აყენებს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთისთვის, სტაგნაციაში მყოფი ეკონომიკის გამო, რესურსების ახალი მარაგების აღოჩენა სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია. ამით შეიძლება აიხსნას ატომურ ენერგიაზე მომუშავე ყინულმჭრელების გამოგონება, ჩრდილოეთ ზღვის გზის (NPS) განვითარება და სხვა.

წარმოდგენილი თემა დაფუძნებულია სხვადასხვა აკადემიური და ანალიტიკური ნაშრომების, სტატიების ანალიზზე.

**Vasiko Khorava**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Tornike Turmanidze**
Doctor in International Relations,
Associate Professor

## Russian Policy in the Arctic: Goals and Means

The Arctic is one of the most important regions in the world, with many valuable resources (oil, gas, fish, etc.). Russia's increase in its activity in the region has many dimensions (mainly the growth and testing of military weapons and the development of economic ports, routes). This is related to the deteriorated relations with the West since the 2014 Crimean War.

From a military point of view (testing of the new nuclear submarine "Poseidon", 10 Russian submarines sent to the Atlantic at the end of 2019, trying to cross the stretch between Greenland and Iceland (this attempt was unsuccessful, NATO radars detected them), the rise of military infrastructure on the Arctic border, etc.) Russia's activity, which is a direct manifestation of its perception of NATO as an enemy, is provocative, putting the current stability at great risk.

From an economic point of view, for Russia, because of its stagnant economy, finding new reserves is vital. This may explain the invention of nuclear-powered icebreakers, the development of the North Sea Road (NPS), and more.

The presented topic is based on the analysis of various academic, analytical papers and articles.

**ბუბა ხუცურაული**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: თამარ ქარაია**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი

## საქართველოს სახელმწიფო რელიგიური პოლიტიკა ახალგაზრდული რაკურსიდან

საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა მწყობრი სახელმწიფოებრივი ხედვებისა და პრაქტიკის ერთობლიობაა, რომლის საშუალებითაც აფუძნებს სახელმწიფო სეკულარულ და რელიგიურად ნეიტრალურ მმართველობას, იცავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით გარანტირებულ ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებებს, ხელს უწყობს საზოგადოებაში შემწყნარებლობის კულტურის გაძლიერებას, ქმნის კანონის წინაშე თანასწორობის გარანტიებს და უზრუნველყოფს არადისკრიმინაციულ გარემოს. ამდენად, სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის დიზაინი ემსახურება მრავალფეროვან გარემოში მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და განვითარების უზრუნველყოფას. საქართველოს სახელმწიფო რელიგიური პოლიტიკის მიზნებია:

სეკულარული მმართველობა, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვა, მრავალფეროვნების შენარჩუნება და განვითარება, შემწყნარებლობის კულტურის გაძლიერება, კანონის წინაშე თანასწორობისა და არადისკრიმინაციული გარემოს უზრუნველყოფა, რელიგიური უმცირესობების დაცვა.

კვლევის მიზანია საქართველოს რელიგიური პოლიტიკის შესწავლა და ურთიერთმიმართების დადგენა პოლიტიკის დიზაინსა და იმპლემენტაციას შორის.

**Buba Khutsurauli**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Tamar Karaia**
Doctor of Political Science,
Assistant Professor

## Georgian State  Policy on Religion from a Youth Perspective

The policy of the state of Georgia on religion is a set of well-organized state visions and practices, through which the state establishes secular and religiously neutral government, protects individual and collective rights guaranteed by freedom of religion and belief, promotes a culture of tolerance in society, and promotes a law-abiding environment. Thus,

the design of the state policy on religion serves to ensure peaceful coexistence and development in a diverse environment. The goals of the state policy of Georgia concerning religion are as follows:

secular governance, protecting freedom of religion and belief, maintaining and developing diversity, strengthening a culture of tolerance, ensuring equality before the law and a non-discriminatory environment, protection of religious minorities. On the other hand, the aim of the research is to study the policy of Georgia on religion and to establish the relationship between policy design and implementation.

**მირანდა მიქაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

## ევროკავშირის კონფლიქტების პრევენცია საქართველოს მაგალითზე

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტების მართვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. კონფლიქტების პრევენცია გულისხმობს კონფლიქტში მონაწილეთა მოქმედებების მინიმუმამდე დაყვანას ან საერთოდ შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში მოქმედებებს ახორციელებს რომელიმე მხარე ან მესამე მხარე. რის შედეგად ხდება ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამოვლენა და სადავო საკითხის გადაწყვეტა არაკონფლიქტური გზით. პრევენცია საუკეთესო გზაა კონფლიქტის დინამიკის და ესკალაციის შესაჩერებლად, რომლის საშუალებით დროულად ხდება კონფლიქტის დიაგნოსტირება.

თემაში წარმოჩენილია კონცეპტუალურ ჩარჩოში საქართველოს მაგალითზე ევროკავშირის კონფლქიტების პრევენცია. ბოლო პერიოდიში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები - პანკისის ხეობის, დავით გარეჯისა თუ რუსი დეპუტატის ვიზიტის ირგვლივ შექმნილი კრიზისებმა ნათლად აჩვენა კონფლიქტების მოგვარებისთვის პრევენციის მიმართულებით მუშაობა. კონფლიქტის პრევენცია გულისხმობს ეთნიკური, რელიგიური, იდეოლოგიური თუ სხვა ტიპის განსხვავებების ძალადობრივ დაპირისპირებაში გადასვლის თავიდან აცილებას.

**Miranda Mikadze**
Caucasus International University
Doctoral Studies
**Supervisor: Vakhtang Maisaia**
Doctor of Political Science,
Professor

## EU Conflict Prevention on the Example of Georgia

In modern international relations, conflict management is of great importance, conflict prevention means minimizing or terminating the actions of the parties to the conflict. In such a case, the actions are performed by either party or a third party. As a result, objective and subjective reasons are identified and the disputed issue is resolved in a non-conflicting way. Prevention is the best way to stop the dynamics and escalation of the conflict, through which the conflict is diagnosed in a timely manner. The purpose of my report is to study the prevention of EU conflicts on the example of Georgia in a conceptual framework. I will use qualitative research methods to study the topic, in particular, literature review.

The topic presents the prevention of EU conflicts in the conceptual framework on the example of Georgia. The crises created around the recent political developments - the Pankisi Gorge, David Gareji or the visit of a Russian MP - have clearly shown the need to focus not only on resolving the existing conflicts but also on preventing them so that new conflicts do not arise within the country. Conflict prevention means avoiding the transition of ethnic, religious, ideological or other types of differences into violent confrontations.

**გიორგი მხეიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი

## პოლიტიკური იდეოლოგიები როგორც პოლიტიკური მანიპულაციის საშუალება 21-ე საუკუნეში

პოლიტიკური იდეოლოგიები უდიდეს როლს თამაშობენ კაცობრიობის განვითარებაში და ძირეულად ცვლიან ადამიანების შეხედულებებს, პოლიტიკურ˜ მსოფმხედველობას.

პოლიტიკური იდეოლოგიების გარეშე, ფაქტობრივად შეუძლებელია რეალური პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება, იდეა, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. დროის სვლასთან ერთად პოლიტიკურმა იდეოლოგიებმა უფრო ფართო, ვრცელი სახე მიიღო და

გაჩნდა ახალი პოლიტიკური იდეოლოგიები. მარტივი პრიმიტიული, მემარცხენე, მემარჯვენე, ცენტრისტიდან  მივიღეთ კონკრეტული იდეოლოგიები და თითოეული იდეოლოგიიდან სხვადასხვა მრავალი განხრის პოლიტიკური იდეოლოგია.

21-ე საუკუნეში, პოლიტიკური იდეოლოგიის საშუალებით, კონკრეტული ძალების მხირდან ხშირია მანიპულირება, რომელიც პირადი მიზნებიდან გამომდინარეობს. ამგვარი ფსევდო იდეოლოგიური ჯგუფების აქტიურობა პოლიტიკურ არენაზე აზიანებს კონკრეტულ პოლიტიკურ იდეოლოგიას და მიმართულია ფართო მასების მართვაზე.

ნაშრომში განხილული იქნება პოლიტიკური იდეოლოგიები და მათი როლი ქვეყნების განვითარებაში და რეფორმების გატარების მიართულებით. ასევე, თამადროვე პერიოდში პოლიტიკური იდეოლოგიების გავლენა საზოგადოების ფორმირებაში.


**Giorgi Mkheidze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Alika Guchua**
Doctor of Political Science,
Assistant Professor


## Political Ideology as a Means of Political Manipulation in the 21st Century


Political ideologies play a major role in the development and existence of humanity, they fundamentally change people’s views, political worldviews. Without political ideologies, it is virtually impossible to form a real political party and make it function, the idea being the most important factor, both economically and socially. Over time, political ideologies took on a broader form and new political ideologies emerged. From simple primitive, the left-wing, the right-wing, the centrist views, we got specific ideologies and from each ideology -political ideologies of many different kinds.

In the 21st century, through political ideology, manipulation by specific forces is often driven by personal motives. The activity of such pseudo-ideological groups in the political arena damages a particular political ideology and is aimed at managing the broad masses.

The paper will discuss political ideologies and their role in the development of countries and the direction of reforms as well as the influence of political ideologies on the formation of society in the modern period.

**ნოდარ მხეცაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
პოლიტიკის დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი

## საქართველოს კიბერუსაფრთხოების გამოწვევები

ქართულ რეალობაში კიბერუსაფრთხოებამ 2008 წელს უხეშად შემოაბიჯა. რუსეთ–საქართველოს ომის დროს, კონვენციური საბრძოლო მოქმედებების პარალელურად განხორციელებულმა კიბერშეტევებმა ცივი წყალი გადაასხა არა მხოლოდ შეტევების მთავარ სამიზნეებს (სამთავრობო საიტებს და მედია საშუალებებს), არამედ მოსახლეობის ნაწილს. საზოგადოებამ პირველად გააცნობიერა ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე თავიანთი დამოკიდებულება. საქართველო კიბერშეტევებს, რომელიც ინფორმაციული ომის ნაწილი იყო და მიზნად ისახავდა მიმდინარე მოვლენების ჩვენეული ხედვის გავრცელების ჩახშობას, სრულიად მოუმზადებელი შეხვდა.

2020 წელს საქართველო ნატოს მეორე არაწევრი ქვეყანა გახდა, რომელიც შეუერთდა ნატოს ჭკვიანი თავდაცვის პროექტს - „მავნე პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მრავალეროვნულ პლატფორმას“. კავკასიის რეგიონში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე აუცილებელია კიბერუსაფრთხოების სფეროში საქართველომ გამოიყენოს ყველა რესურსი და გახდეს მოწინავე ქვეყანა რეგიონში, ეს ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის უსაფრთხოებას ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე.

**Nodar Mkhetsadze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Alika Guchua**
Doctor of Political Science,
Assistant Professor

## Georgia's Cyber Security Challenges

Cyber security entered the Georgian reality in 2008. During the Russian-Georgian war, cyber-attacks carried out in parallel with conventional combat operations poured cold water not only on the main targets of these attacks (government websites and media outlets), but also on part of the population. The public first realized their dependence on information technology and the Internet. Georgia was completely unprepared for the

cyber-attacks, which were part of the information war and aimed at suppressing our vision of current events.

In 2020, Georgia became the second non-NATO country to join NATO's Smart Defense Project - a multinational malware exchange platform." Given the situation in the Caucasus region, Georgia must use all its resources in the field of cybersecurity and become a leading country in the region; this will contribute to the country's security and will be an important step on the road to European integration.

**მარიკა ნაკაშიძე**
კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ქეთევან შოშიაშვილი**
ისტორიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ქალთა წარმომადგენლობა ეროვნულ პოლიტიკაში

თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკაში ქალთა ჩართულობა საგრძნობლად გაიზრდა, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქალები მოითხოვენ ეფექტური მეთოდების გამოყენებას პოლიტიკაში გენდერული ბალანსისთვის, რომლის მიღწევის ეფექტური მექანიზმი არის კვოტა. რომელიც საშუალებას იძლევა გაიზარდოს პოლიტიკოს ქალთა რაოდენობა. ამიტომ გენდერული თანასწორობის ბევრი მომხრე კვოტებს იმედით უყურებს. სისტემური ბარიერების დასაძლევად ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფმა ინიციატივა შეიმუშავა, რომელიც გენდერული კვოტების საკანონმდებლო დონეზე ინიცირებას ისახავს მიზნად. ინიციატივა არჩევნებში მონაწილე პარტიებისთვის /საარჩევნო ბლოკებისთვის 50%-იანი გენდერული კვოტის დაწესებას გულისხმობს. საქართველოს პარლამენტმა მიიღო სახელმწიფო გენდერული კონცეფცია. ეს ნაბიჯი მიუთითებს იმაზე,რომ ქვეყანაში გენდერული თანასწორობა რეალურ პრიორიტეტს წარმოადგენს.

საქართველოს კანონმდებლობით გენდერული თანასწორობა უზრუნველყოფილია-მამაკაცები და ქალები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, რაც კონსტიტუციითაა განსაზღვრული. საქართველომ აიღო ვალდებულება შეასრულოს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით (პეკინის სამოქმედო პლატფორმა,გაეროს კონვენცია ,,ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'', და სხვ.) გათვალისწინებული მოთხოვნები, რამაც გარკვეული პოზიტიური ზეგავლენა იქონია საქართველოში ქალთა როლის გაძლიერებაზე, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში, ისე მშვიდობის და რეგულირებისა და კონფლიქტების მოგვარების პროცესებში მათ ჩართვაზე.

**Marika Nakashidze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Ketevan Shoshiashvili**
Doctor of History,
Associate Professor

## Women Representation in National Politics

The involvement of women in the politics of the modern world has increased significantly, with women in many countries around the world calling for the use of effective methods for gender balance in politics, the effective mechanism for achieving which is the quota which allows to increase the number of women politicians. That’s why many supporters of gender equality rely on the quota. To overcome systemic barriers, the Women's Political Participation Working Group has developed an initiative aimed at initiating gender quotas at the legislative level. The initiative envisages imposing a 50% gender quota for parties / electoral blocs participating in the elections.

Georgian legislation ensures gender equality - men and women enjoy equal rights, as defined by the Constitution. Georgia has committed itself to complying with the requirements of international legal instruments (Beijing Platform for Action, UN Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, etc.). which has had a positive impact on strengthening the role of women in Georgia, both in all areas of public and political life, and their involvement in peace-building and conflict resolution processes.

**გურამ ლილუაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ქეთევან შოშიაშვილი**
ისტორიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხები

საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანობის ისტორიაში მიმდინარე პროცესმა გამოიწვია ევროპის აღმოსავლეთად და დასავლეთად, ხოლო შემდეგ - ჩრდილოეთად და სამხრეთად გაყოფა,რის შედეგადაც ჩამოყალიბდა პოლიტიკურად სამი განსხვავებული, აღმოსავლურ მართლმადიდებლური, სამხრეთ-დასავლურ-კათოლიკური და ჩრდილო-დასავლურ პროტესტანტული რეგიონი, სადაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის განსხვავებული ურთიერთობები ჩამოყალიბდა. მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც პირველ

ქრისტიანული ეკლესიის სწავლების გამგრძელებელს არშეუცვლია თავისი დამოკიდებულება სახელმწიფოსთან. იგი ყოველთვის იყო და რჩება სახელმწიფოსთან ურთიერთობის პრინციპის ერთგული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან.

სახელმწიფო ხელისუფლება ძველებურად კვლავ თავის შემადგენლობაში მოიაზრებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. „კონსტიტუციური შეთანხმება“ წარმოადგენს ისტორიულ- გეოგრაფიულ ფესვებზე დაბრუნებისა და რელიგიურ გეოპოლიტიკური ფუნქციის აღდგენის ისტორიული შანსს და აკმაყოფილებს ქართველი ერის თანამედროვე სულიერ და მატერიალურ მოთხოვნილებებს.


**Guram Liluashvili**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Ketevan Shoshiashvili**
Doctor of History,
Associate Professor


## Political-legal Relation Issues between the State of Georgia and the Church

Over the centuries, the process in the history of Christianity led to the division of Europe into East and West, and then to the North and South, resulting in the formation of three politically distinct Eastern Orthodox, Southwestern Catholic, and Northwestern Protestant regions, with different relations between the state and church. The Orthodox Church, as the successor to the teachings of the early Christian Church, has not changed its attitude towards the state. It has always been and remains faithful to the principle of relations with the state.

After the collapse of the Soviet Union, the church was separated from the state by the 1995 Constitution of Georgia.

The state government still considers the Georgian Orthodox Church to be its constituent part. The "Constitutional Agreement" is a historic chance to return to the historical-geographical roots and restore religious geopolitical function and to meet the modern spiritual and material needs of the Georgian nation.

**არჩილ ორთანეზაშვილი**
კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ქეთევან შოშიაშვილი**
ისტორიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ჰიბრიდული ომი და ვაქცინაცია, როგორც გეოპოლიტიკური ძალთა ბალანსის ფაქტორი

ნაშრომის მიზანია წარმოჩინდეს მიმდინარე გლობალურ მოვლენები და განსაზღვროს ომის ტრადიციული თავისებურებანი და დაადასტუროს მსოფლიო პანდემია ჰიბრიდული ომის შემადგენელ ნაწილად. ასევე, საპრევენციო საშუალება- ვაქცინიზაციის პროცესი, არის მიმდინარე ომის შემდგომი სტადია, სადაც უშუალოდ, თანამედროვე მძლავრი აქტორები იწყებენ გავლენის მოპოვებას გლობალურ დონეზე.

ნაშრომი აჩვენებს და განმარტავს შეფარვითი მეთოდებით განხორციელებულ ომს რომელიც, არ არღვევს ომის პრინციპებს და არც გლობალიზაციისა და საერთაშორისო სამართლის პეინციპებს, საყოველთაო მშივდობას არ უგულებელყობს.

**Archil Ortanezashvili**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Ketevan Shoshiashvili,**
Doctor of History,
Associate Professor

## Hybrid Warfare and Vaccination as a Factor in the Balance of Geopolitical Forces

The aim of the paper is to present the current global events, to define the traditional features of the war and to confirm the world pandemic as an integral part of the hybrid war. Also, the preventive means - the vaccination process, is the post-war stage, where directly, modern powerful actors begin to gain influence globally.

The topic shows and explains to the reader the war waged by cover-up methods, which does not violate the principles of war, nor does it neglect universal peace in the light of globalization and international law. The main goal of the topic is to find, step by step, the optimal methods of overcoming the crisis and to bring it in line with the reality of Georgia as an integral part of the world.

**გიორგი ფიფია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ლიკა გუჩუა**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი

## საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმირების აუცილებლობა და არსებული გამოწვევები

გამართულ საარჩევნო სისტემას უდიდესი როლი ენიჭება ქვეყნის დემოკრატიზაციისა და განვითარების პროცესში.

საარჩევნო სისტემები იყოფა სხვადასხვა ოჯახებად. მათ შორისაა პლურალურ/მაჟორიტარული (ზოგჯერ ისინი ცალკე ოჯახებადაც განიხილება), პროპორციული და შერეული სისტემები. ასევე, გამოიყოფა სხვა სახის სისტემები, რომლებიც არ ერთიანდებიან არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ ოჯახში.

ნაშრომში წარმოდგენილია საარჩვენო სისტემების ოჯახები და საქართველოს საარჩევნო სისტემის ხარვეზები, რეფორმების აუცილებლობა. კარგი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბებით სახელმწიფოს შეუძლია შექმნას ისეთი პოლიტიკური ლანდშაფტი, სადაც თითოეული მოქალაქის აზრი იქნება დაფიქსირებული საკანონმდებლო ორგანოში.

მნიშვნელოვანია თვითმმართველობის არჩევნების სისტემის რეფორმირება, რომელიც საპარლამენტო არჩევნების სისტემასთან ერთად საფუძვლიან ცვლილებებს მოითხოვს და ეს ძირეული გარდაქმნა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს მნიშვნელოვნად დააჩქარებს.

**Giorgi Pipia**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Alika Guchua**
Doctor of Political Science,
Assistant Professor

## The Need to Reform the Electoral System of Georgia and the Existing Challenges

A well-functioning electoral system plays an important role in democratization and development of the country.

Electoral systems are divided into different families. These include plural / majoritarian (sometimes considered as separate families), proportional and mixed systems. Also, there are other types of systems that are not integrated into any of the above families.

The paper presents the families of the electoral systems and the shortcomings of Georgian electoral system as well as the need for reforms. By establishing a good electoral system, the state can create a political landscape where the opinion of every citizen will be recorded in the legislature.

It is important to reform the self-government electoral system, which requires fundamental changes along with the parliamentary electoral system, and this fundamental transformation will significantly accelerate the process of democratization of the country.

**ელდარ ქაავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
პოლიტიკის დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი

## ბირთვული იარაღის როლი საერთაშორისო უსაფრთხოებაში

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში სახელმწიფოების მზარდმა სამხედრო შეიარაღების პოლიტიკამ მრავალი საფრთხე წარმოქმნა ბირთვული იარაღის გავრცელების. ბირთვული იარაღი თავისი შექმნის დღიდან იქცევს ყურადღებას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალურ უსაფრთხოებაში. ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოების ურთიერთობაზე და ბირთვულ სახელმწიფოებს შორის ფართომასშტაბიანი კონფლიქტების პრევენციაზე.

ნაშრომში საუბარია ბირთვული იარაღის შექმნის ისტორიაზე, შემდგომში მისი მნიშვნელოვანი როლის შესრულებაზე ცივი ომის პერიოდში, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაძაბულობის მშვიდობიანად დამთავრებაზე. განხილულია თანამედროვე პერიოდში ,,ბირთვული კლუბის'' წევრი სახლემწიფოების პოტენციალი და საფრთხეები იმ სახელმწიფოთაგან, რომელთაც სურვილი აქვთ გახდნენ ბირთვული შეიარაღების.

ყურადრება გამახვილებულია ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებებზე და უბირთვო ზონებზე საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში. სტოკჰოლმის მშვიდობის საერთაშორისო კვლევის ინსტიტუტის ანგარიშში მითითებულია, მსოფლიოში ბირთვული იარაღის რაოდენობის შემცირება ძირითადად რუსეთსა და აშშ-ზე მოდის, რომლებიც ფლობენ არსებული ბირთვული იარაღის 90%-ზე მეტს.

**Eldar Tchaava**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Alika Guchua**
Doctor of Political Science,
Assistant Professor

## The Role of Nuclear Weapons in International Security

In modern international politics, the growing policy of states with regard to military weapons has created many threats, including the proliferation of nuclear weapons. Since their inception, nuclear weapons have been in the spotlight and play an important role in global security; they have had a significant impact on relations between states and the prevention of large-scale nuclear conflicts between states. The article discusses the history of the creation of nuclear weapons and, as a consequence, their important role during the Cold War and the peaceful end of tension between the United States and the Soviet Union. The nuclear potential of the countries participating in the "Nuclear Club" in the current period will be discussed. The document also discusses the aspirations of the militarist states that want to become nuclear states and the threats they pose. The focus is on nuclear non-proliferation treaties and nuclear-free zones in the context of international security. According to a report by the Stockholm International Peace Research Institute, the decline in the number of nuclear weapons in the world comes mainly from Russia and the United States, which own more than 90% of the existing nuclear weapons.

**მარიამ ჯაფარიძე**
**ნინო ცერცვაძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: მიხეილ ქართველიშვილი**
ისტორიის დოქტორი

## რუსეთის სამხედრო მანევრები უკრაინაში - გამოწვევა დასავლეთისთვის და გაფრთხილება საქართველოსთვის

2020 წელს რუსეთი და უკრაინა შეთანხმდნენ, რომ უკეთესად დაიცავდნენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, იმ სამხედრო მოქმედებების გამო, რომლებიც აღმოსავლეთ უკრაინაში, - კერძოდ კი სეპარატისტულ ანკლავებში მიმდინარეობდა 2014 წლიდან. ამავე წლიდან უკრაინას სურს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება. ამის საპასუხოდ, კრემლმა მოახდინა ყირიმის ოკუპაცია და დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოძრაობების გაღვივება დონეცკსა და ლუგანსკში. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში რუსეთმა უკრაინის

საზღვართან მასშტაბურად გაზარდა სამხედრო წარმომადგენლობა, რაც საგანგაშო გახდა კიევსთვის და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის. ამის ფონზე, 2 აპრილს,ჯო ბაიდენმა დაადასტურა აშშ-ს უცვლელი მხარდაჭერა უკრაინის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

აღნიშნული საკითხის აქტუალობა, მზარდ შეშფოთებას იწვევს დასავლეთსა და საქართველოში; კრემლის მანევრები კი ძირს უთხრის, როგორც უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე ევროპის რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საქართველოს უსაფრთხოებაც, უკრაინასთან არსებული განსაკუთრებული ურთიერთობისა და საერთო ოკუპანტის ქმედებების გათვალისწინებით. რუსეთი პოზიციების გამყარებას ჩქარობს მანამდე, ვიდრე აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია ბოლომდე დაკომპლექტდება. უკრაინაში საწადელის მიღწევის შემთხვევაში კი კრემლის შემდეგი სამიზნე საქართველო იქნება.

**Mariam Japaridze**
**Nino Tsertsvadze**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Mikheil Kartvelishvili,**
Doctor of History

## Russian Military Maneuvers in Ukraine - a Challenge for the West and a Warning to Georgia

In 2020, Russia and Ukraine agreed to better abide by the ceasefire agreement over hostilities in eastern Ukraine, particularly in separatist enclaves since 2014. Since the same year, Ukraine has wanted to join NATO and the European Union. In response, the Kremlin invaded Crimea and sparked independence movements in Donetsk and Luhansk. Over the past few weeks, Russia has increased its military presence along the Ukrainian border, which has become alarming for Kiev and EU member states. Against this background, on April 2, Joe Biden reaffirmed the United States' unwavering support for Ukraine's sovereignty and territorial integrity.

The urgency of the issue is a growing concern in the West and in Georgia. The Kremlin's maneuvers undermine Ukraine's sovereignty and territorial integrity, along with the security and stability of the European region. Georgia's security is also under threat, considering its special relationship with Ukraine and the actions of the common occupant. Russia is in a hurry to strengthen its positions until the administration of the new US president’s, Joe Biden is fully staffed. If Russia’s wish comes true in Ukraine, Georgia will be the next target of the Kremlin.

# ჟურნალისტიკის სექცია
# Section of Journalism

**გიული გიგაური**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: რუსუდან კვარაცხელია**
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## პროექტი ,, ტელესკოლა“ საგანმანათლებლო სისტემაში

ახალმა ვირუსმა კოვიდ 19-მა და პანდემიამ ჩვენი ქვეყანა მრვალი გამოწვევის წინაშე დააყენა. გამონაკლისი არც განათლების სფერო აღმოჩნდა. სხვა კონსტიტუციურ უფლებასთან ერთად მნიშვნელოვანია, სახლმწიფომ თავისი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე იზრუნოს. შესაბამისად, განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, 2020 წლის მარტიდან სასწავლო პროცესი დისტანციურ სწავლებაზე გადასულიყო. ამავე წლის 30 მარტიდან კი საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხზე ჩაეშვა პროექტი ,,ტელესკოლა“, რომელიც, ერთგვარად, დაეხმარებოდა იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ინტერნეტთან და ტექნოლოგიურ გაჯეტებთან წვდომა არ ჰქონდათ. წინამდებარე კვლევის მიზანია, გავარკვიოთ:

- რამდენად მნიშვნელოვანია პროექტი მიზნობრივი ბენეფიციარებისათვის;
- რამდენად ხელმისაწვდომი და ყურებადია გადაცემათა ციკლი „ტელესკოლა“ სკოლის მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის;
- იყენებენ თუ არა ამ პროექტს პრაქტიკაში სკოლის პედაგოგები;
- არსებობს თუ არა პროექტის გაგრძელების საჭიროება პანდემიის დასრულების შემდეგ.

ტელევიზია არა მარტო, ინფორმაციის მიღებისა და გართობის წყარო შეიძლება გახდეს, არამედ მას ყველაზე მნიშვნელოვანი - საგანმანათლბელო ფუნქცია დაეკისროს. თანაც ისე, რომ საზოგადოებაში შეღწევადობის ხარისხი მაღალი ჰქონდეს. პანდემიიდან გამომდინარე, კვლევის საგანი აქტუალურია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ის შედეგები, რომლებიც ნაშრომის დასკვნით ნაწილში წამოჩნდება.

**Giuli Gigauri**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Rusudan Kvaratskhelia**
Doctor of Arts,
Associate Professor

## Project “TV-School” in Educational System

Covid-19 and the pandemic have posed a number of challenges to our country. The field of education is no exception. Among other constitutional rights, it is essential for a state to take care of the safety of its citizens. Correspondingly, the Ministry of Education decided to transfer the educational process to remote mode from March 2020. On March 30, 2020 the project "TV-School" was launched on the second channel of the Public Broadcaster, which would somehow assist those students who did not have access to the Internet and gadgets. The purpose of this study is to find out:

• How important the project is to the targeted beneficiaries.
• How accessible and watchable the cycle programme "TV-School" is for school pupils and university entrants.
• Whether this project is used by school teachers in practice.
• Whether there is a need to continue the project when the pandemic is over.

Television can become not only a source of information and entertainment, but the most important educational function can be imposed to it, having high rating in the society. Due to the pandemic, the subject of the research is topical, therefore the results that appear in the final part of the paper are important.

**გვანცა კოპლატაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: ზაზა ცოტნიაშვილი**
სოციალური მეცნიერებების დოქტორი
მედიის მიმართულებით, პროფესორი

## პანდემია ოკუპირებულ ტერიტორიებზე - დეზინფორმაცია და რეალობა

მსოფლიოში კოვიდ-19-ის პანდემიის გავრცელებისთანავე, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ვირუსთან ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლა გავრცელების მაქსიმალური პრევენციის, შენელებისა და მართვის მიმართულებით. ამ ვითარებაში ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები

მოსახლეობა, სამწუხაროდ, განსაკუთრებული საფრთხის წინაშე დადგა, ადგილზე მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობისა და ხელოვნური იზოლაციის გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ, კორონავირუსის გავრცელების პირველივე დღეებიდანვე საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს ამ გამოწვევასთან მარტო არ დატოვებდა და მათი დახმარებისთვის სრული მზადყოფნა გამოთქვა. თუმცა, შეთავაზება მხოლოდ შეთავაზებად დარჩა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა დახმარების უარყოფასთან ერთად მყისიერად დაიწყეს აქტიური მონაწილეობა რუსეთის საინფორმაციო ომის ნაწილში, დეზინფორმაციის კამპანიაში ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ. ცრუ ინფორმაციები ვრცელდებოდა აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის მხრიდანაც.

წინამდებარე მცირე კვლევაში შევეცადეთ, გაგვერკვია: კოვიდ 19-თან დაკავშირებით გავრცელებული ფეიკნიუსების მიზნები; ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი ძალის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის განეიტრალების შედეგები ქართულ მედიაში; რა გამოიწვია დეზინოფრმაციულმა კამპანიამ, რომელიც რუსეთის ფედერაციის გავლენით დე ფაქტო ხელისუფლებების მიერ პანდემიის პერიოდში მიმდინარეობს.

**Gvantsa Koplatadze**
Caucasus International University
Postgraduate Studies
**Supervisor: Zaza Tsotniashvili**
Doctor of Social Sciences in the
Direction of the Media, Professor

### Pandemic in the Occupied Territories - Disinformation and Reality

As soon as the Covid-19 pandemic spread around the world, the Georgian authorities began to fight against the virus in an effective and coordinated manner, in order to manage preventing and slow down the spreading of the virus. In this situation, the population living in the occupied regions of Abkhazia and Tskhinvali, unfortunately, is in particular danger, given the dire humanitarian situation and artificial isolation created by Russian aggression and occupation. That's why, from the very first days of spreading the coronavirus, the Georgian authorities declared that they would not leave people living in the occupied territories alone with this challenge and expressed their full readiness to help them. However, the offer remained only as an offer for the occupied Tskhinvali region. Representatives of the Tskhinvali de facto government immediately began to take an active part in the disinformation campaign against Lugar Laboratory as a part of the informational war which was waged by Russia. Disinformation was also spread by the occupation regime in occupied Abkhazia.

In this small research we tried to find out: the aims of the widespread fake news related to Covid-19; Consequences of neutralizing the disinformation spread by the force exercising effective control over the occupied territories in the Georgian media; What caused the disinformation campaign carried out by the de facto authorities under the influence of the Russian Federation during the pandemic period.

**ლანა შენგელია**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტი
**ხელმძღვანელი: გიგლა გობეჩია**
განათლების მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## მედია და ქართული საზოგადოება

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა 1980-იანი წლების მიწურულიდან აგორდა და საზოგადოებამაც უფროდაუფრო აქტიურად დაიწყო მიმდინარე პროცესებში ჩართვა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ ქართული მედია არასოდეს იყო გულგრილი და ეს ეტაპები ყოველთვის მისი ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. შესაბამისად, გასაკვირიც არ იყო, რომ ასე მოხდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისა და გააქტიურების შემთხვევაშიც. ქართული ბეჭდური მედიის ფურცლებზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებულმა საკითხებმა და თემებმა წამყვან პოზიციებზე გადმოინაცვლა. ბუნებრივია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, შესაბამისი საინფორმაციო მხარდაჭერა სჭირდებოდა.

როგორც ცნობილია, 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში გამომავალი ყველა გაზეთი თუ ჟურნალი პარტიული დიქტატის ქვეშ იმყოფებოდა. შესაბამისად, იყო გარკვეული შეზღუდვები გასაშუქებელ საკითხებთან დაკავშირებით. არადა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნის შედეგის დასადგომად, მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ინფორმირება ამ მიმართულებით.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღის აზვირთებიდან მოყოლებული, მაშინდელმა ბეჭდურმა ორგანოებმა ცოტათი გამოკვეთილად დაიჭირეს ეროვნული მოძრაობის მხარე. ქართული მედია, შეძლებისდაგვარად, დირექტივების შესაბამისად აშუქებდა მიმდინარე მოვლენებს. არ იყო ადვილი სითამამის გამოჩენა და, შესაბამისად, ბეჭდური ორგანოებიც სიფრთხილეს იჩენდნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდისთვის ,,ახალგაზრდა კომუნისტი“ იყო ის ორგანო, რომელიც ყველაზე მეტ სითამამეს იჩენდა მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას და ახერხებდა კიდეც, საზოგადოებისთვის დაბლოკილი

თემატიკის შესახებ ინფორმაცია მაქსიმალურად მიეწოდებინა... ,,ახალგაზრდა კომუნისტმა“ 1990 წლის 29 მარტს ახალი სახელწოდებით ,,ახალგაზრდა ივერიელით“ დაიწყო ფუნქციონირება, გაზეთს ჩამოშორდა წარწერა - ,,საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანო“. იმ პერიოდის ბეჭდურ მედიას წარმოადგენდა: ,,კომუნისტი“; ,,სოფლის ცხოვრება“; ,,ზარია ვოსტოკა“; ,,თბილისი“; ,,ვეჩერნი თბილისი“; ,,მოლოდიოჟ გრუზიი“; ,,ახალგაზრდა კომუნისტი.“ ესენი იყო ძირითადად რესპუბლიკური გამოცემები. ასევე, გამოდიოდა დარგობრივი გამოცემები, როგორებიც იყო: ,,სახალხო განათლება“, ,,ქართული ფილმი“, რომელსაც ირაკლი გოცირიძე რედაქტორობდა. აქ აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ დარგობრიობის მიუხედავად, ეს ბეჭდური ორგანოები პოლიტიკურ თემებსაც ეხებოდნენ და ხშირად ხდებოდა მიმდინარე პოლიტიკური ფორმატის მასალების განთავსება მათ ფურცლებზე. ეროვნული აღმავლობის პერიოდში, ასევე, წამოიწია პოლიტიკური დაჯგუფებების, პარტიების ბეჭდური ორგანოების ჩამოყალიბება-გამოცემის თემებმა. პოლიტიკურ პარტიებსაც ჰქონდათ თავიანთი გამოცემები, მაგალითად, კონსერვატიული პარტიის გამოცემა იყო ,,ქართველი ერი“; მერაბ კოსტავას საზოგადოების გაზეთი ,,სარანგი“; რუსთაველის საზოგადოების გამოცემა ,,მამული“... სწორედ ეს და მსგავსი გამოცემები ქმნიდნენ იმ პერიოდის საქართველოში საზოგადოებრივ აზრსა და მიმდინარე მოვლენების ძირითად ფონს. აქედან ნაწილი იყო საზოგადოებისთვის ერთგვარი პოლიტიკური საყვირი, სამრეკლო... მასმედია, ისტორიულად იდგა საზოგადოების სამსახურში და ასრულებდა ჟურნალისტიკის, როგორც საზოგადოების სამსახურში მყოფი დარგის ჭეშმარიტ მოვალეობას. თანამედროვე მსოფლიოში მასმედიის როლი კიდევ უფრო გაიზარდა და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს ნებისმიერ სახელმწიფოში. ,,ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული იმის გადაწყვეტა, გვყავდეს მთავრობა გაზეთების გარეშე თუ გაზეთებით, დაუფიქრებლად ვამჯობინებდი მეორეს,’’- ეს სიტყვები თომას ჯეფერსონს ეკუთვნის და შეუძლებელია არ დაეთანხმო, რადგანაც მედია დასაბამიდანვე დიდ როლს ასრულებდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში. სხვადასხვა მოვლენის სწორი ან არასწორი გადმოცემა ხელს უწყობდა მსოფლიო საზოგადოებებში დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულებების გაღვივებას. დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ მედია, მათ შორის სოციალური, ერთადერთი მექანიზმია, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში ინფორმირებულობის გაზრდას.

მედია, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალება, არის ინსტიტუტი, რომელიც გავლენას ახდენდა და ახდენს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების იმ უმნიშნელოვანეს ასპექტებზე, რომლებიც შემდეგ უკვე განსაზღვრავს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ორიენტირს.

მრავალფეროვანი, დაბალანსებული, პროფესიონალური და პლურალისტული მედია, რომელიც პროფესიული ჟურნალისტიკის ეთიკურ სტანდარტებს ეფუძნება და ერთგვარად მაკონტროლებელი ინსტიტუტის როლს ასრულებს, ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების აუცილებელი კომპონენტია და, პირიქით, ასეთი მედიის არსებობა მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყანაშია შესაძლებელი.

როგორც უკვე აღვნიშნე, უაღრესად მნიშვნელოვანია მედიის როლი საზოგადოების ცხოვრებაში, რადგან სწორედ მედიასაშუალებებით ხდება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და საზოგადოების ინფორმირება ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

მედიის ძალისა და გავლენის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ გამონათქვამი: „ადამიანები და თემები, რომელთაც მედია არ განიხილავს, უბრალოდ, არც არსებობენ“.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედია უმნიშვნელოვანესი ორგანიზმია, რომელიც არსებით გავლენას ახდენს საზოგადოების ცნობიერებასა და სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბებაზე. ის მაინც უმძლავრესი ინსტიტუტია თანამედროვე ღირებულებების არტიკულირების თვალსაზრისით.

ამდენად, ჟურნალისტები არ უნდა ივიწყებდნენ საკუთარ პასუხისმგებლობას სინდისისა და საზოგადოების წინაშე, ვინაიდან მათი გავლენა საზოგადოებაზე ძალიან დიდია, მითუმეტეს, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

**Lana Shengelia**
Georgian Technical University
Doctoral Studies
**Supervisor: Gigla Gobechia**
Doctor of Education,
Associate Professor

## Media and Georgian Society

A new wave of the national liberation movement in Georgia has been rising since the late 1980s, and the public has become increasingly involved in the ongoing processes. It should be emphasized that the Georgian media has never been indifferent to the national liberation movement and these stages have always been in the center of attention of the Georgian media. Consequently, it was not surprising that this happened in the case of the rise and activation of the national liberation movement. Issues and topics related to the national liberation movement have shifted to the leading positions in the Georgian print media. Naturally, the rise of the national liberation movement, this crucial event, needed appropriate informational support.

As it is known, at the end of the 80's all the newspapers and magazines published in Georgia were under party dictation. Consequently, there were some restrictions on the issues to be covered. However, in order to achieve the goal of the national liberation movement, it was important to inform the public in this direction. From the height of the wave of the national-liberation movement onwards, the print media took the side of the national movement a little more explicitly.

Georgian media, as far as possible, covered the current events in accordance with the directives, it was not easy to show courage and, consequently, the print media was careful.

However, it should be noted that at that time, the "Young Communist" was the body that showed the most courage in covering current events and even managed to provide the public with information about blocked topics as much as possible ... "Young Iverieli" started functioning, the headline was removed from the newspaper - "Body of the Central Committee of the ALC of Georgia". The print media of that period were: "Communist"; "Rural Life"; Zaria Vostok; “Tbilisi"; “Vecherni Tbilisi”; "Molodiozh Georgia"; "Young Communist" - these publications were mainly Republican publications. There were also field publications, such as: "Public Education"; "Georgian Film", edited by Irakli Gotsiridze. It is noteworthy here that despite the sectoral nature, these print media also dealt with political issues, and the materials of the current political format were often placed on their pages.

During the period of national prosperity, the topics of formation and publication of political groups and printed bodies of parties were also raised. Political parties also had their own publications, for example: the Conservative Party published "Georgian Nation"; Merab Kostava Society newspaper "Sarangi"; The publication of the Rustaveli Society "Mamuli" ... These and similar publications formed the public opinion in Georgia at that time and the main background of current events. Part of this was a kind of political trumpet for the society, a bell tower ...

Mass media, historically stood in the service of the public and performed the true duty of journalism as a field of public service. The role of mass media in the modern world has grown even more and is one of the most important institutions in any state. "If it were up to me to decide whether to have a government without newspapers or with newspapers, I would have recklessly preferred the other" - these words belong to Thomas Jefferson and it is impossible not to agree, because the media, from the very beginning, played a big role in shaping public opinion.

The correct or incorrect presentation of various events has contributed to the stirring up of positive and negative attitudes in world societies. Today, it can be said that media, including social media, is the only mechanism that helps to raise public awareness.

The media, as a print or electronic means of mass communication, is an institution that has influenced and continues to influence the most important aspects of public and political life, which then determine the orientation of the state's domestic and foreign policy.

A diverse, balanced, professional and pluralistic media, based on the ethical standards of professional journalism and acting as a kind of controlling institution, is an essential component of any country'sbdemocratic development. Conversely, the existence of such media is only possible in a democratic country.

As I have already mentioned, the role of the media in the life of the society is extremely important, because it is through the media that public opinion is formed and the public is informed about this or that issue.To clarify the power and influence of the media, it is enough to recall the saying: "People and topics that are not covered by the media simply do not exist."

In conclusion, we can say that the media is an important body that has a significant impact on public awareness and the formation of the civil sector. It is still the most powerful institution in the art of modern values.

**მარიამ ბაიდოშვილი**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრატი
**ხელმძღვანელი: თამარ ლომიძე**
დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## 21-ე საუკუნეში, სოციალური მედიის როლი საზოგადოებაში

სოციალური მედია დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იმის გათვალისწინებით, რომ 21-ე საუკუნე ინფორმაციის ეპოქაა, მისი ზემოქმედების ძალა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ადამიანის ქცევაზე კიდევ უფრო იზრდება, რადგან საზოგადოების მსოფლმხედველობის განვითარება, ან პირიქით, დაქვეითება ხდება. მათ შეუძლიათ ფსიქოლოგიური თუ მორალური ზემოქმედება ინდივიდზე, სოციუმსა თუ, მთლიანად, საზოგადოებაზე. 21-ე საუკუნე ვირტუალური სივრცის ეპოქაა, ამას უკვე მკვეთრი ხაზი გაუსვა პანდემიამ, რომელმაც 21-ე საუკუნეზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ვირტუალური ეპოქა, რომელშიც უმთავრესად ბლოგები, სოციალური ქსელები, ონლაინ ენციკლოპედიები, სხვადასხვა სახის ფორუმები და ყველა ინტერნეტ რესურსი იგულისხმება, მომხმარებელთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ინტერაქციას უზრუნველყოფს. სოციალურ მედიასაშუალებებს დიდი ძალა აქვთ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში, რადგან ხშირად ის, რაც დაუჯერებლად მიგვაჩნია, სოციალური ქსელების, ბლოგებისა თუ ონლაინ საიტების მეშვეობით, ჩვეულებრივ მოვლენადაც კი შეგვიძლია აღვიქვათ. აღნიშნულ ინფორმაციასა და კომუნიკაციის საშუალებებს შეუძლიათ, ჩვენდა უნებურად, შეგვიქმნან წარმოდგენა ამა თუ იმ ადამიანზე, განგვაწყონ დადებითად ან უარყოფითად. აგრეთვე, შესწევთ უნარი, საზოგადოებაში გაავრცელონ დეზინფორმაცია ისე, რომ აუდიტორიის დიდმა ნაწილმა ვერც კი გააანალიზოს რეალური მდგომარეობა.

აღნიშნული თემის მიზანია, გავარკვიოთ, თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს დღეს სოციალურ მედიას საზოგადოებაზე და რა საშუალებებით ზემოქმედებს ის. მთავარი საკვლევი კითხვაა, თუ რამდენად ეფექტურად ცვლის სხვადასხვა გავრცელებული ინფორმაციით ის საზოგადოებრივ აზრს, ხოლო თემის ამოცანაა, სოციალური მედიის პროდუქციის შინაარსისა და აუდიტორიის ქცევითი შესაბამისობა და სოციალური კომუნიკაციის საშუალებების მიერ საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი.

ეს თემა მნიშვნელობას იძენს შემდეგი 3 მიზეზის გამო: 1. საზოგადოების დიდი ნაწილი ახალ ინფორმაციას მიმდინარე პროცესებზე სწორედ სოციალური მედიის საშუალებით იგებს. 2. სოციალური მედიის მიერ აუდიტორიისთვის მიწოდებულმა ინფორმაციამ, რომელიც გადაუმოწმებელი ან გაყალბებულია, შესაძლოა, კონკრეტული ადამიანის პირად, ან თუნდაც კარიერულ ცხოვრებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს. 3. სოციალურ ქსელში ხშირად გვხვდება არასანდო და პროპაგანდისტული სიახლეები, რომელთა შესახებაც ინტერნეტ მომხმარებელი არ ფლობს ინფორმაციას.

სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე, საზოგადოების ქცევის ფორმირების ხარისხის შესწავლის მიზნით, კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი, რომლის მიხედვითაც, კვლევის ფარგლებში, დაკვირვება ჩატარდა საზოგადოების დამოკიდებულებასა და ქცევაზე სოციალურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციისადმი და იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის ინფორმაციები და როგორ მიეწოდება აუდიტორიას აღნიშნული მედიასივრცის მეშვეობით.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ სოციალურ მედიასივრცეში გამოქვეყნებული სტატიები, ნიუსები, ან თუნდაც ფოტოსურათები, არაერთ შემთხვევაში, სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ მომხმარებელი და აუდიტორია ტყუვდება. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როცა კონკრეტული ინფორმაცია არა მხოლოდ პროპაგანდის ან მანიპულაციის მიზნით არის შექმნილი, არამედ ინსცენირებულია. მრავალი ფაქტით მტკიცდება, როცა გავრცელებული ინფორმაცია, ძირითადად კი ფოტოსურათები, ან გამოქვეყნებული ინფორმაციის სათაურები ვრცელდება აუდიტორიისთვის რაიმე თემის სენსიტიურად მისაწოდებლად. სოციალურ მედიაში, ასევე, ქვეყნდება ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი და ღირსების შემლახავი კადრებიც. ასეთი ქმედებები კი საზოგადოებაში შუღლის გაღვივებასა და ძალადობისკენ წაქეზებას უწყობს ხელს,. სოციალურ მედიაში ვხვდებით ფაქტებს, როცა ცნობილი ადამიანების სახელებს იყენებენ რეიტინგის მოპოვების მიზნითაც.

**Mariam Baidoshvili**
Ilia State University
Undergraduate studies
**Supervisor: Tamar Lomidze**
Doctor,
Associate Professor

## The Role of Social Media in Society in the 21st century

Social media plays a big role in public life. Given that the 21st century is the age of information, the role of its impact on public life and human behavior is even greater as it can develop or diminish society’s worldview.

They can have a psychological or moral impact on the individual, community or society as a whole. The 21st century is the era of virtual space, which has already been sharply highlighted by the pandemic that has had a major impact on the 21st century. Virtual age, which mainly includes blogs, social networks, online encyclopedias, various forums and all Internet resources, provides maximum engagement and interaction with users. Social media has a lot of power in the process of forming public opinion, because often what we find unbelievable, through social networks, blogs or online sites, we can even perceive as a normal event. The intended information and means of communication can, inadvertently, make us form positive or negative attitude towards this or that person. You will also have the ability to disseminate information to the public so that a large part of the audience cannot even analyze the real situation.

The purpose of this topic is to find out how much social media has an impact on society today and how it affects it. The main research question is how effectively it changes public opinion through various disseminated information, while the topic of the work is the behavioral relevance of the content of social media products and the audience and the degree of satisfaction of public needs by social media.

This topic is important for the following 3 reasons and they are: 1- A large part of the society gets new information through social media about the current processes. 2- Information provided to the audience by social media that is unverified or falsified may have a negative impact on the personal or even career life of a particular person. 3- Unreliable and prophetic news is often found in the social network, about which the Internet user does not have any information.

Based on the information published on social networks, in order to study the degree of formation of public behavior, the study used quantitative context-analysis, according to which, the study looked at public attitudes and behavior towards information spread on social media and what type of information and how it is provided to the audience.

The results of the research indicate that the articles, news or even photos published in the social media space, in many cases, are not true, thus deceiving the user and the audience. In addition, there are often cases where specific information is not only created for propaganda or manipulation purposes, but also staged. Many facts are recorded when disseminated information, mainly photographs or published information headlines, is sent to the audience in a sensitive way. Social media also depicts footage of a person's private life and desecrating it. Such actions help to provoke resentment and incite violence in the society. We find facts on social media when the names of famous people are taken for the purpose of gaining a rating as well.

**სოფიკო წიკლაური**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ზაზა ცოტნიაშვილი**
სოციალური მეცნიერებების დოქტორი
მედიის მიმართულებით, პროფესორი

## დეზინფორმაციის გავლენა ქართულ საზოგადოებაზე (ლუგარის ლაბორატორია)

COVID 19-ის პანდემიამ უფრო ცხადად დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ლუგარის კვლევითი ცენტრის არსებობა საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის. ბოლო პერიოდში საქართველოს მოსახლეობა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს ლუგარის ცენტრს, რომელიც ხშირად იყო დეზინფორმაციული თავდასხმის ობიექტი.

მოსალოდნელი იყო, რომ პანდემიის დროს ლაბორატორია კიდევ ერთხელ იქცეოდა დეზინფორმაციული შეტევის სამიზნედ. ასეც მოხდა - გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ახალი კორონავირუსი ლუგარის ლაბორატორიაში შეიქმნა. ლუგარის ცენტრზე დეზინფორმაციის გავრცელებით რამდენიმე წელია გამოირჩევა რუსეთი.

სწორედ მას უკავშირდება შემდეგი მითები: ,,ლუგარის ლაბორატორიაში ადამიანებზე ცდებს ატარებენ;'' ,,ლაბორატორიაში ამზადებენ ბიოლოგიურ იარაღს და ამას ამერიკა რუსეთზე თავდასხმისთვის აკეთებს;'' ,,გრიპის ვირუსს ლუგარის ლაბორატორიიდან ზანანების მეშვეობით ავრცელებენ;'' ,,ვრცელდება საშიში ვირუსები, სახიფათო მწერებს იყენებენ დივერსიული მიზნებისთვის და წამლავენ ხალხს;'' ,,შესაძლოა, აწარმოებდნენ თხევად ჰეროინს'' და კიდევ მრავალი სხვა.

სინამდვილეში, ლუგარის ცენტრი ქვეყნის ლაბორატორიული ქსელის უმაღლესი დონის დაწესებულებაა, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის რეფერალური ლაბორატორიაა.

ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მიზანია საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიულად არსებული, ან ახლადაღმოჩენილი ვირუსებისა და ბაქტერიების დროული დიაგნოსტიკითა და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის კვლევის შედეგების გაზიარებით. მნიშვნელოვანია ქართული მედიის აქტიურობა დეზინფორმაციის საწინააღმდეგოდ, მაგრამ, სამწუხაოდ, რთულდება არასწორი ინფორმაციის სრულყოფილად განეიტრალება. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მცდარი წარმოდგენა რჩება ქვეყნისთვის მნიშვნელოვან დაწესებულებაზე, რაც რუსული დეზინფორმაციის დამაზიანებელი შედეგია.

ავტორიტეტული მედიის მიზანია, საზოგადოებას მიაწოდოს სწორი ინფორმაცია ლუგარის ცენტრზე, დაამსხვრიოს აქამდე გავრცელებული მითები.

**Sopiko Tsiklauri**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Zaza Tsotniashvili**
Doctor of Social Sciences in the
Direction of the Media, Professor

## The Impact of Misinformation on Georgian Society (Lugar Laboratory)

The COVID19 pandemic has shown us more clearly the importance of having a Lugar Research Center in Georgia for public health. Recently, the Georgian population has been paying particular attention to the Lugar Center, which has often been the target of disinformation attacks.

It was expected that during the pandemic, the laboratory would once again be the target of a disinformation attack, and it happened - it was reported that a new coronavirus had been created in Lugar's laboratory.

Russia has been known for spreading misinformation about the Lugar center for several years. The following myths are related to it: "People are being tested in Lugar's lab;" "Biological weapons are being made in the laboratory, and America is doing this to attack Russia;" "The flu virus is spread from Lugar's lab through bananas;" "Dangerous viruses are spreading, dangerous insects are being used for subversive purposes and they are poisoning people;" "They may have produced liquid heroin;" and many more.

In fact, the Lugar Center is a state-level laboratory network facility in the country, which is the reference laboratory of the Georgian public health system. The aim of the Lugar Public Health Research Center is to protect public health by providing timely diagnostics of viruses and newly discovered viruses and bacteria on the territory of Georgia and sharing research findings with the international community.

The activity of the Georgian media against disinformation is important, but unfortunately, it is difficult to neutralize misinformation, a certain part of the society remains misleading about an important institution for the country, which is a damaging result of Russian disinformation.

The aim of the authoritarian media is to provide the public with the right information about the Lugar Center, to dispel the myths that have been spread so far.

In fact, the Lugar Center is a state-level laboratory network facility in the country, which is the reference laboratory of the Georgian public health system.

The goal of the Lugar Public Health Research Center is to protect public health by timely diagnosing viruses and newly discovered viruses and bacteria in Georgia and sharing research findings with the international community. The activity of the Georgian media against disinformation is important, but unfortunately, it is difficult to neutralize

misinformation, a certain part of the society remains misleading about an important institution for the country, which is a damaging result of Russian disinformation.

The aim of the authoritarian media is to provide the public with the right information about the Lugar Center, to dispel the myths that have been spread so far.

**თამარ კენჯია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ნინო ქალაგანიძე**
ჟურნალისტიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## მედიის გავლენა პანდემიით გამოწვეულ დღის წესრიგზე

გლობალური პანდემია COVID 19-ით გამოწვეულმა დღის წესრიგმა მედიის როლსა და მნიშვნელობაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. პანდემიამ დაუყოვნებლივი გავლენა იქონია ჟურნალისტიკასა და სამეცნიერო კომუნიკაციებზე. რომ არა მედია, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტების, კლინიცისტებისა და მეცნიერების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებასა და მიღების შესაძლებლობას, საზოგადოება ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდებოდა.

საგანგებო და გადაუდებელ შემთხვევებში, როგორიცაა, მაგალითად, გლობალური პანდემია, მედიის როლი განსაკუთრებით იკვეთება. პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში ინფორმაციის მოწოდების დრო განსაზღვრულია, ხოლო ონლაინ ვებ-გვერდები საზოგადოების ინფორმირებას მყისიერად ახერხებენ.

მედიაპლატფორმები და პორტალები უზრუნველყოფენ უშუალო წვდომას უპრეცენდენტო რაოდენობის კონტენტზე. როდესაც პოლარიზაცია მაღალია, დეზინფორმაცია უფრო სწრაფად გავრცელებადია, ვიდრე ფაქტებზე დაფუძნებული ამბები.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, ქართული ინტერნეტპორტალების (ინტერპრესნიუსი, ონ.ჯი, სპუტნიკ საქართველო) მაგალითზე დადგინდეს, რა გავლენა აქვს მედიას პანდმიურ დღის წესრიგზე; ვხვდებით თუ არა პანდემიასთან დაკავშირებულ პროპაგანდას - ინფოდემიას, აგიტაციასა და ყალბ ამბებს მედიაპორტალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებში.

პანდემიამ სრულიად შეცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების სტილი და რიტმი. ბუნებრივია, მასთან დაკავშირებული ყველა თემა აქტუალურია. ნაშრომში განხილულია ის მნიშვნელოვანი სტატიები, რომლებიც საქართველოში კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება.

**Tamar Kenjia**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Nino Chalaganidze**
Doctor of Journalism,
Associate Professor

## The impact of the Media on the Pandemic-induced Agenda

The global pandemic agenda caused by COVID 19 has reassured us of the role and importance of the media. The pandemic had an immediate impact on journalism and scientific communications.

Were it not for the media as a tool to ensure the dissemination and reception of relevant information about patients, clinicians and science, society would find itself in an information vacuum.

In emergencies such as the global pandemic, the role of the media is particularly highlighted. The time for providing information in the press, radio and television is defined. And online websites are able to inform the public instantly.

Media platforms and portals provide direct access to an unprecedented amount of content. When polarization is high, misinformation spreads faster than fact-based news.

The aim of the presented paper is to determine the influence of the media on the pandemic agenda on the example of Georgian internet portals (Interpressnews; On.ge; Sputnik Georgia); Do we find pandemic-related propaganda - infodemics, agitation and false news in the information spread by media portals?

The pandemic completely changed the style and rhythm of public life. Naturally, all the topics associated with it are relevant. The paper discusses important articles related to coronavirus-related issues in Georgia.

**თამარ ოყუჯავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ნინო ქალაგანიძე**
ჟურნალისტიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## დილის საინფორმაციო-გასართობი მაუწყებლობის სპეციფიკა (საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის" გადაცემა „ახალი დღის" 2020 წლის მაგალითზე)

გადაცემების განრიგს ყოფენ ადრიან დილად (6:00–9:00 სთ.) და ღამის შემდგომ პერიოდად (2:00–6:00 სთ.). ადრიანი დილის მაყურებლები ბავშვები, დიასახლისები, პენსიონერები და ის პირები არიან, რომლებიც სამუშაოზე წასასვლელად ემზადებიან.

აუდიტორიის ჩამოთვლილი კლასიფიკაცია პირობითია, მაგრამ საყურადღებოა, რომ აუდიტორიაც ერთი მთლიანობა კი არა, ინდივიდთა კოლექტივია.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ, რამდენად ასრულებს „პირველი არხის" დილის გადაცემა დაკისრებულ ფუნქციას: როგორია მისი არქიტექტონიკა, თემატურ-ჟანრული სტრუქტურა, ეკრანული ენა, რამდენად სრულად იყენებს გამოსახვით საშუალებებს.

ეთერზე სამთვიანი დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, „პირველი არხის" დილის ეთერი მიჰყვება ტრადიციებს და სიახლეებს კარგად უსადაგებს მას. წამყვანები აუდიტორიას დღის დაგეგმვისა და წარმართვისათვის საჭირო ინფორმაციას აწვდიან და, მთავარი, ქმნიან ხალისიან განწყობას, რაც ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია.

თემატურ ბლოკებად დაყოფილი პროგრამა მოიცავს პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, სპორტისა და სხვ. მნიშვნელოვან სფეროთა შესახებ ცნობებს.

კვლევის მეთოდებიდან ნაშრომში გამოყენებულია დაკვირვებისა და შემთხვევების შესწავლის მეთოდები. შედეგები განზოგადებულია.

**Tamar Okujava**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Nino Chalaganidze**
Doctor of Journalism,
Associate Professor

## Specifics of Morning News-Entertainment Broadcasting (Public Broadcaster Channel 1 "New Day" on the 2020 example)

The show schedule is divided into early morning (6:00–9:00 hrs) and overnight (2:00–6:00 hrs). Early Morning viewers are children, housewives, retirees and those individuals who are preparing to go to work.

The listed classification of the audience is conditional, but it is noteworthy that the audience is not awhole, it’s a collective of individuals.

The purpose of the presented paper is to explore how the morning program of the "First Channel" fulfills its assigned function: what is its arrangement, thematic-genre structure, screen language, how it fully uses the means of imagery.

Three months of observation revealed that morning broadcast of the first channel follows the tradition and the news is well suited to it. The presenters provide the audience with the information they need to plan and lead the day, and most importantly, they create a cheerful mood, which is fundamentally important.

The program, divided into thematic blocks, including politics, economics, culture, sports, etc.- Information on important fields. From the research methods, the paper uses observation and case study methods. The results are generalized.

**თამილა ტიკარაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ხათუნა კაჭარავა**
ჟურნალისტიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

# პირველი საზოგადოებრივი მაუწყებლის BBC-ის ჩამოყალიბება და თანამედროვე სტანდარტები

BBC, როგორც დემოკრატიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, საზოგადოებრივ ტელევიზიად ევროპაში, დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბდა. მისი მთავარი მიზანია, საინფორმაციო-პროპაგანდისტული საქმიანობა საზოგადოების კონტროლს დაუქვემდებაროს. შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანული საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნა ამერიკული კომერციული ტელევიზიის მოდელზე საპირისპირო რეაქციამ განაპირობა. ბრიტანული საზოგადოებრივი მაუწყებლის BBC -ის ჩამოყალიბება მეოცე საუკუნის ოციან წლებში ჯონ რეიტმა ჩაიფიქრა. მას სურდა, შეექმნა ისეთი სამაუწყებლო კომპანია, რომელიც თავის ნიშას მოძებნიდა და შუალედურ ადგილს დაიკავებდა ამერიკის შეერთებული შტატების ძლიერ კომერციალიზებულ, არაკონტროლირებად რადიოსადგურებსა და საბჭოთა კავშირის მკაცრ, კონტროლირებად, სახელმწიფო მაუწყებლობას შორის.

ბრიტანეთის სამაუწყებლო კომპანია BBC 1922 წლის 18 ოქტომბერს დაარსდა წამყვან რადიოსადგურთა მფლობელების მიერ, რომელთა შორის გულიელმო მარკონიც იყო. ყოველდღიური მაუწყებლობა სწორედ მარკონის სტუდიიდან დაიწყო, რომელიც ლონდონის ცენტრში მდებარეობდა. იმავე წლის 14 ნოემბერს შოტლანდიელი ინჟინერი ჯონ რეიტი მის გენერალურ დირექტორად დაინიშნა. BBC-ის დაფინანსება სააბონენტო გადასახადების ხარჯზე ხორციელდებოდა და ყოველი აბონენტის, ანუ მაყურებლისგან 10 შილინგს (50 პენს) შეადგენდა, რაც BBC -ის რეკლამისგან და სახელმწიფო დოტაციებისგან ფინანსურ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა. ბრიტანეთის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა BBC -იმ მრავალწლიანი არსებობის მანძილზე შექმნა მსოფლიო მასშტაბის საზოგადოებრივი მაუწყებლის მოდელი - გადაცემების სტრუქტურა, პროგრამული პრიორიტეტები და ეთიკური სტანდარტები.

მიუკერძოებლობა, სიზუსტე, ხალხთა და კულტურათა შესახებ სრული თვალსაზრისის გამოხატვა, სარედაქციო დამოუკიდებლობა, საიდუმლოს დაცვა, გემოვნებისა და ზნეობის სტანდარტების გათვალისწინება, ბავშვებზე ზრუნვა, რესპონდენტის მიმართ სამართლიანი დამოკიდებულება, აუდიტორიის მრავალფეროვნების გათვალისწინება, რაიმე კომერციული გარიგებების გამორიცხვა და საზოგადოების შინაგანი კულტურისა და საზრდოს განვითარება - ეს BBC-ის მთავარი ღირებულებებია.

**Tamila Tikaradze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Khatuna Kacharava**
Doctor of Journalism,
Associate Professor

## BBC History and Modernity

Establishment and formation of the BBC Public television originated in Europe and can be seen as an important achievement of democracy. It seeks to bring information and propaganda activities under the control of the public. It can be said that the creation of public television was a reaction to the model of American commercial television, which is not entirely harmless in the preparation of programs intended for the mass audience. Creating all brands starts with dreamers. In the case of the BBC, it was John Wright. In the 1920s, Wright envisioned setting up a broadcasting company that would find its niche and be an intermediary between the highly commercialized, uncontrolled radio stations of the United States and the strict, controlled, state-run broadcasting of the Soviet Union. The BBC was founded by the British Broadcasting Company on 18 October 1922 by leading radio station owners, including Guillermo Marconi. The daily broadcast started from Marconi's studio in central London. On November 14 of the same year, the Scottish engineer Wright was appointed as General Manager. The BBC was funded by subscription fees of up to 10 shillings (50 pence) from each subscriber, or viewer. This ensured the BBC's financial independence from both advertising and government grants - Structure of programs, program priorities and ethical standards. "Our goal is to be the most creative and reliable TV and radio broadcaster in the world. Also, look for ways to satisfy our viewers with news, educational and entertainment programs; Fill their lives with shows that only the news market can reach. Impartiality, accuracy, full expression of peoples and cultures, editorial independence, confidentiality, standards of taste and morality, caring for children, fair treatment of the respondent, consideration of the diversity of the audience, exclusion of any commercial transactions are the main values". Georgian Public Television was created on these standards and values, therefore, these postulates are important.

# სამართლის სექცია
# Section of Law

**ელა კუსიანი**
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: ირინე ბოხაშვილი**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ნაფიც მსაჯულთა შერჩევისა და თათბირის პრობლემატური საკითხები საქართველოში

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში 2010 წლიდან არსებობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფართომასშტაბიანი რეფორმის კონტექსტში. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი წარმოადგენს დემოკრატიის ერთ-ერთ ფორმას, რომლის ფარგლებშიც საზოგადოება თავად იღებს პასუხისმგებლობას მართლმსაჯულების განხორციელებაზე და წყვეტს პირის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის საკითხს. ეს უზრუნველყოფს მოქალაქეთა პირდაპირ ჩართულობას პროცესში და ზრდის მათ ნდობას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.

ქვეყნებმა, რომელთაც მრავალწლიანი ისტორია აქვთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მუშაობის, დააგროვეს რეფორმირების საკმაოდ მდიდარი გამოცდილება (მეცნიერული კვლევები, იმიტირებული სასამართლო პროცესები და ა.შ.) აღნიშნული ინსტიტუტის გამართულად და წარმატებით ფუნქციონირების მიმართულებით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ცოცხალი ორგანიზმია და ისიც საჭიროებს განვითარებას და თანამედროვე მოთხოვნებთან შეთანხმებულ პერმანენტულ ცვლილებებს.

წინამდებარე საკონფერენციო თემაში შევეხები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა ნაფიც მსაჯულთა შერჩევა და თათბირი. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა და თათბირი ორი ურთიერთგადაჯაჭვული პროცესია, რომლებიც საბოლოოდ განსაზღვრავენ საქმის ბედს. ნაფიც მსაჯულთა წარმატებულ შერჩევაზე დიდად არის დამოკიდებული თუ როგორი იქნება საქმის შედეგი. ხოლო თათბირის ეფექტურად წარმართვა ემსახურება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამართულად ფუნქციონირების მიზანს.

**Ella Kusiani**
East European University
Doctoral Studies
**Supervisor: Irine Bokhashvili**
Doctor of Law,
Associate Professor

## Problematic issues of Jury selection and deliberation in Georgia

The Institute of Jurors has existed since 2010 in Georgia in the context of large-scale reform of the criminal justice system. The institute of jurors is one of the forms of democracy, in the framework of which the society does not delegate the function of justice to the state, but takes responsibility and decides the issue of guilt or innocence of a person. This ensures the direct involvement of citizens in the process and increases their confidence in the justice system.

Countries with many years of experience in the work of the jury have gained considerable experience in reform (scientific research, mock trials, etc.) in order for the institution to function properly and successfully. The jury court is a living organism and it also needs development and permanent changes in accordance with modern requirements.

In this conference topic, I will discuss issues such as jury selection and deliberation. Jury selection and jury deliberation are two intertwined processes that ultimately determine the fate of a case. Successful selection of jurors greatly depends on what the outcome of the case will be. And the effective conduct of the deliberation serves the purpose of the proper functioning of the jury.

**ერეკლე ქულუხაძე**
**ნათია სვანიძე**
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: ბექა ქანთარია**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## განათლებისა და გადაადგილების უფლების შეზღუდვა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

თანამედროვე მსოფლიოში განათლება, როგორც წესი, პროფესიის დაუფლების წინარე საფეხურია, ორივე ერთად კი საზოგადოებაში ინტეგრაციის შემადგენელი ნაწილია. აღნიშნული უფლება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობებით არის გამყარებული. მიუხედავად ამისა, საქართველოში,

კერძოდ აფხაზეთში, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის განათლების უფლება სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან ერთად ყოველდღიურად ირღვევა. ჩვენს ნაშრომში მოყვანილია არაერთი კვლევა, რომელიც აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის გაუსაძლის მდომარეობას ადასტურებს. ამის ერთ-ერთ გამოხატულება კი სკოლების უდიდეს ნაწილში ქართული ენის რუსულით ჩანაცვლებაა. ასევე, აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისთვის დღესაც განსაკუთრებულ პრობლემად რჩება გადაადგილების საკითხი, რაც მათ არ აძლევთ ჯეროვან შესაძლებლობას, მშობლიურ ენაზე საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მაინც მიიღონ განათლება. ნაშრომში ასევე საუბარია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება განათლების უფლების შეზღუდვის არამართებულებას სეპარატისტული რეჟიმის პირობებში. ამასთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ორგანიზაციების: გაეროს, ნატოს, ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და ეუთო ჩართულობაზე, რომელთა დახმარებით აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ დახმარებას იღებს.

**Erekle Tchulukhadze**
**Natia Svanidze**
Sulkhan Saba Orbeliani University
Postgraduate Studies
**Supervisor: Beka Kantaria**
Doctor of Law,
Associate Professor

## Restriction of educational and movement rights in Autonomous Republic of Abkhazia

In the modern world education is precondition of obtaining profession. And together they are part of our integration in life. The noted right is protected under national and international legeslation. Despite the above noted fact ethnically Georgian's right to education just like other fundamental rights is violated on a daily basis in Georgia, namely, in Abkhazia.In this article, there are number of researches which confirm the unbearable conditions of ethnically Georgian population in Abkhazia. For instance, the noted can be strengthened by the fact that Georgian language has been replaced by Russian language in most of the schools. The noted is more problematic regarding the fact that ethnically Georgian people populated in Abkhazia have trouble with free movement, which deters them from opportunity to get education in their native language at least in the territory controlled by Georgia. The article also discusses the rulings of the European Court of Human Rights on the non-discrimination of the right to education in the event of a separatist regime. The article also focuses on the involvement of international organizations: UN, NATO, EU. With the help of which the ethnic Georgian population living in Abkhazia receives both material and intangible assistance.

**გიორგი წალდაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: ზურაბ ჭეჭელაშვილი**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

ქართულ რეალობაში საბაზრო ეკონომიკის გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა იყო და არის, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. როგორც ცნობილია, საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, ვინაიდან იგი ასრულებს ყველაზე ეფექტიანი შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. ჩვეულებრივი კომპანიებისაგან განსხვავებით, კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ან საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება დანარჩენ ეკონომიკაზე. ჩვენი კვლევის ობიექტია საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების გავლენა მათ საქმიანობაზე. კვლევის მიზანს არასაბანკო საკრედიტო სექტორი, კერძოდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები (მისო) წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ რეგულაციების გამკაცრება წინ გადადგმული ნაბიჯია. იგი გამოიწვევს ბაზარზე არსებულ კომპანიათა ხარისხის ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში სერვისის დამაკმაყოფილებელ დონეზე აგვიყვანს და მომხმარებელთა მოთხოვნები სრულიად იქნება გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, მცირე მოთამაშეები შეიძლება ბაზრიდან გაქრნენ, თუმცა, აღნიშნული რეგულაციების შესახებ უკვე ცნობილია და ბაზარს დატოვებენ ის კომპანიები, რომელთაც მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება პირველად პრიორიტეტად არ ჰქონდათ დასახული.

**Giorgi Tsaldadze**
Caucasus International University
Postgraduate Studies
**Supervisor: Zurabi Chechelashvili**
Doctor of Law, Associate Professor

## Microfinance organization

Through transition period in the reality of Georgia, one of the most important problem was and is Ensuring financial stability, which is one of the main functions of the National Bank. As it is well known, financial sector is of great importance to the country's economy since it performs the role of the most effective intermediary between lenders and borrowers.

Unlike conventional companies, the problems of commercial banks, microfinance organizations or other representatives of financial sector are instantly reflected on the rest of the economy. The object of research is the microfinance organizations operating in Georgia and the impact of the regulations of the National Bank of Georgia on the activities of microfinance organizations. There are many types of credit institutions in the credit market. In turn, these institutions can be divided into two groups - banks and non-bank credit organizations. The aim of our research is the nonbank credit sector, in particular, microfinance organizations (MSO).  Tightening regulations is a step forward. This will lead to an increase in the quality of companies on the market, which will ultimately lead to a satisfactory level of service and customer requirements will be fully satisfactory. Of course, small players may disappear from the market, but these regulations are already known and those companies which were not oriented on customer service will leave the market.

**გიორგი ჩაჩხიანი**
**მარიამ ჩირგაძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: თამთა ზაალიშვილი**
საერთაშორისო სამართლის დოქტორანტი,
მოწვეული ლექტორი, ასისტენტი

## ლტოლვილთა სამართლისა და ადამიანის უფლებების სამართლის მიმართება არგაძევების პრინციპის კონტექსტში

არგაძევების პრინციპი ადამიანის უფლებათა, ლტოლვილთა, ჰუმანიტარულ და ჩვეულებით სამართალში ინდივიდის დაცვის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოებს იმ პირთა გაძევებას უკრძალავს, რომლებიც დაბრუნებისას დევნის, წამების, არასათანადო მოპყრობის ან ადამიანის უფლებების სხვა სერიოზული დარღვევების გამოუსწორებელი რისკის წინაშე დადგებიან. ლტოლვილთა სამართალში არგაძევების პრინციპის თანახმად, სახელმწიფოებს ეკრძალებათ ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის დაბრუნება იქ, სადაც მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებებს კონვენციით დაცული ნიშნების გამო, საფრთხე დაემუქრება. ლტოლვილთა სამართალში არგაძევების პრინციპი არ არის აბსოლუტური ხასიათის და „ეროვნული უსაფრთხოების“ ან „საზოგადოებრივი წესრიგის“ საფუძველზე ითვალისწინებს გადახვევის დასაშვებობას. საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ არგაძევების პრინციპი ადამიანის უფლებების სამართალში გამოიყენება, როგორც წამების ან სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის კომპონენტი, ვრცელდება როგორც ექსტრადიციაზე, ისე გაძევებასა და დაბრუნებაზე. მოცემულ შემთხვევაში არგაძევების პრინციპს სასამართლო პრაქტიკის თანახმად აბსოლუტური ხასიათი გააჩნია. ადამიანის უფლებების ეს პრინციპი ეხება ყველა მიგრანტს, ნებისმიერ

დროს, მათი სტატუსის მიუხედავად. ლოგიკურია, რომ როცა ადამიანს ეშინია დევნის, მას ასევე ეშინია არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობისაც. თუკი ლტოლვილთა სამართლით დადგენილი არგაძევების პრინციპის გამონაკლისები გამოიყენება ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის მიმართ, მაგრამ მისი გაძევება დაარღვევს არგაძევების პრინციპს ადამიანის უფლებების სამართლის კონტექსტში, რა გავლენას იქონიებს ეს იურიდიულ შედეგებზე? ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია, განიხილოს და შეადაროს ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართება არგაძევების პრინციპის კონტექსტში და გაამახვილოს ყურადღება საკითხის პრობლემურ და ბუნდოვან ასპექტებზე.

**Giorgi Chachkhiani**
**Mariam Chirgadze**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Tamta Zaalishvili**
PhD Student of International Law,
Visiting Lecturer, Assistant

## The principle of non-refoulement in the context of the refugee and human rights law

The principle of non-refoulement forms an essential protection under international human rights, refugee, humanitarian and customary law. It prohibits States from transferring or removing individuals from their jurisdiction when there are substantial grounds for believing that the person would be at risk of irreparable harm upon return, including persecution, torture, ill- treatment or other serious human rights violations. Under refugee law, non-refoulement is a concept which prohibits States from returning a refugee or asylum seeker to territories where there is a risk that his or her life or freedom would be threatened on account of race, religion, nationality, membership of a particular social group, or political opinion. But under refugee law principle of non-refoulement is not an absolute principle. 'National security' and 'public order' have long been recognized as potential justifications for derogation. On the contrary, the principle of non-refoulement is also applied as a component part of the prohibition on torture or cruel, inhuman or degrading treatment or punishment under the international human rights law and it covers extradition, expulsion or refoulement. Under international human rights law, the principle of non-refoulement is an absolute one and applies to all migrants at all times, irrespective of migration status. A person who fears 'persecution' necessarily also fears at least inhuman or degrading treatment. If the exceptions to the principle of non-refoulement under refugee law apply to a refugee or asylum seeker, but his or her expulsion violates the principle of non-refoulement in the context of human rights law, what will be the legal outcomes? The aim of this paper is to analyze and compare approaches of refugee and human rights law in the context of the principle of non-refoulement and focus on problematic and ambiguous aspects of the issue.

**გვანცა ხაჩიძე**
**ნინი ტურიაშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ნანა აღლემაშვილი**
ასისტენტ-პროფესორი

## საერთაშორისო სამართლის პრინციპების გავლენა ეკოლოგიურ სამართალზე

გარემოს დაცვის საკითხმა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. პლანეტა დადგა ისეთი სამწუხარო და მასშტაბური პრობლემების წინაშე, როგორიცაა კლიმატური ცვლილება, გარემოს დაბინძურება, ცხოველთა პოპულაციების შემცირება, მწვანე საფარის განადგურება და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნული პრობლემის მაღალმნიშვნელოვნებამ გამოიწვია ეკოლოგიური სამართლის, როგორც ცალკე დარგის განვითარება და ზოგადად, საერთაშორისო სამართლის პრინციპებში ეკოლოგიური სამართლის მიზნების რეალიზება. უდავოა ეკოლოგიური სამართლისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების მჭიდრო ურთიერთკავშირი და გარემოსდაცვითი სფეროს უფრო და უფრო მყარი ინტეგრაციის ტენდენცია ზოგადად საერთაშორისო სამართალში. საკითხის კარგად შესწავლის შედეგად ჩნდება მოსაზრება, რომ საერთაშორისო გარემოსცადვითი სამართალი წარმოადგენს ერთგვარად საერთაშორისო ჰიბრიდული სამართლის სახეს, რომელიც საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების სხვაგვარად და უფრო ვიწროდ განხილვის შესაძლებლობას იძლევა. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის კუთხით, აუცილებელი შეფასების საგანს წარმოადგენს ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი პრიცნიპები, როგორებიცაა: სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპი, სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპი, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და ა.შ საერთაშორისო ეკლოგიური სამართალის განვითარებამ გარდამტეხი ცვლილებები მოახდინა საერთაშორისო სამართლის პრინციპების იმპერატიული შესრულების ვალდებულებების კუთხით და სახელმწიფოთა სუვერენიტეტი ირიბად გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცია.

**Gvantsa khachidze**
**Nini Turiashvili**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Nana Aghlemashvili**
Assistant Professor

## The impact of principles of international law on environmental law

The issue of the environment has become particularly important in recent decades. The planet has faced such unfortunate and large-scale problems as climate change,

environmental pollution, declining animal populations, the destruction of green space, and so on. The importance of all the abovementioned problems has led to the development of environmental law as a separate field and, in general, to the realization of the goals of environmental law in the principles of international law. There is no doubt that there is a close connection between the principles of environmental law and international law and the tendency of more and more solid integration of the environmental field into international law in general. After study of the issue, it is suggested that international environmental law is a kind of hybrid type of international law, which allows for a different and narrower discussion of the basic principles of international law. A particularly key issue is the clash of the essence of the principles of state sovereignty and states' cooperation. In terms of international environmental law, the subject of the necessary assessment is international legal principles such as: the principle of sovereignty of states, the principle of cooperation of states, human rights and freedoms, etc. The development of international environmental law has made revolutionary changes in terms of the obligations to fulfilment with the principles of international law and indirectly put the sovereignty of states within certain limits.

**ირაკლი ლეონიძე**
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
**გიორგი ჩიკვილაძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: თამარ ზოიძე**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,

## ჩუქების ხელშეკრულების საგანი, როგორც სამკვიდრო მასის შემადგენელი ქონებრივი სიკეთე - საკანონმდებლო რეგულირება და სამართალწარმოების გამოწვევები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად, მისივე თანხმობით. ამ ურთიერთობის ფარგლებში გამჩუქებელს ევალება, ყოველგვარი სასყიდლის გარეშე, საკუთრებაში გადასცეს დასაჩუქრებულს ქონება. დადებული გარიგებისათვის ქონების განკარგვა უნდა განხორციელდეს მხარეთა ნების თავისუფალი და ნამდვილი გამოვლენის საფუძველზე. შემდგომში ამ საკითხზე დავის წარმოშობისას, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება დამოკიდებულია დავის საფუძვლებზე, სუბიექტებსა და ფაქტობრივ გარემოებებზე. ხელშეკრულების საგნის სამკვიდრო მასის შემადგენელ ქონებაში მოაზრება მრავალ საკითხს უკავშირდება, სადაც არა მხოლოდ სახელშეკრულებო, არამედ საკუთრების უფლების გარკვევის საკითხიც წარმოადგენს სამართალწარმოებისა და დოგმატური კვლევის საგანს. ჩუქება რეალური

ხელშეკრულებაა, ვინაიდან მხარეთა მხოლოდ შეთანხმება არაა საკმარისი ჩუქებისთვის. შესაბამისად, სწორედ ხელშეკრულების მომენტიდან უნდა ჩაითვალოს ჩუქება დადებულად. ამასთან, კანონმდებელი ჩუქების ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისათვის საკმარისად არ თვლის მხოლოდ მხარეთა შეთანხმებას და აუცილებლად მიიჩნევს საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. მსგავსი ფორმით სამოქალაქო ბრუნვაში აღმოჩენილი ხელშეკრულების საგანი, შემდგომში როგორც სამკვიდრო მასის შემადგენელი ქონება, საფრთხეს უქმნის დასაჩუქრებული პირის საკუთრების უფლების განხორციელებას - ხელშეკრულების საგნის ანუ საკუთრების ობიექტის ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას.


**Irakli Leonidze**
Sulkhan-Saba Orbeliani University
**Giorgi Chikviladze**
Tbilisi State University
Postgraduate Studies
**Supervisor: Tamar Zoidze**
Doctor of Law,
Associate Professor


## Thesis: The legal issues and challenges of gift to counting the subject of contract towards an heir's share

Due to the Civil Code of Georgia under a contract of gift the donor gratuitously transfers to the donee ownership of property with the consent of the donee. The object of the gift contract is transfer of property between two parties. It is important to look at the legal regulation and main terms of gift contract to make sure that it is valid. Contract litigation is what many law firms are specialized and trying to introduce people their extensive knowledge of legal contracts. There are several type of gift in property law. Both types of gifts share three parts which must be met in order for the gift to be valid and effective, but other legislative model defines new demands of gift members. When partitioning the estate, the value of any advancement received by an heir from the decedent during the preceding five years up to the moment of opening the estate shall be counted towards the heir's share. Obvious that the right to own and inherit property shall be recognised and guaranteed, but the subject of the contract must be able to recognize similar to regulation right to property. The subject of the gift contract is the voluntary transfer of any property from one person to another one without consideration and which is not prohibited by law. We often make comparisons between legal issues, or between past and the present regulation. For example it is better to say how two things (legal issues) are similar and how they are different now. Several years ago it was a duty counting advancements towards an heir's share, but now everything changed.

**ელენე კავთუაშვილი**
საქართველოს უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: გიორგი თუმანიშვილი**
სამართლის დოქტორი, პროფესორი

## ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში

დღესდღეობით მნიშვნელოვნად არის ყურადღება გაზრდილი ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური რგოლის - არასრულწლოვნების მიმართ. დიდია ინტერესი მათი განვითარების თავისებურებების, ქცევითი მახასიათებლების და დაკითხვა/გამოკითხვის ტექნიკებთან დაკავშირებით. მთელ მსოფლიოში ჩამოყალიბებულია განსაკუთრებული მიდგომა არასრულწლოვან დამნაშავეებთან მიმართებით, რომლის თანახმადაც არასრულწლოვანი უფრო მსხვერპლად უნდა მოიაზრებოდეს, ვიდრე დამნაშავედ. საერთაშორისო დოკუმენტებშიც ძირითადი აქცენტი სწორედ განსაკუთრებული პროცედურების შემუშავების აუცილებლობაზე კეთდება. ისინი აწესებენ ზოგად სტანდარტებს და პრიციპებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთან მიდგომის თვალსაზრისით. სწორედ ამ პრინციპებთან შესაბამისი უნდა იყოს ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობაც. საკონფერენციო თემაში „ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში" - განხილულია არასრულწლოვნის უფლება, იყოს მოსმენილი და გათვალისწინებულ იქნეს მისი მოსაზრებები მისივე აღქმისა და სიმწიფის შესაბამისად, ასევე, აღნიშნული უფლების არსი, მნიშვნელობა და პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებისთვის. გამოყენებული გვაქვს როგორც ფორმალურ-ლოგიკური, ასევე შედარებითი მეთოდები, ხოლო კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია საერთაშორისო ხასიათის კონვენციები.

**Elene Kavtuashvili**
University of Georgia
Doctoral Studies
**Supervisor: Giorgi Tumanishvili**
Doctor of Law, Professor

## The right of a child to be heard in the juvenile justice process

Proper and effective administration of justice remains the main task of the state at any stage of its development. Today, there is a significant increase in attention to one of the most sensitive parts of our society - minors. There is great interest in their developmental characteristics, behavioral characteristics, and interrogation techniques. There is a special approach to juvenile delinquency around the world, according to which a juvenile should

be considered a victim rather than a perpetrator. The main emphasis in international documents is on the need to develop special procedures. On January 1, 2016, the Juvenile Justice Code came into force, which fully complies with international standards at the level of principles. In the conference topic "The right of a child to be heard in the juvenile justice process" - discusses the right of a juvenile to be heard and take into account his / her views at the maturity of his / her perception, the essence, importance and priority of the juvenile justice process in accordance with international standards. Uses formal-logical and comparative methods, and the methodological basis of the research is international conventions.

**ხატია ლეონიძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ლევან ჯაყელი**
სამართლის დოქტორთან გათანაბრებული,
ასოცირებული პროფესორი

## საქართველოს პირველი კონსტიტუციით გარანტირებული ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები, 100 წლის შემდეგ - რეალობა და პრაქტიკული გამოწვევების ანარეკლი

2021 წელი პირველი რესპუბლიკის საიუბილეო წელია. პირველი კონსტიტუციის მიღებიდან 100 წლის შემდეგ საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის მნიშვნელოვან საფუძვლებს ადგენდა. კონსტიტუციური ნორმები არეგულირებდა სახელმწიფოს სუვერენიტეტს, ხელისუფლების მმართველობის ფორმას, რესპუბლიკის ცენტრალიზებული მმართველობის ტერიტორიულ ფარგლებს, ავტონომიური მმართველობის ფორმებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. საგულისხმოა, რომ 2021 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია. სახელმწიფო ტერიტორიის 20%-ის ოკუპირების პირობებში ცენტრალური ხელისუფლების მოქმედება დღის წესრიგში აყენებს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის საფუძვლების მნიშნელობის კვლევის საკითხს. ქვეყნის ეფექტური მართვისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორია იმართებოდეს კონსტიტუციური წესრიგის გათვალისწინებით და არა სეპარატისტული და საოკუპაციო რეჟიმების თანამოქმედებით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განადგურებით აღმოიფხვრა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მოქალაქეობა და

სახელმწიფოებრიობა. ძნელბედობის ჟამი 100 წლის შემდეგ ისევ მწვავე და კრიტიკულია. სახელმწიფო მრავალ გამოწვევათა შორის მძაფრად განიცდის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, რაც საკანონმდებლო საფუძვლების პოლიტიკური, ისტორიული და საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძვლიანობის ძიების აუცილებლობას დღის წესრიგში აყენებს.

**Khatia Leonidze**
Batumi Shota Rustaveli
State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Levani Jakeli**
Equal to Doctor of Law,
Associate Professor

## Fundamental of territorial arrangement guaranteed by first constitution of Georgia, 100 Years later – Reality and reflection of practical challenges

2021 is the jubilee year of the First Republic. 100 years after the adoption of the first constitution, Georgia is an independent and sovereign state. The Constitution of February 21, 1921 laid down the important foundations of the territorial arrangement of the state, the constitutional norms regulated: sovereignty of the state, the form of government, the territorial limits of the central government of the republic, the forms of autonomous government and other important issues. It is noteworthy that in 2021 the territorial integrity of Georgia is violated. In the conditions of occupation of 20% of the state territory, the action of the central government puts on the agenda the issue of studying the merits of the grounds for the territorial arrangement of the state. For the issue of effective governance of the state, it is important that the sovereign territory of the state be governed in accordance with the constitutional order and not by the cooperation of separatist and occupation regimes. With the destruction of the Democratic Republic of Georgia, the territory, citizenship and statehood of the Republic were eliminated. The time of hardship is still acute and critical 100 years later. Among the many challenges, the state is critically experiencing breaches of territorial integrity, which necessitates the search for political, historical and international legal basis for the legislative basis.

**ანა კუჭუხიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: ანა ფირცხალაშვილი**
სამართლის დოქტორი, პროფესორი

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომები კონსტიტუციური ნორმის იდენტური ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა, რომლის ერთერთ კომპეტენციას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა წარმოადგენს. ნორმატიული აქტების ზოგადი ჯგუფიდან შესაძლებელია ცალკე გამოიყოს ის ნორმები, რომლებიც კონსტიტუციის იდენტურ დანაწესებს შეიცავენ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მოიპოვება საქმეები, რომლებშიც საკონსტიტუციო სასამართლო დადგა იმ რეალობის წინაშე, როდესაც მას უნდა განეხილა იმ ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც ტექსტუალურად ან/ და შინაარსობრივად ზუსტად იმეორებდა კონსტიტუციის ნორმას. მოცემული ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს სწორედ ამ საქმეების ანალიზი და კონსტიტუციური ნორმის იდენტური ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმების ჭრილში საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომებისა და ამ მიდგომებში არსებული ხარვეზების წარმოჩენა. ამ მიზნით ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1/431 განჩინება, 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 და 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილებები.

**Ana kuchukhidze**
Grigol Robakhidze University
Doctoral Studies
**Supervisor: Ana Phirtskhalashvili**
Doctor of Law, Professor

## The approaches of the constitutional court of Georgia in the context of checking constitutionality of the norms identical to the constitutional norm

The Constitutional Court of Georgia is a constitutional control body, one of the basic competencies of which is the consideration of the constitutionality of a normative act in relation to the basic human rights recognized by Chapter 2 of the Constitution. Norms containing identical provisions of the Constitution can be separated from the general group of normative acts. In the practice of the Constitutional Court of Georgia, there were cases

when the Constitutional Court faced the necessity to consider the constitutionality of a norm that textually and/or content wise was identical to the norm of the Constitution. The purpose of the present Work is to analyze these cases and to reveal the approaches of the Constitutional Court as well as the shortcomings in such approaches in the context of checking the constitutionality of the norms identical to the constitutional norm. For this purpose, the Work has analyzed the Ruling #2/1/431 of the Constitutional Court of Georgia dated March 31, 2008, as well as the Judgments #3/2/646 of September 15, 2015 and #2/2/1276 of December 25, 2020.

**ლევან ბესელია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: მარინე კვაჭაძე**
სამართლის დოქტორი, პროფესორი

## საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით პანდემიის პირობებში

კაცობრიობის ისტორია ცხადყოფს, რომ ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სამართალი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოებაში საზოგადოებრივი წესრიგისა და თავისუფლების ჰარმონიული თანაარსებობის უზრუნველყოფა. ამ სოციალურ მიზანს ყველაზე მეტად ემსახურება სამართლის ის ნაწილი, რომელსაც კონსტიტუციურ სამართალს, ან სახელმწიფო სამართალს უწოდებენ. საქართველო, როგორც სამართლებრივი სახელმწიფო, ადამიანის უფლებებითაა შეზღუდული, ისევე, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საგანგებო მდგომარეობა ის ვითარებაა, როცა ყველაზე მეტი გამოწვევა სწორედ ადამიანის უფლებებს უკავშირდება, ამიტომ თუ როგორი იქნება საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების სამართლებრივი ასპექტები და საგანგებო მდგომარეობის მოქმედების სამართლებრივი საფუძვლები, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ როგორ მოხერხდება ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. აშკარაა, დღევანდელმა პანდემიამ ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავე და აქტუალური გახადა.

**Levan Beselia**
Caucasus International University
Doctoral Studies
**Supervisor: Marine Kvachadze**
Doctor of Law,
Professor

**Legal bases for declaring a state of emergency according to the legislation of Georgia in the conditions of a pandemic**

The history of mankind reveals that one of the main driving forces of the development of civilization is law, the main purpose of which is to ensure the harmonious coexistence of public order and freedom in society. This social purpose is best served by the part of law which is called constitutional law, or state law. Georgia as a legal state is limited by human rights as a directly applicable law. A state of emergency is a situation where most of the challenges are related to human rights, so what will be the constitutional basis for restricting basic human rights during a state of emergency, the legal aspects of declaring a state of emergency, and the legal basis for a state of emergency? Today's pandemic has made this issue even more acute and pressing.

**ლიკა ფირცხალაიშვილი**
**ნინო მესხი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ნინო ქაშაკაშვილი**
ასისტენტ-პროფესორი

## სამართალი და ხელისუფლება

საქართველოში, ისევე, როგორც სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში, სახელმწიფო ხელისუფლება აღსრულდება მისი დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. შესაბამისად, იგი დაყოფილია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად. ამ უკანასკნელს კი, თავისი გამორჩეული ფუნქციებისა და მაღალი დანიშნულების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ადგილი უკავია სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში. საინტერესოა სასამართლოს მიერ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის როლისა და მნიშვნელობის განხილვა, რადგან იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს ხელისუფლების დანაწილების შტოების კონტროლისა და ბალანსის პროცესში. აუცილებლადაა აღიარებული სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა, რადგან თავიდან ავიცილოთ უსამართლობა, ძალაუფლების უზურპაცია ან თუნდაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან. იქიდან გამომდინარე, რომ

ხელისუფლების შტოების ქმედებების კანონიერება დემოკრატიული სახელმწიფოს გარანტიაა, ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ ის ძირითადი პრინციპები და საზღვრები, რომლებზეც მთელი მექანიზმია აგებული. აღნიშნული საკითხი ნაშრომში ფართოდ იქნება განხილული. კვლევისას გამოყენებულია ანალიტიკური და ისტორიული მეთოდები. ჩვენი ლაიტმოტივია სამართლის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის როლის განსაზღვრა და მისი დადებითი თუ უარყოფითი შედეგების ანალიზი.

**Lika Phirtskhalaishvili**
**Nino Meskhi**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Nino Kashakashvili**
Assistant Professor

## Law and Government

In Georgia, as is the case in most other democratic countries, the State's authority is exercised according to the principle of separation of powers. Consequently, the State is separated into three pillars: legislature, executive, and judiciary. It is important to discuss a process under which executive or legislative actions are subject to review by the judiciary as it is one of the mechanisms for checks and balances in the separation of powers. The necessity of limitation of the power of the state to avoid injustice, usurpation of power, or even commencement of illegal actions by the state is undisputed. Due to the fact that the legitimacy of the actions of the state authorities is a guarantee for democracy, we must be well aware of the basic principles and boundaries on which the whole mechanism is based. The latter will be widely discussed in the present article. The article is mainly based on analytical and historical methods of interpretation. The main goal of the Article to define the role of Judicial Review and to analyze its positive or negative effects.

**მარინე მგელაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: როინ მიგრიაული**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## პარტნიორთა და დირექტორთა უფლება-პასუხისმგებლობა კაპიტალური ტიპის საწარმოში

ჩვენი ნაშრომი ეხება საქართველოში სამეწარმეო სუბიექტის მართვისა და ფუნქციონირებისათვის ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლების ფუნქციებს და კომპეტენციებს, მათი სწორად განაწილების მნიშვნელობასა და აუცილებლობას კარგი კორპორაციული მართვის ჩამოსაყალიბებლად, რადგანაც კორპორაციული მართვის მიზანი საწარმოს ეფექტური მართვაა, ხოლო ამ უკანასკნელის მოწესრიგება უზრუნველყოფს სამეწარმეო სუბიექტების წარმატებას. კორპორაციული მართვა გამოიყენება კორპორაციების ხელმძღვანელობის და მართვის აღსანიშნავად. თანამედროვე საკორპორაციო სამართალში ამ ცნების გავრცელება ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებს სათავეს. კორპორაციული მართვა რთული და მრავლისმომცველი სისტემაა, რომლიც თავის თავში აერთიანებს სამართლებრივ და ფინანსურ ელემენტებს ისეთი დარგებიდან, როგორიცაა სამეწარმეო და კორპორაციული სამართალი, საბუღალტრო საქმე, აუდიტი, გაკოტრება, შრომის სამართალი და ა. შ. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კორპორაციული მართვის პრინციპებში კორპორაციული მართვა განმარტებულია, როგორც სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კორპორაციების ხელმძღვანელობასა და კონტროლს. კორპორაციული მართვის სტრუქტურა ანაწილებს უფლებებს და მოვალეობებს კომპანიის სხვადასხვა შემადგენელ ელემენტებს შორის, როგორიცაა სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, აქციონერები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ის ადგენს წესებს და პროცედურებს კომპანიის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. ამის შედეგად, ის ასევე ქმნის მექანიზმებს, რომლითაც განისაზღვრება კომპანიის მიზნები, მათი მიღწევისა და საქმიანობაზე ზედამხედველობის საშუალებები. ნაშრომში წარმოდგენილია საწარმოების პარტნიორთა პასუხისმგებლობის საკითხი; წილების განაწილება; შენატანი საწარმოს კაპიტალში: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (და სხვა კაპიტალური ტიპის საზოგადოებების) პარტნიორების მხრიდან პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების საკითხი; შენატანის განხორციელების წესი და პირობები საწარმოში; პარტნიორის გარიცხვა საწარმოდან შენატანის შეუტანლობის გამო; პარტნიორის კოტროლისა და შემოწმების უფლებები. ამასთანავე, კორპორაციული მართვა, საწარმოს მმართველთა (ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა) კეთილსინდისიერების გამოჩენის გარეშე წარმოუდგენელია, გულმოდგინეობისა და სანდოობის მოვალეობების ერთიანობით იქმნება კორპორაციული მართვის მაღალეთიკური სტანდარტები. იმ ცნების ქვეშ, რასაც „კეთილსინდისიერება“ ჰქვია, მოიაზრება როგორც

კანონისმიერი, ასევე, არაკანონისმიერი მოვალეობები. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ მოვალეობას ხშირად „ფიდუციური“ (Fiduciary) მოვალეობების სახელით მოიხსენიებენ.

**Marina Mgeladze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Roin Migriauli**
Doctor of Law, Associate Professor

## Rights of partners and directors – responsibilities in a capital type enterprise

Rights of partners and directors - responsibilities in a capital type enterprise. The present work deals with the functions and competencies of managers and representatives for the management and operation of an entrepreneurial entity in Georgia, the importance and necessity of their proper distribution to establish good corporate governance, as the goal of corporate governance is to ensure effective management of the enterprise. Corporate governance is used to denote the leadership and management of corporations. The spread of this concept in modern corporate law has its origins in the United States. Corporate governance is a complex and comprehensive system that combines legal and financial elements from areas such as entrepreneurship and corporate law, accounting, auditing, bankruptcy, labor law, and more. The Organization for Economic Co-operation and Development (OECD) corporate governance principles define corporate governance as a system that provides corporate governance and control. The corporate governance structure divides rights and responsibilities between the various components of the company, such as the supervisory board, the board of directors, shareholders, and other stakeholders. It sets out the rules and procedures for making decisions that govern the company. As a result, it also creates mechanisms that define the company's goals, their achievement, and the means of overseeing its operations. The role of the managers / supervisors / representatives of the entrepreneurial entity largely determines the success of business in the country, and the creation of a successful business is the economic benefits of the country. It should be noted that, first, the results are achieved within the enterprise, and then ensure proper legal or economic communication with the state and third parties outside the enterprise. The paper presents the issue of liability of enterprise partners; Distribution of shares; Contribution to the capital of the enterprise: the issue of abuse of liability by the partners of a limited liability company (and other capital type companies); Terms and conditions of payment in the enterprise; Expulsion of the partner due to non-payment of the deposit; Partner control and inspection rights. At the same time, corporate governance is unthinkable without the good faith of the managers (supervisors and representatives) of the enterprise, and the unity of diligence and trustworthiness creates high ethical standards of corporate governance. Under the concept of "conscientiousness" are considered both legal and illegal duties. In the legal literature, this duty is often referred to as "fiduciary" duties.

**მერი კანთელაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: პაატა ტურავა**
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

**ადმინისტრაციული და დისციპლინური პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართება**

საკონსტიტუციო სასამართლომ, 2014 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით, საქმეზე 2/5/556, დააკმაყოფილა მოქალაქე ია უჯმაჯურიძის სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და არაკონსტიტუციურად ცნო „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის სიტყვების: „რომელიც გათავისუფლდა საჯარო სამსახურიდან... დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო" ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კრძალავს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებული პირების ნოტარიუსად დანიშვნას. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორების უფლებას, ვინაიდან ნორმა საჯარო სამსახურიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო დათხოვნილ პირს სამუდამოდ უკრძალავდა ნოტარიუსის თანამდებობაზე მუშაობას. თუმცა, აღნიშნულ კანონის მე-14 მუხლი უშვებს ნოტარიუსად დანიშვნის აკრძალვას იმ პირის მიმართ, რომელიც ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის გამო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ქართველი მოსამართლეების საქმეზე დაადგინა დარღვევა კონვენციის მე-6 §1 მუხლის სამოქალაქო ნაწილთან მიმართებით. ევროპულმა სასამართლომ ყოფილი საოლქო სასამართლოების მოსამართლების საქმეზე ,,ალასანია და ბარდაველიძე საქართველოს წინააღმდეგ'' 2018 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს მთავრობას მორალური, მატერიალური და სხვა ხარჯების ანაზღაურების მიზნით დააკისრა თითოეულისათვის 4000 ევროს გადახდა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 451, 116-ე 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის კანონმდებლობა საჯარო მოხელეთა გარკვეული პირთა წრის მიმართ ითვალისწინებს ორმაგ დასჯას. სამხედრო მოსამსახურეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეს, სახელმწიფო უსაფრთხოების მუშაკს, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან ერთად ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა საერთო წესდებათა მიხედვით. რაც ეწინააღმდეგება no bis idem - ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპს. აღნიშნული მუხლებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირების მიმართ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია მოქმედებდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ისეთი მკაცრი დისციპლინური სახდელი, როგორცაა სამსახურიდან გათავისუფლება.

**Meri Kantelashvili**
Caucasus International University
Doctoral Studies
**Supervisor: Paata Turava**
Doctor of Law,
Professor

## Relationship between administrative and disciplinary responsibilities

The Constitutional Court in its decision of 15 November 2014 in the case 2/5/556 Satisfied Citizen Ia Ujmajuridze's Lawsuit Against the Parliament of Georgia and Declared It Not Constitutional the normative content of the words "who was dismissed from public service ... for committing a disciplinary misconduct" of Article 14, Paragraph 1, Subparagraph "d" of the Law of Georgia; Which prohibits the notarial appointment of persons dismissed from public service for committing a disciplinary misconduct in accordance with Article 14 of the Constitution of Georgia. the Constitutional Court clarified that the impugned norm was contrary to the right to equality guaranteed by Article 14 of the Constitution of Georgia; Whereas the norm permanently prohibited a person dismissed from public service for committing a disciplinary offense from the right to work as a notary. However, Article 14 of this law prohibits the appointment of a notary public in respect of a person who was dismissed from the position of notary due to disciplinary misconduct. Human Rights The European Court has found a violation of Article 6 § 1 of the Convention in the case of Georgian judges in relation to the civil part. The Government acknowledged this violation in the part that subsequently became the basis for the amendment to the Law of Georgia on Common Courts on 1 August 2014 by the Parliament. The provision of Article 34. 2 of the said law, which provided for a ban on the dismissal of a judge as a result of disciplinary proceedings, was repealed. The European Court in the case of former district court judges "Alasania and Bardavelidze v. Georgia" on October 9, 2018 ordered the Georgian government to pay 4,000 euros each for moral, material and other costs. 10. Provided by Articles 45, 451, 116, 166 and 173 of the Code of Administrative Offenses The law provides for double punishment for certain persons of public officials for committing offenses. To a military serviceman, employee of the Ministry of Internal Affairs, employee of the State Security Service, together with administrative responsibility liability according to general statutes. Which contradicts the principle of no bis idem - prohibition of double punishment. These articles may in some cases impose such a severe disciplinary sanction on persons who have committed an administrative offense, such as dismissal.

**მერი კეთილაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: როინ მიგრიაული**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## გაკოტრების მმართველთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სიახლეები ვალაუვალობის თანამედროვე ქართულ სამართალში

ჩემი ნაშრომის მიზანია, დაინტერესებულ საზოგადოებას გავუზიარო ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია გაკოტრების მმართველთან. აღნიშნული თემა აქტუალურია იმის გამო, რომ ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი მთელი რიგი სიახლეები, რომლებიც გაკოტრების მმართველს ეხება. ახალი კანონი წინა კანონთან შედარებით, გაკოტრების მმართველის სამართლებრივი მდგომარეობის განსხვავებულ და უფრო ფართო უფლება-მოვალეობებს გვთავაზობს. გაკოტრების მმართველის ინსტიტუტი გადახდისუუნარობის სამართლისათვის სიახლეს არ წარმოადგენს. გაკოტრების შესახებ კანონი მას ჯერ კიდევ 1996 წლის პირველი რედაქციიდან იცნობს. გაკოტრების მმართველის სტატუსი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა გაკოტრების პროცესისათვის, რადგანაც გაკოტრების პროცესის წარმმართველი სწორედ ის არის. ამიტომ, ახალმა კანონმა გაკოტრების პროცესის ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურისათვის უფლებები არ დაიშურა, რაც ნათლად ჩანს ხსენებულ კანონში და რომელიც განხილული იქნება ჩვენს ნაშრომში.

**Meri Ketiladze**
Caucasus International University
Doctoral Studies
**Supervisor: Roin Migriauli**
Doctor of Law,
Associate Professor

## Important news related to the bankruptcy manager in modern Georgian law of insolvency

The article is presented in order the important issues related to a bankruptcy manager to be studied and shared with the public. My interest in this topic has been caused by the fact, that the general society is not aware of a number of news, related to the bankruptcy manager. Comparing to the law, the new law suggests different and broader rights and duties for the legal status of the bankruptcy manager. The institution of Bankruptcy Manager is not new to the law of insolvency. The law on Insolvency has been aware of it since the first edition of 1996. The status of a bankruptcy manager is of particular

importance for the bankruptcy process. Due to the fact that the manager is the leader of the bankruptcy process, such an important figure in the bankruptcy process has been entitled with the rights by the draft law, which is obvious in the draft law and which will be discussed in the article.

**მაკა პაპაშვილი**
**ნატა სუხაშვილი**
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ზურაბ მაქარაძე**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც პოზიტიური კანონმდებელი და არსებული გამოწვევები შიდასახელმწიფოებრივი პრაქტიკის ანალიზზე

ჩვენს საკონფერენციო ნაშრომში განხილული იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოშობა, მისი განვითარების ეტაპები და საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დამახასიათებელი ნიშნები და მისი პრაქტიკაში რეალიზების გამოწვევები. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა განხილვა, რომელიც ცხადყოფს, რაოდენ არსებითია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოზიტიური კანონმდებლის როლის განხორციელება, რომელიც, თავის მხრივ, გამოხატულებას ჰპოვებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა სამართლებრივ ეფექტზე. ნაშრომში, ყურადღება გამახვილებული იქნება მონტესკიესეული „ხელისუფლების დანაწილების“ პრინციპსა და საკონსტიტუციო სასამართლოს საკანონმდებლო ფუნქციის ურთიერთმიმართებაზე. გარდა ამისა, განხილული იქნება ზემოაღნიშნული დებულების თავსებადობა ნორმატიული აქტების იერარქიის სათავეში მყოფ უზენაეს აქტთან - საქართველოს კონსტიტუციასთან. დასკვნის სახით გამოვყოფთ ძირითად დებულებებს, რომელთა გავლენითაც აღესრულება საკონსტიტუციო კონტროლი. ნაშრომის მიზანია, საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც პოზიტიური კანონმდებლის პრობლემატიკის წარმოდგენა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივ ეფექტზე.

**Maka Papashvili**
**Nata Sukhashvili**
Georgian National University
Undergraduate Studies
**Supervisor: Zurab Matcharadze**
Doctor of Law,
Associate Professor

## The Constitutional court of Georgia as a positive legislator and the existing challenges to the analysis of domestic state practice

1) The first chapter of the conference topic will discuss the origin of the Constitutional Court, the stages of its development and the function of constitutional control. 2) Characteristic features of the enforcement of the decision of the Constitutional Court and the challenges of its implementation in practice; 3) Review of the decisions of the Constitutional Court, which shows how important it is for the Constitutional Court to exercise the role of a positive legislator, which in turn reflects the legal effect of the decisions of the Constitutional Court. 4) The paper will focus on the Montesquieu principle of "separation of powers" and the relationship between the legislative function of the Constitutional Court. In addition, the compatibility of the above provision with the supreme act at the head of the hierarchy of normative acts - the Constitution of Georgia will be discussed. 5) A conclusion in which, in practice, the main provisions will be sharply separated, under the influence of which the constitutional control is exercised and enforced. The aim of the paper is to present the problems of the Constitutional Court as a positive legislator, which substantially influences the legal effect of its decisions.

**რევაზ ბერულავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ბექა ქანთარია**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ადამიანის უფლებები ოკუპირებულ აფხაზეთში

ნაშრომის მიზანია, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღწერა და გამოვლენა. ყურადღება გამახვილებულია ისეთი მნიშვნელოვანი უფლებების დარღვევებზე, როგორებიცაა: მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება, თავისუფალი გადაადგილების უფლება, უძრავი ქონების უკანონოდ ყიდვა-გაყიდვის პროცესის წარმოება, ბავშვთა უფლებები და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები

ქართველების დისკრიმინაცია. ნაშრომში განხილულია გალში მცხოვრები სტუდენტების ინტერვიუები. ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლების, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის, ანალიტიკოსებისა და ექსპერტების შეფასებები, როგორც წარსულში მომხდარ ასევე მიმდინარე მოვლენებზე. დეტალურადაა გაანალიზებული შედეგები, რომელიც მოაქვს კონფლიქტით დაზარალებული ადამიანებისათვის საოკუპაციო მავთუხლართებსა და ხელოვნურ ბარიერებს, უკანონობას, მუდმივ შიშსა და გაურკვევლობაში ცხოვრებას. დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისათვის მეტად ჰუმანური გარემოს შექმნის რეალური შანსები. აღნიშნულია ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევების პრევენციისათვის. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელობა, ასევე გალის შეხვედრების აღდგენა ინციდენტების პრევენციისა და ადამიანის უფლებების რეალური დაცვის მიზნით. დღესდღეობით, მიუხედავად საერთაშორისო დონეზე მუდმივი მოწოდებებისა, სამწუხაროდ, პროგრესი ვერ იქნა მიღწეული. სწორედ ამიტომ, ნაშრომში წარმოდგენილია გეგმა, რომელიც შეუმცირებს იქ მცხოვრებ ადამიანებს ოკუპანტის მხრიდან არსებულ წნეხს. ასევე, ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: COVID-19 პანდემით გამოწვეული კარანტინის წესების დამატებითი შეზღუდვის უარყოფითი მხარეები გალის მოსახლეობისათვის და დისტანციურ განათლებაში სტუდენტთა ჩართვის პრობლემები.


**Revaz Berulava**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Beka Kantaria**
Doctor of Law,
Associate Professor


## Human rights in occupied Abkhazia


The purpose of the paper is to describe and reveal the facts of human rights violations in the occupied territory of Georgia, particularly in Abkhazia. The focus is on the violations of such important rights as the right to education in the mother tongue, the right to free movement, the production of the process of buying and selling real estate illegally, children's rights, and discrimination against the Georgians living in the occupied territories. The paper discusses the interviews of students living in Gali - on human rights violations, the assessments of government officials, representatives of the Public Defender's Office, analysts and experts on both the past and current events. The results, which the occupation barriers and artificial barriers bring, are analyzed in detail: lawlessness, constant fear and

uncertainty to people affected by the conflict. In conclusion, the real chances of creating a more civil environment for Georgians living on the territory of Abkhazia have been established. The format of the Geneva talks and the role of international organizations in preventing serious human rights violations are mentioned. The importance of the effective use of the Geneva International Talks, as well as the resumption of Gali meetings to prevent incidents and provide real protection of human rights. To date, the persistent international calls, unfortunately, have failed to ensure access to human rights monitoring mechanisms, including the Council of Europe access to Abkhazia and the Tskhinvali region. That is why the paper presents a plan that will reduce the pressure on the people living there, from the occupier. It also focuses on issues such as the disadvantages of the additional restriction of quarantine rules caused by the COVID-19 pandemic to the Gali population and the problems of student involvement in online education.

**სალომე გულიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: სერგო ქელიძე**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით

ჩვენს ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული სისხლის სამართლის მტკიცებულებების დასაშვებობის საკითზე, რაც ფუნდამენტია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ამ მიზნით, გაანალიზებული იქნება მტკიცებულებათა სახეები, მათი არსი და გამოყენების საკითხი თეორიული და პრაქტიკული კუთხით, რის შემდეგადაც მსჯელობა დაეთმობა, თუ რა დროს, რა საფუძვლით ხდება მტკიცებულებების დაუშვებლად გამოცხადება სასამართლოს მიერ. ამ მიზნით, არა მხოლოდ თეორიული, არამედ, უმთავრესად პრაქტიკული საკითხები იქნება შესწავლილი, რაც გვაჩვენებს გარკვეულად დასახვეწ საკითხებს კანონმდებლობის სამომავლო ჰარმონიზაციის მიზნით. ასევე, ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო სტანდარტებს მტკიცებულებების დაუშვებლობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, როგორც სამართლიანი სასამართლოს განხორციელების დაცვის გარანტს.

**Salome Guliashvili**
Caucasus International University
Doctoral Studies
**Supervisor: Sergo Chelidze**
Doctor of Law,
Associate Professor

## The problem of admissibility of evidence according to criminal proceedings

The "problem of admissibility of evidence according to criminal proceedings" will focus on the issue of admissibility of criminal evidence, which is the basis for a final decision on the case. To this end, the types of evidence, their essence and the issue of application will be analyzed from a theoretical and practical point of view, after which the discussion will focus on when and on what grounds the evidence is declared inadmissible by a court. To this end, not only theoretical but also mostly practical issues will be studied, which shows some issues to be refined in order to harmonize the legislation in the future. Attention will also be paid to international standards on the inadmissibility of evidence, in particular to guaranteeing the protection of the European Court of Human Rights as a fair court.

**ხატია ხაბაშვილი**
**თეიმურაზ კოპაძე**
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: მალხაზ ლომსაძე**
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

## ფარული მიყურადება საქართველოში - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2015-2020 წლების რეესტრის მონაცემებით ირკვევა, რომ სასამართლოებში შესული შუამდგომლობების რაოდენობა ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებაზე ყოველწლიურად იზრდება. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მასთან დაკავშირებით საზოგადოების აზრი პოლარიზებულია. ერთის მხრივ, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს კანონის შესაბამისად, მოსამართლის თანხმობით და ამიტომ მუდმივად ხდება მისი სტატისტიკური აღრიცხვა. ხოლო, მეორეს მხრივ, ეს სტატისტიკა იმას ცხადყოფს, რომ შესაძლებელია საფრთხე შეექმნას კონსტიტუციით დაცულ და გარანტირებულ ისეთ უმნიშვნელოვანეს და ფუნდამენტურ უფლებას, როგორიც არის ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია,

განიხილოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების, კერძოდ კი მიყურადების ეთიკურ-სამართლებრივი პრობლემები. ასევე, კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე გამოვლინდეს პრაქტიკაში არსებული ის ხარვეზები, რომელიც დღევანდელ რეალობაში, ბევრი საკანონმდებლო სიახლისა და წინგადადგმული ნაბიჯის მიუხედავად, მაინც დიდ გამოწვევას წარმოადგენს.

**Khatia Khabashvili**
**Teimuraz Kopadze**
Gori State Teaching University
Undergraduate Studies
**Supervisor: Malkaz Lomsadze**
Doctor of Law,
Professor

## Covert surveillance in Georgia – Analysis of legislation and practice

According to the 2015-2020 Register of Covert Investigations, the number of motions submitted to the courts for covert investigative activities is increasing every year. The issue is relevant to the extent that public opinion on the issue is polarized. On the one hand, this indicates that covert investigative actions are carried out in accordance with the law, with the consent of the judge, and therefore its statistical accounting is constantly taking place. And, on the other hand, these statistics show that it is possible to endanger such an important and fundamental right, which is protected and guaranteed by the Constitution, as the inviolability of a person's private life. In view of the above, the aim of the paper is to discuss the ethical-legal problems of covert investigative actions, in particular surveillance. Also, based on the study and analysis of the data obtained within the framework of the research, to identify the shortcomings in practice, which in today's reality, despite many legislative innovations and steps forward, are still a great challenge.

**გვანცა დოლბაია**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ლადისლავ ვიჰნანეკ**
სამართლის დოქტორი, პროფესორი

## ერთსქესიანთა პარტნიორების პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი პირადი ცხოვრების დაცულობის გარანტიას ქმნის. პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება ის თავისუფლებაა, რომელიც გააჩნია ყველას, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, რასისა, ეროვნებისა თუ პროფესიისა. ის მიჩნეულია პირის იდენტობის განსაზღვრის, ავტონომიურობის შეგრძნების, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებისა და თვითრეფლექსიის მთავარ საშუალებად. ნათელია, რომ აღნიშნული უფლება ფართო კონცეფციას ქმნის და "მოიცავს პიროვნების ფიზიკური და სოციალური განვითარების ასპექტებს". პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება მჭიდრო კავშირშია კონვენციის მე-14 მუხლთან, რომელიც დისკრიმინაციის აკრძალვას ეხება. აღნიშნული მუხლის მიხედვით, ევროპული კონვენციის მიერ გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები უნდა იყოს დაცული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. თუმცა, კონვენციის ინტერპრეტაცია ხელშემკვრელი მხარეების მიერ არათანაბრად ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება უმცირესობებს, განსაკუთრებით კი სექსუალურ უმცირესობებს. დღეს მთელს მსოფლიოში, მათ შორის ევროკავშირშიც, რამდენიმე სახის სამართლებრივი აღიარება არსებობს ერთსქესიანი წყვილებისთვის, როგორიცაა ქორწინება, რეგისტრირებული კავშირი და კოჰაბიტაცია. ამასთან, არაერთი სახელმწიფო არსებობს, რომლებსაც ამგვარი სამართლებრივი აღიარების არცერთი სახე არ გააჩნიათ. წლების მანძილზე სექსუალურ უმცირესობებს დისკრიმინაციულად ეპყრობოდნენ სახელმწიფო უწყებები. დღემდე არსებული მაგალითებით იქმნება ისეთი მძიმე სურათი, როგორიცაა 72 იურისდიქცია, რომლებსაც კრიმინალიზებული აქვთ ერთსქესიანთა ნებისმიერი სახის კავშირი. აღნიშნული დანაშაულისთვის მაქსიმალური სადამსჯელო ღონისძიებები კი მერყეობს სამუდამო პატიმრობიდან (მაგ: სუდანი) სასიკვდილო განაჩენამდე (მაგ: საუდის არაბეთი, ირანი, ავღანეთი). საბედნიეროდ, ჩამოთვლილი მაგალითებისგან განსხვავებით, ევროპის საბჭოს ყველა სახელმწიფოს დეკრიმინალიზებული აქვს ერთსქესიანთა კავშირი. თუმცა, მათ წინააღმდეგ დისკრიმინაცია ჯერ კიდევ ძალიან მაღალ მაჩვენებლებს უკავშირდება - ლგბტ+ თემის 43% თავს გრძნობს არათანაბარი მოპყრობის მსხვერპლად. ამასთან, ევროპულ სასამართლოში არაერთი საქმის განხილვის შემდეგ ნათელი ხდება, რომ პირადი ცხოვრების უფლების დაცულობით სარგებლობა მათ არ შეუძლიათ ისე, როგორც ჰეტეროსექსუალ წყვილებს. განსაკუთრებით საგანგაშოა მონაცემები, როდესაც სახელმწიფო აქტორები ჰომოსექსუალ წყვილებს კანონით დადგენილი წესით არ აძლევენ უფლებას, რომ შეძლონ მშვიდობიანად თანაცხოვრება და წარმოეშვათ ის უფლებები, რაც გააჩნიათ საპირისპირო სქესის პარტნიორებს ქორწინების შედეგად.

**Gvantsa Dolbaia**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Ladislav Vyhnanek**
Doctor of Law,
Professor

## Safeguarding private life of same-sex partnerships under article 8 of ECHR

European Convention guarantees a right to private life under article 8. The freedom is enjoyed by all on a continuous basis regardless sex, age, race, nationality, or pursued profession. It encompasses a sense of one's own personal identity that is crucial to self-reflection, personal autonomy and the role of a person in the society. The right to private life is firmly connected to a sense of individuality. The latter is a broad concept and may "embrace multiple aspects of the person's physical and social identity". Safeguarding the right to private life comes in conjunction with the prohibition of discrimination guaranteed under article 14 of the convention. According to the provision, all of the rights and freedoms of the convention must be protected and applied without discrimination. However, the convention has been interpreted unevenly by contracting states in numerous cases towards the people belonging to minorities; to be more precise – sexual minorities. Today, all over the world and also in the European Union, there are various degrees of legal recognition of same-sex partners: marriage, registered partnerships, cohabitation or even no regulation at all. Throughout history, sexual minorities have been treated differently and discriminated against by state authorities. To call upon the existing examples, homosexuality still constitutes a criminal offence in a number of countries around the globe. From Guyana to Bangladesh 72 jurisdictions have criminalized same-sex intercourse and some of them use life-imprisonment (e.g Sudan) or death penalty (i.e Iran, Saudi Arabia, Afghanistan) as the means of maximum punishment for persons identifying themselves as part of LGBT community. Unlike the above-mentioned examples, all contracting states of Council of Europe have decriminalized homosexuality by the end of 20th century. However, while progress in Europe was made towards LGBTIQ equality over the past years, discrimination against them persists with 43% feeling discriminated. Besides, the cases brought before the European Court of Human Rights (ECtHR) prove that sexual minorities still cannot usually enjoy rights guaranteed in the convention as freely as heterosexual partners do, especially when it comes to state actors recognizing same-sex relationships on legal grounds, such as granting the right to civil partnership or right to marry.

**ირაკლი ფერაძე**
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: დავით მაკარიძე**
სამართლის სადოქტორო პროგრამის
დოქტორანტი, პროფესორი

**განსჯადობის პრობლემა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კანონმდებლობებს შორის**

1. სასამართლოები დავებს განიხილავენ ტერიტორიული, ინსტანციური და საგნობრივი განსჯადობების თანახმად. 2. ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მკაფიო ზღვარს არ ავლებს ამ ორი კოლეგიის, საგნობრივად, განსჯად საქმეებს შორის, რაც ხშირ შემთხვევაში მათ შორის სამართლებრივ დავას იწვევს. 3. განსჯადობის თაობაზე დავა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობების მიხედვით - აქ მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ კანონმდებლის მიდგომებზე ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან კანონმდებლობებში არსებული ერთმანეთის გამომრიცხავი ჩანაწერები ხდება დავის წარმოშობის საფუძველი. 4. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სასამართლოებს შორის დავებზე ყურადღება უნდა გავამახვილოთ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე, რომელსაც გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის სასამართლოთაშორისი დავების დროს. სწორედ ამიტომ სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ბევრ საინტერესო მიდგომას აყალიბებს ამ საკითხთან დაკავშირებით. 5. საგნობრივ განსჯადობაზე მხარეთა უთანხმოების დროს მნიშვნელოვანია, მათ გაითვალისწინონ სხვადასხვა თეორიები და რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობითაც შედარებით მარტივდება განსჯადობის გადაწყვეტა.

**Irakli Peradze**
Georgian National University
Undergraduate Studies
**Supervisor: David Makaridze**
Doctoral Student,
Professor

**The problem of jurisdiction between civil and administrative legislation**

The problem of jurisdiction between civil and administrative legislation Participants: Irakli Peradze Georgian National University SEU Faculty of law, undergraduate, third year, sixth semester Head: David Makaridze Georgian National University SEU visiting lecturer Ivane

Javakhishvili Tbilisi State University, master, doctoral student Conference theses 1. Courts shall hear disputes on the basis of territorial, instance and substantive jurisdiction. 2. Administrative and civil procedural law does not draw a clear line between the substantive adjudication of these two panels, which often leads to legal disputes between them. 3. Dispute over jurisdiction According to the civil and administrative procedure legislation, it is important to focus on the legislator's approaches to this issue, as the conflicting records in the legislation become the basis for the dispute. 4. In disputes between civil and administrative courts, we should focus on the practice of the Supreme Court, which has a decisive say and which is the prerogative of inter-court disputes. This is why the analysis of case law forms many interesting approaches to this issue. 5. On the subject of jurisdiction, when the parties disagree, it is important that they take into account the various theories and recommendations, through which the decision on jurisdiction is relatively simple. 6. Conclusion.

**ნინო მაისურაძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: გულიკო ფერაძე**
სამართლის ისტორიის მოწვეული
ლექტორი, ასისტენტი

## გეორგიევსკის ტრაქტატის სამართლებრივი ანალიზი და ხელშეკრულების ფაქტობრივი შედეგი ქართული სახელმწიფოსათვის

ჩვენი ნაშრომის უმთავრესი მიზანია, დავადგინოთ გეორგიევსკის ტრაქტატის იურიდიული შინაარსი და ის, თუ რამდენად სწორი იყო ამ ტრაქტატის დადება საქართველოსთვის. ნაშრომში დეტალურად განვიხილეთ ტრაქტატის თითოეული მუხლის სამართლებრივი ასპექტები და დავადგინეთ ამ დოკუმენტის სამართლებრივი შინაარსი და უფლებამოსილებები თითოეულ სახელმწიფოსთან მიმართებით. ნაშრომში მოყვანილია ცნობილი ქართველი იურისტებისა და ისტორიკოსების მოსაზრებები გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით. დღესდღეობით დიდი აზრთასხვადასხვაობაა ტრაქტატის დადების მართებულობა-უმართლობასთან დაკავშირებით, ჩვენ კი კვლევის შედეგად დავადგინეთ ის გარემო ფაქტორები, რამაც განაპირობა ხელშეკრულების დადების აუცილებლობა და ობიექტურად შევაფასეთ ყველა ის გარემოება, რომელიც ქვეყნისთვის ამ მნიშვნელოვან მოვლენას თან ახლდა. ამასთან, დეტალურად არის განხილული ის, თუ რამდენად მოხდა ტრაქტატის პირობების დაცვა და ვისი მხრიდან დაირღვა აღნიშნული შეთანხმება ორ სახელმწიფოს შორის.

**Nino Maisuradze**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Guliko Peradze**
Invited Lecturer in Law History,
Assistant

## Legal analysis of the Georgievski Treaty and the actual result of the agreement for the Georgian state

The main purpose of this article is to determine the legal content of Georgievski's treaty and how correct it was for Georgia to conclude this treaty. In the paper, we have discussed in detail the legal aspects of each article of the treaty and established the legal content and powers of this document in relation to each state. The paper presents the opinions of famous Georgian lawyers and historians regarding Georgievski's treatise. There is a great deal of controversy today over the validity of the treaty, and we have identified factors that led to the need to conclude the treaty and objectively assess all the circumstances that accompanied this important treaty for the country. It also discusses in detail whether the terms of the treaty have been complied with and by whom the agreement has been violated between the two states.

**მარიამ ხარებაშვილი**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: ვასილ გონაშვილი**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განმწესების წესი სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის ჭრილში

ნაშრომში გაანალიზებული იქნება, არის თუ არა ხარვეზიანი და ხომ არ საჭიროებს მოწესრიგებას უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების პროცედურის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. ამ ფონზე, ცხადია, საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. ასევე, მნიშვნელოვანი იქნება ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა და რელევანტური მიდგომების შედარება, ამასთანავე მსგავს საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. ცხადია, სამეცნიერო ნაშრომში

განხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი სასამართლოს უფლებით დაცული სფერო და თუ რამდენად მოდის შესაბამისობაში საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესი და არის თუ არა გამოწვევა დღეს არსებული მოდელი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისთვის, რადგან სწორედ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლების და თავისუფლების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. იგი ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც, ერთი მხრივ წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ, ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ინდივიდების სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა ის საშუალებაა, რომელიც ახდენს სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ინიცირებას და, შესაბამისად, ამ მხრივ, მისი კონსტიტუციური წონა მჭიდროდ არის დაკავშირებული ზოგადად სასამართლო ხელისუფლების ეფექტურად განხორციელებასთან.


**Mariam Kharebashvili**
Ilia State University
Postgraduate Studies
**Supervisor: Vasil Gonashvili**
Doctor of Law,
Associate Professor


## Rule of Appointment of Judges of the Supreme Court in the Context of Exercising the Right to a Fair Trial

The paper will analyze whether the legal framework governing the staffing of the Supreme Court needs to be changed and whether it needs to be addressed. Against this background, there is obviously an interesting decision of the Constitutional Court of Georgia on the composition of the Supreme Court - the Public Defender of Georgia against the Parliament of Georgia. It will also be important to analyze European practice and compare the respective approaches, as well as the decisions of the European Court of Human Rights on a similar issue. Obviously, the paper will discuss the area protected by the right to an independent judiciary in accordance with Article 6 of the European Convention on Human Rights, as well as whether the rule for the selection of judges of the Supreme Court in Georgia is relevant and whether the current model of judicial independence is the most important constitutional guarantee of protection freedom, the rule of law and the principle of separation of powers. It is an instrumental right, which, on the one hand, is a means of protecting other rights and interests, and on the other, an important part of the architecture

of restraint and balance between the branches of government. Access to justice for individuals is the means by which the exercise of the judiciary is initiated, and hence its constitutional weight in this regard is closely linked to the effective exercise of the judiciary as a whole.

**ნანა მახარაძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: მაია ივანიძე**
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

## არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების ინტერნეტში გაზიარების საფრთეები

ჩვენი ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების ინტერნეტში გაზიარებიის საფრთხეები. არასრულწლოვნებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დაცვის თემატიკა, საფრთხეები, რეკომენდაციები და მაგალითები მოწოდებული უნდა იყოს ორი ფაქტორის გათვალისწინებით: • არასრულწლოვნები 6 წლიდან – 10 წლამდე • არასრულწლოვნები 10 წლიდან–17 წლამდე. ასეთი დაყოფა დაგვეხმარება, უკეთ გამოვკვეთოთ ასაკობრივი საფრთხეები და შესაბამისი რეკომენდაციები გავცეთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია – კიბერბულინგი, რადგან ამ შემთხვევაში არასრულწლოვანის პერსონალურ მონაცემთა დაუცველობის გარდა, ფსიქოლოგიურ ტრავმასთანაც გვაქვს საქმე. ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი ზიანი შეიძლება მოუტანოს მოზარდს ონლაინ სივრცემ, როგორ იწვევს პერსონალური მონაცემების დარღვევა არასრულწლოვანის ცხოვრების დანგრევასა და უნდობლობას. ამის გარდა, საინტერესოა თავად ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი და საერთოდ როგორ უმკლავდებიან წამყვანი ქვეყნები ასეთ დაბრკოლებებს. ვფიქრობთ, შედარებითსამართლებრივი ანალიზი დაგვეხმარება ჩვენი ქვეყნის არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დაცვაში, ინტერნეტში გავრცელებული პირადი ინფორმაციის გაზიარების შედეგად გამოწვეული საფრთხეების შემცირებასა და მათ უკეთ პრევენციაში.

**Nana Makharadze**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Maia Ivanidze**
Doctor of Law,
Professor

## Personal data of minor dangers of internet sharing

The subject of the present study is the dangers of sharing personal data of minors on the Internet. In the face of the pandemic that is spreading around the world today, people in different countries have become more dependent on online platforms. The current issue of our era is relevant not only in Georgia, but all over the world. To solve this problem, we need to identify specific threats. The topics, threats, recommendations and examples of personal protection related to minors should be provided in two aspects: Minors from 6 to 10 years Minors from 10 to 17 years. Such a division will help us better identify age-related threats and make appropriate recommendations. Cyberbullying is a particularly important factor, because in this case, to protecting only the personal data of the juvenile, we are also dealing with psychological trauma. This is a clear example of how it leads to the violation of personal data, the destruction of a minor's life and mistrust. In addition to the interesting example of Germany and the United States themselves how leading countries deal with such obstacles - comparative legal analysis will help us to protect the personal data of our country's minors, reduce the risks posed by sharing personal information spread on the Internet and better prevention. Such a division will help us better identify age-related threats and make appropriate recommendations.

# მევენახეობა-მეღვინეობის სექცია
# Section of Viticulture-Winemaking

**ზაზა ბააზოვი**
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: მარიამ ხოსიტაშვილი**
ტექნიკურ მეცინერებათა დოქტორი,
პროფესორი

### ალკოჰოლური დუღილის აქტივაციისათვის პროტეოლიტური ფერმენტის გამოყენება

ცნობილია, რომ ალკოჰოლურ დუღილში მშრალი საფუარების გამოყენების დროს, მადუღარ არეს უმატებენ საკვებ ნივთიერებებს - აქტივატორებს, რომლის შემადგენლობაში შედის აზოტოვანი ნივთიერებები მარილების სახით. ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა, სინთეტური მარილების გამოყენება ჩაგვენაცვლებინა პროტეოლიტური ფერმენტის გამოყენებით, რომელიც ფერმენტაციის საშუალებით დაშლიდა ცილოვან ნივთიერებებს სხვადასხვა სახის აზოტოვან ნაერთად. ეს უკანასკნელი იმოქმედებდა აგრეთვე მომავალი ღვინის სტაბილურობაზე, რაც გამოიხატებოდა ღვინოში ცილოვანი სიმღვრივის შემცირებით. კვლევის ობიექტად გამოყენებული იყო სხვადასხვა წარმოშობის მადუღარე არეები (ყურძნის ტკბილი, ხილის წვენი და სადუღარ კონდიციამდე მიყვანილი თაფლის წყალხსნარი), რომელშიც შეტანილ იქნა მშრალი საფუარი IOC 3000. დუღილის ტემპერატურა შეადგენდა 220 C. აზოტოვან ნივთიერებათა გასაზრდელად საკვების არის მაგივრად გამოყენებული იყო პროტეოლიტური ფერმენტი “Proteazim-C”. ალკოჰოლური დუღილის შემდეგ მიღებულ ღვინომასალებში განისაზღვრა აზოტოვანი ნივთიერებების სხვადასხვა სახე. მათი განსაზღვრა წარმოებდა კელდალის მეთოდით, KjelFlex K – 360 და SpeedDigeaster K – 439 ფირმის აპარატების გამოყენებით. ცდების შედეგად დადგინდა, რომ ფერმენტი “Proteazim-C“-ს გამოყენებით ფერმენტირებულ არეში გაიზარდა აზოტოვან ნივთიერებათა რაოდენობა.

**Zaza Baazovi**
Telavi State University
Doctoral Studies
**Supervisor: Mariam Khositashvili**
Doctor of Technical Sciences,
Profesor

## Use of a proteolytic enzyme to activate alcoholic fermentation

In the use of dry yeast in alcoholic fermentation, nutrients are added to the boiling area - activators, which contain nitrogenous substances in the form of salts. The aim of the study was to replace the use of synthetic salts with a proteolytic enzyme that breaks down proteins into various nitrogenous compounds by fermentation. The latter would also affect the stability of the future wine, which is manifested by a reduction in the protein turbidity in the wine. The study object used fermentation areas of different origins (grape sweet, fruit juice and aqueous honey solution brought to fermentation condition) in which dry yeast IOC 3000 was included. The boiling point was 220 C. Proteolytic enzyme "Proteazim-C" was used instead of nitrogen to increase the nitrogenous content of food. Different types of nitrogenous substances were identified in the wine materials obtained after alcoholic fermentation. Nitrogen detection was performed using the Keldal method, using KjelFlex K - 360 and SpeedDigeaster K - 439 devices. Experiments have shown that the use of the enzyme "Proteazim-C" in the fermented area increased the amount of nitrogenous substances.

**გვანცა ცუკოშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: დავით მაღრაძე**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

## დასავლეთ საქართველოს მცირედ გავრცელებული ვაზის ჯიშების

საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი კერაა და მსოფლიოში ენდემური ვაზის ჯიშების რაოდენობით გამოირჩევა. თუმცა, სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობამ, როგორიცაა: კლიმატის ცვლილება, მავნე ორგანიზმების გავრცელება, მოსავლის რაოდენობაზე ორიენტირება - განაპირობა ის, რომ ჯიშების უმრავლესობის კულტივირება აღარ ხდება და ისინი მხოლოდ საკოლექციო ნაკვეთებშია შემორჩენილი. ბოლო პერიოდში მსოფლიო ღვინის ბაზარზე არსებულმა კონკურენციამ მკვეთრად გაზარდა მეღვინეების ინტერესი

მცირედგავრცელებული ვაზის ჯიშების მიმართ. აღნიშნული ჯიშების ამპელოგრაფიული და ენოლოგიური შესწავლა ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ ამა თუ იმ ჯიშის სამეურნეო და ტექნოლოგიური მაჩვენებლები, შეძლონ პერსპექტიული ჯიშების კულტივირება და განსხვავებული ღვინის წარმოება. ამასთან ერთად, ვაზის ჯიშების ქართული გენოფონდის სრულყოფილი შესწავლა მნიშვნელოვანია სელექციონერებისთვის, რათა გამოვლინდეს ისეთი მახასიათებლების მქონე გენოტიპები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება მომავალ სასელექციო პროგრამებში. ნაშრომში წარმოდგენილია ჯიღაურას კოლექციაში დაცული, დასავლეთ საქართველოს იშვიათი და ნაკლებადშესწავლილი ვაზის ჯიშების - ხროგის, ყვირას, ბეროულას, ჯინეშის, ლივანური თეთრის, ქაქუთურას, ძირაგაულის შავის, ცრუ ცოლიკაურისა და ძელშავი საჩხერის შესწავლის შედეგები. ჯიშების შესწავლა განხორციელდა საერთაშორისო კვლევის მეთოდების გამოყენებით, რომელთა საშუალებითაც შესრულდა მათი სრული ამპელოგრაფიული, ენო-კარპოლოგიური და ენოლოგიური დახასიათება. ვფიქრობთ, მიღებული კვლევის შედეგები საინტერესო იქნება მევენახეობა-მეღვინეობის დარგში მომუშავე და ამ სფეროთი დაინტერესებული პირებისათვის.


**Gvantsa Tsukoshvili**
Caucasus International University
Postgraduate Studies
**Supervisor: David Maghradze**
Doctor of Agricultural Sciences,
Professor


## Ampelographic and Enological Charachterisation of Rare Georgian Grapevine

Georgia is an ancient center of viticulture and winemaking and is distinguished by a large number of autochthonous grape varieties in the World. However, a combination of various factors, such as climate change, the invasion of pests and an emphasis on yield, has resulted in the most varieties being endangered for extinction and are only preserved in collection plots today. Recently, competition in the global wine market has sharply increased the interest of winemakers in rare grape varieties.The ampelographic and oenological study of these varieties will allow experts to assess the agricultural and technological indicators of a particular variety, to cultivate promising varieties and produce different type of wines. At the same time, a scrupulous study of the gene pool of Georgian vines is important for breeders in order to identify promising accessions with characteristics, that will be successfully used as in future breeding programs. This work will discuss the results of research on rare and little-studied grape varieties originated from Western Georgia and preserved in Jigaura collection, including Khrogi, Kvira, Beroula, Jineshi, Livanuri Tetri,

Kakutura, Dziragaulis Shavi, Tsru Tsolikauri and Dzelshavi Sachkheris. The research of the varieties was carried out using, internationaly approved research methods and the complete ampelographic, eno-carpological and oenological characterization of the varieties were done. The research results are dedicated to the experts of viticulture and winemaking and the amateur persons interested general aspects of grape growing.

**მაია კიკვაძე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: დავით მაღრაძე**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

## შიდა ქართლში აღმოჩენილი ვაზის ველურად მოზარდი ფორმების ეკო-გეოგრაფიული გარემო და მათი ამპელოგრაფიული აღწერა

მევენახეობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ველურად მოზარდი ვაზის შესწავლას. ეს პროცესი ძალიან აქტუალურია ევროპაში და მათ შორის - საქართველოშიც. გამორჩეულ ინტერესს იძენს გენეტიკური კავშირების ძიება ველურ და კულტივირებულ ვაზს შორის. ველურად მოზარდი ვაზების მრავალფეროვნება წარმოდგენილი გვაქვს კრიკინა ვაზის V.vinifera ssp. sylvestris Gmel., გაველურებული კულტივირებული ვაზისა V.vinifera ssp. sativa DC., და გარდამავალი ფორმების V.vinifera ssp. silvesatis Ram. სახით. ეს მრავალფეროვნება ყოველთვის ახდენდა გავლენას ვაზის გენეტიკურ ბუნებაზე, ამდიდრებდა რა მას ახალი გენებით. ჩვენ მიერ შემოთავაზებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე 2003-2013 წლებში მოძიებული ველურად მოზარდი ფორმების ეკო-გეოგრაფიული გარემოს აღწერა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის, ჯიღაურას საკოლექციო ნარგაობაში 2014 წლიდან დაცული კულტივირებული ჯიშების მსგავსი ვაზის 3 ფორმის: დელისი 01, დიღომი 01, თედოწმინდა 22(2) ამპელოგრაფიული აღწერა-შესწავლა და იდენტიფიკაცია. შესწავლა განხორციელდა საერთაშორისო მეთოდიკებზე დაფუძნებული ამპელოგრაფიის, ფენოლოგიის, აგრონომიის, ფიტოპათოლოგიის, ენოქიმიის და ენოლოგიის კვლევის მეთოდების გამოყენებით. შედეგად მივიღეთ ფორმების დეტალური ამპელოგრაფიული აღწერა და ილუსტრირებული ამპელოგრაფიული ბარათების შედგენა; ფენოლოგიური ფაზების აღრიცხვა აგრონომიულ პარამეტრებთან კავშირით; შედარება მსგავი ნიშნების მქონე ჯიშებთან იდენტიფიკაციის მიზნით; ჭრაქის მიმართ სკრინინგი; ფორმების დიფერენციაცია ნაყოფის გამოყენების მიხედვით, საღვინე და საღვინე-სასუფრედ მიმართულებად.

**Maia Kikvadze**
Georgian Technical University
Doctoral Studies
**Supervisor: David Maghradze**
Doctor of Agricultural Sciences,
Professor

## Eco-Geographical Environment and Ampelographic Description of Wildly Growing Grapevines Discovered in Inner Kartli

The study of wildly growing grapevines has an important place in the history of viticulture in Europe, as well as in Georgia. The research for genetic linkage between wild and cultivated vines acquires a special attention in this aspect, which provides very interesting results in the old viticulture-winemaking countries like Georgia. Here we have a diversity of wild-growing vines, represented by 'Krikina' wild vine V.vinifera ssp. sylvestris Gmel., feral cultivated vine V.vinifera ssp. sativa DC. accessions, and intermediate form V.vinifera ssp. silvesatis Ram. This diversity has always affected the genetic nature of Georgian vines, enriching it with new genes. The aim of the present study was to characterize 3 wildly growing grapevine accessions having similar traits of cultivated grapevines, discovered on the territory of Inner Kartli province of Georgia during 2003-2013 and preserved in Jighaura collection of Scientific-Research Center of Agriculture since 2014. Research based on international protocols carried out in ampelography, phenology, agronomy, phytopathology, eno-chemistry and oenology during 2019-2020 allowed us to perform a detailed ampelographic description and complete Ampelographic cards; Collection of phenological records linked with the agronomic traits; Verification to the cultivated varieties with similar traits for identification; Screening of susceptibility to Plasmopara viticola; Divergent of the accession for wine and wine-table purposes.

**ლიკა ბზეკალავა**
**მარიამ გულბანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
**ხელმძღვანელი: შენგელი კიკილაშვილი**
აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი
ქართული მევენახეობა-მეღვინეობის
მიმართულებით, ასისტენტი

## ქართული ჯიშური მრავალფეროვნება ადგილობრივ და მსოფლიო ღვინის ბაზარზე

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველო აქტიურად იმკვიდრებს ადგილს მსოფლიო ღვინის ბაზარზე. მევენახეობა-მეღვინეობის 8000 წლოვანმა უწყვეტმა ისტორიამ, ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიამ და აბორიგენულ ჯიშთა

მრავალფეროვნებამ შესაძლებლობა მოგვცა, რომ განსხვავებული და ორიგინალური ღვინო შევთავაზოთ მსოფლიოს. საქართველო 500-ზე მეტი აბორიგენული ვაზის ჯიშით გამოირჩევა, რაც საშუალებას გვაძლევს, მომხმარებელს შევთავაზოთ მრავალფეროვანი ღვინის ასორტიმენტი, თუმცა, სამწუხაროა, რომ ამის მიუხედავად, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე მხოლოდ რამდენიმე ჯიშით ვართ ცნობილნი (საფერავი, რქაწითელი და სხვა). რა არის იმის მიზეზი, რომ დანარჩენი ჯიშების პოპულარიზაცია არ ხდება? ეს დამოკიდებულია მომხმარებლის გემოვნებაზე, კომპანიებსა და მეღვინეებზე, რომლებიც ქმნიან ღვინის ასორტიმენტს. საოჯახო მარნებმა და ქარხნებმა აქტიურად დაიწყეს მივიწყებული ჯიშების გამოყენება საწარმოო პროცესში, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, დავაგემოვნოთ ისეთი ღვინოები, როგორიცაა: ასურეთული, ქისი, შავკაპიტო და სხვანი. კონფერენციაზე შევეცდებით, წარმოვადგინოთ ჩვენი შეფასება და შეხედულება ადგილობრივ და მსოფლიო ღვინის სექტორში ქართული ვაზის უნიკალური ჯიშებისაგან დამზადებული ღვინოების როლზე.

**Lika Bzekalava**
**Mariam Gulbani**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Shengeli Kikilashvili**
Master of Agrarian Sciences
Georgian-Viticulture in the Field of Winemaking,
Assistant

## Georgian varietal diversity in the local and global wine market

In recent years, Georgia has been actively establishing itself on the world wine market. The 8000-year-old continuous history of viticulture and winemaking, the technology of putting wine in a pitcher and the diversity of aboriginal varieties have enabled us to offer diverse, original and one of a kind wine varietes to the world. Georgia is distinguished by more than 500 aboriginal vine varieties, which allow us to offer a diverse range of wines. Unfortunately, despite this diversity, we are only known for a few of these varieties on the local and international market (Saperavi, Rkatsiteli, etc.). What is the reason of not popularizing other variates of wine? It depends on the preference of the customer, the companies and wineries that create the wine range. Family wineries and factories have actively started using forgotten varieties in production, which has given us the great opportunity to taste wines such as: Assyrian, Kisi, Shavkapito, etc. During our conference, we will try to present our assessment and views on the role of wines made from unique Georgian grape varieties in the local or/and world wine sector.

**ხვთისო ადოლაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: დავით მაღრაძე**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

## საქართველოში მცირედ გავრცელებული ვაზის ჯიშები

საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე კარგად განვითარებულ დარგად მიიჩნევა მევენახეობა-მეღვინეობა, რომელსაც 8000 წლის ისტორია აქვს. ქართული ვაზის გენოფონდი 607 ჯიშს ითვლის, საიდანაც 525 აბორიგენულ ჯიშს მიეკუთნება. თითოეული მათგანი გამოირჩევა მისთვის დამახასითებელი ჯიშური თვისებებით, მაგრამ უმრავლესობა მხოლოდ საკოლექციო ნარგაობის სახითაა შემორჩენილი, ზოგიც დაკარგულად ითვლება. დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია მევენახეობისა და ენოლოგიის თანამედროვე მეთოდებით მივიწყებული ვაზის ჯიშების მოძიება, შესწავლა, მათი დადებითი თვისებების გამოვლენა და საბოლოოდ, მიღებული შედეგის გათვალისწინებით, ამ ჯიშების მევენახე-მეღვინეთა საზოგადოებისთვის გაცნობა, მათი კულტივირებაში ჩართვის მიზნით. ამ კუთხით ჩატარებული კვლევები ხელს შეუწყობს მივიწყებული ჯიშების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება ღვინის კომპანია „შუმის“ საკოლექციო ნარგაობაში დაცული იშვიათი ვაზის ჯიშების - „აგაშკური“, „ორონა“, „კირწწითელა“, „რქაწითელი მწვანე“, „დელისი“, „უბაკლური“, „ბორჩალო“, „ადრეული თეთრი“ და „ჩიტის კვერცხა“ - როგორც ბოტანიკური, ასევე ენოლოგიური შესწავლის შედეგები.

**Khvtiso Adolashvili**
Caucasus International University
Postgraduate Studies
**Supervisor: David Maghradze**
Doctor of Agricultural Sciences,
Professor

## Less common vine breeds in Georgia

Viticulture and winemaking is one of the most well-developed fields in Georgia, which has 8000 years old history (McGovern et al. 2017). The Georgian vine gene pool counts 607 breeds (Ujmajuridze et al. 2018), of which 525 are endemic (Ketskhoveli et al. 1960). According to various sources each of the breeds are distinguished by their specific characteristics, but most of them are preserved only in the form of plantation collection , and unfortunately, some of them are already considered lost. One of the current topics of the modern world is to find forgotten vine breeds, study them with newly developed

methods of viticulture and oenology, which will reveal their positive properties and then considering the results, introduce these varieties to the wine-growing community so that they can be involved in their cultivation in the future. Research in this area will help to collect more information about forgotten breeds. The conference will feature rare vine breeds preserved in the plantation collection of the wine company "Shumi" : "Agashkuri", "Orona", "Kirtsititela", "Rkatsiteli Mtsvane", "Delisi", "Ubakluri", "Borchalo", "Adreuli Tetri" and " Chitis Kverckha ", and results of both botanical and oenologic studies.

**ნიკოლოზ ხატიაშვილი**
**სალომე ლომიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
**ხელმძღვანელი: მარიამ ხოსიტაშვილი**
ტექნიკურ მეცინერებათა დოქტორი,
პროფესორი

## ქვევრის დადებითი და უარყოფითი მხარეები

საქართველოში აღმოჩენილი ქვევრის ტიპის უძველესი ჭურჭელი ძვ.წ.VI –V ათასწლეულებს განეკუთვნება. ქვევრში ღვინის დაყენების ხალხური წესი მსოფლიოში უნიკალურია და ამიტომაც, 2013 წელს, იუნესკომ მას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

ქვევრის ხარისხი და უხარისხობა დამოკიდებულია მისი საშენი მასალის შედგენილობაზე და დამზადების ტექნოლოგიაზე. მთავარი გამოწვევა კი ქვევრის გამოწვის პროცესია, რადგან ყველა რეგიონის თიხას განსხვავებული ქიმიური შედგენილობა აქვს და შესაბამისი გამოწვის ტემპერატურა სჭირდება. ამიტომ, საჭიროა დადგინდეს რეგიონების მიხედვით ქვევრის საშენი მასალის შედგენილობა და გამოწვის ოპტიმალური ტემპერატურა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვევრის კედელს გააჩნია ფორები, რაც ჟანგბადის ნაწილობრივ შეღწევის საშუალებას იძლევა და ღვინოში არეგულირებს ჟანგვა-აღდგენით პროცესებს.

ხშირად მიმართავენ ქვევრის კედლების დამუშავებას სანთლით, ან სხვა საშუალებით. ამგვარი ქვევრები ხელს უშლის ღვინოში ჟანგვა-აღდგენითი პროცესების საჭიროების მიხედვით წარმართვას. აქედან გამომდინარე, ქვევრის კედლის დაფარვა ცვილით და სხვა საშუალებით არ არის რეკომენდირებული, რადგან სანთელი ფარავს კედლის ფორებს და არ იძლევა ჟანგბადის შეღწევის საშუალებას.

**Nikoloz Khatiashvili**
**Salome Lomidze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Mariam Khositashvili**
Doctor of Technical Sciences,
Profesor

## Positive and negative features of the Qvevry

The winemaking in Qvevri is unique and that is why UNESCO assigned the status of National Monument of Intangible Cultural Heritage to "The ancient Georgian tradition of Qvevri winemaking" in 2013. Qvevri is a unique vessel for making and storing wine. As it was said above, the ancient Qvevri-like vessel discovered in Georgia dates back to the 6th - 5th millennia BC. Winemaking in Qvevri means keeping the wine on its own chacha during the alcoholic fermentation as well as afterwards.

Qvevry as a place to put and feed wine utensils (quality and quality of Qvevrys,On the composition of the Qvevry building material and its manufacture On technology).

We can talk a lot about this Issues, but the main challenge is the Qvevry roasting process, because in all the regions clay has a different chemical composition with corresponding firing temperature needed. Therefore, it is necessary to identify the regions according to the composition and optimal temperature for firing Qvevry. Moreover, Qvevry walls have pores, allowing part of the oxygen to be enter and regulates oxidation-reduction processes in wine.

Often Qvevry walls are covered with a candle, or by other means. This prevents the oxidation-reduction process to be completed as necessary. As it covers the pores and prevents the oxygen to enter, it is not recommended to cover the walls of Qvevry with wax or other material.

**გიორგი ახვლედიანი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: თინათინ გოგიშვილი**
სოფლის მეურნეობის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## მავნე ორგანიზმების გავლენა ყურძენზე და მისგან მიღებულ ღვინის თვისებებზე
## მონაწილის სწავლის საფეხური: დოქტორანტურა

ვაზის მიკროფლორა მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია ვაზის ძირითადი მავნე ორგანიზმების განვითარების ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. ყურძნის ჭია, ცრუფარიანები, ტკიპები, ნაცარი, ჭრაქი, სიდამპლეები, ვირუსული დაავადებანი საკმაოდ გავრცელებულია და დიდი დანაკლისი მოაქვს მოსავლისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ტკბილსა და ღვინოში დაზიანებული ყურძნისგან გადასული მიკროორგანიზმები არის როგორც სასარგებლო, ასევე მთელ რიგ ურაყოფით გავლენას ახდენს ღვინოზე. ყურძნიდან მოხვედრილი მიკროორგანიზმები ხელს უშლის საფუარის ნორმალურ განვითარებასა და დუღილს, იწვევს საბოლოო პროდუქტის გემოვნური თვისებების შეცვლას, შლის ყურძნის პიგმენტებს და მცირდება შეფერილობა, ღვინოს შმორის ტონებს სძენს, იწვევს მანიტურ ფერმენტაციას, ტკბილს ართმევს ნახშირწყლებს, აზოტოვან და მინერალურ ნივთიერებებს, ითვისებს შაქრებს და მჟავებს. ამ უარყოფით მოვლენებს ტკბილსა და ღვინოში ძირითადად იწვევს დემაციუმი, ობი სოკოები, მუკორი, პენიცილიუმი და სხვა მრავალი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პრეფერმენტული, ფერმენტული და პოსფერმენტული მაცერაცია სოკოვან დაავადებულ ყურძენთან ღვინოს ამდიდრებს ბუნებრივი ფენოლების შემცველობით, განსაკუთრებით კი ქვევრის ღვინის ტექნოლოგიის შემთხვევაში.

**Giorgi Akhvlediani**
Georgian Technical University
Doctoral Studies
**Supervisor: Tinatin Gogishvili**
Doctor of Agriculture,
Associate Professor

## The influence of pests on grapes and the properties of the wine obtained from it

The microflora of the vine is diverse, which is due to the favorable natural and climatic conditions for the development of the main pests of the vine. Grape worms, mites, ash, powdery mildew, rot, viral diseases are quite common and cause great damage to the

harvest. As beneficial as microorganisms are, they can also have negative side effects on the vine. Microorganisms from grapes interfere with the normal development of yeast and fermentation, impair the taste of the final product, remove pigments from black grapes and reduce the color of the wine. These side effects in wine are mainly caused by Demacium; mushrooms; Penicillium; Botricis; Aspergillus and many others. It is noteworthy that the pre-fermentation, fermentation, and post-fermentation maceration of fungal disease grapes enriches the wine with natural phenols, especially in the case of Qvevri wine technology.

**ერეკლე შავიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: მარიამ ხოსიტაშვილი**
ტექნიკურ მეცინერებათა დოქტორი,
პროფესორი

## ვარდისფერი ცქრიალა ღვინის დაყენების ტექნოლოგიის სრულყოფა

საქართველო მეღვინეობა-მევენახეობის უძველესი კერაა. ასობით უნიკალური ენდემური ვაზის ჯიში მოგვეპოვება, თუმცა მთელი რიგი გარემოებების გამო, მათი უმეტესობა ფართოდ არ არის გავრცელებული, ასევე არ არის შესწავლილი მათი სამომავლო პოტენციალი. თანამედროვე მეღვინეობაში მიმდინარე ცვლილებებისა და მზარდი კონკურენციის ფონზე, სულ უფროდაუფრო პოპულარული ხდება ვარდისფერი ღვინოები. ქართული მეღვინეობა ცდილობს, მხარი აუბას აღნიშულ ტენდენციას, თუმცა, ამ ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში ვარდისფერი ღვინის წილი არცთუ ისე დიდია. ჩემი თემის მიზანია, შეისწავლოს და სრულყოს ერთ-ერთი ნაკლებად გავრცელებული და ძვირადღირებული ქართული ყურძნის ჯიშიდან, უსახელოურიდან ვარდისფერი ცქრიალა ღვინის დაყენების ტექნოლოგია. თემის აქტუალურობა აშკარაა, ვინაიდან ზემოთხსენებული ყურძნის ჯიშისგან ვარდისფერი ღვინო პრაქტიკულად არ იწარმოება. ასევე, არ გვხვდება ვარდისფერი ცქრიალა ღვინოებიც, რაც აღნიშული საკითხის შესწავლას კიდევ უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის.

**Erekle Shavishvili**
Caucasus International University
Postgraduate Studies
**Supervisor: Mariam Khositashvili**
Doctor of Technical Scienses,
Profesor

## Improving the technology of making rose sparkling wine

Georgia is the oldest center of winemaking and viticulture where we can find hundreds of unique endemic vine varieties, however, due to a number of circumstances, most of them are not widespread and also, their future potential has not been explored yet. Amidst the current changes in modern winemaking and growing competition, rosé wines are becoming more and more in demand and popular. Georgian winemaking is also trying to support this trend however, at this stage the share of rosé wine in Georgian winemaking is not so great. The aim of my thesis is to study the technology of making rose sparkling wine from Usakhelouri, one of the rarest and most expensive Georgian grape varieties. The urgency of the topic is clear, as the set goals serve to study the technology of production of one of the most demanding types of wine. This topic is also special because of the fact that practically no rosé wine is produced from the above-mentioned grape variety, and no sparkling rosé wines are found, which makes the study of this issue even more attractive and interesting.

# მედიცინის სექცია
# Section of Medicine

**ანა აბისონაშვილი**
**მარიამ აბისონაშილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: მაია იოსელიანი**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

## დელირიუმის დიაგნოსტიკა და მართვა SARS-CoV-2-ის მქონე ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში

XXI საუკუნის მთავარი გლობალური გამოწვევა SARS-CoV-2-ით გამოწვეული კოვიდ პანდემიაა. მსოფლიოში პირველი გაფრთხილება ვირუსთან დაკავშირებით 2019 წლის დეკემბერში გავრცელდა, 2020 წლის მარტში კი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ეპიდსიტუაცია პანდემიად გამოაცხადა. დელირიუმი არის მძიმე მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანის მენტალური სტატუსი იცვლება, იგი ვერ აღიქვამს გარემოს ადექვატურად და დაბნეულია. ეს არის ერთგვარი ინდიკატორი კრიტიკული მდგომარეობით გამოწვეული თავის ტვინის დაზიანებების. SARS-CoV-2-ის მქონე პაციენტებში დელირიუმის განვითარების რისკი იზრდება, რასაც ხელს უწყობს შვიდი ფაქტორი: 1) უშუალოდ ვირუსის მიერ ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება; 2) ანთებითი მედიატორების ზემოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე; 3) შინაგანი ორგანოების უკმარისობა; 4) სედაციური მედიკამენტების ხანგრძლივი გამოყენება; 5) ხანგრძლივი ხელოვნური ვენტილაცია; 6) იმობილიზაცია; 7) სხვა სოციალური ფაქტორები; მაგალითად, სოციალური იზოლაცია და კარანტინში მოთავსება ოჯახის წევრების გარეშე.

COVID-19 ვირულენტობიდან, სასიცოცხლო ციკლიდან და პათოგენეზიდან გამომდინარე, იმ პაციენტებში, რომლებსაც ესაჭიროებათ გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა ან ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოთავსება, დელირიუმის დიაგნოსტიკა და მართვა გართულებულია, რისი მიზეზიც არის ის, რომ ძირითადი აქცენტი კეთდება ისეთ ორგანიზაციულ საკითხებზე, როგორიცაა ხელოვნური ვენტილაციის აპარატების სიმცირე, პერსონალის აღჭურვილობის

ნაკლებობა, რესურსების განაწილება და პალიატიური მზრუნველობა. პაციენტებზე ზრუნვის ხარისხი, მათ შორის დელირიუმის მართვა, უნდა იყოს სათანადო, რათა შემცირდეს post-intensive care syndrome (PICS). ამ თემაზე მუშაობისა და განხილვის მიზანია წარდგენა იმ რეკომენდაციებისა, რომლებსაც გვთავაზობენ სპეციალისტები დელირიუმის დიაგნოსტიკისა და მართვისთვის.

**Anna Abisonashvili**
**Mariam Abisonashvili**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Maia Ioseliani**
Doctor of Medicine, Professor

## Delirium management during SARS-CoV-2 pandemic

The novel coronavirus, SARS-CoV-2-causing Coronavirus Disease 19 (COVID-19), emerged as a public health threat in December 2019 and was declared a pandemic by the World Health Organization in March 2020. Delirium, a dangerous untoward prognostic development, serves as a barometer of systemic injury in critical illness. The early reports of 25% encephalopathy from China are likely a gross underestimation, which we know occurs whenever delirium is not monitored with a valid tool. Indeed, patients with COVID-19 are at accelerated risk for delirium due to at least seven factors including (1) direct central nervous system (CNS) invasion, (2) induction of CNS inflammatory mediators, (3) secondary effect of other organ system failure, (4) effect of sedative strategies, (5) prolonged mechanical ventilation time, (6) immobilization, and (7) other needed but unfortunate environmental factors including social isolation and quarantine without family. Given early insights into the pathobiology of the virus, as well as the emerging interventions utilized to treat the critically ill patients, delirium prevention and management will prove exceedingly challenging, especially in the intensive care unit (ICU). The main focus during the COVID-19 pandemic lies within organizational issues, i.e., lack of ventilators, shortage of personal protection equipment, resource allocation, prioritization of limited mechanical ventilation options, and end-of-life care. However, the standard of care for ICU patients, including delirium management, must remain the highest quality possible with an eye towards long-termsurvival and minimization of issues related to post-intensive care syndrome (PICS). This article discusses how ICU professionals (e.g., physicians, nurses, physiotherapists, pharmacologists) can use our knowledge and resources to limit the burden of delirium on patients by reducing modifiable risk factors despite the imposed heavy workload and difficult clinical challenges posed by the pandemic.

**არტაკ მატინიანი**
**მარიამ შულაია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: ნინო ბუიშვილი**
პროფესორი, მოწვეული ლექტორი.
ნევროლოგი

## ნეირომიელიტის სპექტრის დაავადებები, მათი პათოგენეზი და გაფანტული სკლეროზისგანგანმასხვავებელი ძირითადი ასპექტები

კავშირი ოპტიკურ ნეირომიელიტსა (NMO) და გაფანტულ სკლეროზს (MS) შორის დიდი ხანია განხილვის საგანია. თავდაპირველად NMO განიხილებოდა, როგორც MS-ის ერთ-ერთი ფორმა - ზურგის ტვინისა და მხედველობის ნერვის უპირატესი დაზიანებით. აქვაფორინ-4-ის საწინააღმდეგო სპეციფიკური ანტისხეულების (AQP4-IgG) ზოგიერთი უნიკალური კლინიკური, ლაბორატორული და ნეიროვიზუალიზაციური მახასიათებლის შესწავლის შედეგად, დღის წესრიგში დადგა ამ ორი დაავადების გამიჯვნა. AQP4 ანტისხეულები დღესდღეობით NMO-ის დიაგნოსტირების ყველაზე მნიშვნელოვანი მარკერია. ტიპური NMO-ის გარდა გვხვდება დაავადების განსხვავებული ფორმა - AQP4 უარყოფითი შემთხვევები. ასევე აღმოჩენილია ახალი ანტიგენური სამიზნე - მიელინის ოლიგოდენდროციტული გლიკოპროტეინი (MOG).

AQP4 დადებით პირებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ NMO-სთვის არც ისე იშვიათიატვინისა და ტვინის ღეროს სტრუქტურების დაზიანებაც, რამაც გააფართოვა NMO-ს კონცეფცია და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ცნება: ოპტიკური ნეირომიელიტის სპექტრის დაავადებები (NMOSD). ასევე საყურადღებოა ის, რომ MS წარმოადგენს უჯრედებით გაშუალებულ დაავადებას, ხოლო NMOSD-ის პათოგენეზი გაშუალებულია ჰუმორული იმუნიტეტით.

აღსანიშნავია, რომ MS-ისა და NMOSD-ის განსხვავებას აქვს არსებითი კლინიკური მნიშვნელობა,რადგან MS-ის სამკურნალო მრავალ წამალს შეუძლია დაამძიმოს NMO-ს მიმდინარეობა.

**Artak Matiniani**
**Mariam Shulaia**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Nino Buishvili**
Professor, Invited Lecturer,
Neurologist

## Neuromyelitis Optica Spectrum Disorders, their pathogenesis and major hallmarks of theirdistinguishment from MS

It has been long debated whether neuromyelitis optica (NMO) is a variant of multiple sclerosis (MS). Since the discovery of NMO-IgG/aquaporin-4 (AQP4) antibody, (an NMO-specific autoantibody to AQP4),some distinctive clinical features, and magnetic resonance imaging (MRI) and other laboratory findings characteristic of NMO, the latter has been considered to be an independent nosology. Presence of AQP4antibody is the principal laboratory finding for the diagnosis of NMO. A new antigenic target, myelin oligodendrocyte glycoprotein (MOG), has also been discovered recently.

It is noteworthy to mention that studies of AQP4 antibody-positive patients have revealed that the brain and brainstem lesions are also not uncommon in NMO. These findings have distended the NMO conceptinto 'NMO spectrum disorder' (NMOSD), and new criteria were published in 2015. Interestingly, whereas multiple sclerosis is mostly a cell-mediated disorder, the pathophysiology of NMOSD is thought to be primarily mediated by the humoral immune system. The inflammatory processes in NMOSD primarily target the astrocytes. Distinguishment between MS and NMOSD has a therapeutic impact, as it has beendemonstrated that many MS drugs can exacerbate NMO.

**Chidimma Okoli**
**Hiadzi Delight Ama**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Ketevan Kapanadze**
Doctor of Medicine,
Associate Professor

## Obesity a major risk factor in the development of cardiovascular diseases

Cardiovascular diseases (CVD) are the leading cause of mortality and a major contributor to disability worldwide. The prevalence of cardiovascular disease has increased tremendously over the past decades. According to Roth et al, 2020, prevalent cases of total CVD nearly doubled from 271 million in1990 to 523 million in 2019, with a steady increase

in mortality from 12.1 in 1990, reaching 18.6 million in 2019.

Despite advances in the fields of medicine, cardiovascular diseases still remain the leading cause of death worldwide especially in developing countries. Cardiovascular diseases include broad spectrum of conditions such as: coronary artery disease, heart failure, hypertension, cardiomyopathies, myocardial infarction, Cerebral vascular accident (CVA), arterial fibrillation and sudden cardiac death. Although a range of factors have been implicated in the pathogenesis of cardiovascular disease, obesityhas been identified as one of the major risk factor. Data collected in certain countries including Middle East, Oceania and North Africa indicated about 50% of adult population were obese compare to lower but alarming increase of 30% in North America and 20% in Europe (Ortega et al, 2018). This review seeks to establish the direct and indirect link between Obesity and cardiovascular diseases taking into consideration the effect of both the degree and the duration of obesity on the development of cardiovascular disease.

According to Koliaki et al 2019 “Direct effects are mediated by obesity-induced structural and functional adaptations of the cardiovascular system to accommodate excess body weight, as well as by adipokineeffects on inflammation and vascular homeostasis and Indirect effects are mediated by co-existing CVD risk factors such as insulin resistance, hyperglycemia, hypertension and dyslipidemia”. Another complication of obesity in the development of cardiovascular disease is the expansion of adipose tissue. The maladaptation of Adipose tissue produces both local and systemic effect. Locally it induces an inflammatory reaction, disregulation of adipokines and interferes with the function of mitochondria leading to hypoxia while the systemic effect is through abnormal glucose and lipid metabolism, insulin resistance, hypertension, endothelia dysfunction, pro inflammatory and pro thrombotic state.

Obesity is a complex health issue that is defined as a chronic metabolic condition with body mass index (BMI) value of 30 and above. BMI is individual’s weight in kilogram divided by the square of height in meters which gives an indication of an individual’s body fat. Based on BMI values Obesity is divided intothree classes: Class 1 with BMI of 30 to 35, class 2 BMI 35 to 40 and class three BMI > 40. Several factors have been implicated in the development of obesity including; genetics, behavioral and environmental factors. Life style pattern such as eating high calorie diet, greasy and fatty food, low nutrient food and beverages, misuse of medications and irregular sleep patterns, lack of physical activity or sedentary lifestyle over a period of time can contribute immensely to obesity. An individual’s community can also affect their ability to make healthy choices leading to increase in development of obesity. According to 10 years study conducted by Wei et al on 25714 men who were stratified into different BMI groups using internationally accepted standard, revealed that men who were obese but fit had a higher risk of cardiovascular disease mortality compared to their counterpart with normal weight. Furthermore in a study conducted in 2012 by Akil and Ahmad to determine the association between obesity and risk of cardiovascular disease in selected adults over a period of 8 years revealed a strong association between obesity and development of High Blood Pressure. The study also revealed that weight loss in obese individuals decreased blood pressure.

Obesity being a complex health issue requires a multidimensional approach as there is no single or simple management strategy. The government, local authorities, community leaders, schools, individuals and healthcare professionals must work together to combat this issue. There is an urgent need for the public health intervention in creating a supportive environment that promotes healthy living behavior with long term goal of reduction in obesity and its associated risk of cardiovascular diseases. It is imperative for preventive measure to be taking at individual, community and state level for.

**ელენე ქვაჩაკიძე**
**ქეთინო ვირკოვი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: მაია სვანიძე**
მედიცინისა და სტომატოლოგიის
სკოლის დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

## კოვიდ-ინფიცირებული რეანიმაციული პაციენტების მოვლისა და მენეჯმენტის ძირითადი ასპექტები

ვირუსი COVID-19 ახალი ვირუსია და ის უკავშირდება ვირუსების იმავე ჯგუფს, რომელსაც განეკუთვნება „მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი“ (SARS) და გაციების ზოგიერთი ფორმა პოსტ-მწვავე COVID-19.

შეთანხმებული დეფინიციის არარსებობის პირობებში, დღესდღეობით, პოსტ-მწვავე COVID-19 განისაზღვრება, როგორც მდგომარეობა, რომელიც გრძელდება 3 კვირაზე მეტ ხანს პირველი სიმპტომების აღმოცენების მომენტიდან, ხოლო ქრონიკული COVID-19 - დაავადება, რომელიც ხანგრძლივდება 12 კვირაზე მეტად. იმის გამო, რომ ამ პერიოდში ტესტირების შედეგები ხშირად შესაძლოა, ცრუ უარყოფითი იყოს, ტესტის დადებითი შედეგი არ წარმოადგენს დიაგნოზის დადასტურების აუცილებელ წინაპირობას.

ვირუსი ვრცელდება დაინფიცირებული ადამიანის რესპირაციულ წვეთებთან (რომელიც წარმოიქმნება ხველის ან დაცემინების დროს) უშუალო კონტაქტის გზით და ვირუსით დაინფიცირებულ ზედაპირებთან შეხებით. ვირუსი COVID-19 ზედაპირზე რამდენიმე საათს ძლებს,მაგრამ კვდება მარტივი დეზინფიცირებისას. სიმპტომებს შორის შეიძლება იყოს ტემპერატურის მატება, ხველა და სუნთქვის პრობლემები. უფრო მძიმე შემთხვევებში ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს პნევმონია ან სუნთქვის გაძნელება. შედარებით იშვიათ შემთხვევებში დაავადება შეიძლება იყოს სასიკვდილო.

ეს სიმპტომები ჰგავს გრიპის ან გაციების სიმპტომებს, რაც ბევრად უფრო

გავრცელებულია, ვიდრე COVID-19. ამიტომაც COVID-19 ვირუსით დაინფიცირების დასადასტურებლად აუცილებელია სპეციალური ტესტები. სრულიად გასაგებია, რომ ჩვენ შეშფოთებული ვიყოთ კორონავირუსის გამო, მაგრამ შიში და სტიგმა ისედაც რთულ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ მიერ განხორციელდა თბილისის ერთ-ერთ კოვიდ-კლინიკის რეანიმაციული განყოფილების პაციენტების სხვადასხვა საწყისი სიმძიმის მდგომარეობების პატრონაჟი. გამოკვლეულ იქნა მწვავე პოსტკოვიდურ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფების ზოგადი კლინიკური მდგომარეობა, მათი ჩივილები. დაკვირვება და ზედამხედველობა მიმდინარეობდა ორივე სქესის პაციენტებზე - 18-დან 84 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში.

საზოგადოებრივ ჯანდაცვაში წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციები სტრესულია ყველა იმ პირისთვის, ვისაც ის ეხება. მნიშვნელოვანია, რომ ვიყოთ ინფორმირებულები და ერთმანეთის მიმართ სიკეთითა და მხარდაჭერით განმსჭვალულები. სიტყვებს დიდი ძალა აქვს და იმგვარი ენისგამოყენებამ, რაც ამყარებს არსებულ სტერეოტიპებს, შეიძლება ადამიანი აიძულოს, უარი თქვას გამოკვლევაზე და საკუთარი თავისა და მათი გარშემო მყოფების დასაცავად აუცილებელ ზომებზე.

უკვე ცნობილია, რომ კოაგულოპათიური მდგომარეობა საწყის სტადიაზე უხშირესად ხასიათდება D დიმერისა და ფიბრინოგენის დონის მატებით, თუმცა შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს პროთრომბინის დროის, პარციალური თრომბოპლასტინის დროისა და თრომბოციტების რაოდენობის ცვლილებასაც.

ზოგადად, SARS-CoV-2 ინფექციის კლინიკური გამოვლინება მოზრდილ პაციენტებში, სიმძიმის მიხედვით, შესაძლოა, დაიყოს ოთხ ჯგუფად. თუმცა, ჯგუფებს შორის შეიძლება ადგილი ჰქონდესკრიტერიუმების თანხვედრას, ხოლო პაციენტის კლინიკური სტატუსი შეიცვალოს დროთა განმავლობაში. • ასიმპტომური ან პრესიმპტომური ინფექცია: პირები, რომელთაც ვირუსოლოგიური ტესტით (ანტიგენური ან მოლეკულური) უდასტურდებათ SARS-CoV-2 ვირუსის არსებობა, მაგრამ არ აღენიშნებათ COVID-19-სთვის დამახასიათებელი სიმპტომები. • მსუბუქი დაავადება: პირები, რომელთაც აღენიშნებათ COVID-19-სთვის დამახასიათებელი რომელიმე სიმპტომი (მაგ.: ცხელება, ხველა, ყელის ტკივილი, დაღლილობა, თავის ტკივილი, კუნთების ტკივილი, გულისრევა, ღებინება, დიარეა, ყნოსვისა და გემოს შეგრძნების დაკარგვა), მაგრამ არ აქვთ გამოხატული სუნთქვის გაძნელება, ქოშინი ან პათოლოგია გულმკერდის გამოსახვით კვლევაზე. • საშუალო სიმძიმის დაავადება: პირები, რომელთა კლინიკური სტატუსის შეფასების ან გამოსახვითი კვლევის დროს ვლინდება ქვემო სასუნთქი გზების დაავადების ნიშნები და რომელთა ჟანგბადის სატურაცია ზღვის დონეზე, ოთახის ჰაერის პირობებში ≥94% (SpO2 ≥94%). • მძიმე დაავადება: პირები, რომელთა SpO2 30/წუთში, ან სახეზეა ფილტვის ქსოვილის >50% ინფილტრაციული დაზიანება. • კრიტიკული დაავადება: პირები, რომელთაც გამოხატული აქვთ სუნთქვის უკმარისობა, სეპტიური შოკი და/ან მულტიორგანული დისფუნქცია. სწორედ ასეთ მძიმე კონტიგენტთან მუშაობის ძირითად და მნიშვნელოვან ასპექტებზე შეჩერდა ჩვენი ყურადღება.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ COVID 19 ინფექცია ასოცირებულია სხვადასხვა ხარისხის კოაგულოპათიურ გამოვლინებებთან. • კოაგულოპათიური მდგომარეობა საწყის სტადიაზე უხშირესად ხასიათდება D დიმერისა და ფიბრინოგენის დონის მატებით, თუმცა შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს პროთრომბინის დროის, პარციალური თრომბოპლასტინის დროისა და თრომბოციტების რაოდენობის ცვლილებასაც. • თრომბოემბოლიური გართულებების რისკის შემცირების მიზნით, ბინაზე პაციენტის მკურნალობის გადაწყვეტილების მიღებისას, რეკომენდირებულია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ვენური თრომბოემბოლიზმის ისეთი რისკ ფაქტორების გამოკითხვას, როგორიცაა: • მოტეხილობა ბოლო 2 კვირის განმავლობაში; • ორთოპედიული ქირურგიული ჩარევა ბოლო 2 კვირის განმავლობაში; • ორალური კონტრაცეფციული საშუალებების ან ჰორმონჩანაცვლებითი თერაპიის გამოყენება; • ორსულობა და მშობიარობის შემდგომი პერიოდი.

უკვე დადასტურებულია, რომ სუნთქვის კონტროლირებული ტექნიკა მოიცავს პოზიციის შერჩევას, ქისისებური ტუჩებით სუნთქვას, სუნთქვით ვარჯიშებს და კოორდინირებული სუნთქვის ტრენინგს. ·ქისისებური ტუჩებით სუნთქვის დროს პაციენტი ჩაისუნთქავს ცხვირით რამდენიმე წამის მანძილზე, შემდეგ ნელა, 4-6 წმ-ის მანძილზე, ამოისუნთქავს პირით, ქისისებურად მოკუმული ტუჩებით. ეს ტექნიკა პაციენტს ეხმარება დაძლიოს სუნთქვის გაძნელების შეგრძნება ვარჯიშის დროს. · მხრების რელაქსაცია და დაშვება ამცირებს მხრებში მოხრილ პოზას, რომელსაც პაციენტი იღებს სტრესის დროს. გამართული ჯდომა ზრდის ფილტვების პიკურ ვენტილაციას და ამცირებს ბრონქების ობსტრუქციას. · წინ გადახრა სკამის ზურგზე ან მუხლებზე დაყრდნობით, სავარაუდოდ, აუმჯობესებს აირცვლას. · სუნთქვის ტრენინგის მიზანია, დაეხმაროს პაციენტს სუნთქვაზე კონტროლის შეგრძნების დაბრუნებაში და გააძლიეროს სასუნთქი კუნთები. ფსიქოთერაპევტი და სპეციალურად გაწვრთნილი მედდა შეიძლება დაეხმარონ პაციენტს ტექნიკის სწავლებაში.

ჩვენი კვლევის პროცესში გამოიკვეთა საინტერესო და აქტუალური ფაქტები, რომელზეც დაწვრილებით მოგვიანებით შევჩერდებით, თუმცა ამ ეტაპზე უკვე დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ ვირუსის განსაკუთრებული ტოქსიკური გენეზიდან გამომდინარე, პაციენტების უმრავლეს ნაწილში ფიქსირდება მწვავე დისტრეს სინდრომი, მისი სხვადასხვა ვარიაბელური გამოვლინებით მსუბუქიდან მძიმე ფორმებამდე.

ამ ეტაპზე დადგენილია, რომ ნიშნებისა და სიმპტომების საფუძველზე COVID-19-ის დიფერენცირება საზოგადოებაში შეძენილი სასუნთქი გზების ინფექციებისგან შეუძლებელია;

**Elene Kvachakidze**
**Ketino Virkovi**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Maia Svanidze**
Doctoral Student in Medicine and Dentistry,
Invited Lecturer

## Key aspects of care and management of Covid-infected resuscitated patients

COVID-19 is a new virus and it is related to the same group of viruses that belong to the "severe acute respiratory syndrome" (SARS) and some forms of colds.Post-acute COVID-19 • In the absence ofan agreed-upon definition, post-acute COVID-19 is currently defined as a condition that lasts for more than 3 weeks from the onset of the first symptoms, while chronic COVID-19 is defined as a disease lasting more than 12 weeks. Because test results during this period can often be false negative, a positive test result is not a necessary prerequisite for confirmation of the diagnosis.

The virus is spread by direct contact with the respiratory droplets of an infected person (which occurs when coughing or falling sneezing) and by contact with surfaces infected with the virus. The COVID-19virus stays on the surface for several hours, but dies with simple disinfection. Symptoms may include fever, cough, and difficulty breathing. In more severe cases, the infection may cause pneumonia or difficulty breathing. In relatively rare cases the disease can be fatal.

These symptoms are similar to those of the flu or cold, which is much more common than COVID-19. Therefore, a special test is needed to confirm infection with the COVID-19 virus. It is quite understandable that we are concerned about the coronavirus, but fear and stigma complicate an alreadydifficult situation. complicate an already difficult situation.

Emergencies arising in public health are stressful for everyone to whom it relates. It is important to be informed , kind and supportive of one another. Words have great power and the use of language that reinforces existing stereotypes can force a person to give up research and take the necessary measuresto protect themselves and those around them.

The initial Coagulopathic condition is often characterized by increases in D-dimer and fibrinogen levels, although changes in prothrombin time, partial thromboplastin time, and platelet count may also occur. In general, the clinical manifestations of SARS-CoV-2 infection in adult patients may be divided into fourgroups according to severity. However, between groups, criteria may coincide and the patient's clinical status may change over time. • Asymptomatic or presymptomatic infection: Individuals who have a virological test (antigenic or molecular) confirm the presence of the SARS-CoV-2 virus but do not have the symptoms typical of COVID-19. • Mild illness: People who have any of the symptoms typical of COVID-19 (eg, fever, cough, sore throat, fatigue, headache, muscle aches, nausea, vomiting, diarrhea, loss of smell and taste), but no Have pronounced shortness of breath,

shortness of breath or pathology on chest imaging examination. • Moderate Disease: Individuals whose clinical status assessment or imaging studies show signs of lower respiratory tract disease and whose oxygen saturation at sea level is ≥94% (SpO2 ≥94%) in room air. • Severe disease: Individuals with SpO2 at 30 / min, or face> 50% infiltrative lesion of lung tissue. Critical illness: Individuals with severe respiratory failure, septic shock, and / or multiorgan dysfunction. These are just some of the goal setting shareware that you can use.

COVID19 infection is associated with varying degrees of coagulopathy. The initial coagulopathic condition is often characterized by elevated levels of D-dimer and fibrinogen, although changes in prothrombin time, partial thromboplastin time, and platelet count may also occur. • In order to reduce the risk of thromboembolic complications, when deciding to treat a patient at home, it is recommendedto pay special attention to the investigation of risk factors for venous thromboembolism, such as: • Fracture in the last 2 weeks; • Orthopedic surgery in the last 2 weeks; • Use of oral contraceptives or hormone replacement therapy; • Pregnancy and the postpartum period;

It has been proven that controlled breathing techniques include position selection, purse lip breathing, breathing exercises, and coordinated breathing training. When breathing through the lips, the patient inhales through the nose for a few seconds, then slowly, for 4-6 seconds, exhales through the mouth, with the lips closed. This technique helps the patient to overcome the feeling of shortness of breath during exercise. · Relaxation and access of the shoulders reduces the posture that bends at the shoulders that the patient assumes during stress. Proper sitting increases peak ventilation of the lungsand reduces bronchial obstruction. Leaning forward on the back or knees of a chair is likely to improve flexion. The purpose of breathing training is to help the patient regain a sense of control over breathingand to strengthen the respiratory muscles. A psychotherapist and a specially trained nurse can assist the patient in learning the technique.

Our study revealed interesting and topical facts, which we will discuss in more detail later, although atthis stage we can already say that due to the particularly toxic genesis of the virus, most patients have acute distress syndrome with its various variable manifestations from mild to severe.

It is now established that it is impossible to differentiate COVID-19 from community-acquired respiratoryinfections on the basis of signs and symptoms;

**გიორგი ანთაძე**
**გიორგი სახვაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: კოკა კაჭარავა**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ინფლიქსიმაბის როლი და უპირატესობები კრონის დაავადების მკურნალობის დროს

კრონის დაავადება არის საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მომცველი ქრონიკული მორეციდივე ანთებითი დაავადება; იგი შეიძლება განვითარდეს გასტროინტესტინალური ტრაქტის ნებისმიერ მონაკვეთში, პირის ღრუდან პერიანალურ არემდე, რომლის მორფოლოგიური სუბსტრატია გრანულომები - კვანძოვანი ჩანართები ლორწქვეშა გარსში.

კრონის დაავადებისთვის დამახასიათებელია დაზიანებული და ჯანმრთელი უბნების მონაცვლეობა (ნორმალური ლორწოვანი დაზიანებულ არეებს შორის). კედლის სრული სისქის ანთება ხშირად იწვევსფიბროზს, რომელიც თავის მხრივ ნაწლავის ობსტრუქციით ვლინდება. ანთება შეიძლება გადაიზარდოს სინუსის ტრაქტებში, რომელიც გადის სეროზულ გარსს და იწვევს პერფორაციასა და ფისტულების ჩამოყალიბებას.

დაავადების მკურნალობის მართვაში გამოიყენება მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მედიკამენტები და ხშირი ოპერაციები. დიდი სიტყვა თქვა მონოკლონური ანტისხეულების შექმნამ და მათმა გამოყენებამ კრონის ისეთი დაავადების მართვაში, როგორიც არის ინფლიქსიმაბი. იგი ქიმერული მონოკლონური ანტისხეულია, ადამიანისა და თაგვის წარმომავლობის ცილა, რომელიც მიმართულია სიმსივნის ნეკროზის ფაქტორის საწინააღმდეგოდ. პრეპარატი ინფლიქსიმაბი მოქმედებს ცილის აქტივობის ბლოკირების გზით, რომლებიც იწოდება ,,სიმსივნის ნეკროზის ალფა- ფაქტორად" (სნფ-α). ეს ცილა მონაწილეობს ორგანიზმში ანთებითი პროცესების განვითარებაში და მისი დაბლოკვა განსაკუთრებით ამცირებს ორგანიზმის ანთებით რეაქციას. კრონის დაავადების მქონე პაციენტებში მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა (როგორც კლინიკურმა, ისე ენდოსკოპიურმა) აჩვენა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ინფლიქსიმაბით მკურნალობის დროს, რომლის უპირატესობებია:

- მაღალაქტიური კრონის დაავადების განკურნება;
- კრონის დაავადების ბუნებრივი პროგრესირების შეცვლა;
- ლორწოვანის შეხორცებების ხელშეწყობა;
- გართულებების, ჰოსპიტალიზაციისა და ქირურგიული ჩარევის შემცირება.

**Giorgi Antadze**
**Giorgi Sakhvadze**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Koka Kacharava**
Doctor, Associate Professor

## The role and benefits of infliximab in the treatment of Crohn's disease

Crohn's disease is a chronic recurrent inflammatory disease of the gastrointestinal tract, it can developin any part of the gastrointestinal tract, from the oral cavity to the perianal area, the morphological substrate of which is granulomas - nodular inserts in the mucous membrane.

Crohn's disease is characterized by the alternation of damaged and healthy areas (between normal and damaged mucosal areas). Inflammation of the full thickness of the wall often causes fibrosis, whichin turn is manifested by intestinal obstruction. Inflammation can spread to the sinus tracts, which pass through the serous membrane and cause perforation and the formation of fistulas.

Drugs with many years of experience and frequent surgeries are used in the management of the disease. A very big word was said about the creation of monoclonal antibodies and their use in the management of Crohn's disease. Such as infliximab. It is a chimeric monoclonal antibody, a protein ofhuman and mouse origin, directed against tumor necrosis factor. Infliximab works by blocking the activity of a protein called 'tumor necrosis alpha-factor' (TNF-α). This protein is involved in the development of inflammatory processes in the body and its blocking especially reduces the inflammatory response of the body. Numerous studies (both clinical and endoscopic) in patients with Crohn's disease have shown significant improvement during treatment with infliximab. Whose advantages are:

- Cure of highly active Crohn's disease;
- altering the natural progression of Crohn's disease;
- Promoting mucosal healing;
- Reduction of complications, hospitalization and surgical intervention;

**გიორგი ბოკერია**
**ანა ჩლაიძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: ზაზა კაციტაძე**
მედიცინის დოქტორი,
პროფესორი

## ხელოვნური პარკუჭის თავისებურებები გულის უკმარისობისას

სტატისტიკურად მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული გულის დაავადებებია. სიკვდილიანობის ყველაზე მეტი პროცენტიც გულის ისეთ დაავადებებზე მოდის, როგორებიცაა: გულის ინფარქტები, სარქვლოვანი ნაკლოვანებები, გულის მწვავე უკმარისობა და სხვა. ამერიკის გულის ასოციაციის მონაცემებით, წლიურად დაახლოებით 17 მლნ-მდე ადამიანი იღუპება აღნიშნული დაავადებებით. აქედან ყოველ ხუთ პაციენტში 1 გულის უკმარისობით არის დაავადებული. დღეისათვის გულის უკმარისობის მკურნალობის რამდენიმე გზა არსებობს; ერთ-ერთი უახლესი და აქტიურად გამოყენებადი უცხოეთის ქვეყნებში არის ხელოვნური პარკუჭის იმპლანტაცია.

**ხელოვნური პარკუჭი -VAD**

ხელოვნური პარკუჭი, იგივე პარკუჭის დამხმარე მოწყობილობა (VAD_eng: Ventrical assist device), არის დამხმარე ელექტრომექანიკური ცირკულატორული აპარატი. იგი იმპლანტირებადი ტუმბოა, რომელიც ეხმარება პარკუჭს ან პარკუჭებს სისხლის გადატყორცნაში აორტასა თუ ფილტვის არტერიაში. პირველი ხელოვნური პარკუჭის მოდელი შექმნა ამერიკელმა კარდიოქირურგმა მაიკლ დეიბეკმა (1908-2008). დღეისათვის ეს ტექნოლოგია ბევრად შეიცვალა, დაიხვეწა და უკვე აქტიურად გამოიყენება კარდიოქირურგიაში, როგორც გულის მწვავე უკმარისობის მკურნალობის სტანდარტი.

იმპლანტაციის მიხედვით არსებობს ხელოვნური პარკუჭის 2 ტიპი: მონოვენტრიკულური (მარჯვენა ან მარცხენა პარკუჭში) და ბივენტრიკულური, როდესაც ორივე პარკუჭში ხდება იმპლანტირება.

**მექანიზმი**

ტუმბოს ერთეული მოთავსებულია მკერდზე. იგი იმპლანტირებულია ქირურგის მიერ გულის მწვერვალში, სადაც სისხლს იღებს. ტუმბო სისხლს აორტას აწვდის შემოვლითი გზით. ტუმბოს მიმაგრებული აქვს კაბელი და კონტროლის სისტემა (კონტროლერი). კაბელი გადის აპარატისგან მუცლის კანზე. სხეულის გარეთ კონტროლერში. კონტროლერი იღებს შეტყობინებას და აგზავნის სიგნალებს, რათა უზრუნველყოს სისტემის ფიზიოლოგიური პულსური მუშაობა. აპარატის კვება ხორციელდება სხეულის გარეთ მოთავსებული ბატარეებით.

**ჩვენებები:**

ხელოვნური პარკუჭი გამოიყენება:

- გულის მწვავე უკმარისობისას;
- გულის უეცარი ფიბრილაციისას;
- პაციენტის მოსამზადებლად ტრანსპლანტაციისთვის;

- გულის თერაპიისთვის - რათა ის გახდეს უფრო ძლიერი ტუმბო.

**ხელოვნური პარკუჭის პოსტიმპლანტაციური რისკები:**

პაციენტთა 10-15 %-ში შესაძლოა, განვითარდეს რიგი ისეთი პოსტოპერაციული გართულებები, როგორებიცაა: სისხლის უეცარი კოაგულაცია, ინფექცია, მარჯვენა წინაგულის უკმარისობა, სისხლდენა ან აპარატის მექანიზმის უეცარი მოშლა, რაც პრევენცირებული იქნება მისისისტემატური შემოწმებით.

ოპერაციის შემდეგ პაციენტს ენიშნება რეგულარული გამოკვლევები, რათა მოხდეს მისი კონტროლიდა საფრთხის არიდება.

**სისხლის ანალიზი** - ელექტროკარდიოგრამა; ელექტროკარდიორაფია; გულმკერდის რენტგენი.

**ხელოვნური პარკუჭი საქართველოში**

ხელოვნური პარკუჭის თავისებურებები განსაკუთრებულად არის შესწავლილი საქართველოში თსუ-ს მეცნიერების მიერ. ჩატარებულია მრავალი ექსპერიმენტული ოპერაცია, რომლებმაც წარმატებული შედეგები გამოიღო.

ხელოვნური პარკუჭის იმპლანტაცია, რომელიც გულის გადანერგვის ალტერნატივას წარმოადგენსსაქართველოში, შესაძლებელია 2019 წლიდან. ამაზე აქტიურად მუშაობს „ბოხუას კარდიოვასკულარული ცენტრის" კარდიოქირურგიული სამსახური; ისინი გერმანიისა და შვეიცარიის წამყვან კლინიკებთან კოლაბორაციით ჩაატარებენ პირველად ამ ოპერაციას. სწორედ აქედან, უკვე საქართველოშიც, გულის მწვავე უკმარისობის მკურნალობის ერთ-ერთი სტანდარტიგახდება ხელოვნური პარკუჭის იმპლანტაცია.

**დასკვნა:**

ხელოვნური პარკუჭის იმპლანტაცია რევოლუციაა თანამედროვე მედიცინაში. იგი აღკვეთს სიკვდილიანობას გულის მწვავე უკმარისობის მქონე პაციენტებში. ხელოვნური პარკუჭი უზრუნველყოფს ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის განვითარებას.

საქართველოში გულის ტრანსპლანტაციის ოპერაციები არ კეთდება; მსოფლიოში კი დონორების რაოდენობა მცირეა; ხელოვნური პარკუჭი ამ პრობლემებს დროებით თუ მუდმივად წყვეტს და აუმჯობესებს პაციენტის ცხოვრების ხარისხს. დღეისათვის ეს მოწყობილობები ზევრად გაიაფდა და პაციენტების ფართო სპექტრისთვის ხელმისაწვდომი იქნება მისი იმპლანტაცია.

**Giorgi Bokeria**
**Ana Chlaidze**
Tbilisi State University
One-Cycle Program
**Supervisor: Zaza Katsitadze**
Medical Doctor, Professor

## Artifical Heart (VAD) Features for Acute Heart failure Class D

In the world, Statistically The most common are heart diseases. The highest rates of death are due to heart disease. Diseases such as heart attacks, Valvular deficiencies, acute heart failure, etc. According to the American Heart Association, about 17 million people die each year from these diseases. Eeach one in five patients has heart failure. There are several ways to treat heart failure today; One of the newest and most actively used in foreign countries is this, artificial ventricular implantation.

### Artifical Ventricle -VAD

Artificial ventricle, the same ventricular assit device: (VAD_eng: Ventrical assist device) is an electromechanical circulatory device. It is an implantable pump that helps the ventricle or ventricles to pump blood to the aorta or pulmonary artery from the failed ventricles.The first model of the artificial ventricle was created by the American cardiac surgeon Michael Debaky (1908-2008). Today, this technology has changed a lot, refined and is already actively used in cardiac surgery as a standard of treatment for acute heart failure.

According to implantation, there are 2 types of artificial ventricles: monoventricular (in the right or left ventricle) and biventricular when implantation is performed in both ventricles.

### Mechanism:

The pump unit is placed on the chest. It is implanted by a surgeon at the apex of the heart where it receives blood. The pump delivers blood to the aorta in a circular manner. The pump has a cable and a control system (controller). The cable runs from the apparatus to the skin of the abdomen in controller out of the body.The controller receives notifications and sends signals to ensure the physiological pulsed operation of the system.The device is powered by batteries placed outside the body.

### Uses:

Vad is used for:

- Acute Heart failure
- Heart Fibrillatio
- Preparing for the transplantation
- Heart Therapy to be stronger.

### Post-implantation risks of artificial ventricle:

10-15% of patients may develop a number of postoperative complications, such as sudden blood clotting, infection, right atrial fibrillation, bleeding, or sudden disruption of the apparatus, which can be prevented by regular screening.

After the operation, the patient is prescribed regular examinations to control and avoid the danger:

Blood analysis; Electrocardiogram; Electrocardiography; Chest X-ray.

**Artificial ventricle in Georgia**

The peculiarities of the artificial ventricle are especially studied by TSU scientists in Georgia. Numerous experimental operations have been performed, which have yielded successful results.

Artificial ventricular implantation, which is an alternative to heart transplantation, will be possible in Georgia from 2020. They are actively working on this - the cardiac surgery service of the "Bokhua Cardiovascular Center", they will perform this operation for the first time in collaboration with leading clinics in Germany and Switzerland. From here, already in Georgia, artificial ventricular implantation will become one of the standards of treatment for acute heart failure.

**Conclusions:**

Artificial ventricular implantation is a revolution in modern medicine. It prevents mortality in patients with acute heart failure. The artificial ventricle ensures the development of medical tourism in the country.

There are no heart transplant surgeries in Georgia, and the number of donors in the world is small, artificial ventricles temporarily or permanently solve these problems and improve the patient's quality of life. To date, these devices have become much cheaper and a wide range of patients will have access to their implantation.

**Okoro Grace Nwamaka**
**Okoli Chidimma**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Zurab Chkhaidze**
Doctor, Professor

## Effect Of Covid-19 On Academic And Students' Performances

Pandemics are event of disease that causes loss of life with decrease in economy leading to negative effect on the society. Pandemics have been recorded in different periods throughout the history including bubonic plaque (Black Death), severe acute respiratory syndrome (SARS), Middle East Respiratory Syndrome (MERS) and Spanish flu. These events have impacted negatively on individual as well as society at large.

Presently the world is faced with another Pandemic Corona virus disease (COVID 19) which was seen first in Wuhan Province, China and has claimed many lives globally.

COVID-19 is viral infection caused by SARS - CoV-2, a new strain of coronavirus from the SARS-COV strains. It was declared a pandemic by the director general of World Health Organization on January 30 2020. It has also glimmered fears of a looming recession and economic crisis. Self-isolation, social distancing, social gathering and travel restrictions, controversial vaccines have led to abridged labor force across all economic sectors hence causing job loss. However, COVID 19 did not only have effect on the economy it also has effect on individual's health, psychology, emotion and education causing schools to shut down. While some sectors have suffered tremendously, some have significantly grown for instance, medical and food sector due to panic buying by individuals.

In this article the authors review the effects of COVID 19 on students based on their experience, peers experience, research and information gathered from around the globe to highlight the detrimental effects of COVID 19 pandemics on students and how institutions can respond better in future. 100 students were selected at random from different Universities in Tbilisi area of Georgia. The study finding revealed that COVID 19 has significant negative impact on both academic assimilation and performances of students. The COVID 19 epidemic has affected quite a number of students whose schools shut down have cut them, their teachers and their families by disbelief leading to loss of physical interaction in class or loss of studies altogether while some are trying online learning platforms with frequent problems in network as well as motivational trials.

The effect of COVID 19 on education cannot be over emphasized, although counter measures have been put in place to continue educating students but there has been increase in stress and anxiety among students. According to Mae 2020, COVID 19 have affected educational system not only China where the virus originated but also all other educational institutions across 188 countries. Mae also recommends the need for institutions to produce studies to proliferate and document impacts of pandemic on educational system and also the need to strengthen the syllabus and make it more responsive to future pandemics. The Ministry of education, science, culture and sports of Georgia proposed online learning platform for institutions in order to combat rapid spread of the virus among students as well as teachers and wider community. There is also global COVID 19 pandemic guidance for schools emphasizing on keeping the students, teachers, administrative staffs safe and physically fit. This includes; active communication about preventative measures, inspiring and encouraging staff and student to remain calm and home when they are sick, importance of face mask, frequent hand wash and regularly sanitizing their hands.

Furthermore In regards to medical field/courses, it has been the most hit considering the fact that medicine is work based not class base learning. Some courses which needed physical attendance for practical, suffered more with students having just visualized practice through videos done online, as this, was the method used, due to the mode of teaching, during this period. According to Joshua and Cornelius 2020, "the question of how to offer continuous excellent education remotely that does not support only learning but also psycho-social well being of both the teachers and the students is dangerous to active readiness and response". Therefore lack of research, guidance and planning of this effective

continuous education is calamitous as education on its own is psycho-social backing that encourages all inclusive well-being during disaster (Joshua and Cornelius 2020)

The effect of COVID-19 pandemic, as experienced by us the students, in our modern/computer age era, still didn't prepare us for what was coming, even with advancement in science, medicine and technology.

We experienced not only massive death occurrences throughout the globe, but also leaving a black hole in history that no matter how technologically advanced we are, there is need for improvement as with every case. Furthermore, the fight is against the Virus (Covid-19), which we are aware that viruses always changes form (replicates) it never stays in the form in which it attacks therefore, we are up against enormous fight as presently different strains are already springing out, further slowing down processes globally. This has led to countries adopting different counter measures such as: imposing curfew, restricting flights, switching to online mode( whether in education, government services, private services in order to reduce face to face meeting, making delivery services compulsory and reducing dining in at restaurant in addition to WHO guidelines which we are familiar with such as: washing hands with soap and under running water use of face mask, social distancing, use of hand Sanitizer and to mention a few: trying to curtail its further spread.

In conclusion, Corona virus disease pandemic has increased both tension and anxiety among students. The virus is communicable disease and very transmittable with severe signs and symptoms which contributes to panic and tensions among students. Investment in education based psycho social care social and emotional learning for children and youth will support their learning as psycho-social well- being is an important forerunner to education.

**რინა სელეპანოვა**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: მარინა ჩიქოვანი**
პროფესორი

## დღენაკლულთა რეტინოპათიის განვითარების პრევენცია, დროული დიაგნოსტიკა, მართვა დამკურნალობა

რა არის რეტინოპათია? ვინ შედის რისკ გუფში? მიზეზები;
პათოგენეზი; დიაგნოსტიკა; პროფილაქტიკა;მკურნალობა.

საკითხი აქტუალურია, რადგან რეტინოპათიის მკურნალობის ეფექტურობა და შედეგი დამოკიდებულია დროულ დიაგნოსტიკასა და ჩარევაზე. დღენაკლულთა რეტინოპათია მსოფლიოში სოციალური მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენს და ბავშვთა სიბრმავის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია. რეტინოპათია

ნაადრევად დაბადებულ ახალშობილებში ბადურა გარსის სისხლძარღვების პათოლოგიური განვითარებით მიმდინარე დაავადებას გულისხმობს; მისი პრევენცია მხოლოდ დროული დიაგნოსტირებითა და სათანადო მკურნალობით არის შესაძლებელი. ხშირად რეტინოპათია ორივე თვალზე ერთდროულად მიმდინარეობს და მისი განვითარება საშუალოდ სიცოცხლის მეოთხე კვირაში იწყება.

დღენაკლული ბავშვის დაბადებისას სავალდებულოა ოფთალმოლოგიური შემოწმება, რათა მოხდესრეტინოპათიის დროული დიაგნოსტირება, დაავადების სტადიის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელი მკურნალობის ჩატარება, რათა თავიდან ავიცილოთ ბადურა გარსის ჩამოშლით გამოწვეული სიბრმავე.

**Irina Selepanova**
Tbilisi State Medical University
One-Cycle Program
**Supervisor: Marina Chikovani**
Professor

## Retinopathy of premature- diagnosis and treatment

What is retinopathy? Who is in the risk group? Reasons

Pathogenesis Diagnosis Prevention Treatment

Retinopathy of prematurity is a problem of social importance in the world and is one of the most common causes of blindness in children. Retinopathy refers to an ongoing disease with abnormal development of retinal blood vessels in premature infants, which can only be prevented with timely diagnosis and appropriate treatment.

Often retinopathy occurs in both eyes at the same time and its development begins in the fourth week of life on average.

At the birth of a premature baby, an ophthalmological examination is mandatory to diagnose retinopathy in time, assess the stage of the disease and, if necessary, carry out emergency treatment to prevent blindness caused by retinal detachment

**ლენა ჩანტლაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: ლია ხორბალაძე**
ასისტენტ-პროფესორი

**თრომბექტომიის როლი ინსულტის მკურნალობაში**

საქართველოში აღინიშნება თავის ტვინის ვასკულური დაავადებების ზრდის ტენდენცია. 1999 წლიდან თავის ტვინის ვასკულური დაავადებები 100 000 მოსახლეზე შეადგენდა 222,4-ს, ხოლო 2005 წელს - 344,7-ს; ახალი შემთხვევების რაოდენობა კი 84,7- დან 111,3-მდე გაიზარდა. გაერთიანებულ სამეფოში სიკვდილიანობის ყველაზე გავრცელებულ მიზეზთა შორის ინსულტი მესამე, ხოლო ავსტრალიაში - მეორე ადგილზეა. ამერიკაში ინსულტის შემთხვევები უფრო მაღალია შავი რასის მოსახლეობაში, ვიდრე - თეთრ რასაში. პაციენტებში ინსულტის ადრეულ ეტაპზე ეფექტურ მართვას შეუძლია ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება, თუმცა ადრეული მართვა შეუძლებელია დროული დიაგნოსტირებისა და შეფასების გარეშე. ინსულტი კლასიფიცირდება 3 ტიპად: იშემიური, ჰემორაგიული, ტრანზიტორული. ინსულტის რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს: ასაკი, სქესი, არითმია, შაქრიანი დიაბეტი, მიოკარდიუმის ინფარქტი, ათეროსკლეროზული ცვლილებები. იშემიური ინსულტი ხასიათდება სისხლის ნაკადის უეცარი შეწყვეტით, რაც გამოიხატება ნევროლოგიური ფუნქციების დაკარგვით. მწვავე იშემიური ინსულტი გამოწვეულია ცერებრული არტერიის თრომბული ან ემბოლიური ოკლუზიით და შედარებით ხშირად გვხვდება, ვიდრე ჰემორაგიული. ინსულტის ძირითად ნიშნებსა და სიმპტომებს მიეკუთვნება: ჰემიპარეზი, მონოპარეზი ან (იშვიათად) ტეტრაპარეზი. ჰემისენსორული დეფიციტი, მხედველობის დაკარგვა, მონოკულური ან ბინოკულური ვიზუალური დეფიციტი, მხედველობის არეალის დეფიციტი, დიპლოპია, დიზართრია და ა.შ. იმისათვის, რომ შეფასდეს მწვავე იშემიური ინსულტი, დიაგნოსტირებისთვის აუცილებელია თავის ტვინის გადაუდებელი ვიზუალიზაცია - არაკონტრასტული კომპიუტერული-ტომოგრაფია(ct) - ეს არის მეთოდი, რომელიც შედარებით ხშირად გამოიყენება ნეიროვიზუალიზაციის შესაფასებლად. შემდეგი მეთოდი ნეიროვიზუალიზაციის ეს არის მეთოდი, რომელიც გამოიყენება ასევე გადაუდებელ შემთხვევებში: CT-ანგიოგრაფია და CT სკანირება პერფუზია, მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია, საძილე არტერიის დუპლექს სკანირება, დიგიტალური სუბტრაქციული ანგიოგრაფია. მწვავე იშემიური ინსულტის მკურნალობის ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს თრომბექტომია ენდოვასკულური მეთოდით. ამ ჩარევით ხდება თრომბის მოშორება. შემაჯამებელ ანალიზზე დაყრდნობით, მედიკამენტური მკურნალობის ფონზე, ენდოვასკულური თერაპია მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დადებითი გამოსავლის ალბათობას. მეტა-ანალიზი ეთანხმება გვიან თრომბექტომიას იმ შერჩეულ პაციენტებში, რომელთაც აქვთ ინსულტი. AURORA-ს კვლევამ აჩვენა, რომ 100 პაცინეტიდან, რომელთაც გაუკეთდათ თრომბექტომია, 33 პაციენტში აღინიშნა ქმედუნარიანობის დაქვეითების შედარებით ნაკლები ხარისხი, ხოლო 27 პაციენტში კი მოხდა

დამოუკიდებელი ფუნქციონირების აღდგენა შედარებით იმ პაციენტებთან, ვისაც ჩაუტარდათ მხოლოდ სტანდარტული მედიკამენტოზური მკურნალობა. ფაქტობრივად, აღნიშნული ჩარევის ეფექტურობა შედარებით მაღალი იყო იმ პაციენტებში, რომლებიც მიმართვადნენ გვიანი ''ფანჯრის" ბოლო ეტაპზე.

**Lena Chantladze**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Lia Khorbaladze**
Assistant Professor

## The role of Thrombectomy in Stroke Treatment

In Georgia there is a tendency of growth of cerebral vascular disease.In 1999 cerebral vascular disease case was 222,4 in 100000 and ic 2005 it was 344,7. New cases grew from 84,7 to 111,3. In Great britain death cases coused by stroke is in the third place and in Australia it has second place.In America strokecases is much more higher in black rase,than in white rase. Managing stroke in the early stage can help to reduce death indicator but managing stroke in the early stage is impossible without diagnosis. Stroke is classified to the three type.Ischemic, Hemorrhagic and Transitional. The risk–factor of stroke are : Age, Gender, Arrhythmia, Diabetes, Myocardial infarction and Atherosclerosis changes. Ischemic stroke is characterized by the sudden loss of blood circulation to an area of the brain, resulting in a corresponding loss of neurologic function. Acute ischemic stroke is caused by thrombotic or embolic occlusion of a cerebral artery and is more common than hemorrhagic stroke. Common stroke signs and symptoms include the following: Abrupt onset of hemiparesis, monoparesis, or (rarely) quadriparesis. Hemisensory deficits, Monocular or binocular visual loss, Visual field deficits, Diplopia, Dysarthria, Facial droop, Ataxia, Vertigo (rarely in isolation), Nystagmus, Aphasia, Sudden decrease in level ofconsciousness. Emergent brain imaging is essential for evaluation of acute ischemic stroke. Noncontrast computed tomography (CT) scanning is the most commonly used form of neuroimaging in the acute evaluation of patients with apparent acute stroke. The following neuroimaging techniques may also be used emergently.CT angiography and CT perfusion scanning, Magnetic resonance imaging (MRI), Carotid duplex scanning, Digital subtraction angiography. The method of treatment of acute ischemic stroke is endovascular thrombectomy. This intervention removes the thrombus.Compared with best medical treatment alone, endovascular therapy (EVT) significantly increases the likelihood of favorable outcome. Meta-Analysis Supports Late Thrombectomy in Selected Stroke Patients.Results of the AURORA analysis showed that for every 100 patients treated with thrombectomy, 33 patients will have less disability, and 27 patients will achieve independent level of functioning compared to patients who receive standard medical care only.In fact, the benefit of intervention was greater for patients who presented in the latter part of the late time window.

**მაია სვანიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
**ხელმძღვანელი: იამზე თაბორიძე**
პროფესორი

## ტროპოსფეროს ოზონის გავლენა კოვიდინფიცირების შემთხვევებთან თბილისში

რომის პაპმა ამჟამინდელი პანდემია მიამსგავსა „უკანასკნელ ხანძრებსა და წყალდიდობებს“, რომლებიც ბუნების უკუკავშირი იყო კლიმატის ცვლილებაზე. მან აღნიშნა, რომ „ესპანურ ენაში არსებობს ასეთი გამოთქმა: ‘ღმერთი ყოველთვის პატიობს, ჩვენ ხანდახან ვპატიობთ, მაგრამ ბუნებაარასდროს გვპატიობს“.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ კორონავირუსის პანდემია მსოფლიოში 2019-წელს დაიწყო. პანდემიის კერად მიჩნეულია ჩინეთის ხუბეის პროვინციის ქალაქ უხანის ზღვის პროდუქტებისა დაცხოველების ბაზრობა. ახალი, მანამდე უცნობი ვირუსული შტამის გავრცელებაზე ეჭვი გაჩნდა მას შემდეგ, რაც ხუბეის პროვინციაში 41 ადამიანს დაუდგინდა პნევმონია ყოველგვარი გამოკვეთილი მიზეზის გარეშე. ვირუსის გავრცელება ხდება ადამიანიდან ადამიანზე და იწვევს სასუნთქი გზების მძიმე დაავადებებს. დაავადების გართულებები მოიცავს პნევმონიას, სუნთქვის უკმარისობას, სასუნთქი გზების მწვავე დისტრეს-სინდრომს, თირკმლის უკმარისობას, რასაც თან ახლავს ფატალური გამოსავლის რისკი. SARS-CoV-2 ვირუსის მიერ გამოწვეულ დაავადებას მიენიჭა სახელი - COVID-19.

ჩვენ ვცხოვრობთ გლობალური ჯანდაცვის კრიზისის ფონზე – მსგავსი პანდემია 100 წელზე მეტია არ განუცდია მსოფლიოს. ესპანურმა გრიპმა 1918 წელს მსოფლიოს გარშემო დაახლოებით 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა იმ პერიოდში, როდესაც სამყარო თითქოს ცდილობდა მსოფლიო ომით მიღებული ზარალისგან თავის დაღწევას. გარდა ამისა, ის წარუმატებელი აღმოჩნდა არსებული სოციალური და ეკონომიკური უთანსწორობის შემცირებაში, რაც დღემდე აზიანებს მსოფლიოს.

განსხვავებით ყველაფრისგან, რაც გაეროს არსებობის 75-წლიან ისტორიაში ვიხილეთ, კოვიდ ფენომენმა, ფაქტობრივად, ნიღაბი ჩამოაგლიჯა ცივი ომის შემდგომ დამკვიდრებულ ნეო-ლიბერალურ რეჟიმს. ამ პანდემიამ გამოამჟღავნა ჩვენი გლობალური ხანის სისუსტე და ცვალებადი იდენტობების ფარული ბუნება. გლობალურ კაპიტალიზმზე, მეტროპოლიტენებზე, გლობალური ბაზრების მჭიდროდ ათვისებულ ჰაბებზე, ტექნოლოგიაზე, ვაჭრობაზე, სხვადასხვა სამუშაო ძალაზე თავდასხმით პანდემიამ, ფაქტობრივად, გასაქანი მისცა დედამიწის ბიოსფეროს.

თანამედროვე მიდგომების მიხედვით, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასებისა და ნორმირებისათვის გამოიყენება მტვრის მყარი ნაწილაკების დიფერენციაცია ფრაქციებად მათი აეროდინამიკური დიამეტრის ზომის შესაბამისად. კერძოდ, PM10 (ნაწილაკები აეროდინამიკური დიამეტრით 10 მკმ) და PM2.5 (ნაწილაკები აეროდინამიკური დიამეტრით 2.5 მკმ). სწორედ ეს

უკანასკნელნი მიიჩნევა ყველაზე საშიშად ჯანმრთელობისათვის, რადგან შესწევთ უნარი, შეაღწიონ ბრონქიოლების პერიფერიულ უბნებში და ხელი შეუშალონ ჰაერცვლას ფილტვების შიგნით. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ეროვნული სტანდარტები (NAAQS) დადგენილია ექვსი ძირითადი დამაბინძურებლისთვის, რომლებიც ცნობილია როგორც კრიტერიუმები დამაბინძურებლები. ეს არის ნახშირბადის მონოქსიდი, ტყვია, აზოტის დიოქსიდი, ნაწილაკები (ძალიან მცირე მყარი ან თხევადი ნაწილაკების საჰაერო ხომალდები), გოგირდის ოქსიდები და მიწისოზონი (ოზონი პირდაპირ არ გამოდის ჰაერში, მაგრამ წარმოიქმნება მზის სხივების ზემოქმედებით აზოტის ოქსიდები და აქროლადი ორგანული ნაერთები). ნაწილაკების ორი კატეგორიაა: 10 მიკრომეტრი (მკმ) ან ნაკლები (1 მკმ = 10m6 მეტრი) და 2.5 მკმ ან ნაკლები ზომებით.

ჰაერის დაბინძურება, ატმოსფეროში სხვადასხვა გაზების გამოყოფა, წვრილად გაყოფილი მყარი

ნივთიერებები, ან წვრილად დისპერსიული თხევადი აეროზოლები ისეთი სიჩქარით, რომლებიც აჭარბებს გარემოს ბუნებრივ შესაძლებლობას მათი გაფანტვისა და განზავების ან შთანთქმისთვის. ამ ნივთიერებებმა შეიძლება მიაღწიონ ჰაერში კონცენტრაციებს, რაც იწვევს არასასურველ ჯანმრთელობას, ეკონომიკურ ან ესთეტიკურ ეფექტებს.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენ მიერ მიმდინარეობს ტროპოსფეროს (მიწისპირა) ოზონის დონისა

და სხვადასხვა არაინფექციური და ინფექციური დაავადებების სიხშირეს შორის თბილისში. მიმდინარე არაორდინალური სიტუაციიდან გამომდინარე, როდესაც კოვიდ-პანდემიამ მოიცვა ჩვენი ცხოვრების ყველა მხარე, დავინტერესდით, შეიძლებოდა თუ არა გვემსჯელა კოვიდ-ინფიცირებულობის სიხშირესა და ტროპოსფეროს ოზონს შორის კავშირზე. ჩვენ მიერ ჩატარდა ეპიდემიოლოგიური კვლევა ტროპოსფეროს ოზონის დონესა და კოვიდინფიცირებულების შემთხვევათა სიხშირეს შორის თბილისში.

კვლევა მიმდინარეობდა გერმანული წარმოების ოზონომეტრის აპარატით, სამ-სამ წუთიანი სიხშირით ყოველ ერთ საათში, თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ყოველ დღე, უწყვეტ რეჟიმში. წარმოგიდგენთ მასალას, თუ როგორ იცვლებოდა კოვიდინფიცირებულობის შემთხვევების სიხშირე თბილისში თვეების მიხედვით. საბოლოო შედეგის დასაზუსტებლად კი გამოყენებულ იქნა ე.წ. პირსენის ფორმულა, რომლის საშუალებითაც ამ ეტაპზე დადგინდა საინტერესო შედეგი - ტროპოსფეროს ოზონის დონის შემცირებისას კოვიდინფიცირების დონეც მცირდება.

თუმცა, საბოლოო დასკვნების გამოტანა ამ ეტაპზე შეუძლებელია. საკითხი ჯერ ისევ კვლევისპროცესშია.

**Maia Svanidze**
Caucasus International University
Doctoral Studies
**Supervisor: Iamze Taboridze**
Professor

## Impact of troposphere ozone on covidinization cases in Tbilisi

The Pope described the current pandemic as "the last fires and floods" that were nature's response toclimate change. He noted that "there is an expression in Spanish: 'God always forgives, we sometimes forgive, but nature never forgives us.'

It is well known that the coronavirus pandemic, which began in 2019, hit the world. The pandemic center is considered to be the seafood and animal market in Wuhan, Hubei Province, China. The suspicion of spreading a new, previously unknown viral strain, arose after 41 people in Khubei province were diagnosed with pneumonia for no apparent reason. The virus spreads from person to person and causes severe respiratory diseases. Complications of the disease include pneumonia, respiratory failure, acute respiratory distress syndrome, renal failure, and the risk of fatal outcome. The disease caused by the SARS-CoV-2 virus has been named COVID-19.

We live in the midst of a global health crisis - a similar pandemic the world has not experienced for more than 100 years. The Spanish flu in 1918 claimed the lives of approximately 50 million people around the world at a time when the world seemed to be trying to escape the damage done by World Wa. In addition, it has failed to reduce the existing social and economic inequality that still poisons theworld.

Unlike everything we have seen in the 75-year history of the UN, the Covid Phenomenon has, in fact, dismantled the neo-liberal regime established after the Cold War. This pandemic has exposed the weakness of our global age and the hidden nature of changing identities. By attacking global capitalism, subways, densely populated hubs of global markets, technology, trade, various workforces, the pandemic has, in fact, swept the earth's biosphere.

According to modern approaches, differentiation of solid dust particles into fractions, according to their aerodynamic diameter size are used to assess and normalize the impact on human health. Namely, PM10 (particles with an aerodynamic diameter of 10 μm) and PM2.5 (particles with an aerodynamic diameter of 2.5 μm). The latter are considered the most dangerous to health because they have the ability to penetrate into the peripheral areas of the bronchioles and prevent airway into the lungs. Theseare carbon monoxide, lead, nitrogen dioxide, particles (very small solid or liquid particles in the air), sulfur oxides, and ground ozone (ozone does not escape directly into the air but is formed by exposure to sunlight, nitrogen oxides, and volatile organic compounds. There are two categories of particles: 10 micrometers (μm) or less (1 μm = 10m6 meters) and 2.5 μm or less in size.

Air pollution, the release of various gases into the atmosphere, finely divided solids, or finely dispersed liquid aerosols at speeds that exceed the natural capacity of the environment to

disperse and dilute or absorb them. These substances can reach concentrations in the air, causing undesirable health,economic or aesthetic effects.

For several years now, we have been conducting between the troposphere (surface) ozone level and the incidence of various non-infectious-infectious diseases in Tbilisi. Given the current unorthodox situation, when the Covid-Pandemic swept through all aspects of our lives, we wondered if we could judge the frequency of Covid-pandemics and the relationship between ozone and the troposphere ozone. We conducted an epidemiological study between the troposphere ozone level and the frequencyof co-infected cases in Tbilisi.

The study was conducted with a German-made ozonometer at a frequency of three to three minutes every hour, in the Vake-Saburtalo district of Tbilisi, every day, continuously. Here is the material on how the frequency of co-infection cases in Tbilisi varied by months. To confirm the final result, the so-called Piersen formula was used, which was used to determine the interesting result - the level of covidination decreases when the ozone level of the troposphere decreases too.

However, to draw final conclusions at this stage is impossible. The issue is still under investigation.

**მარიამ ცხონდია**
თბილისის სახელმწიფოსამედიცინო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: თამთა კუჭუხიძე**
ასისტენტ-პროფესორი

## მოცირკულირე მიკრო-რნმ-ის მნიშვნელობა, კარდიოვასკულური დაავადების დროს

გენთა ექსპრესიის ცვლილებაში, რომელიც პათოგენეზის მნიშვნელოვანი ფაქტორია, უკანასკნელ პერიოდში აქტიურად განიხილება მიკრო-რნმ-ების როლიც. მიკრო-რნმ (miRNA) ერთჯაჭვიანი მოკლე, არამაკოდირებელი მოლეკულაა, რომელიც გამოვლენილია სხვადასხვა ქსოვილში, მათ შორის - სისხლში. მიკრო-რნმ, ტრანსლაციის პროცესის მოდულაციის ან მაკოდირებელი რნმ-ის დეგრადაციის გზით, გენების პოსტტრანსკრიპციული ექსპრესიის რეგულატორია. მიკრო-რნმ-ების ჩართულობა გულის განვითარების პროცესში, ასევე მათი რაოდენობის ცვლილებები გულ-სისხლძარღვთა სხვადასხვა დაავადებების დროს, მიუთითებს მათ როლზე ამ დაავადებათა პათოგენეზში. იდენტიფიცირებულია სხვადასხვა კარდიოვასკულური დაავადების კანდიდატი მიკრო-რნმ-ები:

- miR1, miR133a, miR208a, miR499 - მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევებში;
- miR1, miR133, miR328 - წინაგულოვანი და პარკუჭოვანი არითმიების

შემთხვევებში;

- miR21, miR29 - ფიბროზების შემთხვევებში;
- miR208, miR133 - პარკუჭების ჰიპერტროფიის შემთხვევებში.

მიკრო-რნმ-ების ტრანსკორონარული კონცენტრაციული გრადიენტების განსაზღვრამ პროქსიმალურ აორტასა და კორონარულ ვენურ სინუსს შორის პაციენტებში მწვავე კორონარული სინდრომით აჩვენა მოცირკულირე მიკრო-რნმ-ების - miR499, miR133 და miR208 - კონცენტრაციის მნიშვნელოვანი მატება. კონცენტრაციების აღნიშნული მატება კორელაციაში იყო ტროპონინ-დადებით სტატუსთან, მოცირკულირე მიკრო-რნმ-ების კონცენტრაციის ზრდა არ დაფიქსირდა იმ პაციენტებში, რომლებსაც არ აღენიშნებოდათ ტროპონინის დონის აწევა. პაციენტებში მწვავე კორონარული სინდრომით, რომელთაც დაუფიქსირდათ მიოკარდიუმის ინფარქტი, გამოვლენილი იქნა მიკრო-რნმ-ების - miR1, miR133 და miR208 - კონცენტრაციის მნიშვნელოვანი მატება იმ პაციენტებთან შედარებით, რომელთაც აღენიშნებოდათ არასტაბილური ანგინა. კარდიომიოციტების დაზიანება, თავის მხრივ, იწვევს ეგზოსომების გაძლიერებულ სეკრეციას, რომლებიც შეიცავენ მიკრი-რნმ-ებს - miR133 და miR499. მიკრო-რნმ-ების ინტრაუჯრედული დონე მეტად ინფორმატიულია კარდიომიოციტის დაზიანების საპასუხოდ განვითარებული მარეგულირებელი მექანიზმების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ miR126-ის ტრანსკორონარული გრადიენტი დაქვეითებული აღმოჩნდა სხვა მიკრო-რნმ-ების მომატებული კონცენტრაციის ფონზე, რაც განპირობებული უნდა იყოს დაზიანებული მიოციტის მიერ გამოყოფილი პროტეაზებით და/ან რნმ-აზებით, აგრეთვე - მიკრო-რნმ-ებთან ასოცირებული ცილების არასპეციფიკური დეგრადაციით. არსებობს ალტერნატიული მოსაზრებაც, რომ miR126 წარმოადგენს სასიგნალო მოლეკულას, რომელიც აქტიურად მიიტაცება კარდიომიოციტის მიერ.

მიკრო-რნმ-ებზე დაფუძნებული თერაპიის შესაძლებლობა კარდიოვასკულური დაავადებების მართვის ეფექტიანი ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს. შემუშავების პროცესშია მიკრო-რნმ მიმეტური და ანტი მიკრო-რნმ პრეპარატები. აქტიური კვლევები გრძელდება მიკრო-რნმ-ების სეკრეციის კლირენსისა და მათი ფუნქციების დაზუსტების მიზნით კარდიო-ვასკულური დაავადებების დროს. აღნიშნული პერსპექტივაში მიკრო-რნმ-ების, როგორც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სადიაგნოსტიკო და პროგნოსტული ბიომარკერების გამოყენებას გულისხმობს.

**Mariam Tskhondia**
Tbilisi State Medical University
One-Cycle Program
**Supervisor: Tamta Kutchukhidze**
Assistant Professor

## Importance of circulating micro-RNA in cardiovascular disease

The role of micro-RNAs has recently been actively discussed in altering gene expression, which is an important factor in pathogenesis. A microRNA (miRNA) is a short, non-coding molecule found in various tissues, including the blood. Micro-RNA, by modulating the translation process or degrading coding RNA, is a regulator of posttranscriptional expression of genes. The involvement of micro-RNAs in the development of the heart, as well as changes in their number in various cardiovascular diseases, indicate their role in the pathogenesis of these diseases. Micro-RNAs of various cardiovascular diseases have been identified:

- miR1, miR133a, miR208a, miR499 - in cases of myocardial infarction;
- miR1, miR133, miR328 - in cases of atrial and ventricular arrhythmias;
- miR21, miR29 - in cases of fibrosis;
- miR208, miR133 - in cases of ventricular hypertrophy.

Determination of transcoronary concentration gradients of microRNAs between the proximal aorta and coronary venous sinus showed a significant increase in the concentration of circulating microRNAs in patients with acute coronary syndrome - miR499, miR133 and miR208. This increase in concentrations correlated with troponin-positive status; no increase in circulating microRNA concentrations was observed in patients who did not experience a rise in troponin levels. In patients with acute coronary syndrome who have been diagnosed with myocardial infarction, a significant increase in the concentration of microRNAs - miR1, miR133 and miR208 - was observed compared with patients with unstable angina. Damage to cardiomyocytes, in turn, results in increased secretion of exosomes containing microRNAs miR133 and miR499. Intracellular levels of micro-RNAs are highly informative ofthe regulatory mechanisms developed in response to cardiomyocyte damage. It should also be noted that the transcoronary gradient of miR126 was impaired due to the increased concentration of other micro-RNAs, which should be due to proteases and / or RNAs released by damaged myocytes, as well as nonspecific degradation of proteins associated with micro-RNAs. There is also an alternative view that miR126 is a signaling molecule that is actively captured by the cardiomyocyte.

The possibility of micro-RNA-based therapy could become an effective tool for the management of cardiovascular disease. Micro-RNA mimetic and anti-micro-RNA preparations are under development. Active studies are ongoing to determine the clearance of micro-RNA secretions and their functions in cardiovascular disease. This perspective implies the use of micro-RNAs as diagnostic and prognostic biomarkers of cardiovascular disease.

**ნინაკა ბერძენიშვილი**
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელები:**
**მაგდა დავითაშვილი**
ბიოლოგიის დოქტორი, პროფესორი
**ანა ბერძენიშვილი**
გეოგრაფიის დოქტორი, პროფესორი

# ჯანსაღი კვება და ჯანმრთელი სიბერე

ჯანსაღი, ფიზიოლოგიურად სრულფასოვანი ანუ რაციონალური კვება ადამიანის ჯანმრთელობის საფუძველია. სწორი კვება უზრუნველყოფს ორგანიზმის სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფუნქციის შესრულებას. ჯანსაღი კვება გვეხმარება გარემოს მავნე ფაქტორებისათვის წინააღმდეგობის გაწევაში, ხელს უწყობს იმუნიტეტის შენარჩუნებას, ფიზიკურსა და გონებრივ განვითარებას, შრომისუნარიანობის ზრდას, ჯანმრთელ ნერვულ-ფსიქიკურ მდგომარეობას, სიცოცხლის გახანგრძლივებას, მთლიანობაში კი – ჯანმრთელობის შენარჩუნებას. სიბერე კანონზომიერი პროცესია, ორგანიზმის ასაკობრივი განვითარების გარდაუვალი ეტაპი. სიცოცხლის მთელი გზა, დაბადებიდან სიკვდილამდე, ჩვენს გენებშია ჩადებული, ასევე, სიცოცხლის ხანგრძლივობაც. სიბერე და სიკვდილი დაპროგრამებულია, მაგრამ ადამიანის ხელშია დაბერების პროცესის დამუხრუჭება, ანუ ადრეული სიბერის დადგომის გადავადება, რომელსაც იწვევს გარემოს არახელსაყრელი პირობები, მავნე ჩვევები, არაბალანსირებული კვება.
სასიცოცხლო პროცესების ოპტიმალურად წარმართვის ხელშეწყობა ბედნიერი და ხანგრძლივი ცხოვრების უზრუნველყოფის საწინდარია.
კვლევის მიზნად დავისახეთ სტუდენტების გამოკითხვა კვებითი ჩვევების შეფასების კითხვარის მეშვეობით, რაც სტუდენტებს დაგვეხმარება, შევაფასოთ,თუ რამდენად ჯანსაღია ჩვენი ყოველდღიური კვება და როგორ შეიძლება კვებითი ჩვევების გაუმჯობესება.

**Ninaka Berdzenishvili**
Telavi State University
Postgraduate Studies
**Supervisors:**
**Magda Davitashvili**
Doctor of Biology, Professor
**Nana Berdzenishvili**
Doctor of Geography, Professor

## Healthy eating and healthy aging

Healthy, physiologically complete, or rational nutrition is the basis of human health. A proper diet ensures the fulfillment of all the important functions of the

organism. A healthy diet helps a body resist the harmful factors of the environment, maintain immunity, supports physical and mental development, increases working capacity, stabilizes nervous-mental state, provides longevity, and overall health.

Aging is a natural process, an inevitable stage in the age development of the body. The whole path of life, from birth to death, is laid in our genes, as well as the

longevity of life. Aging and death are programmed, but it is in human's hands to slow down the aging process, or to delay early aging, which is caused by unfavorable environmental conditions, bad habits, unbalanced diet. Promoting optimal management of vital processes is a prerequisite for a happy and long life.

The goal of the study was to survey students' to assess their eating habits with a questionnaire. The study helps students assess how healthy their daily diet is and how they can improve their eating habits.

**ნინო ქათამაძე**
**მარიამ ჩაკაბერია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: კოკა კაქარავა**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ბემპედოინის მჟავას როლი, როგორც ახალი აგენტი ლიპოპროტეინ LDL-C- ის შემცირებისათვის

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მრავალრიცხოვან დაავადებათა შორის ათეროსკლეროზსა და გულის იშემიურ დაავადებას (გიდ) ერთ-ერთი წამყანი ადგილი უჭირავს და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო და რეგიონალური

ორგანიზაციების მონაცემებით იგი ავადობისა და სიკვდილიანობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს.

დღეისათვის ბევრი რამ არის ცნობილი ადამიანის ორგანიზმზე ქოლესტერინის გავლენის შესახებ. მისი რაოდენობის შემცირება დადებით გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე და აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს.

ქოლესტერინი სხვადასხვა სახისაა: მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები (HDL), დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები (LDL), ძალიან დაბალი სიმკვრივის სტრუქტურირებული ლიპოპროტეინები (VLDL) - ტრიგლიცერიდებისა და თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების შემცველობით.

ბემპედოინის მჟავა (ETC-1002) არის ახალი, ორალური ფორმის მცირე მოლეკულა, რომელიც აინჰიბირებს ქოლესტერინის ბიოსინთეზს იმავე გზით, როგორც სტატინები, რითაც ამცირებს დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის ქოლესტერინს (LDL-C) LDL რეცეპტორების რეგულირებით. მედიკამენტმა პრეკლინიკურ და საბოლოო II და III ფაზაში პერსპექტიული შედეგები აჩვენა მისი უსაფრთხოებითა და ეფექტურობით სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფ პაციენტებში, როგორიცაა სტატინების მიმართ ტოლერანტულ, ასევე ლიპიდების დონის შემამცირებელ მკურნალობაზე მყოფ ადამიანებში. გარდა ამისა, კვლევებით დასტურდება, რომ სტატინების ჯგუფის მედიკამენტებთან შედარებით ბემპედოინის მჟავას ბევრად ნაკლები გვერდითი ეფექტი აქვს, გავლენას ახდენს PCSK9 დონეზე, რაც მისი მოქმედების ეფექტურობას ზრდის და ასევე კვლევის III ფაზის მონაცემების დაყრდნობით მას აქვს ანტი-ანთებითი მოქმედებაც პაციენტთა 18-31%-ში.

ბემპედოინის მჟავა და ეზეტიმიბი ფიქსირებული დოზის კომბინირებული ტაბლეტი FDA- მ დაამტკიცა 2020 წლის თებერვალში. ევროპის წამყვანმა სააგენტომ ორივე პრეპარატისთვის მიიღო დადებითი მოსაზრებები EMA-ს ადამიანის სამკურნალო საშუალებების კომიტეტისგან. ბემპედოინის მჟავა არის პერსპექტიული ახალი მოლეკულა, ლიპიდების შემამცირებელი პრეპარატი, რომელსაც აქვს რამდენიმე პოტენციური კლინიკური პროგრამა, რომლითაც შეიძლება გავზარდოთ ლიპიდებისშემამცირებელი თერაპიის ეფექტურობა და ეს ყველაფერი ეფუძნება III ფაზის კვლევებს, რაც აჩვენებს პოტენციალს. საჭიროა გრძელვადიანი უსაფრთხოების მონაცემები და გავლენა გულ-სისხლძარღვთა შედეგებზე.

ამჟამად ბემპედოინის მჟავაზე ისევ მიმდინარეობს დაკვირვება, რათა მოხდეს მისი გავლენის შეფასება გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ მნიშვნელოვან გვერდით მოვლენებზე. ამ ნაშრომშიგანვიხილავთ ბემპედოინის მჟავას ისტორიასა და განვითარებას, შესაბამის კლინიკურ კვლევებსა და მის პოტენციურ როლს.

**Nino Katamadze**
**Mariam Chakaberia**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Koka Kacharava**
Doctor, Associate Professor

## The role of bempedoic acid as a new agent for reducing lipoprotein LDL-C

Among the numerous diseases of the cardiovascular system atherosclerosis and ischemic heart disease (GID) are one of the leading causes. Takes place in both global and regional healthcare according to organizations and it is the leading cause of morbidity and mortality.

Much is known today about the effects of cholesterol on the human body. Reducing its number has a positive effect on health and improves quality of life.

Cholesterol comes in many forms: high-density lipoprotein (HDL), low-density lipoprotein (LDL), and very low-density structured lipoprotein (VLDL) containing triglycerides and free fatty acids Bempedoic acid (ETC-1002) is a novel, first-in-class, oral, small molecule that inhibits cholesterol

biosynthesis in the same pathway as statins, thereby lowering low-density lipoprotein cholesterol (LDL- C) by upregulating LDL receptors. Preclinical and completed Phase II and III clinical trials have demonstrated promising results regarding its safety and efficacyacrossa variety of patient characteristics including statin intolerance and on a background of lipid-lowering therapy. Bempedoic acid is currently being evaluated in a cardiovascular outcomes trial to evaluate its effect on major cardiovascular events in patients with or at high risk for cardiovascular disease and with statin intolerance.

Bempedoic acid is a novel, first-in-class, oral, small molecule that inhibits cholesterol biosynthesis and thereby enhances lipid lowering. Bempedoic acid and the bempedoic acid on were approved for use by the USFDA on 21 February and 26 February 2020, respectively. This review will discuss the history and development of Bempedoic acid, relevant clinical trials and its potential role as a lipid-lowering therapeutic agent.

Preliminary preclinical as well as Phase II and III clinical studies have demonstrated a reasonable side effect profile for Bempedoic acid. In vitro studies showed reduced myotoxicity and muscle apoptosis compared with simvastatin and atorvastatin. Phase III trials have demonstrated potential clinical utility in patients with statin intolerance.

**სალომე ჯიქურაული**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: მაია სვანიძე**
დოქტორანტი,
მოწვეული ლექტორი

## ახალშობილთა უეცარი სიკვდილის სინდრომის (SIDS) ძირითადი ასპექტები

ჩვილ ბავშვთა უეცარი სიკვდილის სინდრომთან დაკავშირებით მრავალი თეორია არსებობს; გამოვლენილია რისკის ფაქტორები და შემუშავენულია პრევენცია. ამ პრობლემის შესწავლის მრავალი მიღწევის მიუხედავად, მედიცინამ ვერ შეძლო ჩვილ ბავშვთა უეცარი სიკვდილის სინდრომის ძირითადი მიზეზის დადგენა და მისი სრულად აღმოფხვრა. ჩვილთა უეცარი სიკვდილისსინდრომი შეიძლება დაკავშირებული იყოს ჩვილის ტვინის იმ უბნების პათოლოგიასთან, რომლებიც აკონტროლებენ სუნთქვასა და სიფხიზლეს.

ტერმინი - ახალშობილთა უეცარი სიკვდილის სინდრომი - პირველად შემოთავაზებულ იქნა 1969 წელს, როდესაც ყურადღება გაამახვილეს ჩვილების გარკვეულ ჯგუფზე, რომელთაც ერთნაირი კლინიკური მახასიათებლები ჰქონდათ და მოულოდნელად იღუპებოდნენ პოსტნატალურ პერიოდში.

საკითხისადმი დიდი ინტერესისა და აქტუალურობიდან გამომდინარე მოხდა ინფორმაციის მოძიება, შესწავლა და სხვა მსგავს ინფორმაციასთან შედარება.

მიუხედავად იმისა, რომ მოულოდნელი სიკვდილის სინდრომმა შეიძლება გავლენა იქონიოს ნორმალურ, ჯანმრთელ ბავშვზე, მკვლევარებმა აღმოაჩინეს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ზრდის ამრისკს. არსებობს SIDS-ის გამომწვევი ფიზიკური და გარემო ფაქტორები. ფიზიკური ფაქტორებია: ტვინის პათოლოგიები, რესპირატორული ინფექცია, დაბალი წონა დაბადებისას. გარემო ფაქტორებიდან აღსანიშნავია: მუცელზე ან გვერზე ძილი, რბილ ზედაპირზე ძილი, მშობლებთან ერთად საწოლში ძილი. სხვა რისკფაქტორებია: სქესი - მიიჩნევა, რომ მამრობითი სქესის ჩვილები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი აღნიშნული სინდრომისადმი (60%), ასაკი - ყველაზე სახიფათო პერიოდია სიცოცხლის მეორე და მესამე თვე (SIDS რისკი 90%-ით მცირდება 6 თვის ასაკისათვის, ხოლო 72%-ია 1-დან 4 თვემდე, 9 თვის ასაკში საშიშროება მნიშვნელოვნადაა შემცირებული და 1 წლის ასაკში თითქმის ნულამდეა დაყვანილი), რასა - ჯერჯერობით აუხსნელი მიზეზით, ჩვილთა უეცარი სიკვდილის სინდრომისადმი მიდრეკილება უფრო მაღალი აქვთ აფრიკელებს, აფროამერიკელებს, ინდოელებსა და ალასკის აბორიგენებს, SIDS-ის მაღალი რისკია ზამთრის თვეებში, ოჯახური ისტორია - მაღალი რისკის ჯგუფში შედიან ბავშვები, რომელთა და, ძმა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი ან მამიდაშვილი ჩვილთა უეცარი სიკვდილის სინდრომს ემსხვერპლა, პასიური მწეველობა - უეცარი სიკვდილის ალბათობა უფრო დიდი აქვთ ბავშვებს, რომლებიც მწეველთა ოჯახში ცხოვრობენ.

რამდენიმე ანატომიური და ფიზიოლოგიური მონაცემები მხარს უჭერდა ჩვილებში ბრადიკარდია/ტაქიკარდიისა და აპნოეს SIDS-თან კავშირს. მაგალითად, ჩატარებულ იქნა კვლევა 6 გარდაცვლილ ბავშთან, საიდანაც 3 მიეკუთვნებოდა

SIDS-ს; SIDS-ით დაავადებულ ყველა პაციენტს აღენიშნებოდა ბრადიკარდია, რომელიც წინ უსწრებდა ან ერთდროულად გვხვდებოდა ცენტრალურ აპნოესთან ერთად. ბრადიკარდიამდე ერთს ჰქონდა ტაქიკარდია, ერთთან კი გულისცემის ნელი შემცირება სიკვდილამდე დაახლოებით 2 საათის განმავლობაში დაფიქსირდა. აპნოეს-უეცარი სიკვდილის - კლასიფიკაციას ზოგჯერ განიხილავენ სამი ძირითადი ტიპის მიხედვით:

- ცენტრალური ან დიაფრაგმული (ანუ სუნთვითი დაძაბულობა არ შეიმჩნევა);
- ობსტრუქციული (როგორც წესი ზედა სასუნთქი გზების ობსტრუქციის გამო);
- შერეული.

თუმცა, გაირკვა, რომ ჩვილთა უეცარი სიკვდილის სინდრომს აპნოესა თუ ბრადიკარდიასთან კავშირი არ აქვს. ამის კვალობაზე, ამერიკის პედიატრთა ასოციაცია რეკომენდაციას აღარ უწევს უსაფრთხოებისათვის „ელექტრომიძებისა“ და თანამედროვე გაჯეტების (ბავშვის სუნთქვის, გულისცემის, სისხლში ჟანგბადის დონის გასაკონტროლებლად) გამოყენებას SIDS პრევენციაში.

ხშირად SIDS- ის მიზეზი ხდება ცერებრული სისხლის მიმოქცევის დარღვევა. ასევე, ფერმენტების სინთეზის დარღვევა.

სიკვდილამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე ჩვილებს შეიძლება აღენიშნებოდეთ დიარეა, ღებინება, ლეთალგია, ციანოზი (50-60%), სუნთქვის პრობლემები (50%), კიდურების პათოლოგიური მოძრაობები (35%), პნევმონიის ნიშნები, რუხი კანის ფერი, სისხლდენა თირკმელზედა ჯირკვლში და სხვ. სიკვდილამდე ერთი დღით ადრე სიმპტომები: ღებინება და რეგურგიტაცია იხსნება.

ორგანოს ფართო გამოკვლევით, როგორც წესი, არ გამოვლინდება თანდაყოლილი ანომალიის ან შეძენილი პათოლოგიური პროცესის ნიშნები. სიკვდილის სხვა მიზეზების გამოსარიცხად ტარდება ლაბორატორიული კვლევა (მაგალითად, ელექტროლიტების შემოწმება ხდება დეჰიდრატაციისა და ელექტროლიტების დისბალანსის გამოსარიცხად, ასევე უნდა გამოირიცხოს ინფექცია). SIDS ახალშობილების სხვადასხვა ქსოვილებში (მათ შორის თავის ტვინში) სტაფილოკოკური ტოქსინებია იდენტიფიცირებული, რაც თავის ტვინის შეშუპების ტოქსიკურ მიზეზს წარმოადგენს. SIDS-ით გარდაცვლილებს აღენიშნებათ ორგანიზმში ანტისხეულები ენტერობაქტერიასა და კლოცირიას ტოქსინების მიმართ. ნებისმიერი ტოქსინები სავარაუდო გავლენას ახდენს ჩვილის სხეულზე, მაგრამსხვა ფაქტორებთან ერთად (სითბო, არასათანადო მოპყრობა და სხვები) ზრდის ბავშვის სიკვდილის რისკს.

აღმოჩნდა, რომ ჩვილის მოულოდნელი სიკვდილის სინდრომის რისკი სამჯერ იზრდება იმუნური სისტემის განვითარების მუტანტის (დეფექტური) გენის მქონე ბავშვებში. თუმცა მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ასეთი გენის არსებობა ფატალურია, თუ არ არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც მხოლოდ მათთან არის დაკავშირებული.

მიუხედავად იმისა, რომ SIDS-ით გარდაცვლილი ბავშვების აუტოფსია ხშირად არ აფიქსირებს პათოლოგიურ ცვლილებებს, ახალშობილთა უმეტესობას აქვს

პეტექიების უკიდურესად დიდი რაოდენობა. კატექოლამინების დისფუნქციის შედეგად ხდება პათოლოგიური კარდიო-რესპირატორული პასუხის განვითარება. პეტექიური სისხლჩაქცევები გვხვდება SIDS შემთხვევათა 87%-ში, მაგრამ არა- SIDS შემთხვევებში ძირითადად არ იყო გამოხატული ან იყო გამოხატული მცირე რაოდენობით.

SIDS განისაზღვრება, როგორც 1 წელზე უმცროსი ჩვილის მოულოდნელი გარდაცვალება, რომელიც აუხსენლი რჩება. რეკომენდირებულია, ჩვილის გარდაცვალების შემდეგ ჩატარდეს გარდაცვალების ადგილის გამოკვლევა და კლინიკური ისტორიის განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ, თუ გამოიკვეთება ბუნდოვანი ან აუხსნელი შემთხვევა, მხოლოდ მაშინ დადასტურდეს ჩვილის უეცარიგარდაცვალების სინდრომი.

ყოველწლიურად აშშ-ში დაახლოებით 3500 ბავშვი კვდება უეცრად, ყოველგვარი წინასწარი ფონისადა დაავადების გარეშე. ყოველწლიურად სწორედ ამდენივე ოჯახი დგება ეჭვის ქვეშ, დადის დაკითხვებზე, ექვემდებარება სამართლდამცველთა მხრიდან დაკვირვებებს მანამ, სანამ საბოლოოდ დადგინდება ბავშვის გარდაცვალების მიზეზი - ე.წ. ჩვილის უეცარი სიკვდილის სინდრომი.

SIDS ეს არის სიკვდილი, რომლის მიზეზი არავინ იცის. სიკვდილის შემდგომ არც ერთი კვლევით მისი მიზეზი არ დგინდება.

**Salome Jikurauli**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Maia Svanidze**
PhD Student,
Invited lecturer

## Sudden infant death syndrome (SIDS)

There are many theories of Sudden Infant Death Syndrome, risk factors have been identified and prevention has been developed. The study of this problem has been achieved despite the fact that medicine has not been able to determine the underlying cause of Sudden Infant Death Syndrome andeliminate it completely. Complaints of sudden death syndrome may be associated with pathology of areas of the child's brain that control breathing and wakefulness.

The term sudden infant death syndrome (SIDS) was first proposed in 1969 in order to focus attention on a subgroup of infants with similar clinical features whose deaths occurred unexpectedly in the postnatal period.

Due to the great interest and relevance of the issue, important information was found, studied andcompared with other relevant information.

Although sudden death syndrome can affect a normal, healthy child, researchers have found several factors that increase this risk. There are physical and environmental factors that cause SIDS. Physical factors include: brain pathologies, respiratory infection, low birth weight. Among the environmental factors are: sleep on the abdomen or sides, sleep on a soft surface, sleep in bed with parents. Other risk factors are: Sex - Male infants are considered to be more prone to this syndrome (60%), Age - The most dangerous period is the second and third months of life (90% of SIDS deaths occur before 6 months of age; 72% of SIDS deaths occur between months 1-4, At 9 months of age the risk is significantly reduced and at 1 year of age is reduced to almost zero). Race - For some unexplained reason, Africans, African Americans, Indians, and Alaskan Aborigines are more likely to die of Sudden Infant Death Syndrome, high risk of SIDS is during the winter months, Family history - The high-risk group includes children whose sister, brother, or cousin died of Sudden Infant Death Syndrome, Passive Smoking - Children livingin a family of smokers are more likely to die suddenly.

Several anatomical and physiological data supported the association between bradycardia / tachycardia and apnea SIDS in infants. For example, a study was conducted with 6 dead children, of which 3 were compatible with SIDS; SIDS requires the trust of all patients to prescribe bradycardia thatwas previously useless or concomitant with central apnea. One had a tachycardia before bradycardia, while the same heartbeat slowed down to about 2 hours before death. Apnea-Sudden death is sometimes classified into three main types:

- Central or diaphragmatic (i.e. no respiratory tension observed)
- Obstructive (usually due to upper airway obstruction)
- Mixed

Often the cause of SIDS is a disorder of cerebral circulation. Also, the cause may be a violation ofenzyme synthesis.

About two weeks before death, infants may experience diarrhea, vomiting, lethargia, cyanosis (50- 60%), respiratory problems (50%), abnormal limb movements (35%), signs of pneumonia, gray skin color, bleeding in the adrenal glands, etc. One day before death Symptoms: Vomiting and regurgitation resolve.

Extensive examination of the body usually reveals no signs of a congenital anomaly or an acquired pathological process. Laboratory tests are performed to rule out other causes of death (e.g., electrolyte testing is performed to rule out dehydration and electrolyte imbalance, and infection should also be ruled out).

Staphylococcal toxins have been identified in various tissues of newborns (including the brain), whichis a toxic cause of brain swelling. Deaths from SIDS show antibodies to enterobacteriaceae and cloaca toxins in the body. Any toxins are likely to affect the baby's body, but along with other factors (heat, mistreatment, etc.) increase the risk of the baby dying.

Death is determined when a child is exposed to stress factors that have underdeveloped

structuraland functional protective mechanisms.

Each year, about 3,500 children in the U.S. die suddenly, without any pre-existing background or disease. Every year, exactly the same number of families are questioned, interrogated, subjected to

observation by law enforcement until it is finally determined - the cause of death of the child is so-called. Sudden Infant Death Syndrome.

SIDS is a death of unknown cause, no one knows the exact reason.

**თამარა ანთია**
**კონსტანტინე არხოშაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: სალომე ყიფშიძე**
ენდოკრინოლოგიის ექიმი-რეზიდენტი

## პანკრეასის ტრანსპლანტაცია და პოსტ-ტრანსპლანტაციური პერიოდის ძირითადი ასპექტები

ისეთი რთულად ტრანსპლანტირებადი ორგანოს გადანერგვა, როგორიცაა პანკრეასი, 55 წლის წინ დაიწყო და პოპულარობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში მოიპოვა. ახალ ორგანოსთან ერთად პაციენტები ახალ სიცოცხლეს იძენენ.

პირველი ტრანსპლანტაცია განხორციელდა მინესოტას უნივერსიტეტში, რიჩარდ ლილეჰესა და უილიამ კელის მიერ. მას შემდეგ მსოფლიოში 50 000-ზე მეტი პანკრეასის ტრანსპლანტაცია ჩატარდა. პანკრეასის გადანერგვა საკმაოდ სწრაფად გახდა სტანდარტული მიდგომა ინსულინდამოკიდებული დიაბეტისა და თირკმლების უკმარისობის მქონე პაციენტთათვის.

ჩვენ მიერ აღწერილი კლინიკური შემთხვევა ნათელს ხდის, რომ პოსტოპერაციულ პეროდში იმუნოსუპრესიული მკურნალობა, სადაც დიდი დატვირთვა T-უჯრედულ იმუნოსუპრესანტებზე მოდის, უმნიშვნელოვანესია ტრანსპლანტატის შენარჩუნებისათვის. ოპერაციის შემდგომ პაციენტს რამე მნიშვნელოვანი გართულება და შეზღუდვა არ აღენიშნება. პაციენტი ექვემდებარება მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას, რადგან დაცული იყოს სისტემური აუტოიმუნური დაავადებისგან.

**Tamara Antia**
**Konstantine Arkhoshashvili**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Salome Kipshidze**
Endocrinology Resident-Doctor

## Pancreas transplantation and key aspects of the post-transplant period

Transplantation of such a difficult-to-transplant organ as the pancreas began 55 years ago and has gained popularity over the last decade. With a new organ, patients get a new life. The first transplantwas performed at the University of Minnesota by Richard Lilleheus and William Kelly.

Since then, more than 50,000 pancreas transplants have been performed worldwide. Pancreas transplantation has quickly become the standard approach for patients with insulin-dependent diabetesand renal failure.

The clinical case wich where described by us makes it clear that in the postoperative period, immunosuppressive treatment is important, which a large load falls on T-cell immunosuppressants, iscrucial for the to keep of the transplant. The patient does not have any significant complications or limitations after the operation. The patient undergoes constant medical treatment as long as he is protected from systemic autoimmune disease.

**გიორგი პოპიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: კოკა კაჭარავა**
დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების როლი და და უსაფრთხოება

ვირუსი COVID-19 ახალი ვირუსია და ის უკავშირდება ვირუსების იმავე ჯგუფს, რომელსაც განეკუთვნება „მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი“ (SARS) და გაციების ზოგიერთი ფორმა. კორონავირუსით გამოწვეული ავადობა პირველად გამოვლინდა ჩინეთის ქალაქ უხანში და მას ოფიციალურად ეწოდა SARS COVID-19. რომელმაც პანდემია გამოიწვია და დღესაც ვებრძვით ამ ვირუსს.

ვაქცინაცია კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ მიღწევად მიიჩნევა, რადგან ყოველწლიურად ამით მილიონობით ადამიანის სიცოცხლე გადარჩება. ვაქცინაცია არის მარტივი, უსაფრთხო და ეფექტური გზა, დაიცვას ორგანიზმი

სხვადასხვა სახის დაავადებისაგან. ის აძლიერებს ადამიანის იმუნურ სისტემას და ქმნის რეზისტენტულს დაავადების მიმართ. ხელს უწყობს, რომ ორგანიზმის იმუნურმა სისტემამ წარმოქმნას ანტისხეულები. ვაქცინაციის საპასუხო იმუნიტეტი ყოველთვის ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე.

ვაქცინა ახლად წარმოშობილი ინფექციის სამართავად და პანდემიის გასაკონტროლებლად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, თუმცა ეს ვერ იქნება ერთადერთი გზა. ამით შეიძლება მსოფლიოში პანდემია უცებ ვერ გაჩერდეს. ვაქცინის სარგებელი უფრო მეტია, ვიდრე მისი შესაძლო, პოტენციური რისკი შეიძლება იყოს. განუზომლად ნაკლებია გვერდითი მოვლენები, რაც წინასწარი კვლევებით ჩანს იმასთან შედარებით, რასაც კორონავირუსი იწვევს ადამიანში.

ვაქცინებზე კვლევები დროში შემჭიდროვებულად ჩატარდა. კვლევების პროცესში აქცენტი იყო იმაზე, რომ ვაქცინების ეფექტურობა და უსაფრთხოება შეფასებულიყო. დანარჩენი კითხვები გრძელვადიან დაკვირვებას საჭიროებს. ზოგადად, ნებისმიერი ვაქცინის ეფექტურობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ვაქცინამ შეიძლება დაბლოკოს დაავადების განვითარება, ან მძიმე ფორმის განვითარება, ან ინფექციის გადაცემა მესამე პირზე, ან შეამოკლოს ვაქცინირებულისგან მესამე პირის დაინფიცირების პერიოდი.

დღესდღეობით არ ვიცით კორონა ვირუსი კიდევ რას გამოავლენს, მოხდება თუ არა ახალი შტამების გავრცელება და რომელი ვაქცინა იქნება უფრო საიმედო და ეფექტური.

**Giorgi Popiashvili**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Koka Kacharava**
Doctor, Associate Professor

## The role of COVID-19 vaccines and and safety

The virus COVID-19 is a new virus and it is related to the same group of viruses that belong to the "severe acute respiratory syndrome" (SARS) and some forms of colds. The disease caused by the coronavirus was first detected in the Chinese city of Wuhan and it was officially named SARS COVID-19.which caused a pandemic and we are still fighting this virus today. Vaccination is considered to be the greatest achievement in the history, as it saves millions of lives every year. Vaccination is a simple, safe and effective way to protect the body from various diseases. It strengthens the human immune system and makes it resistant to disease. Promotes the body's immune system to produce antibodies.

Vaccination response immunity is always individual and depends on many factors. The

vaccine is an important tool for managing a newly emerging infection and controlling a pandemic, although it may notbe the only way. This could make the pandemic in the world stop suddenly. The benefits of the vaccine outweigh its potential, potential risks. There are immeasurably fewer side effects seen in preliminary studies compared to what the coronavirus causes in humans. Studies on vaccines have been conductedover a period of time, which means that the focus of the research process was on evaluating the efficacy and safety of vaccines. The rest of the questions require long-term observation. In general, the effectiveness of any vaccine is manifested in different ways. The vaccine can block the development of the disease, or the development of a severe form, or the transmission of the infection to a third person, or shorten the period of infection of the third person from the vaccinated person. Today we do not know what else the corona virus will reveal, whether new strains will spread and which vaccine will be more reliable and effective.

# მედიცინის სექცია / სტომატოლოგიის ქვესექცია
# Section of Medicine / Subsection of Dentistry

**Bhatte Abhidnya Pratap**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Lela Tsitaishvili**
Doctor of Medicine,
Associate Professor

## Dentistry and Bioterrorism

Bioterrorism is terrorism involving the intentional release or dissemination of biological agents (bacteria, viruses etc.) in a naturally occurring or a human-modified form. These agents are characterized by ease of dissemination and transmission of disease with high mortality rate, likelihood of causing public panic and social disruption. According to some researches pandemic takes place in every 100 years, are nothing but the bio weapons used by humans as a part of some research or experiment.

Dentistry plays a vital role in bioterrorism in the immediate response to a bioterrorist attack and its aftermath. It is essential that oral health professionals know about systemic and oral-dental manifestations of naturally occurring and bioengineered infectious agents. Dentists can refer suspicious cases to the appropriate specialists for confirmation, treatment, or both, perform few medical care procedures and provide quality information about the potential for attacks.

**Ahmad Alaama**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Lela Tsitaishvili**
Doctor of Medicine,
Associate Professor

## Digital dentistry

The array of digital equipment available to cosmetic dentists, general dentists and implant dentists, etc., has increased significantly. Such advancements in dental technology enable patients to receive modern solutions to traditional dental problems. Among the digital technologies available for dentistry is digital radiography, electronic prescriptions, computerized case presentations, CAD/CAM restorations, digitally based surgical guides, imaging for implant placement and digital impressions. Dentists are eager to incorporate proven digital technologies into their practices to provide leading-edge dental treatment that can be performed in a more efficient, effective, comfortable manner (clinical case). Digital dental technologies enable consultations with patients and collaborations with other dental specialists to be conducted quicker and with more immediate and detailed information than in years past. What's more, quality of care improves through enhanced diagnosis and precision restorations.

**ანა ოყუჯავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: ვერა ხუნძაკიშვილი**
მედიცინის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ანესთეზია ბავშვთა სტომატოლოგიაში

სტომატოლოგია მუდმივად განახლებადი მედიცინის დარგია. მისი სერვისების მნიშვნელოვანი ნაწილი ფოკუსირებულია მანიპულაციის უმტკივნეულო ჩატარებაზე. განვითარების გზა საწყისიდან დღემდე მრავალფეროვანი და დახვეწილია. დღეს ფართოდ გამოიყენება საანესთეზიო საშუალებები, პროცედურების ტკივილის დაბლოკვის ან პროფილაქტიკის მიზნით.

ბავშვთა ასაკის სტომატოლოგია რთული და მრავალკომპონენტიანი სპეციალობაა, რომლის მიზანიც უმტკივნეულობაა. ანესთეზიოლოგია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის განვითარებას. ამჟამად ძნელია ბავშვთა სტომატოლოგების მუშაობის წარმოდგენა კარგად

ორგანიზებული და საკმაოდ ეფექტური საანესთეზიო სამსახურისა და რეანიმაციის გარეშე. ბავშვის დაცვა აუცილებელია ნებისმიერი ნეგატიური გარეგანი ზემოქმედების, ფსიქიკური გადაძაბვის, შიშის, ტკივილისა და ტრავმისგან. მთავარი ამოცანაა ბავშვის მშვიდი ქცევის უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ჩარევის ხარისხი და მოცულობა, სტომატოლოგიური მანიპულაციების მტკივნეულობა და ტრავმულობა.

ნებისმიერი უარყოფით მომენტი: ბორმანქანის ხმაური ან ვიბრაცია, თვით სამედიცინო იარაღი, სისხლის კვალი ტამპონზე იწვევს ბავშვის ნეგატიურ რეაქციას, რომლის ხარისხიც მის ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ რეაქტიულობაზეა დამოკიდებული. ბოლო წლებია ვესწრები მანიპულაციებს სტომატოლოგიური კლინიკის ბავშვთა განყოფილებაში, სადაც ხშირია ბავშვთა ანესთეზიის შემთხვევები შიშის მოსახსნელად. ანესთეზია ხელს უწყობს ტკივილის შეგძნების მოცილებასა და ნდობის მოპოვებას.

**Ana Okujava**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Vera Khundzakishvili**
Doctor of Medicine,
Associate Professor

## Anesthesia in pediatric dentistry

Dentistry is a constantly evolving field of medicine, a significant part of its services are focused on painless manipulation. The path of development from the beginning to the present is diverse and sophisticated. Today, anesthetics are widely used to block or prevent pain in procedures.

Pediatric dentistry is a complex and multi-component specialty aimed at painlessness. Anesthesiology contributes significantly to the development of pediatric dentistry. It is currently difficult to imagine the work of pediatric dentists without a well-organized and fairly effective anesthesia service and resuscitation. Protecting the child from any negative external influences, mental strain, fear, pain and trauma is essential. The main task is to ensure the calm behavior of the child, regardless of the quality and volume of the intervention, the pain and trauma of dental manipulations.

Any negative moment: the noise or vibration of the drum machine, the medical weapon itself, the tracesof blood on the tampon cause a negative reaction of the child, the quality of which depends on his individual psychological reactivity.

In recent years I have been attending manipulations in the pediatric department of the dental clinic, where there are frequent cases of pediatric anesthesia to relieve fear. Anesthesia helps to remove the pain sensation and gain confidence

**ანი ფაცაცია**
**თამარ აბშილავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: ლელა გრიგოლია**
მედიცინის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## პლასტიკური ქირურგია პაროდონტოლოგიაში; პაროდონტოლოგიური ნაფლეთები

საკონფერენციო თემაში გადმოცემულია პლასტიკური ქირურგიის შესახებ პაროდონტოლოგიაში. განვიხილავთ პაროდონტოლოგიურ ნაფლეთებს, მათ კლასიფიკაციას, დიზაინს, განაკვეთებს, აშრევების თავისებურებებს. ასევე განვიხილავთ ჭრილობის კიდეების მობილიზაციას და მისი შესრულების ხერხებს. სხვადასხვა ქირურგიული ჩარევისას ფართოდ იყენებენ მრავალფეროვანი დიზაინისა და ზომის ნაფლეთებს. არსებობს მისი ფორმირების რამდენიმე მეთოდი, რასაც აღვნიშნავთ საკონფერენციო თემაში. ასევე ჩვენ მიერ განხილული იქნება ინსტრუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვანია ნაფლეთოვანი ოპერაციების ტექნიკური განხორციელების დროს. აღვნიშნავთ საშიშ ზონებს, სადაც განაკვეთის გაკეთებისგან თავი უნდა ავირიდოთ. აუცილებელია, უზრუნველყოფილი იყოს საოპერაციო ველის ვიზუალიზაცია. ყველა მანიპულაცია უნდა შესრულდეს ზედმიწევნით ფაქიზად და ზუსტად, რათა გარშემო მდებარე რბილი ქსოვილები არ დაზიანდეს. თემაში განვიხილავთ ჰემოსტაზურ მდგომარეობას და ვისაუბრებთ ხერხებზე, რომლებიც გამოიყენება ოპერაციის დროს განვითარებული სისხლდენის შესაჩერებლად. სისხლდენის შეწყვეტისა და დათვალიერების შემდეგ პაციენტი ტოვებს კლინიკას. აუცილებელია გავცეთ რეკომენდაციები იმის შესახებ, რომ პაციენტმა ოპერაციის შემდეგ არ უნდა მიიღოს ალკოჰოლი, ორგანიზმი სასურველია დაიტვირთოს სითხეებით, შეიძლება წვენების მიღებაც. არ შეიძლება სითხეების საწრუპავით მიღება, რამდენიმე დღე სასურველია რბილი საკვების მიღება, ნაკერები უნდა მოხსნას ქირურგმა ოპერაციიდან 5-7 დღის შემდეგ და ა.შ.

**Ani Patsatsia**
**Tamar Abshilava**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Lela Grigolia**
Doctor of Medicine,
Associate Professor

## Plastic Surgery in Periodontology, Periodontal Flaps

The conference topic is about plastic surgery in periodontology. We will discuss periodontal debris, its classification, design, rates, peculiarities of the abrasions. In various surgical interventions, flaps of various designs and sizes are widely used. There are several methods of its formation, which we will mention in the conference topic. We will also discuss the tools that are important in the technical implementation of flaps operations. We point out the danger zones where we should avoid doing the rate. It is necessary to ensure the visualization of the operating field. All manipulations must be performed carefully and precisely so as not to damage the surrounding soft tissues. In the topic we will discuss the hemostasis condition and talk about the methods used to stop the bleeding during the operation. After cessation of bleeding and examination, the patient leaves the clinic. It is necessary to make recommendations that the patient should not drink alcohol after the operation, it is desirable to load the body with fluids, it is possible to take juices. Fluids should not be taken immediately, soft food should be taken for a few days, sutures should be removed by the surgeon 5-7 days after surgery, etc.

**Ardaneh Zahra**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Lela Tsitaishvili**
Doctor of Medicine,
Associate Professor

## Dentistry and Society

Oral health has a significant impact on the quality of life, appearance, and self-esteem of the people. Preventive dental visits help in the early detection and treatment of oral diseases. There are reports that dental patients only visit the dentist when in pain and never bother to return for follow-up in most cases.

Oral health is a critical component of overall health and well-being among children and adults.

Oral health problems such as dental caries, periodontitis, and oral cancers are global health

problems in both industrialized and especially in developing countries.

Dentistry in some countries combines business and health care service, that is, the majority of patients pay money for tangible dental procedures such as fluoride applications, dental radiographs, dental fillings, crowns, and dentures among others. There is evidence that patients question dentists' behaviors and attitudes during a dental visit when those highly technical procedures are performed.

However, little is known about how patients' experience dental care as a whole.

Our research focuses on patients' experiences of dental care, particularly on the relationship between patients and dentists during the preventive care and general dental practices.

**Christina Maben Rachel**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisors:**
**Lela Tsitaishvili**
Doctor of Medicine, Associate Professor
**George Pichkhaia**
Doctor of Medicine,Professor

## Nano Technology in Dentistry (chitosan and silver nanoparticles)

Science is undergoing yet another change, in helping mankind enter a new era, the era of nanotechnology.

Nanotechnology is widely used in our day to day life including its use in medicine. Nanostructures are used in innovations or diagnosis of dentistry.

Some nano-particles are used for oral disease preventive drugs, prostheses and for teeth implantation, preventing and curing some oral disease like oral cancer and maintain oral health care up to a high extent.

Chitosan nanoparticle has anti-microbial, anti-oxidant, and anti-tumor effects, has been developed mainly for drug/gene delivery applications and antibacterial purposes.

Chitosan is a natural biomaterial that is purified mainly from chitin. The major source of chitin remains the crustacean's (such as crab and shrimp) exoskeleton.

Chitosan has a high degree of biocompatibility in animal models and can be conveniently adapted for the development of implantable biomaterials.

Silver nanoparticles have a wide range of activity against a wide range of microbial pathogens and demonstrate new or better properties relying on their size, morphology, and distribution.

Current research is focusing on fabrication of nanostructures, nanoactuators and nanomotors, along with means to assemble them into larger systems, economically and in great numbers.

**ეკა ერაძე**
**ნინო ლასხიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: მაია სვანიძე**
დოქტორანტი,
მოწვეული ლექტორი

## პირის ღრუს დაავადებების პრევენცია, როგორც ჯანმრთელობაში ჩადებული ინვესტიცია

პირის ღრუს პათოლოგიებიდან ოდითგანვე ყველაზე გავრცელებული იყო კარიესი და პარადონტოზი. ჯანმრთელი პირის ღრუ უზრუნველყოფს ორგანიზმის დაცვას მიკრობული ინფექციებისა და ეკოლოგიური საფრთხეებისაგან. მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებშიც კი კბილის კარიესი აღენიშნებათ მოსწავლეების 60–90%–სა და მოზრდილთა უმრავლესობას. პირის ღრუს დაავადებებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ გლობალურ ავადობაში, მათი გავრცელება და სიმძიმე დამოკიდებულია ეკონომიკურ, სოციალურ, ქცევითსა და გარემო ფაქტორებზე. არაჯანსაღი პირის ღრუ აქვეითებს შრომისუნარიანობას და ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს პიროვნებაზე. კბილებისა და ღრძილების ჯანმრთელობა ასოცირებულია პირის ღრუს ჰიგიენასთან. არაჯანსაღი პირის ღრუ ქრონიკული დაავადებების, კერძოდ, გულის, თირკმელების, ფილტვის დაავადებებისა და დიაბეტის მნიშვნელოვანი რისკის ფაქტორია. პრობლემის მასშტაბის გათვალისწინებით პირის ღრუს დაავადებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს. მათი გავლენა, როგორც ცალკეულ პიროვნებების, ასევე მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობის სტატუსზე მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, პირის ღრუს დაავადებების ტრადიციული მკურნალობა საკმაოდ ძვირადღირებულია; იგი არის მეოთხე ძვირადღირებულ დაავადებების მკურნალობაში განვითარებულ ქვეყნებში. ზევრ დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში ბავშვების კარიესზე დახარჯული დანახარჯები უსწრებს მთლიანად ბავშვების ჯანმრთელობაზე გაწეულ დანახარჯებს. პირის ღრუს დაავადებები წარმოადგენს ოთხ ყველაზე ფართოდ გავრცელებული ქრონიკული დაავადების (გულ-სისხლძარღვთა, დიაბეტი, სიმსივნე და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები) წინაპირობას; კვლევებით დასტურდება, რომ პარადონტიტით დაავადებულ ადამიანებს უფრო

ხშირად ემართებათ ინფარქტი და სამჯერ უფრო ხშირად აქვთ ინსულტი, ვიდრე მათ, ვინც მუდმივად უვლის პირის ღრუს. გამოკვლევებმა გამოავლინეს, რომ ბაქტერია, რომელიც იწვევს პარადონტიტს, აღწევს სისხლში და შესაძლებელია, ხელი შეუწყოს თრომბის გაჩენასა და თრომბოემბოლიურ გართულებებს.

დიაბეტით დაავადებულები ინფექციებისადმი მგრძნობიარეები არიან,; მათ შორის პირის ღრუს ინფექციების მიმართაც. სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების შედეგების თანახმად პარადონტიტმა შესაძლოა, დაამძიმოს დიაბეტით დაავადებული პაციენტის მდგომარეობა და გახადოს იგი ინსულინ რეზისტენტული. მიკრობები, რომლებიც იწვევენ პნევმონიას და სხვა რესპირატორულ დაავადებებს, ხშირად პარადონტიტით დაავადებულების პირის ღრუშიც ბუდობენ და ხელსაყრელ პირობებში ამ დაავადებების პროვოცირებას იწვევენ.

პირის ღრუს პროფილაქტიკური გასინჯვების გზით სიმსივნეებთან ერთად შესაძლოა გამოვლინდეს მთელი რიგი დაავადებები - საკვები ნივთიერებების დეფიციტი, მიკრობული ინფექციები, იმუნური სისტემის დარღვევები, პირის ღრუს ტრავმა და ა.შ. პირის ღრუს ჰიგიენასა და დაავადებების ადრეულ გამოვლენას კრიტიკული როლი ეკისრება ნაადრევი სიკვდილიანობის შემცირებისა და პაციენტის სიცოცხლის გახანგრძლივების თვალსაზრისით.

დღეს მსოფლიოს წინაშე ორი სახის მალნუტრიციული პრობლემა დგას: ერთი, რომელიც ასოცირდება შიმშილთან ან საკვები ელემენტების დეფიციტთან და მეორე - დიეტურ შიმშილთან. ურბანიზაციამ და სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ ადამიანთა ცხოვრების წესსა და კვებაში ცვლილებები განაპირობა. დიეტაზე ხშირად ყოფნა და არასრულფასოვანი კვება გავლენას ახდენს ქალა-სახის, პირის ღრუს სიმსივნეების, პირის ღრუს ინფექციების განვითარებაზე.

საკითხი აქტუალური და ყურადსაღებია. დავინტერესდით, რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ჩვენს გარშემო; პირის ღრუს მდგომარეობას რამდენად ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ ჩვენი თანატოლები, მოზრდილი ასაკის ადამიანები. წინასწარ შედგენილი კითხვარით ჩავატარეთ კვლევა, რომელშიც ნებაყოფლობითი მონაწილეობა მიიღო ორივე სქესის ზრდასრულმა მოსახლეობამ. გამოიკვეთა რამდენიმე დასაფიქრებელი საკითხი.

**Eka Eradze**
**Nino Laskhishvili**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Maia Svanidze**
PhD Student, Invited Lecturer

## Prevention of Oral Diseases as an Investment in Health

Caries and periodontitis have been most common oral pathologies for long. Intraoral health protects organism from bacterial infections an environmental hazards. Even in high-income countries, 60 – 90 % of students and adults have caries problems. In Global health, intraoral

diseases are in a considerable place. Spread of oral diseases depends on economic, social, behavioral environmental factors.

Unhealthy oral cavities decreases working abilities and effects on person's psychology. Healthy teeth and gums is associated to oral hygiene. Unhealthy oral cavity is high risk factor for chronic diseases such as heart, kidney and lung diseases. It is significant risk factor for diabetes. By scale of problem, oral diseases are a major public health problem. Impact of oral diseases is significant on health status of individuals an on community as a whole. In addition, traditional treatment of oral diseases is quite expensive; it is fourth most expensive treatments in developed countries. In many low-income countries, cost of caries treatment outweighs the cost of Childs' health as a whole. Oral diseases are known as risk factors for the four most common chronic diseases, such as cardiovascular diseases, diabetes, tumor and chronic obstructive pulmonary diseases.

Studies show that people with periodontitis are more likely to have heart attack and are three times more likely to have stroke than those who have regular oral care. Studies also have shown that the bacteria that cause periodontitis can penetrate bloodstream and may contribute formation of thrombus and thromboembolic complications.

People with diabetes are more susceptible to infections, including oral infections. Studies at various times have shown that periodontitis may aggravate the condition of diabetic patients and make them insulin resistant. Microbes that cause pneumonia and other respiratory diseases often live in person's mouth who has periodontitis as well and can provoke mentioned above diseases under favorable conditions.

The world today faces two types of malnutrition: First associated with hunger or nutrient deficiencies and second with dietary hunger. Urbanization and rapid economic development have led to changes in people's lifestyle and diets. Frequent dieting and malnutrition effect on development of craniofacial and oral cancers and oral infections as well.

The issue is noteworthy. We wondered what the situation was around us regarding to the mentioned problem. We also wondered how much attention paid our peers and adults on their oral conditions. We conducted a study with a pre-compiled questionnaire in which adult population of both sex participated voluntarily. Several issues have emerged that need to be considered.

**ქრისტინე ჩოგოვაძე**
**საბა გოგოლაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: ლელა გრიგოლია**
მედიცინის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## პერიიმპლანტიტი

პაროდონტოლოგია სტომატოლოგიის მნიშვნელოვანი დარგია და მოიცავს კბილის ქსოვილებს, ღრძილს, პერიდოტონსა და ალვეოლურ ძვალს. დენტალური იმპლანტი დაკარგული კბილის აღდგენის საუკეთესო მეთოდია თანამედროვე სტომატოლოგიაში. იგი არა მარტო აღადგენს ერთეულ კბილს და ესთეტიკურ დისკომოფრტს, ასევე მეტყველების, ღეჭვის ფუნქციასაც ითავსებს.იმპლანტი არის მეტალის ფესვი, რომელიც ქირურგიული გზით ჩაიხრახნება ყბის ძვალში და რამდენიმე თვის შემდეგ, როცა მოხდება ოსტეოინტეგრაცია, მასზე შესაძლებელი ხდება ხელოვნური კბილის დამაგრება.

პერიიმპლანტიტი ეს არის დენტალური იმპლანტის გარშემო მდებარე ქსოვილების ანთება, რომელსაც თან სდევს მიმდებარე ძვლოვანი ქსოვილის განლევა. მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს იმპლანტის გადატვირთვა, მიკრობული ნადების არსებობა, პრეპარიებისას ძვლის ზედმეტი გადახურება, ექიმის დაუდევრობა და პაციენტის თანმხლები ზოგადი დაავადებები. იმპლანტის გარშემო ანთებითი პროცესი შესაძლებელია განვითარდეს მალევე, მისი ჩასმის შემდეგ ან შეხორცების პროცესში.

გარდა პერიიმპლანტიტისა, კბილის იმპლანტის გარშემო ვითარდება სხვა ტიპის ანთება ე. წ. მუკოზიტი. პერიიმპლანტიტისგან მუკოზიტი იმით განსხვავდება, რომ ის წარმოიქმნება მხოლოდ ღრძილის რბილ ქსოვილებში (არ არის ჩათრეული ძვალი) კბილის იმპლანტის გარშემო. შესაბამისად, მუკოზიტის დროს ალვეოლური ძვლის ყველა პარამეტრი შენარჩუნებულია.

დიაგნოზი ისმება კლინიკური დათვალიერებისა და რენტგენოლოგიური მონაცემების შედეგად. პერიინპლანტიტის დროს აღინიშნება მიმდებარე ქსოვილების შეშუპება, ჰიპერემია, სისხლდენა. პაროდონტული ჯიბიდან აღინიშნება ჩირქოვანი ან სეროზული გამონადენი. რენტგენოგრამაზე აღინიშნება ძვლოვანი ქსოვილის მნიშვნელოვანი დაკარგვა.

პერიიმპლანტიტის მკურნალობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად იმპლანტი ურყევია, ხოლო მისი მორყევის შემთხვევაში მოწოდებულია მხოლოდ მისი ამოკვეთა. მკურნალობის პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს თავად იმპლანტის ზედაპირის გაუვნებელყოფა, მისი ზედაპირიდან აუცილებლად უნდა ალაგდეს მიკრობული წარმოშობის ნადები და დამუშავდეს ანტისეპტიკური საშუალებებით. დასამუშავებლად შესაძლებელია გამოვიყენოთ მექანიკური კიურეტაჟი, ლაზერი, ულტრაბგერითი ბუნიკი ან ჭავლური დამუშავება (Air-Flow). იდეალური გამოსავალი პერიიმპლანტიტის თავიდან აცილებისა არის პირის ღრუს მიკროფლორის მირკობიოლოგიური ანალიზი და ასევე მისი მგრძნობელობა

ანტიობიოტიკებისამდი. ქირურგიული მკურნალობა ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენს პერიიმპლანტიტის მკურნალობისას. ის მიმართულია იმ გრანულაციური ქსოვილის მოცილებაზე, რომელიც რეზორბილებული ძვლის ადგილას წარმოიქმნა, ასევე ძვლის აღდგენასა და ქსოვილის რეგენერაციაზე. კვლევების თანახმად, მხოლოდ თერაპიული მკურნალობა იმისათვის, რომ აღკვეთოთ პერიიმპლანტიტი, საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ წამყვანი როლი ენიჭება ქირურგიულ მკურნალობას. პერიიმპლამტიტის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ისეთ დეფექტებს, როგორიცაა ღრძილის არასაკმარისი სისქე, არასაკმარისი მიმაგრებული ღრძილი იმპლანტის გარშემო.


**Kristine Chogovadze**
**Saba Gogoladze**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Lela Grigolia**
Doctor of Medicine,
Associate Professor


## Peri-implantitis

Parodontolgy is the important field of dentistry, which contains tissues of dents, gingiva, periodontal ligament and alveolar bone. Dental implant is the best way to replace the root portion of a missing tooth.It helps to avoid aesthetic discomfort, chewing and speech. Dental implants are surgically placed in your jaw-bone, where they serve as the roots of missing teeth. Because the titanium in implants fuses with your jawbone. How dental implant surgery is performed depends on the type of implant and the condition of you jawbone. It involves several procedures. The major benefit of implants is solid support for new teeth – a process that requires the bone to heal tightly around the implant. Because this bone healing requires time, the process can take many months.

Peri-implantitis is a destructive inflammatory process affecting the soft and hard tissues surrounding dental implants. It causes pressure on the implants, plaque, heating of bone while preparation, carless ofdoctor and patient's general disease. The inflammation may be developed after the implant insert or while the osseointegration.

Peri-implant lesion is easily diagnosed on a radiography and clinical examination. Signs and symptoms of peri-implantitis are swelling around implant, redness, bleeding, periodontal pocket may beflows serosal fluid or pus. Radiographic evidence of bone loss around implant.

The treatment of peri-implant infections comprises conservative and surgical approaches. depending on the severity of the peri-implant disease. Most of the published strategies for

peri-implantitis therapy are mainly based on the treatments used for teeth with periodontitis. The reason is the way of bacterial colonization of dental and implant surfaces follow similar principles and it is commonly accepted that the microbial biofilm plays an analogous role in the development of peri-implant inflammation. For the treatment of peri-implantitis, both conservative as well as surgical therapies can beapplied. Thereby, the surgical treatments can be done using respective or regenerative approaches.

Treatment depends on the nature of the disease, if the implants is shaking and it should be removed andthe best way to avoid peri-implantitis is surgical method, which means remove granulation tissue and bone grafting. In addition to medication and manual treatment innovative techniques such as laser- supported and photodynamic therapy and surgical therapy.

There are many studies with different study designs in different populations with different materials used. Therefore, prevention is the most important instrument based on appropriate treatment planning, an atraumatic approach for implant insertion and continuous check-up intervals with professional teeth and implant cleaning. Above all, attention should be paid to risk factors such as smoking and active or previous periodontitis. In non-surgical therapy combination of mechanical cleaning with curettes and air polishing systems are recommendable.

**Mohanned Emad Fakhri**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Nana Tsitskishvili**
PhD Student,
Clinical Translational Medicine

## The Impact of Coronavirus On the Oral Health and Prevention Of Virus Prevalence

The new coronavirus SARS-CoV-2 is a large family of virus which was first detected in late 2019 and hasquickly developed into a global pandemic. Most people infected with the COVID-19 virus will experience mild to moderate respiratory illness and recover without requiring special treatment. Older people, and those with underlying medical problems like cardiovascular disease, diabetes, chronic respiratory disease, and cancer are more likely to develop serious illness. SARS-CoV-2 contagion enters host cells through cell receptor ACE2.

Transmission route for SARS-CoV-2 as described by WHO, include; contact, droplet, airborne, fecal-oral, bloodborne, mother-to-child, and animal-to-human transmission. As dental and oral health workers havedirect contact with respiratory aerosols of patients during procedures, The oral cavity is a potential reservoir for respiratory pathogens which can predispose patients to bacterial super-infection.

Saliva is a common and transient medium for virus transmission. Among saliva droplets with different sizes generated by breathing, talking, and sneezing, large droplets easily fall onto the floor and only set up short- distance transmission. Saliva could form aerosols and reach a distant host along air flow whenin a favorable environment.

The systematic search revealed that saliva can be used as covid identifying test. We found 91% (CI 80– 99%) sensitivity for saliva tests and 98% (CI 89–100%) sensitivity for nasopharyngeal swab (NPS) tests.Also interesting changes appeared in microflora. The human respiratory tract microbiome changed in COVID-19 patients with opportunistic pathogen abundance.

Researches reveals The correlation between oral health and COVID-19. Oral mucosal lesions presentedmultiple clinical aspects, including white and erythematous plaques, irregular ulcers, small blisters, petechiae, and desquamative gingivitis. Tongue, palate, lips, gingiva, and buccal mucosa were affected.In mild cases, oral mucosal lesions developed before or at the same time as the initial respiratory symptoms; however, in those who required medication and hospitalization, the lesions developed approximately 7 to 24 d after onset symptoms.

Because of that fact that in Georgia till now have not conducted any research around the correlation between covid 19 and oral health, we have done Pilot study with the help of the questioners in Georgianpopulation, where revealed correlation between the oral health and SARS-CoV-2

Therefore, wearing masks to prevent formation of infectious saliva droplets projecting to the air, thorough disinfection of indoor air to block dissemination of infectious saliva droplets, and keep a distance with people not to acquire infectious saliva droplets could slow down 2019-nCoV epidemic to acertain degree

Prevention of disease is an important thing. According these preventive norms developed So how can weprotect ourselves as health worker?

Lets look at how the most effected nations are coping and their methods to minimize the spread China – mainly assess patients based on temp – and screening questions. But mouthwash is alwaysused for effective control

USA – if patient has no hx or link, they continue with treatment. If so, then the patient is deferred for 2 weeks and

only treat extreme cases. Mouthwash is also used.

UK, Brazil, – only none invasive procedures to minimize aerosol Generation Where as in parts of Italythe patient is always deferred unless it's an emergency case. The main issue is being faced in those countries is lack of guidelines to what should be considers by the doctors Method Systematic reviews were conducted through American dental association, PumMed, The National Centre for Biotechnology Information, Journal of Oral Medicine and Oral Surgery, British Medical Association and Journal of Clinical Periodontology, based on systemic reviews we conducted Pilot studyon Georgian population and research

has been conducted with the help of the questionnaire. Questionnaire

involved the following information: Gender and age of patient, when patient was effected with covid -19,general condition of patient and underlying medical problems, subjective and objective complains, clinical manifestation of oral lesion, revealed period of oral lesions

Results

Over 600 reviews were searched form the data bases mentioned. 107 potential articles were thoroughly studied. 56 did not comply with selection criteria, however a significant correlation has been establishedbetween the state of the overall health of the oral cavity and SARS-CoV-2 contraction, pilot study revealed, stomatitis cheilities and etc. appearance in covid effected patients

**Conclusion**

From the appearance of covid 19 till today many researches are conducted that gives opportunities toadvance the information, information that we introduced today is based on systemic reviews that revealed the following:

1) There is a direct link between oral health and SARS-CoV-2.
2) the possibility of using Saliva as an accurate testing method for diagnosis of SARS-CoV-2.
3) Smoking can increase the risk of mortality from SARS-CoV-2 despite not having any othercomorbidities
4) dysgeusia, anosmia and hyposmia are caused by SARS-CoV-2.
5) improved oral hygiene and frequent professional oral health care can reduces the progression oroccurrence of respiratory diseases including SARS-CoV-2.
6) there is no direct connection between dental caries and SARS-CoV- 2 although this conclusion mightchange with further research.
7) Systemic reviews and Pilot study conducted by us elicited correlation between covid -19 and oralhealth
8) Noticed changes in the microbiome of respiratory tract

**მარიკა ივანიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: ლელა გრიგოლია**
მედიცინის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## რეცესიის ქირურგიული მკურნალობა

საკონფერენციო თემაში განხილული იქნება, თუ რა არის რეცესია, პაროდონტის ბიოტიპი. კბილების ხეხვის, კბილის ყელის მიდამოში არსებული რესტავრაციების, ორთოდონტიული მკურნალობისა და სხვა მდგომარეობების გავლენა რეცესიაზე და თითოეული შემთხვევის კლინიკური ქეისი.

აგრეთვე განხილული იქნება, როგორ დავსვათ დიაგნოზი და რა რეკომენდაციები უნდა მივცეთ პაცინტს რეცესიის არსებობის შემთხვევაში, რადგან რაც უფრო ღრმაა რეცესია, მით უფრო დაბალია ოპერაციის გზით გაშიშვლებული ფესვის სრულად დაფარვის შანსი. როგორც მოგეხსნებათ, კბილთაშორისი მიმაგრების დონე თუ ნორმაშია, მაშინ რეცესიის სრულად დაფარვის შანსი ძალიან მაღალია, ხოლო პირიქით, თუ ინტერდენტალური კლინიკური მიმაგრება დარღვეულია,  მაშინ ფესვის სრულად დაფარვა შეუძლებელია. რაც უფრო დიდია კბილთაშორისი მიმაგრების დარღვევა, მით უფრო ცუდია, ნაკლებია რეცესიის ქირურგიული მკურნალობის შედეგი.

თემაში განხილული იქნება რეცესიის ახალი კლასიფიკაცია, რომელიც მოწოდებულია Cairo et al-ის  მიერ.

აღნიშნული კლასიფიკაცია უკეთესად ასახავს კლინკურ შემთხვევებს და ოპერაციის წარმატების  გარანტიებს, ვიდრე ადრე გამოყენებული მილერის კლასიფიკაცია ( Miller classification), რომლსაც  გააჩნია გარკვეული შეზღუდვები.

Cairo-ს კლასიფიკაცია მკურნალობაზე ორიენტირებულია; მას თავისუფლად გამოვიყენებთ იმისთვის, რომ ვიწინასწარმეტყველოთ როგორი იქნება ქირურგიული მკურნალობის გამოსავალი. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე კლინიკური მდგომარეობები, რომლებიც ასოცირდება რეცესიასთან. თუ რეცესიისას არ ვუმკურნალებთ, იგი მეტად პროგრესირდება და გაღრმავდება. Audio et al-ის მიერ ჩატარდა კვლევა - შეადარეს უბნები, სადაც გაკეთებული იყო ღრძილის პლასტიკა და ის, სადაც არ იყო ნამკურნალები რეცესია. 23-25 წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნამკურნალებ უბნებში 83%-ში შემცირდა რეცესიის ზომა, ხოლო არანამკურნალებ უბნებში 48%-ში მოიმატა რეცესიის სიღრმემ. პაციენტთა უმრავლესობა რეცესიის ქირურგიულ მკურნალობას მიმართავს კოსმეტიკური მიზნით. ამიტომ აუცილებელია, გავითვალისწინოთ ექსპერტების რჩევა, რომ რეცესიის ტიპი, პაციენტის მოთხოვნები და მკურნალობის ტაქტიკა განისაზღვროს თითოეული პაციენტისათვის ინდივიდუალურად.

მომატებული მგრძნობელობა ხშირად ვლინდება რეცესიების დროს. ეს ტკივილი საკმაოდ მოკლე და

ძლიერია, სწრაფად გადის, როცა აღარ არის გამღიზიანებელი. მგრძნობელობა საკმაოდ ცვლის ადამიანის ცხოვრების ხარისხს და კვების თავისებურებას.

ფესვების ქირურგიული გზით დაფარვის შემდგომ სრულად ქრება ჰიპერმგრძნობელობა. არსებობს უამრავი კვლევა, რომელიც ამას ამტკიცებს. მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე კბილის ყელის კარიესულსა და არაკარიესულ დაავადებებს, რომლებიც ასოცირდებიან რეცესიასთან. თუმცა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ეს დაზიანებები იმდენად, რამდენადაც ისინი ცვლიან ან საერთოდ აზიანებენ ბუნებრივ მინანქარ-ცემენტის საზღვარს, რომელიც ასე მნიშვნელოვანია რეცესიების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის.


**Marika Ivanidze**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Lela Grigolia**
Doctor of Medicine,
Associate Professor


## Surgical treatment of recession

The conference topic will discuss what are recession and a periodontal biotype. The impact of tooth brushing, restorations of the cervical area of the teeth, orthodontic treatment, and other conditions on the recession and the clinical case of each case. It will also discuss how to diagnose and what recommendations to give to the patient in case of recession. Because the deeper the recession is, the lower the chance of full coverage of the root by surgical procedure. If the mucogingival junction is normal, there are high chances of the positive outcome of root coverage. If greater is the disruption of the interdental attachment, the worse the outcome of surgical treatment of the recession.

This topic will be discussed the new classification of recession provided by Cairo et al. This classification better reflects clinical cases and outcomes of surgery success than the previously used Miller's classification, which has some limitations. Cairo's classification is treatment-oriented, we use it freely to predict what the outcome of surgical treatment will be. Also of great importance are the recession-related clinical conditions. If we do not treat it during the recession, it will progress and deepen. A study was conducted by Audio et al and they compared areas where gum plastic surgery was performed and those where we did not treat the recession. After 23-25 years, it was found that the size of the recession size decreased in 83% of the treated areas, while the depth of the recession size increased in 48% of the untreated areas.

Most patients undergo surgical treatment of recession for cosmetic purposes. It is, therefore,, necessary to take into account the advice of experts to determine the type of recession, patient requirements, and treatment tactics for each patient individually.

Hypersensitivity, often manifested during recessions. This pain is quite short and severe, passing quickly when it is no longer irritating. Sensitivity changes the quality of human life pretty much, and it changes nutritional peculiarities as well. After surgical coverage of the

roots, the hypersensitivity completely disappears. There is plenty of research that proves it.

Importance is also attached to carious and non-carious disease of the cervical area of the tooth associated with recession. However, for us, these lesions are important in so far as they alter or completely damage the natural cementoenamel junction, which is so important for the diagnosis and treatment of recessions.

**Ahmad Amiri Nassar**
Caucasus International University
One-Cycle Program
**Supervisor: Tamar Jikia**
Assistant Professor,
Visiting Lecturer

## Socket shield technique

One of the major goals of prosthetic rehabilitation is to achieve and maintain the harmony especially in the esthetic areas. The socket-shield technique is used as a predictable therapy with minimum surgical intervention with an optimum esthetic result.

The principle is to prepare the root. It aims at preserving the root in socket to preserve the bone  and the socket, which helps not to damage the socket after extraction.

Whilst the socket-shield technique potentially offers promising outcomes, clinical data to support  this is very limited.

Conclusion The socket-shield technique is gaining popularity among the clinicians across the world. The technique is very promising for the preservation of hard and soft tissues in cases of immediate implant placement.

**ნინო ხაჩიძე**
**მარიამ ხატიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ერთსაფეხურიანი
**ხელმძღვანელი: ლელა გრიგოლია**
მედიცინის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ბიოაპკის მენეჯმენტი

საკონფერენციო თემაში გადმოცემულია ბიოაპკის განმარტება, ბიოაპკის მენეჯმენტი, მომწიფების ფაზები, მისი გავლენა პირის ღრუზე, პროტოკოლი, ასევე განვიხილავთ მის მოსაცილებლად გამოყენებულ აპარატურასა და მასალას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიოაპკის მენეჯმენტის სხვადასხვა მეთოდებიდან დღესდღეობით დანერგილია ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გაიდლაინი ე.წ. GBT მეთოდი. ეს გაიდლაინი მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს; ესენია: პაციენტის ინფორმირება ჩასატარებელი მანიპულაციის შესახებ, ზონდირება, პაროდონტოლოგიური გამოკვლევა, ნადების შეღებვა, ინსტრუქტაჟი და მოტივაცია სახლის ჰიგიენის შესახებ, წმენდისთვის მომზადება, ღრძილზედა და ღრძილქვეშა ბიოაპკის მოცილება აირ-ჭავლის საშუალებით, ღრძილზედა და ღრძილქვედა ქვის მოცილება ულტრაბგერით, შესაბამისი ფორმისა და ზომის სამუშაო ცხვირებითა და შესაბამისი სიმძლავრით, ხარისხის შემოწმება, მაგარი ქსოვილების მიდამოში სხვა დაზიანებების დიაგნოსტიკა, განმეორებით ვიზიტზე შეთანხმება.

აგრეთვე მნიშვნელოვანია განვიხილოთ რომელი აპარატურით და რა მასალის გამოყენებით იქნება მოცილებული ბიოაპკი, რადგან მათ შეიძლება პირის ღრუზე სხვადასხვანაირი ზეგავლენა მოახდინონ.

როგორც ვიცით, პაროდონტის ანთებითი დაავადებების მკურნალობაში წამყვანი როლი აქვს ბიოაპკის სწორ მენეჯმენტს. სწორად ჩატარებული ბიოაპკის მენეჯმენტი, გინგივიტის შემთხვევაში, გვაძლევს სრულ გამოჯანმრთელებას. პროცედურა, რომელსაც ვატარებთ ამ შემთხვევვაში, არის პროფესიული წმენდა; ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დროულად მოხდეს პაციენტის ინფორმირება და შესაბამისი მკურნალობის ჩატარება. ასევე მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ფხვნილები, რომლის საშუალებითაც ხდება ბიოაპკის მკურნალობა. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან შემადგენლობით და ამის გამო სხვადასხვანაირი მოქმედებით ხასიათდებიან.

**Nino Khachidze**
**Mariami Khatiashvili**
Caucasus International Unversity
One-Cycle Program
**Supervisor: Lela Grigolia**
Doctor of Medicine,
Associate Professor

## Dental plaque management

The topic of the conference is the definition of dental plaque and its management,the stages of maturation, its effect on the oral cavity, the protocol.We will also discuss the apparatus and materials that is used for its removal.

It should be noted that from the various methods of dental plaque management, nowadays one of the most effective guidelines has been introduced, so called GBT (Guided Biofilm Therapy) method. This guideline includes several important steps and these are: Informing the patient about the manipulation to be performed, probing ,periodontal examination,

plaque staining, instruction and motivation about home hygiene, preparation for cleansing, removal of upper and lower dental plaque of gingival by air-flow, removal of upper and lower stone of gingival by ultrasound, with proper shape and size working noses and with proper force, quality check, diagnosis of other injuries in the area of hard tissue, agreement for repeat visit.

It is also important to consider which equipment and what material can use for removal the dental plaque, because they can have a different impact on oral cavity.

As we know the leading role in the treatment of inflammatory diseases of the periodont is a proper management of dental plaque. Properly conducted dental plaque management, in the case of gingivitis gives us a full recovery. Procedure, that we are doing in this case is a professional cleansing and therefore it is important to inform the patient in a timely and conduct proper treatment.

It is important to consider the powders, which is used to treatment the dental plaque.They are different from each other with composition and because of this they are characterized by different actions.

# ბიზნესის სექცია / ფინანსების ქვესექცია
# Section of Business / Subsection of Finance

**მაია აბრამაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: თეა ლაზარაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## საქართველოს საგადასახადო სისტემა

გადასახადების წარმოშობის ისტორია საუკუნეებს ითვლის. კაცობრიობის ცივილიზაციის საწყის ეტაპზე ფილოსოფოსები გადასახადებს განმარტავდნენ, როგორც საზოგადოებისთვის აუცილებელსა და სასარგებლო მოვლენას. სახელმწიფოს გადასახადები ესაჭიროება იმისათვის, რომ მან წარმატებულად განახორციელოს თავისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფუნქციები. გადასახადები მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტია, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო საბაზრო ურთიერთობებზე ზემოქმედებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა ქვეყანას გააჩნია საგადასახადო პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც რეაგირებას ახდენენ ბაზრის ნეგატიურ მოვლენებზე. საქართველოში საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებიდან დღემდე ვერ მოხერხდა გამართული და მწყობრი საგადასახადო კანონმდებლობის შექმნა, რის გამოც საგადასახადო კანონმდებლობაში მუდმივად მიმდინარეობდა და დღემდე მიმდინარეობს შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა; ეს არის მიზეზი იმისა, რომ ქვეყნის საგადასახადო სისტემა არამდგრადია. გადასახადები ყოველთვის მთელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს მოიცავდა. გადასახადების გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არსად არ არსებობს სრულყოფილი საგადასახადო სისტემა; ამიტომ ამ საკითხის შესწავლა მეტად აქტუალურია.

**Maia Abramashvili**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Tea Lazarashvili**
Doctor of Economic,
Associate Professor

## Georgian tax system

The history of the origin of taxes goes back to centuries. In the early stages of human civilization, philosophers defined taxes as a necessary and useful event for society. State taxes are needed for it to successfully carry out its economic, social and political functions. Taxes are an important economic lever through which the state influences market relations. In a market economy, every country has a tax policy that responds to negative market developments. Since the establishment of the tax system in Georgia, it has not been possible to create a proper and orderly tax legislation, due to which the tax legislation has been constantly amended and is still underway, due to which the countrys tax system is unstable. Taxes have always covered the socio-economic sphere of the whole society. It is impossible for any state to function without taxes. It should also be noted that there is no perfect tax system anywhere to date, so the study of this issue is highly relevant.

**ნიკა ეზუგბაია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ნაცვლიშვილი**
ფინანსების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## თანამედროვე საბანკო საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია ეკონომიკური ზრდის მაღალი და მდგრადი ტემპების უზრუნველყოფა, რასაც განაპირობებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების განვითარების მაჩვენებელი და მათი ინტეგრირება საზოგადოებაში.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, დღევანდელ არასტაბილური ეკონომიკის პირობებში, კომერციული ბანკებისთვის მნიშვნელოვანია გამოინახოს ისეთი ხერხები და მეთოდები, რომლითაც ისინი შეძლებენ როგორც არსებულ კლიენტთა შენარჩუნებას, ისე ახალი კლიენტების მოზიდვის უზრუნველყოფას.

საქართველოს საბანკო სისტემა წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ეფექტურობას. საქართველოს საბანკო სისტემის განვითარება აქტიურ ხასიათს ატარებს. მის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა 1991 წელს, საიდანაც დაიწყო კომერციული ბანკების დაარსება. თუმცა ეს პროცესი საკმაოდ ქაოსური

აღმოჩნდა, რადგან საბანკო ლიცენზიის მიღება პრობლემას არ წარმოადგენდა. შესაბამისად, მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიხსნა ასობით ბანკი, თუმცა უმრავლესობამ კრახი განიცადა. კომერციული ბანკები გასული საუკუნის 70-იან წლებამდე სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ სტრატეგიულ დაგეგმვასა და მარკეტინგს. ისინი ორიენტირებულები იყვნენ მხოლოდ ტრადიციულ საბანკო მეთოდებსა და პრინციპებზე. 70-იანი წლებიდანვე დაიწყეს ცალკეულმა ბანკებმა თავიანთი საქმიანობის რეკლამირება და უკვე 80-იანი წლებისთვის კომერციულ ბანკებს სრულად ჰქონდათ ათვისებული სამრეწველო მარკეტინგის ყველა ძირითადი ხერხი.

საბანკო სისტემაში ინოვაციების როლი ძალიან მნიშვნელოვანია. ახალი საბანკო პროდუქტების ბაზარზე გამოტანა და მათი ინტეგრირება საზოგადოებაში ქვეყნის ეკონიმიკური განვითარების წინაპირობაა.

**Nika Ezugbaia**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Nikoloz NaTsvlishvili**
Doctor of Finance,
Associate Professor

## Modern banking information systems and technologies

The main priority of the economic policy of any country is to ensure high and sustainable rates of economic growth, to develop modern information technologies and system development indicators and the development of their integrated society.

Due to the urgency of the topic, in the current unstable economic conditions, the commercial bank continues to use the usual and methods by which they will be able to retain existing customers as well as attract new customers.

The banking system of Georgia is one of the important sectors of the market economy, which ensures the economic efficiency of the country. The development of the Georgian banking system is active. Its development was founded in 1991, which changed the establishment of commercial banks. However, this process turned out to be quite chaotic, as obtaining a banking license was not a problem. As a result, hundreds of banks have opened across the country, although most have collapsed. Commercial banks did not pay proper attention to strategic planning and marketing until the 1970s. They focus only on traditional banking methods and principles. Started in the 1970s, a separate bank continued to advertise its operations, and by the 1980s, commercial banks were making full use of all other lines of industrial marketing.

The role of innovation in the banking system is very important. Exhibition of new banking products on the market and their integration into the society is a precondition for the economic development of the country.

**მარიამ კუსიანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: თეა ლაზარაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ინფლაციური პროცესები საქართველოში

ინფლაციური პროცესები ქვეყნებისათვის მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენდა ყოველთვის. თანამედროვე ინფლაციის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ თუკი იგი ადრე ლოკალურ ხასიათს ატარებდა, დღეისათვის საყოველთაო ხასიათი მიიღო და ძალიან ადვილად გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეზე. დღევანდელი პანდემიის ფონზე, როდესაც არაერთი ქვეყნის ეკონომიკა მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა, ინფლაციურმა პროცესებმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. ეს პრობლემა ძალიან მწვავედ გამოვლინდა დღეს საქართველოში, როდესაც ფასები თითქმის ყველაფერზეა მომატებული და ლარის გაუფასურებულმა კურსმაც რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ, რა გამოვლენის თავისებურებები გააჩნია ინფლაციურ პროცესებს საქართველოში და რამდენად ხერხდება ინფლაციის თარგეთირება. როგორც ვიცით, საქართველოს ეროვნული ბანკი 2009 წლიდან გადავიდა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე, რაც გულისხმობს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრას და მის შენარჩუნებას, თუმცა რამდენად ხერხდება დღევანდელ სიტუაციაში ამის გაკეთება, მსჯელობის საგანია.

**Mariami Kusiani**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Tea Lazarashvili**
Doctor of Economic,
Associate Professor

## Inflationary processes in Georgia

Inflationary processes have always been a significant socio-economic problem for countries. A characteristic feature of modern inflation is that if it used to be local in nature, it has now become universal and moves very easily from one country to another. Against the background of the current pandemic, when most of the country's economy was in a difficult situation, inflationary processes have acquired a special urgency. This problem has become very acute in Georgia today, when prices have risen for almost everything and the

depreciated GEL has reached a record high. It is important to analyze the specifics of the detection of inflationary processes in Georgia and the extent to which inflation can be targeted. As we know, the National Bank of Georgia has switched to inflation targeting mode since 2009, which means setting and maintaining the inflation target in the medium term, but whether it is able to do so in the current situation is a matter of debate.

**ნიკო ლეონიძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: გიორგი აბუსელიძე**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## საქართველოს საკრედიტო ბაზარი და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები

საქართველოს საკრედიტო ბაზრის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს კომერციული ბანკები, რომლებიც გვევლინებიან ძირითად მოთამაშეებად საკრედიტო-საფინანსო სფეროში. ამიტომ საინტერესოა შემდეგი საკითხის გარკვევა - არსებული საკრედიტო ბაზარი და ამ ბაზრის მასტიმულირებელი ფინანსური ორგანიზაციები არის თუ არა ეფექტიანი და პროდუქტიული ეკონომიკური თვალსაზრისით. საინტერესოა ასევე, როგორია კონკურენციის დონე და როგორ ზეგავლენას ახდენს ის ქვეყნის ეკონომიკის ზრდის სტაბილურობასა და მდგრადობაზე. ნაშრომის საკვლევი პრობლემა ორიენტირებულია საქართველოში არსებული საკრედიტო ბაზრის რეალური მდგომარეობისა და მისი შეფასების სოციალურ-ეკონომიკურ მხარეებზე. კვლევის აქტუალურობა და მნიშვნელობა მოიცავს ნაშრომში განხილული კომპონენტების თეორიულ-პრაქტიკულ მნიშვნელობას. გარდა ამისა მოცემული თემის აქტუალობა მჭიდროდაა კავშირში საქართველოში არსებული საკრედიტო ბაზრის ელემენტების რეგულირებისა და განვითარების სრულყოფის პროცესის აუცილებლობასთან. ჩვენი აზრით, საკრედიტო ბაზრის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და ფინანსურ გაძლიერებას სხვადასხვა თვალსაზრისით. კვლევის მიზანი დამყარებულია საქართველოში არსებული საკრედიტო ბაზრის ეკონომიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის წარმოჩენაზე.

**Niko Leonidze**
Batumi Shota Rustaveli
State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Giorgi Abuselidze**
Doctor of Economics,
Associate Professor

## Georgian Credit Market and the Main Directions of its Development

An important element of the Georgian credit market is commercial banks, which are the main players in the field of credit and finance. Therefore, it is interesting to clarify the following question - whether the existing credit market / financial market-stimulating financial organizations are economically efficient and productive. Also, what is the level of competition and how does it affect the stability and sustainability of the country's economic growth. The research problem of the paper is focused on the real situation of the credit market in Georgia and its socio-economic aspects. The urgency and importance of the research include the theoretical-practical significance of the components discussed in the paper. In addition, the urgency of this topic is closely related to the need to improve the process of regulation and development of credit market elements in Georgia. In our opinion, the development of the credit market will ensure the economic progress and development of the country, as well as raising the living standards of the population and financial strengthening in various ways. The aim of the research is to show the economic and public importance of the credit market in Georgia.

**თამარ მანაგაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: თეა ლაზარაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## საქართველოს საბანკო სისტემის თავისებურებები

ბანკების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მრავალმხრივია. კერძოდ, ისინი ახდენენ კაპიტალის ფორმირებას, როცა მოქალაქეების მიერ ანაბრებზე ფულის შეტანის გზით თავს უყრიან მცირე დანაზოგს, რომელიც შემდგომში უკვე ხელმისაწვდომი ხდება ბიზნესისათვის, რადგან შემდეგ პროდუქტიულად იყოს გამოყენებული. საბანკო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მზარდი დარგია მსოფლიოში. იგი თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თუმცა დღემდე არაა მათი როლი გაცნობიერებული ეკონომიკურ სისტემაში. საქართველოსათვის, როგორც პოსტკომუნისტური ქვეყნისათვის, ძალზედ მტკივნეული აღმოჩნდა საბანკო სისტემის

ცენტრალიზებული მართვიდან საბაზრო სისტემაზე გადაყვანის პროცესი. ამიტომ მნიშვნელოვანია, კარგად გავაანალიზოთ თანამედროვე კომერციული ბანკების საქმიანობა და მათი თავისებურებანი საქართველოში. საბანკო სისტემას ერთ-ერთი ძირითადი როლი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურად და ეფექტიანად განვითარებაში. მნიშვნელოვანია, დავახასიათოდ საბანკო სისტემა საქართველოში, კომერციული ბანკების მნიშვნელობა და როლი და მოვახდინოთ მათი საქმიანობის ანალიზი.

**Tamar Managadze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Tea Lazarashvili**
Doctor of Economic,
Associate Professor

## Peculiarities of the Georgian banking system

The role of banks in the development of the country's economy is multifaceted. In particular, they generate capital when citizens accumulate small savings by depositing money in deposits, which are then made available to businesses because they can then be used productively. The banking sector is one of the fastest growing industries in the world. It is an integral part of modern economics and public life. However, their role in the economic system is still not realized. For Georgia, as a post-communist country, the process of transition from centralized management of the banking system to a market system turned out to be very painful. Therefore, it is important to thoroughly analyze the activities of modern commercial banks and their peculiarities in Georgia. The banking system plays one of the key roles in the stable and efficient development of the country's economy. It is important to characterize the banking system in Georgia, the importance and role of commercial banks and to analyze their activities.

**თამარ ტაბატაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: თეა კასრაძე**
ეკონომიკის დოქტორი,
პროფესორი

## ბანკების როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია მცირე ბიზნესის განვითარების გარეშე. რაც უფრო მაღალია ქვეყანაში სიღარიბის დონე, მით უფრო მეტად

მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, რადგან სწორედ მას შესწევს უნარი, შეცვალოს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური სურათი.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის განვითარება მაღალი ტემპით მიმდინარეობს, ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ საწარმოებს და დახმარებას უწევენ მათ: ადგენენ მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებს, უწესებენ მნიშვნელოვან შეღავათებს და სხვ.

საქართველოში მცირე საწარმოთა ფორმირების პროცესი რთულად მიმდინარეობს, რასაც რიგი მიზეზები აქვს. ესენია: დაბალი პროფესიონალიზმი, მონოპოლიის მქონე საწარმოები, მოსახლეობის დანაზოგების სიმცირე, ბაზრის არასრულყოფილება და ა.შ. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად, მნიშვნელოვანია ბანკების ჩართულობა.

**Tamar Tabatadze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Tea Kasradze**
Doctor of Economics,
Professor

## The role of banks in small business development

The importance of small business is an integral component of the economic growth of the country. Small enterprise development can contribute to poverty reduction. Supporting small businesses is more important for the countries with higher poverty rates, as it has the ability to change the economic and social situation of the country.

In developed countries, small business development is proceeding at a high pace, national governments attach great importance to such enterprises and assist them: establish small business promotion programs, impose significant benefits, and so on.

The process of setting up small enterprises in Georgia is quite difficult for a number of reasons: low professionalism, enterprises with monopoly, lack of population savings, market imperfection, etc. In order to solve this problem, besides state institutions, it is important to involve banks, which can provide vital services for small businesses.

**თამარ ტურავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: მანანა მჭედლიშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## სიღარიბის სტატისტიკურ-ეკონომიკური ანალიზი პანდემიის პირობებში

დღესდღეობით საქართველოში მრავალი სახის პრობლემა იჩენს თავს. მათგან ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესია სიღარიბე. სიღარიბე წარმოადგენს მდგომარეობას, როცა პიროვნება განიცდის მატერიალურსა ან ფინანსურ ნაკლებობას. სიღარიბე მოიცავს საკვებისა და ტანსაცმლის არქონას, განათლებისა და ჯანდაცვის შეზღუდულობას, მეურნეობისთვის განკუთვნილი მიწის სიმცირეს ან სამსახურში დაბალი ხელფასის გამომუშავებას. სიღარიბისთვის დამახასიათებელია დაუცველობა, უძლურება, საზოგადოების დიფერენციაცია და სხვა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2018 წელს საქართველოს მოსახლეობის 20.1% სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა. 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 21.9% იყო, ხოლო 2016 წელს 22%. 2021 წლის მდგომარეობით შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 1 კვარტალში 197,6 ლარია, ხოლო 2 კვარტალში - 197,2 ლარი. სოფელში სიღარიბეში 23.1% ცხოვრობს, ხოლო ქალაქში - 18%.

საქართველოს ეკონომიკა 2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიისა და ნავთობზე შემცირებული ფასების გამო საგრძნობ შენელებას განიცდის. ეკონომიკურ გაჯანსაღებას საქართველო 2021 წელს გაზრდილი შიდა მოთხოვნითა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, ასევე საზღვარგარეთიდან აღდგენილი გადმორიცხვებით შეძლებს. განვითარების ბანკის პროგნოზი 2020-ის ვარაუდით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2020 წელს 0%-მდე დაეცა კოვიდ-19-ის პანდემიისა და ნავთობზე ფასების ვარდნის, შემცირებული მოხმარების, ტურიზმისა და ვაჭრობის პასუხად. თუმცა, საქართველოს ეკონომიკის ჩვეულ დინამიკაში დაბრუნება 2021 წელს 4.5%-იანი ზრდითაა მოსალოდნელი.

მაშასადამე, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, როდესაც დაახლოებით 3 თვის განმავლობაში ეკონომიკა გაჩერებული იყო, ექსპერტების შეფასებით, მშპ-ს ზრდა 2020 წელს 0% შეადგინა, მაგრამ სულ სხვა სურათი გვექნება 2021-ში, როცა ეკონომიკის ყველა დარგი ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას.

**Tamari Turava**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Manana Mchedlishvili**
Doctor of Economic,
Associate Professor

## Statistical-economic analysis of poverty in pandemic conditions

There are many types of problems in Georgia today. One of them and the most important is poverty. Poverty is a condition in which a person suffers from material or financial deprivation. Poverty includes lack of food and clothing, limited education and health care, lack of land for farming or low wages at work. Poverty is characterized by insecurity, powerlessness, societal differentiation, and more.

According to the National Statistics Office of Georgia, in 2018, 20.1% of the Georgian population lived below the absolute poverty line. In 2017, this figure was 21.9%, while in 2016 it was 22%. As of 2021, the subsistence level for men of working age is 197.6 GEL per quarter and 197.2 GEL per second quarter. 23.1% live in poverty in the countryside and 18% in the city.

Georgia's economy will experience a significant slowdown in 2020 caused by the Covid-19 pandemic and lower oil prices. Georgia will be able to recover economically in 2021 with increased domestic demand and foreign direct investment, as well as resumed remittances from abroad. Development Bank Forecast for 2020 Georgia's GDP growth fell to 0% in 2020 in response to the Covid-19 pandemic and falling oil prices, declining consumption, tourism and trade. However, the return of the Georgian economy to normal dynamics in 2021 is expected to grow by 4.5%.

Therefore, given the current situation, when the economy was stagnant for about 3 months. Experts estimate that GDP growth in 2020 was 0%, but we will have a completely different picture in 2021, when all sectors of the economy will continue to operate as usual.

**თამარ ჩიტიშვილი**
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ნანა ახალაია**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

## ინფლაცია საქართველოში, პრობლემები და მათი დაძლევის გზები

ინფლაცია, როგორც ეკონომიკური მოვლენა, ხანგრძლივი პერიოდია არსებობს. ითვლება, რომ მისი აღმოცენება ნაწილობრივ უკავშირდება ფულის წარმოშობას,

რომლის ფუნქციონირებაში ის განუწყვეტლივ მონაწილეობს. ტერმინი „ინფლაცია“ პირველად გამოიყენეს ჩრდილოეთ ამერიკაში სამოქალაქო ომის პერიოდში - 1861-1865 წლებში და ის ნიშნავდა ფულადი მიმოქცევის პროცესის გაბერვას. ინფლაცია არის ფასების საერთო დონის ზრდა, მიმოქცევის არსების ფულადი მასით გადატვირთვა საქონელთბრუნვის მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, რაც იწვევს ფულადი ერთეულის გაუფასურებას და შედეგად - ფასის ზრდას. ინფლაცია არის წმინდა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომელიც „იბადება“ საბაზრო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში წარმოების დისპროპორციით. აღსანიშნავია, რომ ინფლაცია თანამედროვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების ყველაზე მწვავე პრობლემაა. ინფლაცია, როგორც წესი, წარმოიქმნებოდა ისეთ საგანგებო შემთხვევებში, როგორიცაა, მაგალითად, სახელმწიფოთა შორის ომები. ამ პერიოდში ქვეყნები დიდი რაოდენობით ქაღალდის ფულს უშვებდნენ, რათა საომარი ხარჯები დაეფარათ. ბოლო 20-30 წლის განმავლობაში ინფლაცია მრავალი ქვეყნის ეკონომიკის ქრონიკულ დაავადებად იქცა. ინფლაციის გამომწვევი მიზეზებია: დისპროპორციულობა - სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების არაბალანსირებულობა - ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში იფარება სენიორაჟის გამოყენებით; სენიორაჟი არის შემოსავალი, რომელიც მიღებულია ფულის დაბეჭვდის შედეგად; ინფლაციურ-სახიფათო ინვესტიციები ძირითადად ეკონომიკის მილიტარიზაციას გულისხმობს. თუ არსებობს ინფლაციის მოლოდინი, ეს იწვევს მოთხოვნის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკაში სირთულეებს წარმოშობს და საზოგადოების მოთხოვნის რეალურ სურათს ცვლის.

**Tamar Chitishvili**
Gori State Teaching University
Undergraduate Studies
**Supervisor: Nana Akhalaia**
Doctor of Economics,
Professor

## Inflation in Georgia, problems and ways to overcome them

Inflation as an economic event has existed for a long time. It is believed that its emergence is partly related to the origin of money, in the functioning of which it continuously participates in. The term "inflation" was first used in North America during the Civil War of 1861-1865 and meant to inflate the process of money circulation. Inflation is an increase in the general level of prices, a reset of the circulation of monetary assets due to the high demand for goods, which leads to the depreciation of the monetary unit and the consequent increase in price. Inflation is a purely socio-economic phenomenon that was "born" with the disproportion of production in different areas of the market economy. It should be noted that inflation is the most acute problem of economic development in many countries

of the modern world. Inflation usually arose in emergencies such as wars between states. During this period, countries issued large amounts of paper money to cover war expenses. Over the last 20-30 years, inflation has become a chronic disease of many countries' economies. The causes of inflation are: Disproportion - the imbalance of state revenues and expenditures, e.g.: the state budget deficit, which is often covered by the use of seniority. Seniority is the income received as a result of printing money; Inflation-risky investments- mainly involve the militarization of the economy; Inflation expectations - examples of this are observing in everyday life. If there is an expectation of inflation, then such a situation leads to an increase in demand, which in turn creates difficulties in the economy and changes the real picture of public demand.

# ბიზნესის სექცია / ტურიზმის ქვესექცია
# Section of Business / Subsection of Tourism

**ეთუნა ბაციაშვილი**
**გიორგი ქებაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ავთანდილ ოქროცვარიძე**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

**ტრანსპორტის მნიშვნელობა ტურიზმის განვითარებაში**

ტურიზმი განიხილება, როგორც ინდივიდის საქმიანობა, რომელიც აერთიანებს ორ ძირითად ელემენტს - მოგზაურობასა და ყოფა-ცხოვრებას. ბოლო წლებში ტურიზმის განვითარების მაღალი ტემპები უშუალოდაა დაკავშირებული ტრანსპორტის სფეროში მიღწეულ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან. ტურისტული მოგზაურობის მასობრივ მოვლენად გადაქცევა მნიშვნელოვანწილად განაპირობა სატრანსპორტო სისტემის სწრაფმა განვითარებამ. უდიდესი პროგრესული მოვლენა იყო რკინიგზისა და ორთქმავლის შექმნა, შემდეგ გაჩნდა ავტომობილი, მოგვიანებით კი თვითმფრინავი, რომელიც დღეისთვის უკვე ადამიანთა გადაადგილების მასობრივ სატრანსპორტო საშუალებად იქცა.

თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე და განსაკუთრებით პანდემიის - კოვიდ-19-ის პირობებში, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტრანსპორტი, ფუფუნების საშუალებიდან იქცა ადამიანისათვის მეტად მნიშვნელოვან მოვლენად; ტურისტული პროდუქტის მომსახურეობაშიც მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აქედან გამომდინარე, ტრანსპორტის როლი და მნიშვნელობა ტურიზმის განვითარებაში მეტად დიდია.

**Etuna Batsiashvili**
**George Kebadze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Avtandil Oqrocvaridze**
Doctor of Economics,
Associate Professor

## The importance of transport in the development of tourism

Tourism is viewed as an individual activity that combines or is a key element, travel and being-life. Recently, the high rates of tourism development are directly related to the scientific-technical progress achieved in the field of transport. Mass tourism events have significantly expanded leading to the development of the transportation system. My progressive event was the creation of a railway and a steam locomotive, then the car stopped, and later the plane, which by now was already moving people in a material vehicle there.

Modern demand is needed and only under the condition of pandemic kovid-19, both domestic and international transport, through luxury becomes a very important human being, as well as for the movement of tourists from one destination to another, the main means of transportation is possible. Ie It has a special place in the service of tourism products. Because of this, the role and importance of transport in the development of tourism is enormous.

Discussion of these issues is a conference topic.

**ანა კაკუბავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ტურიზმის როლი აფხაზეთთან შერიგების პროცესში

მსოფლიო დღის წესრიგში მნიშვნელოვანი მოვლენაა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და მათი პრობლემური მნიშვნელობა შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში. მსოფლიო ტურიზმი და ურთიერთგაგება განუყოფელი ნაწილია; მოგზაურობა არის გზა ცოდნისკენ, რაშიც ყველამ საკუთარი წვლილი უნდა შევიტანოთ, რათა მსოფლიო გახდეს თითოეული ადამიანისთვის საუკეთესო ადგილი. სწორად დაგეგმილ ტურიზმს შეუძლია მოიტანოს ურთიერთგაგება და მადლიერება ქვეყნებს შორის, კეთილდღეობა და უკეთესი ცხოვრება ყველასთვის, ვინც ამ საქმიანობაში არის ჩართული. საჭიროა, ხელი შევუწყოთ ტურიზმისა და

მისი დადებითი შედეგების ზრდას. მიუხედავად უამრავი მცდელობისა, დღემდე რთულად გადასაჭრელ საკითხად რჩება ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. სწორედ ეს საკითხებია განხილული საკონფერენციო თემაში. კვლევის ინტერესი იყო ახალგაზრდების განწყობების დადგენა შერიგების პროცესში; რეკომენდირებულია ტურიზმის მიმართულებით ორმხრივი აქტივობების განხორციელება. საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ისეთი პროგრამების შექმნა, რომელშიც ქართველსა და აფხაზ ახალგაზრდებს შეეძლებათ აქტიურად ჩართვა და მონაწილეობა. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციებს და მათ ჩართულობას ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში.

**Ana Kakubava**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor of Business Administration.
Associate Professor

### The role of tourism in the process of reconciliation with Abkhazia

On the world agenda ethnopolitical conflicts and their problematic significances in the process of reconciliation and peace building is an important event. World tourism and mutual understanding are an integral part, travel is a path to knowledge, in which we must all contribute to make the world the best place for each person. Properly planned tourism can bring mutual understanding and appreciation between countries, prosperity and a better life for all those involved in this activity. We need to promote tourism and its positive effects. Despite of many attempts, Georgian-Abkhazian conflict remains difficult issues to resolve. These are the topics discussed in the conference theme. The interest of the research was to determine attitudes of the youth in the process of reconciliation. It is recommended to carry out bilateral activities in the direction of tourism. The government of Georgia should ensure creation of programs in which young generation of Georgia and Abkhazia will be actively involved and participated. Also, international organizations and their involvement has big influence on Georgian-Abkhazian relations

**ალექსანდრე თედიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: იზაბელა ფერიშვილი**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## სასტუმრო ინდუსტრიის ბაზრის თავისებურებები

დასახელება „სასტუმრო“ გამომდინარეობს ფრანგული სიტყვა “Hôtel”-დან, რაც ნიშნავს ქალაქის სტუმრების განთავსების ობიექტს. საერთაშორისო სტანდარტის სივრცეში არსებობს სასტუმროების საერთაშორისო კლასიფიკაცია, სადაც ოთახების მომსახურებისა და კომფორტის დონე არის განსაზღვრული ვარსკვლავების რაოდენობის მიხედვით მაგ. ერთიდან ხუთამდე.

ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ინდუსტრია და მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივობაა. ტურიზმის ინდუსტრიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს განთავსების საშუალებებს, რომლებიც გამიზნულია ჩამოსული სტუმრების გარკვეული ვადით განთავსებაზე.

დროთა განმავლობაში “სტუმართმასპინძლობის” ინდუსტრია იხვეწებოდა, იცვლიდა სახეს და დანიშნულებასაც. დღეს თანამედროვე სასტუმრო ტურისტთა განთავსების კოლექტიური საშუალებაა, სასტუმრო ოთახების განსაზღვრული რაოდენობით, მომსახურების სპექტრის, დონისა და სასტუმროს მოწყობის შესაბამისად.

**Aleksander Tedaishvili**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Izabela Perishvili**
Doctor of Business Administration,
Associate Professor

## Peculiarities of the Hotel Industry Market

The name "Hotel" comes from the French word "Hôtel", which means the place where guests of the city are accommodated. In the international standard space there is an international classification of hotels, where the level of room service and comfort is determined by the number of stars, for instance from one to five.

Tourism is one of the fastest growing industries in Georgia and an important economic activity. A special place in the tourism industry is occupied by accommodation facilities, which are intended to accommodate guests for a certain period of time.

Over time, the industry of “hospitality” has evolved, changing in appearance and purpose. Nowadays, a modern hotel is a collective accommodation facility for tourists with a certain number of hotel rooms in accordance with the range of services, level and location of the hotel.

**სალომე მანძულაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## პანდემიის ზეგავლენა საჰაერო ტრანსპორტზე

საჰაერო ტრანსპორტი კერძო, ბიზნესსა და საჯარო ურთიერთობებში მეტად სასურველ სატრანსპორტო საშუალებად მიიჩნევა. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა შეუძლებელელია მოწესრიგებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გარეშე. ამასთან, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის განმახორციელებელი სატრანსპორტო კომპანიების ეფექტურ მუშაობაზე მნიშვნელოვან წილადაა დამოკიდებული ქვეყნის სავაჭრო, სამრეწველო და ტურისტული საქმიანობა, თუმცა კოვიდ-19-მა უპირველესად სწორედ საჰაერო ტრანსპორტი შეზღუდა და დააზარალა. კორონავირუსის პანდემიამ ისეთი კრიზისი გამოიწვია მთელი მსოფლიოს მაშტაბით, რომლის მსგავსიც ისტორიას არ ახოვს, ის სამუდამოდ შეცვლის საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციას. სამყარო თანხმდება, რომ საჰაერო ტრანსპორტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველასთვის. საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების განახლება დამოკიდებული იქნება კორონავირუსის პანდემიის შემდგომ განვითარებაზე, ეროვნულ საკანონმდებლო რეგულაციებზე. საკონფერენციო თემაში განხილულია სამოქალაქო ავიაციაზე პანდემიის გავლენები, ტურიზმის სფეროში COVID-19-ის შედეგად შექმნილი სიტუაციის შეფასება და ავიაციის როლი ტურიზმის რესტარტისთვის.

**Salome Mandzulashvil**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor of Business Administration,
Associate Professor

## THE INFLUENCE OF PANDEMIC ON THE AIR TRANSPORT

Air transport is considered one of the desired transport in private business and in public relations. The development of a country’s economic is impossible without the

infrastructure of transportation. In addition, the working process of air freight, industry and tourism is depended on air transport. But covid – 19 has limited and damaged air transport. The pandemic caused a great crisis throughout the world. It is impossible to remember crisis like this. It will change International civil aviation. Air transport is vital for everybody. The process of working of air transport is depended on the pandemic and national regulations. the influence of pandemic on the civil aviation and tourism is discussed in this conference topic. We estimate the results, the situation and the about the ways of the restoration of tourism.

**დიანა გრიგორიანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## პანდემის გავლენა ტურისტულ კომპანიებზე

მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნეში მედიცინა საგრძნობლად განვითარდა, მსოფლიო კორონავირუსის პანდემიას მოუმზადებლად შეხვდა. პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა ეკონომიკას და ტურისტული ბიზნეს სექტორების სრულად გაჩერება გამოიწვია. საქართველოში საერთაშორისო და შიდა ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ტურისტულ კომპანიებს. კორონავირუსის პანდემიის შედეგად დაწესებულმა შეზღუდვებმა (კონკრეტულად - ავიახაზების, განთავსებისა და კვების ობიექტების სტაგნაციამ და ხანგრძლივმა კომენდანტის საათის დაწესებამ) გამოიწვია ტურისტული ნაკადების 85%-ით შემცირება; რაც შეეხება კოვიდის მიერ ზუსტი ზარალის განსაზღვრას, ეს ჯერ კიდევ რთულია. რესტარტი შიდა ტურიზმით დაიწყება, ადამიანები იმოგზაურებენ ქვეყნის საზღვრებს შიგნით. ამიტომ, ტუროპერატორებს მოუწევთ გადააწყონ თავიანთი ბიზნესი ამ მიმართულებით. ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადონ ახალი ტურისტული პროდუქტი. ამით იხსნება ტურიზმის ახალი შესაძლებლობებიც. ძნელი გამოსათვლელი არ არის ისიც, რომ პანდემიის პირობებში კიდევ უფრო პოპულარული გახდება კემპინგები, კარვები, „ველნეს„ ტურიზმი“, აგროტურიზმი და ეკოტურიზმი. აღნიშნული აქტუალური საკითხების განხილვა წარმოდგენილია საკონფერენციო თემაში.

**Diana Grigorian**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor of Business Administration,
Associate Professor

## The influence of the pandemic on travel companies

Although medicine has evolved significantly in the 21st century, the world has met with an unprepared coronavirus pandemic. The pandemic has hit the economy hard and caused the tourism business sectors to shut down completely. Travel companies play an important role in the development of international and domestic tourism in Georgia. Restrictions imposed as a result of the Coronavirus pandemic in particular - the stagnation of airlines, accommodation and food outlets, and the establishment of a long curfew led to an 85% reduction in tourist flows, which is still difficult to determine the exact damage by Covid. The restart will start with domestic tourism, people will travel within the borders of the country. Therefore, tour operators will have to rearrange their business in this direction. Prepare a new tourism product according to the new requirements. This opens up new opportunities for tourism. It is not difficult to calculate that in the conditions of the pandemic camping, tents, "wellness" tourism, agritourism and ecotourism will become even more popular. The discussion of these topical issues is presented in the conference topic.

**დავით ბალდოშვილი**
**ნოდარ გედენიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ტურიზმის პოსტკოვიდური სიტუაცია საქართველოში და რესტარტის შესაძლებლობები

ტურიზმის ინდუსტრიას საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან ნაწილი უკავია. ახალი კორონავირუსის პანდემია იქცა სერიოზულ გამოწვევად მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიისთვის, მათ შორის - საქართველოს ტურისტული სექტორისთვის. ტურიზმის დარგი ქმნის ათასობით სამუშაო ადგილს როგორც ტურიზმში, ასევე მომიჯნავე დარგებშიც. პანდემიამ გამოიწვია უამრავი პრობლება, რამაც, ფაქტობრივად, დარგის პარალიზება გამოიწვია; თუმცა ტურისტული ინდუსტრიის აღდგენა ქმნის ახალ პერსპექტივებს ტურიზმის გადააზრებისთვის

და ტრანსფორმაციისთვის, ტურისტულ სფეროში ინოვაციების, ელექტრონული პლატფორმების, ვიზუალიზაციისა და ტურიზმის დიგიტალიზაციის გზით ტურიზმის პოტენციალის გაზრდისთვის. პანდემიამ ახლებურად დაგვანახა ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის კომპონენტები; შესაბამისად, შეიცვლება მომხმარებელთა ქცევაც. მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა კოოპერაცია და ერთობლივი ძალისხმევა პანდემიასთან გამკლავებაში. ლოკალურ დონეზე აუცილებელია კერძო სექტორის, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერა. საკონფერენციო თემაში განხილულია ტურიზმზე Covid-19 პანდემიით გამოწვეული შედეგები, მათი ანალიზი, ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევები და რეკომენდაციები დარგის რესტარტისთვის, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელი ექნება საქართველოს მთავრობას ტურიზმის რაციონალური პოლიტიკის განხორციელების პროცესში.


**David Baghdoshili**
**Nodar Gedenidze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor of Business Administration,
Associate Professor,


## Georgia's post-Covid situation and restart opportunities


Tourism has an important role in Georgian economy. Tourism creates lots of working places. New covid virus pandemic has become serious problem in world tourism and also in Georgian tourism. Both in tourism and related fields this pandemic caused many problems, what in fact paralyzed field, however, the recovery of the tourism industry creates new prospects for redefining and transforming tourism. Increased tourism potential for tourism innovation, e-platform, tourism visualization and digitization. The pandemic has reintroduced health and environmental components, and work behavior has changed accordingly. Governments cooperation and joint efforts to combat the pandemic are essential. At the local level, support from the private sector, local organizations and government infrastructure projects is important. In the conference theme Is being discussed consequences of the Covid 19 pandemic in tourism, analysis of them, polls of reputable organizations and recommendations for restarting the field, which should be taken into account by the Government of Georgia in the implementation of a rational tourism policy.

**ალეკო ელოშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ლალი ოქროცვარიძე**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ოკეანეთის ტურიზმი და მისი პოტენციალი

საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება მათი შეხედულებები, მოთხოვნილებები და ეს ეხება ყველა სფეროს; რა თქმა უნდა, ტურიზმიც არ არის გამონაკლისი - ტურიზმი, რომელმაც საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაში საკმაოდ ხმამაღალი სიტყვა თქვა. ის მაღალ დონეზეა განვითარებული ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკა, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი. თუმცა ბოლო პერიოდში სტარტი აიღეს განვითარებადმა და პოსტსოციალისტურმა ქვეყნებმა; ასევე დიდი გამოხმაურება და ინტერესი გამოიწვია აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებმაც.

სწორედ ამიტომ გავამახვილეთ ყურადღება ჩვენს საკონფერენციო თემაში ოკეანეთზე, რადგან აქ ტურიზმი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეგზოტიკური და ველური ხელუხლებელი სივრცეები, გამჭირვალე წყლები, აბორიგენთა ცხოვრების სტილი და მრავალი სხვა რამ განუმეორებელსა და საინტერესოს ხდის ამ რეგიონს, რის საფუძველზეც ყალიბდება მრავალი ახალი ტურისტული მარშრუტი.

ამიტომაც ჩვენს საკონფერენციო თემაში მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ ოკეანეთის ტურიზმს დღევანდელი გადასახედიდან.

**Aleko Eloshvili**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Lali Oqrocvaridze**
Doctor of Social Sciences,
Associate Professor

## Ocean tourism and its potential

With the development of society, their views and needs change and this applies to all areas, of course tourism is no exception. Tourism, which has spoken quite loudly in the economic development of the society. It is highly developed in countries such as America, France, Italy, Spain. Recently, however, developing and post-socialist countries have started, as well as a great response and interest from the Asia-Pacific countries.

That is why we focused on Oceania in our conference theme, as tourism is diverse here. Exotic and wild pristine spaces, transparent waters, aboriginal lifestyle and many other

things make this region unique and interesting. On the basis of which many new tourist routes are formed.

That is why we have given an important place in our conference theme to ocean tourism from today's perspective.

**ლაშა საძაგლიშვილი**
**თეონა რეხვიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: გიგი ყუფარაძე**
პროფესორი

## სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში

ახალი, უნიკალური შეგრძნებების მიღების მსურველი მილიონობით ტურისტისათვის სათავგადასავლო ტურიზმი იქცა ტურისტული გამოცდილების ქვაკუთხედად. მართლაც, მაშინ, როცა სამყარო ყოველდღიურად გლობალიზებული ხდება, ადამიანები სულ უფრო ხშირად ეძებენ აუთენტურ განცდებს და სათავგადასავლო ტურიზმი წარმოადგენს სწორედ იმ სეგმენტს, რომელიც დიდი მოთხოვნითა და პოპულარობით სარგებლობს. სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება, ისევე როგორც ზოგადად მთელი ტურიზმის ინდუსტრიისა, ძალზედ შეაფერხა covid 19-ის პანდემიამ. თუმცა, მსოფლიოში დაწყებული ვაქცინაციის პროცესის პარალელურად, საქართველოში უკვე გამოჩნდნენ უცხოელი ტურისტები. ასევე სტაგნაციიდან გამოსვლას იწყებს შიდა ტურიზმი. სავარაუდოა, რომ რიგი მიზეზების გამო, სათავგადასავლო ტურიზმი იქნება ის სახე, რომელიც ყველაზე ადრე შეძლებს აღდგენის დაწყებას. გთავაზობთ ATTA-ს (სათავგადასავლო ტურიზმის სავაჭრო ასოციაცია (Adventure Travel Trade Association ) პროგნოზს. Covid-19 უდიდეს გამოწვევებს აყენებს ტურისტული ინდუსტრიის, მათ შორის სათავგადასავლო მოგზაურობების წინაშე. მიუხედავად ამისა, სათავგადასავლო მოგზაურობა შეიძლება აღმოჩნდეს ყველაზე უფრო მომზადებული სწრაფი აღდგენისა და გადატვირთვისათვის, უბრალოდ, იმის გამო, რომ ჩვენ გვაქვს გამოცდილება, რომელსაც გთავაზობთ - პატარა ჯგუფები, მოგზაურობა ძირითადად ბუნებაში, სოფელსა და სასოფლო თემებში. ჩვენი ინდუსტრია მდგრადია და ემსახურება ყველაზე უფრო გაბედულ მოგზაურებს, რომლებსაც შესაძლოა სხვებზე ადრე დაუბრუნდეთ მოგზაურობის სურვილი.“ წინამდებარე თემის მიზანია განვიხილოთ, თუ რა ხდის სათავგადასავლო ტურიზმს მიმზიდველს, გაგაცნოთ როგორ დაზარალდა პოსტპანდემიურ პერიოდში ეს მიმართულება და რა პერსპექტივები აქვს საქართველოს პოსტპანდემიურ პერიოდში განავითაროს ტურიზმის ეს სახე. ასევე, ვეცდებით წარმოვადგინოთ კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებას.

**Lasha Sadzaglishvili**
**Teona Rekhviashvili**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Gigi Kufaradze**
Proffesor

## The opportunities of improvement of the adventure tourism in the post-pandemic period in Georgia

Adventure tourism has become the main idea and resource for the millions of tourists, who want to experience new, unique feelings. Nowadays, when the world is getting even more globalised every day, humans are looking for more authentic emotional experience, and adventure tourism is exactly the segment, which profits from the most popularity and request. Covid-19 pandemic has really affected the development of the adventure tourism, as well as it did to whole tourism industry. But, however, after starting the process of vaccination globally, foreign tourists can already be spotted in Georgia. Also, tourism inside the country is slowly coming out of the stagnation. Supposedly, adventure tourism is going to be the type of tourism, which will start to regenerate first. Gustavo Timo of the Adventure Travel Trade Association (ATTA) feels that “Covid-19 brings unprecedented challenges to the tourism industry and that means the Adventure Travel sector as well. However, Adventure Travel might be better equipped to recover and reboot faster simply because of the DNA of the experiences we offer – small groups, nature-based, and set in rural environments and communities. Our industry is resilient and serves a more intrepid traveler that might be willing to come back to travel before others. But no matter what, we need to adjust and adapt to the new normal.” The main goal of the previous subject is to discuss, what makes adventure tourism attractive, also to inform you about how it got damaged, in the pandemic, what perspectives does Georgia have to improve this type of tourism in the post-pandemic period. We are going to present certain recommendations, which are going to help adventure tourism to get back to post-pandemic level, as soon as possible.

**ანა ვეკუა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## დიგიტალიზაცია ტურიზმში

საქართველოში, ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციული ხასიათიდან გამომდინარე, ციფრული განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესს გამოწვევებსა და შესაძლებლობებს მოუტანს. ტურიზმის სექტორი ფრაგმენტულია

და ისეთი ქვესექტორები, როგორიცაა ტრანსპორტი, რესტორნები, კვება და პირადი სერვისები, განსხვავებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე დადგება გაციფრულების საკითხთან დაკავშირებით. ტურიზმის სისტემაში გამოწვევები და შესაძლებლობები მუდამ დომინირებს, იზრდება, ძლიერდება და სწორედ ასეთ ძლიერ სფეროს სჭირდება ახალი სიტყვა, ახალი წყარო, რომლის მატარებელია დიგიტალიზაცია. დიგიტალიზაცია უზრუნველყოფს ინსტრუმენტებს, ჩარჩოებსა და ტექნოლოგიებს ტურიზმის პროდუქტების შესაქმნელად, მაგრამ მისი წარმატება დამოკიდებულია ტურიზმის სექტორის გაზიარების, სწავლისა და თანამშრომლობის შესაძლებლობებზე. სწორედ აღნიშნული საკითხების ანალიზი და რეკომენდაციები არის წარმოდგენილი საკონფერენციო თემაში.

**Anna Vekua**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor of Business Administration,
Associate Professor,

## Digitization in tourism

Due to the traditional nature of tourism and hospitality in Georgia, digital development will bring challenges and opportunities for small and medium businesses. The tourism sector is very fragmented and sub-sectors such as transport, restaurants and catering and personal services will face different challenges and opportunities with regard to digitalization. Challenges and opportunities in the tourism system are totally dominating, growing, strengthening and it is such a powerful field that needs a new word, a new source whose train is digitalization. Digitalization provides the tools, frameworks and technologies to create tourism products but the success of digitalization depends on the tourism sector sharing, learning and collaboration opportunities. It is the analysis of these issues and recommendations for development opportunities presented in the conference theme.

**სალომე ვეკუა**
**ილონა ნაყოფია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: მანანა მჭედლიშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ტურიზმი და დასაქმება პანდემიის პირობებში

2019 წლის მიწურულს ქვეყანა უდიდესი გამოწვევის წინაშე დადგა - კორონა ვირუსმა (COVID-19), რომელმაც მცირე დროში მთელი მსოფლიო მოიცვა,

მნიშნელოვანი გავლენა მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე. არსებულმა ვითარებამ განსაკუთრებით დიდი დარტყმა მიაყენა ტურიზმის ინდუსტრიას, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სექტორია. საერთაშორისო მიმოსვლის შეზღუდვამ, სავალდებულო ტესტირებებმა, კარანტინმა და ზოგიერთ შემთხვევაში საზღვრების სრულიად ჩაკეტვამ, მნიშვნელოვნად შეამცირა საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა, კერძოდ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, საქართველოში იმიგრაციის მაჩვენებელი 0.7%-ით შემცირდა. შეიზღუდა ასევე საქალაქთაშორისო მიმოსვლა, დაწესდა კომენდანტის საათი, რამაც შიდა მიგრაციის ტემპიც დაწია. ტურიზმი საქართველოს მშპ-ს დაახლოებით 11%-ს აწარმოებს. 2019 წელს ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 9 357 964-ს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 7.8%-ით მეტია. ტურიზმმა 2019 წელს თითქმის 3.5 მილიარდი აშშ დოლარის მოგება მოიტანა. დარგში 170 ათასი ადამიანია დასაქმებული. მაგრამ ეს ყველაფერი აქტუალური იყო 2020 წლის თებერვლამდე, ტურიზმმა, კორონა ვირუსის გამო, მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის წამყვან ქვეყნებთან ერთად საქართველოშიც დაკარგა აქტუალობა, დღევანდელი მოცემულობით ყოველთვიური ზარალი 30 მლნ ლარია. საქართველოში დასაქმების პრობლემა კორონა ვირუსამდეც იყო, მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში ყოველწლიურად მცირე პროგრესი იგრძნობოდა ამ კუთხით. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტურიზმის დარგის გლობალურმა კრიზისმა გამოიწვია ფულადი ნაკადების შემოდინების შემცირება, ასევე უმუშევრობის ზრდა, რაც თავისთავად აისახა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. 2020 წლის მეორე კვარტლის ბოლოს სახელმწიფომ პრიორიტეტად შიდატურიზმი გამოაცხადა, აუცილებელია უფრო აქტიურად მოხდეს ეკო, აგრო, მთის, გამაჯანსაღებელი და სოფლის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული ტიპის ტურიზმის განვითარებით ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება მიეცემა, ტურიზმის მომსახურებებისგან მიღებული შემოსავალი აქციოს დამატებით შემოსავლად. პანდემიის პირობებში მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების შედეგები და რეკომენდაციები იქნება განხილული საკონფერენციო თემაში.

**Salome Vekua**
**Ilona Nakopia**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Manana Mchedlishvili**
Doctor of Economics,
Associate Professor

## Tourism and employment during the pandemic

At the end of the 2019 country faced one of the biggest and serious trouble. The virus spread all over the world in a short time, and had a great impact to the global economic. This condition was serious hit for tourism industry, which is one of the most important sector

of economic. International traveling restrictions, PCR tests, quarantine, and completely closed borders for some countries, decreased amount of visitors. According to the Georgian national tourism administration's information, Immigration rate in Georgia decreased by 0.7%. Gradually restricted travelling between cities. Started curfew, and these kind of restrictions slowed down the pace of internal migration. The industry of tourism produces about 11% of Georgian GDP. Total amount of visitors in 2019 was 9 357 964, which is 7.8% more than last year. Total profit from the tourism industry in 2019 was approximately 3.5 billion dollars. 170 000 people are employed in this field. But all of this was relevant until February 2020. Because of the virus tourism has lost its actuality in Georgia, along with the leading countries in the world tourism industry. According to current data total loss for every month is 30 million dollars. Employment problem was also one of the most important issue before corona virus. Despite of this, there was a little progress in this case for last years. But as I have already summarized, global crisis in this industry caused less income and increased unemployment in the country. Of course it reflected on the standard of living. At the end of the second quarter in 2020, government announced the internal tourism as a priority. It is necessary to encourage different type of tourism. Improvement of this kind of tourism will give an additional income to the local populations. And Agricultural products will become the main source of income. In a pandemic conditions, results of government restriction politic and recommendation about current circumstance in the country will be the main subject of my conference theme.

**ანა გედენიძე**
**ხატია გაბაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## PR-როლი ტურისტული საწარმოს იმიჯის გაუმჯობესებაში

პოსტკოვიდურ პერიოდში თანამედროვე ტურისტულ ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ დიდი იქნება და შესაბამისად ტურისტული კომპანიებისთვის თითოეული მომხმარებელი ძალიან მნიშვნელოვანია. დარგის რესტარტის პერიოდში გაყიდვების მოცულობის გაზრდისათვის ფირმას სჭირდება ახალი კლიენტების მოზიდვა და არსებული კლიენტების შენარჩუნება. ამისათვის კი აუცილებელია გავიგოთ მომხმარებლების შეხედულებები იმაზე, თუ რა შევთავაზოთ, რის გაუმჯობესებას ისურვებენ ისინი კომპანიის საქმიანობაში. ყოველივე ეს კი მოითხოვს პოტენციურ მომხმარებლებთან - ანუ საზოგადოებასთან მუდმივ კომუნიკაციას. ტურისტული საწარმოს იმიჯის შექმნა და შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია, იმიჯი ძლიერად მოქმედებს ადამიანთა ემოციებსა და გრძნობებზე. ის ქმნის ობიექტის მიმართ გარკვეულ დამოკიდებულებას. პოსტკოვიდურ პერიოდში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კომპანიის მიერ

აქცენტების გაკეთება სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით ისეთ არამატერიალურ ფასეულობებზე, როგორიცაა მორალი, ადამიანის უფლებები, საზოგადოების ინტერესები, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების ასპექტები.

**Ana Gedenidze**
**Khatia Gabadze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor of Business Administration,
Associate Professor

## PR-role in improving the image of a tourist enterprise

There will be big competition on modern touristic market after covid-19 period and that is why each consumer is very important for touristic companies. In field restart period company needs to search for new customers and keep safe old ones for increasing the sales amount. For this necessary actions are: to understand consumers wishes, what kind of offer they are looking for , what they want to improve in company actions. All these needs permanents communication with potential client consumer and society . Creating and maintaining the image of a tourism enterprise is very important, the image strongly influences people's emotions and feelings. It creates a certain attitude towards the object. In post covid period also very important is making points on social responsibility aspects in such a nonprofitable values ,such as moral, human rights ,society interests ,social and ecological safely aspects.

**ნინო ფიფია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: გიგი ყუფარაძე**
პროფესორი

## კულტურული ტურიზმის დღევანდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ბოლო ათწლეულებში ტურიზმი და კულტურა ერთმანეთთან განუყოფლადაა დაკავშირებული. ამის მიზეზი, ნაწილობრივ, არის კულტურისადმი გაზრდილი ინტერესი, განსაკუთრებით, გლობალიზაციის, ტურიზმის განვითარებისა და კულტურულ ფასეულობებთან წვდომის გაიოლების პირობებში, როგორც

თვითმყოფადობის შენარჩუნების წყაროსადმი. საქართველოს რთული, მძიმე და მრავალფეროვანი ისტორია საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდა უნიკალურ ქართულ კულტურას, რაც შეუზღუდავ შესაძლებლობას გვაძლევს, განვავითაროთ კულტურული ტურიზმი. სამწუხაროდ, covid 19-ის გამო შექმნილმა ვითარებამ ყველა სექტორი დააზარალა, მაგრამ განსაკუთებით მძიმედ ტურიზმზე იმოქმედა. ამჟამინდელი ამოცანაა, ეს ინდუსტრია რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს 2019 წლამდე პერიოდს. ამის პოტენციალი და შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანას, რა თქმა უნდა, გააჩნია, მაგრამ საჭიროა უკვე ახლა დაიწყოს აქტიური მუშაობა სხვადასხვა ქვეყნებთან, რათა მოხდეს ვაქცინირებული ტურისტების მოზიდვა. საჭიროა აქტიური მარკეტინგული კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება საერთაშორისო ბაზრებზე, ასევე შიდა ტურიზმის ხელშეწყობა. განსაკუთრებით აქტუალურია მკაცრად გაწერილი რეგულაციების ჩამოყალიბება და მათი განუხრელი დაცვა როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე ბიზნესის მხრიდან.

**Nino Pipia**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Gigi Kufaradze**
Proffesor

## Current state of cultural tourism and development prospects in Georgia

In recent decades, tourism and culture have been inextricably linked. The reason for this is partly due to the increased interest in culture, especially in the context of globalization, tourism development and ease of access to cultural values, as a source of preservation of identity. Georgia's difficult, diverse and complex history has shaped a unique Georgian culture over the centuries, giving us unlimited opportunities to develop cultural tourism. Unfortunately, the situation created by covid-19 has affected all sectors, but it has had a particularly severe impact on tourism. The current task is to get this industry back to the 2019 period as soon as possible. Of course, our country, has the potential and opportunity for this ,but it is necessary to start active work with different countries in order to attract vaccinated tourists now. It is necessary to plan and implement an active marketing campaign in international markets, as well as to promote domestic tourism. It is especially important to establish strict regulations and strictly adhere to them, both by government agencies and businesses.

# ბიზნესის სექცია / მენეჯმენტისა და ეკონომიკის ქვესექცია

# Section of Business / Subsection of Management and Economics

**გიორგი ჯამბიშვილი**
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ლეილა მამულაშვილი**
პროფესორი

## COVID – 19 ის პანდემია და მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოში

საბაზრო ეკონომიკის განვითრების დონის ზრდასთან და რთული ეკონომიკური პრობლემების ზრდის შედეგად, პირვილეგირებული ადგილი დაიკავა მოსახლეობის დასაქმების ზრდის და დაბალშემოსავლიანი ფენებისთვის შემოსავლების უზრუნველყოფის საკითხმა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ზემო აღნიშნული პრობლემების მოგვარებისთვის მნიშვნელოვანი როლი სწორედ მცირე ბიზნესის განვითარებას უკავია.

ნებისმიერი ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მცირე ბიზნესის განვითარებას, რომელიც დიდ როლს ასრულებს თითქმის ყველა სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში. დღეისათვის, ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობა წარმოუდგენელია: მეწარმეობის, კომერციის, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა საწარმოო თუ სოცილაური ინფრასტრუქტურის ძლიერი ბაზის არსებობის გარეშე.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველომ ამ მიმართულებით განვითარების მიზნით მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა, რომლის უმთავრეს მიზანს ბიზნესის სასიცოცხლო სიმძლავრეების განვითარება და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის ზრდა წარმოადგენდა. ზოგადად ბიზნეს- გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად საქართველოც ისეთივე გამოწვევების წინაშე დგას, როგორც მსოფლიოს მრავალი განვითარებადი ქვეყანა. მიუხედავად იმისა,რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წილი მშპ-ში მაინც საკმაოდ დაბალია.

საქართველოში მცირე ბიზნესი მშპ-ს 20% შეადგენს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია თუ მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებს გადავხედავთ. სომხეთში მცირე ბიზნესს მშპ-ს ფორმირებაში 43%, ხოლო ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მშპ-ს 60% შეადგენს.

საქართველოში მცირე საწარმოების შექმნის პროცესი საკამაოდ წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს და მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ყოველივე ეს გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით როგორიცაა: საინვესტიციო და საკრედიტო მიმზიდველობის დაბალი მაჩვენებელი და ბაზრის არასრულყოფილება. ზემოთ ჩამოთვლილ ფინანსური პრობლემებს ბიზნესმენების არაინფორმირებულობაც ემატება. ეს ეხება, როგორც დედაქალაქს, ასევე რეგიონებს. მცირე მეწარმეებმა არ იციან, როგორ უნდა წარმართონ თავიანთი ბიზნესი სწორად, არ აქვთ შემუშავებული ბიზნეს-გეგმა, რომლითაც სამომავლოდ იხელმძღვანელებენ. ბიზნესის წამოწყება და

შემდეგ მისი მართვა კარგად დაგეგმილი და გააზრებული უნდა იყოს, რათა რისკის პროცენტულმა თანაფარდობამ არ გადააჭარბოს გონივრულ ზღვარს. დასაშვები რისკის ზონის ნაცვლად არ უნდა იყოს კრიტიკული ან უარეს შემთხვევაში კატასტროფული რისკის ზონა.

**Giorgi Jambrishvili**
Gori State Teaching University
Undergraduate Studies
**Supervisor: Leila Mamulashvili**
Professor

## COVID - 19 Pandemic and Small Business Development in Georgia

With the growth of a market economy and complex economic problems, the issue of employment growth and income generation for low-income groups has taken a privileged place. In a market economy, small business development plays an important role in solving the above problems.

The development of small business is of great importance for any country, which plays an important role in the formation of the gross domestic product of almost all states, the creation of new jobs and the introduction of new technologies. Today, the country's economic stability is unimaginable: without a solid foundation of entrepreneurship, trade, financial institutions and other industrial or social infrastructure.

In recent years, Georgia has implemented a number of development measures in this direction, the main goal of which was to develop vital business potential and increase the volume of foreign direct investment. Overall, despite the improvement in the business environment, Georgia faces the same challenges as many developing countries in the world. Although most of the operating enterprises are small and medium-sized enterprises, their share in GDP is still quite small.

Small business in Georgia accounts for 20% of GDP, which is quite small if you look at the indicators of neighboring countries. Small businesses account for 43% of GDP in Armenia and 60% of GDP in Europe and Central Asia.

The process of creating small businesses in Georgia is rather controversial and involves significant socio-economic costs. All this is due to factors such as low investment and credit attractiveness and market imperfections. The aforementioned financial problems are exacerbated by a lack of information from businessmen. This applies to both the capital and the regions. Small entrepreneurs do not know how to run their business correctly, they do not have a business plan to guide them in the future. Starting a business and then managing it must be well planned and thought out so that the percentage of risk does not exceed a reasonable threshold. The zone of acceptable risk should not be critical or, in the worst case, the zone of catastrophic risk.

**ლაშა გელაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: გიორგი კეპულაძე**
ეკონიმიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## მენეჯერის როლის ანალიზი პერსონალის მართვის პროცესში

დღეისათვის კომპანიების საქმიანობის პროლემები ძირითადად მენეჯერების არაეფექტურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული, ეს კი ძირითადად იმითა გამოწვეული, რომ მენეჯერის როლი თანამედროვე სამყაროში ორგანიზაციების განვითარებასა და ზრდის ტემპს ვეღარ შეესაბამება. მენეჯმენტი დაახლოებით 100 წელია იმ ხუთი ძირითადი პრინციპის შესრულებასთანაა დაკავშირებული, რომელიც თავის დროზე ჰენრი ფეიოლმა ჩამოაყალიბა: დაგეგმვა, ორგანიზება, პერსონალის შერჩევა, ხელმძღვანელობა და კონტროლი. ეს ხუთი ძირითადი ფუნქცია, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი და აპრობირებულია კომპანიის სტაბილურ გარემოში, თუმცა თანამედროვე სამყაროში კომპანიების სტაბილურობის შენარჩუნება არც ისე მარტივია, ამიტომ მენეჯერებმა ეს ხუთი პრინციპი თავიანთ საქმიანობას უნდა მოარგონ.

მენეჯერი უნდა იყოს ანტრეპრენერი და არა - დამსაქმებელი. ეს არის ის რეჟიმი, რაც ეხმარება ადამიანს, იფიქროს იმაზე, რაზე ფიქრისაც ეშინია და გააკეთოს ის საქმე, რასაც თავიდან იშორებს. ეს ხედვის არეალის გააზრდაა, რაც მენეჯერებსა და პერსონალს ეხმარებათ განვითარებაში. მენეჯერები უნდა გახდნენ ისეთი ადამიანები, ვისაც ახარებს სწავლა და სწავლება, უყვარდეს სხვა ადამიანების ჩართვა კრეატიულ აზროვნებაში და თავიანთ პერსონალს ყოველდღიურ საინტერესო გამოწვევებს უქმნიდნენ. სწორედ ასეთი მენეჯმენტის ნაკლებობას განიცდის დღეს ორგანიზაციების უმრავლესობა და მჯერა, რომ ასეთი მენეჯმეტი მეტად განვითარებულ ბიზნესს და ორგანიიზაციულ კულტურას შექმნის.

**Lasha Gelashvili**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Giorgi Kepuladze**
Doctor of Economics,
Associate Professor

## The analysis of manager's role in the process of personal management

Today, the problems of companies' activities are mainly related to the inefficient work of managers, it is mainly caused due to the fact that the role of a manager in the modern world can no longer correspond to the development and growth rate of organizations. For nearly

100 years, management has been committed to fulfilling the five basic principles laid down by Henri Fayol: planning, organizing, commanding, coordinating and controlling. These five core functions are, of course, appropriate and proven in a stable company environment, however in the modern world maintaining the stability of companies is not so easy, so managers have to adapt these five principles to their activities. The manager should be an entrepreneur and not an employer. It is a mode that helps a person think about what he is afraid to think about and do what he avoids. It is the enhancement of the vision area that helps managers and staff in development. Managers need to become people who enjoy learning and teaching, love to engage other people in creative thinking, and create exciting challenges for their staff on a daily basis. Most of organizations suffer from lack of such management and such management will create a highly developed business and organizational culture.

**ეთერ შუბითიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: გიორგი კეპულაძე**
ეკონიმიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ხარისხის მართვის გამოწვევები თანამედროვე ორგანიზაციაში

ხარისხის მართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა კომპანიის ეფექტიანი მართვისათვის, რადგან ხარისხი არის პროდუქციის თვისებათა ერთობლიობა. ხარისხი განაპირობებს უნარს, დააკმაყოფილოს მომხმარებლის სავარაუდო და არსებული მოთხოვნები. ხარისხის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მიზნების განსაზღვრა, თუ რა გამოიწვევს მომხმარებელთა ინტერესს და მოთხოვნილებების დადგენას.

მნიშვნელოვანია ხარისხის მენეჯმენტის ზედმიწევნით შესრულება, რაც კომპანიის თანამშრომელთა მუშაობას მოიცავს. ამ სისტემის წყალობით იქმნება კომანიის მიზნები და ამოცანები.

თითოეულ მენეჯმენტში ხარისხის მართვის პროცესი განსხვავებულად შეიძლება განხორციელდეს; როდესაც ვსაუბრობთ უფროს აღმასრულებლებზე, მათი პასუხისმგებლობა გულისხმობს გარემოსთან ურთიერთქმედებას, რაც დაკავშირებულია დროული რეაგირების სტანდარტებთან განხორციელებულ ცვლილებაზე.

ხარისხის მართვის სტანდარტებიდან აღსანიშნავია იმ ღონისძიებების გატარება, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებულ საქმიანობასთან. თუ შესრულებული საქმიანობა არ შეესაბამება სტანდარტებიდან გამომდინარე ხარისხის უზრუნველყოფას, აუცილებელია პერსონალთა გადამზადება, უფლებამოსილებების გადანაწილება, მეთოდების ცვლილება, ადმინისტრაციული

ღონისძიებების ცვლილება; ტრადიციული მეთოდებიდან ერთ-ერთი აუცილებელია შერჩევითი კონტროლი. ამ შემთხვევაში აღნიშნული პარტიიდან შეირჩევა მაღალი ხარისხის შეზღუდული რაოდენობა.

ხარისხის მართვის უზრუნველსაყოფად თუ განვახორციელებთ აღნიშნულ მიდგომებს და სწორად განვსაზღვრავთ მიზნებსა და ამოცანებს, მაშინ აუცილებლად მივიღებთ მაღალ ხარისხის მაღალ შედეგს.

**Eter Shubitidze**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Giorgi Kepuladze**
Doctor of Economics,
Associate Professor

## Challenges of quality management in a modern organization

Quality management is one of the important prerequisites for effective management of the company, because quality is a combination of product features. Quality determines the ability to meet the expected and existing requirements of the customer. To ensure quality, it is essential to set goals that will drive customer interest and identify needs.

It is important to perform quality management thoroughly, which includes the work of the company's employees. Thanks to this system, the goals and objectives of the company are created.

The quality management process can be implemented differently in each management, when we talk about senior executives, their responsibilities involve interacting with the environment related to changes in timely response standards.

Quality management standards include measures that are directly related to the activities performed. If the activities performed do not meet the quality assurance required by the standards, it is necessary to retrain staff, redistribute powers, change methods, change administrative measures, and selectively control one of the traditional methods. In this case, a high quality limited quantity will be selected from the said party.

To ensure quality management, if we implement the above approaches and correctly define the goals and objectives, then we will definitely get a high quality result.

**ვალერი წიკლაური**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: გიორგი კეპულაძე**
ეკონიმიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ანტიკრიზისული მენეჯმენტი თანამედროვე ორგანიზაციებში

ცვლილებები, რომლებიც მიდინარეობს საქართველოს ეკონომიკაში, მოითხოვს სხვადასხვა დონის მმართველებისგან ადეკვატურ რეაქციას. ტერმინი ‘‘ანტიკრიზისული მენეჯმენტი’’ სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება მენეჯერთა წრეში. თანამედროვე ლიტერატურაში საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული წარმოდგენა სოციალური-ეკონომიკური სისტემის განვითარებაში კრიზისის შესახებ. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ კრიზისი ეხება მხოლოდ მაკროეკონომიკური განვითარების პროცესებს; ხოლო ფირმის ან საწარმოს მასშტაბებში არსებობს მეტ-ნაკლებად მწვავე პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია შეცდომებით ან მართვის არაპროფესიონალიზმით. ”კრიზისის” ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული „რისკის ცნებასთან“, რომელიც ამა თუ იმ ზომით ახდენს ზეგავლენას ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების მეთოდოლოგიაზე. შეიძლება კრიზისის პრობლემას შევხედოთ სხვა რაკურსითაც. სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას თავისი ნებისმიერი სახითა და ფორმით, იქნება ეს საზოგადოებრივი ფორმაცია, ფირმა, თუ საწარმო, გააჩნია საკუთარი არსებობის ორი ტენდენცია: ფუნქციონირება და განვითარება. ფუნქციონირება - ეს საწარმოს მთლიანობის, მისი თვისობრივი განმსაზღვრელობის, შინაარსობრივი მახასიათებლების განმსაზღვრელი ფუნქციების დაცვა და შენარჩუნებაა. განვითარება - ეს ცვლადი გარემოს პირობებში საწარმოს არსებობის განმტკიცების ახალი თვისებების შეძენაა.

**Valeri Tsiklauri**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Giorgi Kepuladze**
Doctor of Economics,
Associate Professor

## Anti-crisis management in modern organizations

The changes taking place in the Georgian economy require an adequate response from managers at different levels. The term "anti-crisis management" is becoming more and more relevant in the circle of managers. The modern literature has not yet finally formed an idea of the crisis in the development of the socio-economic system. Some scholars

believe that the crisis concerns only macroeconomic development processes, while there are more or less acute problems within the firm, or enterprise, caused by mistakes or unprofessional management. The concept of 'crisis' is closely related to the 'concept of risk', which to some extent influences the methodology of any governance decision-making. We can look at the problem of crisis from another angle. The socio-economic system in any of its forms and forms, be it a social formation, a firm or an enterprise, has two tendencies of its own existence: functioning and development. Functioning - it is the protection and maintenance of the defining functions of the integrity of the enterprise, its qualitative determinant, content characteristics. Development - this is the acquisition of new properties to strengthen the existence of the enterprise in a changing environment.

**მეგი თაბუკაშვილი**
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ნანა ახალაია**
პროფესორი

## ახალგაზრდების დასაქმება საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები

უმუშევრობის პრობლემა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საქართველოში. უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი ახალგაზრდებშია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონე ასაკის მიხედვით ყველაზე მაღალი 20-24 წლის ახალგაზრდებშია (30.7%).

დასაქმების პრობლემა განსაკუთრებით მტკივნეულია სტუდენტებისთვის, რომლებსაც, სწავლის პარალელურად, მუშაობა და საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება სურთ.

შრომის ბაზარზე დამკვიდრებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სტაჟირება.

დღესდღეობით უმუშევრობის გაზრდილ დონეს არამარტო სტუდენტებში, არამედ მთელს საქართველოში განაპირობებს ეპიდემიური ვითარება. კორონა ვირუსის გამო დაიკეტა უამრავი სასტუმრო, რესტორანი, კაფე. სტუდენტთა უმრავლესობა, რომლებიც აღნიშნულ ობიექტებზე იყვნენ დასაქმებულნი, სამსახურის გარეშე დარჩა.

ამრიგად, ნაშრომში განხილულია ახალგაზრდების, მათ შორის სტუდენტების, დასაქმების პრობლემები საქართველოში.

**Megi Tabukashvili**
Gori State Teaching University
Undergraduate Studies
**Supervisor: Nana Akhalaia**
Professor

## Youth Employment in Georgia: Challenges and Perspectives

The problem of unemployment is one of the main challenges in Georgia. Unemployment rates are highest among young people. According to the National Statistics Office of Georgia in 2019, the unemployment rate is highest among young people aged 20-24 (30.7%).

The problem of employment is especially painful for students who, in parallel with their studies, want to work and improve their financial situation.

Young people internships are very important for establishing themselves in the labor market.

The current level of unemployment is caused not only in students, but also in the whole country by the current epidemic situation in Georgia. Many hotels, restaurants and cafes were closed due to the corona virus. Most of the students who were employed at these facilities were left without a job.

To conclude, the work discusses the employment problems of young people, including students in Georgia.

**ბექა ბაიაშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ინეზა გაგნიძე**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელების დანერგვის შესაძლებლობები საქართველოში

მსოფლიოში აღიარებული კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლები და მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის მოსახლეობის მოხმარების დონე ძალიან გაიზრდება. პროგნოზების მიხედვით, ზრდამ შეიძლება პროპორციულად სამჯერ დიდი მასშტაბის პლანეტის საჭიროება მოითხოვოს. მოსალოდნელია, რომ მომავალი 40 წლის განმავლობაში ბიომასის, წიაღისეულის, მეტალებისა და

მინერალების გლობალური მოხმარება გაორმაგდება, პარალელურად, 2050 წლისთვის ნარჩენების წლიური რაოდენობა 70%-ით გაიზრდება. აღნიშნული პროცესები მნიშვნელოვნად იმოქმედებს ზოგადად ეკონომიკაზე. მსოფლიომ კლიმატის სტაბილურობის, რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და კონკურენტუნარიანი ეკონომიკისათვის შეჯერებული სტრატეგია შეიმუშავა. სტრატეგიის მიხედვით, ქვეყნები 2050 წლისათვის შეამცირებენ სწორხაზოვან ეკონომიკურ ზრდას რესურსების რაციონალური გამოყენების ხარჯზე და თან უზრუნველყოფენ ევროკავშირის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას. ზემოხსენებულ სტრატეგიას წრიული ეკონომიკა (Circular Economy, CE) ეწოდება. ნაშრომში განიხილება წრიული ეკონომიკის მნიშვნელობა და მისი შესაბამისი ბიზნეს მოდელის დანერგვის გზა და შესაძლებლობები.

**Beka Baiashvili**
Tbilisi State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Ineza Gagnidze**
Doctor of Economics,
Associate Professor

## Circular Economy business model, implementation opportunities in Georgia

There is only one planet Earth, yet by 2050, the world will be consuming as if there were three. Global consumption of materials such as biomass, fossil fuels, metals and minerals is expected to double in the next forty years, while annual waste generation is projected to increase by 70% by 2050. There is a pressing need to transition to more sustainable sociotechnical systems. Environmental problems, such as biodiversity loss, water, air, and soil pollution, resource depletion, and excessive land use are increasingly jeopardising the earth's life-support systems. The world has developed a harmonized strategy for climate stability, resource efficiency and a competitive economy. According to the strategy, countries will reduce linear economic growth by 2050 at the expense of rational use of resources and ensure the long-term competitiveness of the EU. The above strategy is called Circular Economy (CE). The paper discusses the importance of circular economy and the implementation of a business model and capabilities.

**მარიამ დენოსაშვილი**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ნანა ლუხუტაშვილი**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ტექნიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

## დროის მართვის ინსტრუმენტები

ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტება - „დრო ფულია“ დღეს იცვლის თავის მნიშვნელობას. ცნობილი ანალიტიკოსისა და პრაქტიკოსის - მარკ გობე ბრენდინგის სიტყვებით: „დრო ხდება ფულზე ძვირი“ და ძნელია არ დავეთანხმოთ. დროის მენეჯმენტი ხდება სულ უფრო და უფრო პოპულარული ინსტრუმენტი პირადი, სამუშაო და კორპორაციული დროის ორგანიზაციისათვის. სტატისტიკის თანახმად, ადამიანთა დაახლოებით 95% ცხოვრობს ერთი დღის რეჟიმში და არც ფიქრობს იმაზე, რისკენ და საით მიჰყავთ მათ საქმიანობას. ყოველდღიური რუტინა იმდენად შთანთქავს ადამიანების გონებას, რომ სამომავლო პერსპექტივების გასაანალიზებლად არც ძალა ყოფნით, არც სურვილი აქვთ და არც - დრო. ამიტომაცაა აუცილებელი საკუთარი სამუშაო დღის ორგანიზება, რათა დრო დაგვრჩეს დასასვენებლად, პირადი ინტერესებისა და სხვა რამისთვისაც. თაიმ-მენეჯმენტში არსებობს მთელი რიგი უკვე გამოცდილი მეთოდებისა, რომელიც საშუალებას იძლევა, სამუშაო პროცესი განხორციელდეს განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. ეს მეთოდები მინიმალური ძალისხმევის პირობებში გვაძლევს საგრძნობ შედეგებს. მოცემულ სტატიაში განხილულია, როგორ აღიქვამენ განსხვავებული კულტურები დროის მენეჯმენტს, ასევე ის ტექნიკები, რომლებიც ნებისმიერ პირს საშუალებას მისცემს, დიდი ძალისხმევის ნაცვლად უფრო ჭკვიანურად იმუშაოს.

**Mariami Denosashvili**
Akaki Tsereteli State University
Undergraduate Studies
**Supervisor: Nana Lukhutashvili**
Doctor of Business Administration,
Doctor of Technology, Assistant Professor

## Time Management Tools

It is well-known the truth, "time is money" has changed its meaning. Marc Gobe, well known analyst and practitioner said: "Time is worth than money" and it is not hard to agree. Time Management is becoming more and more popular tool for personal, business and corporate time for the organization. Statistics show that approximately 95% of people live in one-day mode and do not think about what to take and where they work. The daily routine absorbs people's minds, people are not strong enough to analyze the future, neither the desire nor the time. Therefore it is necessary to organize their working day to leave our

vacation time, personal interests and for other reasons too. There are a number of methods in Time Management that have been tested, which allows the process to be carried out without any special effort. These methods provide significant results in terms of the minimum effort. In this article, we discuss cultural views of time management and techniques that enable anyone to work smarter, not harder.

**ლიკა ჩადუნელი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: თამარ დუდაური**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

### კორონავირუსის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

პანდემიის მიერ ჩამოყალიბებული სამყარო ხასიათდება დისტანციური განათლებით, ონლაინ-გაყიდვებით, დისტანციურად მუშაობითა და „მოთხოვნილების კარანტინით", რაც წარმოადგენს ახალი კაპიტალიზმის სოლიდარობის ფორმას. ეს არის კრიზისი, რომლის დროსაც მისი გავლენა ადამიანთა ცხოვრების დონისა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე განუსაზღვრელია. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების ჯგუფში მთლიანი წარმოების მოცულობის ვარდნა 2020 წელს იყო -8.0%. განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური აქტიურობის შეფერხება შიდა შეზღუდვების გამო, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, განვითარდა უარყოფითი სცენარით, რაც განიხილება ამავე კვლევაში. ამრიგად, ნათელია, რომ რიგი პროექტებისა იქნება გადავადებული. ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას პროექტებზე მაქსიმალური ეფექტიანობით და იმ დარგების მხარდაჭერაზე, რომლებიც იძლევიან მოგებას და უზრუნველყოფენ მოსახლეობის დასაქმებას, ასეთად ჩვენ მოვიაზრებთ აგრარულსა და გადამამუშავებელ სექტორებს.

**Lika Chaduneli**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Tamar Dudauri**
Doctor of Economics,
Associate Professor

### Impact of coronavirus on the country's economy

The world created by the pandemic is characterized by distance education, online sales, distance work and "quarantine of demand", which is a form of solidarity of the new capitalism. This is a crisis in which its impact on people's living standards and economic

status is indefinite. The decline in gross domestic product in the group of developed economies in 2020 was -8.0%. The slowdown in economic activity in developing and transition economies due to domestic constraints, according to the International Monetary Fund, has developed into a negative scenario discussed in the same study. Thus, it is clear that a number of projects will be postponed. The focus should be on projects with maximum efficiency and support for the sectors that provide profit and provide employment for the population, thus we will consider the agrarian and processing sectors.

**ლიკა ქუხილავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: თამარ დუდაური**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

### ინოვაციური სფეროს როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

ინოვაციური საქმიანობის განვითარების საფუძველსა და მიზანს წარმოადგენს მიზანმიმართული ცოდნისა და ინფორმაციის დაგროვება, მათი მართვის, დამუშავების მეთოდებისა და გამოყენების ფორმების დახვეწა. მსოფლიო ცივილიზაციის არსებობის მრავალი ასწლეულის განმავლობაში ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ინოვაციური აზროვნება. ქვეყანაში სამეურნეო სუბიექტებში ინოვაციების მცირე რაოდენობის მიზეზია კაპიტალის მუდმივი უკმარისობა, რადგანაც საწარმოებში შესული თანხები ხმარდება მიმდინარე ხარჯების დაფარვას და აღარ რჩება საწარმოს განვითარებისათვის. ქვეყანაში მეცნიერების სხვადასხვა დარგებში დაფინასების მოცულობამ 2020 წელს შეადგინა 65 540.0 ათასი ლარი. ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია გააქტიურდეს ინოვაციური პროცესები და ამაღლდეს მისი კონკურენტუნარიანობა, რის საფუძველზეც გაიზრდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, ხოლო საქართველო შეძლებს ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებს შორის დაიკავოს ღირსეული ადგილი.

**Lika Kukhilava**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Tamar Dudauri**
Doctor of Economics,
Associate Professor

## The role of innovation in the development of the country's economy

The basis and purpose of the development of innovative activities is the accumulation of targeted knowledge and information, the refinement of their management, processing methods and forms of application. The effectiveness of any type of management, regardless of the level of development of the economy, is determined by the extent to which the management aspects are taken into account and agree with the essential features of the management facility, of which it is important to provide resources for innovative activities. Innovative thinking has been the driving force behind the development of economic civilization for many centuries of world civilization. The volume of funding in various fields of science in the country in 2020 amounted to 65 540.0 thousand GEL. It is important for our country to intensify innovation processes and increase its competitiveness, and Georgia will be able to occupy a worthy place among the countries of the European Community.

**მარიამ ზურაბიანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ირმა ბარათაშვილი**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## გუნდური მართვის თავისებურებები ქართულ კომპანიებში

თანამედროვე ცვალებად ბიზნეს-გარემოში მომხმარებლისათვის კონკურენტუნარიანი პროდუქტის შეთავაზება უფრო და უფრო მნიშვნელოვანია. ეს კი ორგანიზაციაში ინოვაციების მასტიმულირებელი სტრუქტურის შექმნით ხდება შესაძლებელი. გუნდური მმართველობა ერთ-ერთი გზაა, რომელიც ხელს უწყობს იდეების მიწოდებას, ინოვაციების განხორციელებას.

თანამედროვე ბიზნეს-გარემოში უფრო და უფრო მეტი ორგანიზაცია გადადის მართვის გუნდურ სტილზე. ორგანიზაციების 91%-მა მნიშვნელოვნად გაზარდა ეფექტიანობა სამუშაო ჯგუფების გამოყენებით. გუნდები კრიტიკული ელემენტებია, რომელიც ეფექტიან შესრულებას უზრუნველყოფს. გუნდური მუშაობის მეშვეობით ხდება ინფორმაციის მიღება ერთმანეთის ღირებულების, საჭიროებების, უნარებისა და შესაძლებლობების შესახებ. ეს საშუალებას იძლევა

განისაზღვროს კრიტიკულ სიტუაციაში ვის რა ტიპის დახმარებაზე შეიძლება მიმართოს თანამშრომელმა. რაც, საბოლოო ჯამში, ორგანიზაციის წარმატებულ და ეფექტიან ფუნქციონირებას უწყობს ხელს.

შესაბამისად, თუ წინასწარ გათვალისწინებულ იქნება ის სირთულეები, რაც გუნდურ მუშაობას შესაძლოა ჰქონდეს, შესაძლებელი ხდება ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფა. საბოლოო ჯამში გუნდთან ერთად უფრო ადვილია სირთულეების გადალახვა და უფრო სასიამოვნოა წარმატების აღნიშვნა. გუნდთან ერთად მუშაობა არა მხოლოდ მეტ პროდუქტიულობას განაპირობებს, არამედ მისი თითოეული წევრისთვის ერთად მუშაობის, ურთიერთდახმარების, პასუხისმგებლობის, სირთულეების ერთობლივი გადალახვის გამოცდილებად იქცევა.

**Mariam Zurabiani**
Caucasus International University
Undergraduate Studies
**Supervisor: Irma Baratashvili**
Doctor of Business Administration,
Associate Professor

## Peculiarities of team management in Georgian companies

In a modern changing business environment offering a competitive product to customers is becoming more and more important. This is made possible by creating stimulating structure for innovation in the organization. Team governance is one of the ways to promote the delivery of ideas, the implementation of innovation.

In the modern business environment, more and more organization are moving to a management team style. 91% of organizations significantly increased efficiency by using working groups. Teams are critical elements that ensure effective performance. Through teamwork, information is gained about each other's value, needs, skills and abilities. This allows to determine in a critical situation to whom what kind of help the employee can turn. This, in turn, contributes to the successful and efficient functioning of the organization.

Consequently, if the difficulties that teamwork may have are anticipated, it will be possible to ensure effective performance. In the end it is easier to overcome difficulties with the team, and it is more enjoyable to celebrate success. Working with a team not only leads to more productivity, but also to each of its members- the experience of working together, helping each other, taking responsibility overcoming difficulties together.

# ბიზნესის სექცია / მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ქვესექცია
# Section of Business / Subsection of Masters and Doctoral Students

**ნესტან ვარშანიძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: ნათია წიკლაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

## სამომხმარებლო კალათა და სამომხმარებლო დანახარჯების სტრუქტურა საქართველოში

საქართველო ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგას. ეკონომისტები სერიოზულად და აქტიურად მსჯელობენ სხვადასხვა კონცეფციებზე. მომხმარებელი და მისი ქცევები კი თანამედროვე ეკონომიკის კვლევის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა. ამ თემის მიზანია უშუალო კავშირისა და გამომწვევი ფაქტორების დადგენა სამომხმარებლო კალათასა და სამომხმარებლო დანახარჯების სტრუქტურას შორის. კვლევის მიზანია დაახასიათოს და გაანალიზოს საქართველოში არსებული სამომხმარებლო კალათაზე გაწეული რეალური დანახარჯების მაჩვენებლები. არსებობს პრობლემები სამომხმარებლო კალათის, შემოსავლების გადანაწილებისა და დანახარჯების სტრუქტურებში. საზოგადოება თავის ისედაც დაბალ შემოსავალს არამიზნობრივად იყენებს. მოხმარების სტრუქტურაზე გავლენას ახდენს დამოკიდებულებები და ღირებულებები, რომლებიც გაგვაჩნია. პარალელურად ვხედავთ, რომ ნაკლებად ხდება აპელირება საოჯახო მეურნეობების მოხმარებასა და განსაკუთრებით, მის სტრუქტურაზე. იშვიათად თუ შევხვდებით მონაცემებს, უშუალოდ რა კავშირი

არსებობს ამ მაჩვენებელსა და ეკონომიკურ ზრდას შორის და განსაკუთრებით იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას ახდენს ეს პროცესი საერთო კეთილდღეობაზე.

**Nestani Varshanidze**
Batumi Shota Rustaveli
State University
Postgraduate Studies
**Supervisor: Natia Tsiklashvili**
Doctor of Economics, Professor

## Consumer basket and consumer spending structure in Georgia

Georgia is facing economic challenges. Economists are seriously and actively discussing various concepts. The consumer and his behaviors are one of the leading directions of modern economic research. The purpose of this topic is to establish a direct link and causal factors between the consumer basket and the structure of consumer spending. The aim of the research is to characterize and analyze the indicators of real expenditures on the consumer basket in Georgia. There are problems in the structures of the consumer basket, revenue distribution and expenditures. The society uses its already low income inappropriately. The structure of consumption is influenced by the attitudes and values we have. At the same time, we see that there is less appeal to the consumption of households and especially to its structure. Rarely do we come across data directly linking this rate to economic growth and especially how this process affects overall well-being.

**ანნა ზარანდია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: ვახტანგ სვანაძე**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## საქართველოს საინვესტიციო ბაზრის განვითარების პრობლემები და სრულყოფის გზები

დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა საინვესტიციო სახსრების მძაფრ დეფიციტს განიცდის, ერთადერთ რეალურ გამოსავალს საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილება წარმოადგენს, რაც, უპირველეს ყოვლისა, პირდაპირი ინვესტიციების ნაცვლად პორთფელური ინვესტიციების ხელშემწყობი გარემოს, კერძოდ კი, ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნაში უნდა გამოიხატოს. ფასიანი ქაღალდების ბაზრის, როგორც ინსტიტუციონალური მექანიზმის მნიშვნელობის

დასახასიათებლად საკმარისია იმ სფეროების ჩამოთვლა, რომლებშიც იგი მთავარ როლს ასრულებს. მსოფლიოს მეტ-ნაკლებად განვითარებულ ყველა ქვეყანაში სწორედ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით ხდება ბიზნესის დაფინანსება, დაგროვილი ფინანსური რესურსების დაბანდება, საბიუჯეტო დეფიციტისა და მუნიციპალური პროექტების დაფინანსება, დაგროვებით საპენსიო სქემებსა და სადაზღვევო კომპანიებში აკუმულირებული ფინანსური სახსრების დაბანდება.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებით ხდება რეალურად შესაძლებელი ბიზნესის გამჭვირვალობის ზრდა, კორპორატიული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება, საინვესტიციო სახსრების მულტიპლიკაციური ეფექტი, ცალკეული დარგებისა და ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობიოს მკაფიო ორიენტირების გაჩენა. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას ქვეყნისათვის მოაქვს ისეთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური ეფექტები, როგორებიცაა: მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვა მსხვილ ბიზნესში (ბიზნესისა და მოსახლეობის ფართო ფენების პირდაპირი ინტერესების თანხვედრა) და სააქციო საზოგადოების, როგორც მართვის დემოკრატიული სისტემის მოდელის გამოყენება ქვეყნისა და მუნიციპალურ სუბიექტებთან მიმართებაში.

მხოლოდ სახელმწიფოს მიზანმიმართულ პოლიტიკას ძალუძს, სტიმული მისცეს საინვესტიციო აქტივობას და მოგების გადანაწილებას საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაზე. ასეთ სტიმულებს შეუძლიათ საქართველოში დააბრუნონ ის ფულადი სახსრებიც, რომელთაც დატოვეს ქვეყნის ტერიტორია და ფუნქციონირებას განაგრძობენ სხვადასხვა დასავლურ საბანკო ანგარიშებზე ან ჩართულნი არიან სხვა ქვეყნების ეკონომიკაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება გამოვიდეს საქართველოს ეროვნული ბანკიდან დამოუკიდებელ სტრუქტურად ან დაზღვევასთან ერთად, ასევე ყველა საბაზრო ფინანსურ ინსტრუმენტზე ვაჭრობამ და ანგარიშსწორებამ თავი მოიყაროს საფონდო ბირჟაზე და ცენტრალურ დეპოზიტარში.

**Anna Zarandia**
Caucasus International University
Postgraduate Studies
**Supervisor: Vakhtang Svanadze**
Doctor of Economics,
Associate Professor

## Problems of development of the Georgian investment market and ways of improvement

Today, when our country is experiencing a severe shortage of investment funds, the only real solution is a change in investment policy, which should be reflected in the creation of a portfolio investment environment, in particular in the liquid securities market, instead of direct investments. To characterize the importance of the securities market as an institutional mechanism, it is sufficient to list the areas in which it plays a key role. In more

or less developed countries of the world, it is through the securities market that business is financed, accumulated financial resources are invested, budget deficits and municipal projects are financed, and accumulated funds are accumulated in pension schemes and insurance companies.

It is noteworthy that only with the development of the securities market is it possible to increase the transparency of the business, to establish the best practices of corporate governance, the multiplicative effect of investment funds, the emergence of clear orientations of individual sectors and the state of the country's economy. In addition, the development of the securities market has important socio-political effects for the country, such as the involvement of large sections of the population in big business (coincidence of direct interests of business and broad sections of the population) and the use of joint stock companies as a model for democratic governance.

Only purposeful state policies can stimulate investment activity and redistribute profits to finance investment projects. Such incentives can also return to Georgia those funds that have left the country and continue to operate in various Western bank accounts, or are involved in the economies of other countries.

Based on the above, it is advisable to regulate the securities market independently from the National Bank of Georgia together with insurance or insurance, as well as to trade and settle on all market financial instruments on the stock exchange and the central depository.

**გელა მარკოიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ნაცვლიშვილი**
ფინანსების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ფინანსური რისკების მართვის თავისებურებანი საერთაშორისო ბიზნესში

ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების გათვალისიწნებით აშკარა გახდა ის, რომ მსოფლიოს მეცნიერული მიღწევების მიუხედავად, შეიძლება არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ქვეყანა, არამედ მთლიანად მსოფლიო აღმოჩნდეს ისეთი გამოწვევეის წინაშე, რომელმაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მსოფლიოს მომავალი; დღევანდელმა საზოაგადოებამ ეს გამოცდილება ნამდვილად მიიღო და პრობლემა დაძლეული ჯერ კიდევ არ არის.

ჩვენი განხილვის საგანი არ არის მედიცინა; ვცდილობთ, გავაანალიზოთ არსებული კრიზისი, ფინანასური რისკები და შესაძლო სამომავლო ის რისკები, რომლის წინაშეც აღმოჩნდა მსოფლიო დღეს.

ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური საგების მიღებასთან, აუცილებლად ახლავს გარკვევული რისკები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის დანაკარგები.

განვითარებამ და გლობალურობამ მსოფლიო კიდევ დააპატარავა იმ გაგებით, რომ დღეს უფრო მარტივად და ნაკლები ძალისხმევით შეიძლება დაუკავშრდე მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შენს მომხმარებლებსა თუ მომწოდებლებს. გამომდინარე აქედან, ფინანსური რისკები და მის მართვასთან დაკავშირებული საკითხები გლობალურ პირობებში კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს.

საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებისა და სხვა კერძო სუბიექტების საქმიანობაში ფინანსური რისკის მართვის მზარდი როლის ამაღლება, არსებული ფინანსური სიტუაციის ანალიზისა და რისკის შესახებ სწორი გადაწყვეტილებების მიღება მნიშვნელოვანი ხდება გლობალური ფინანსური კაპიტალის მოძრაობის პირობებში.

გამომდინარე აქედან, კომპანიები რისკების თავიდან აცილების მიზნით მიმართავენ დაზღვევის სხვადასხვა მეთოდს, რომელთა მასშტაბურობა და საჭიროებები ბოლო დროს განსკუთრებულად გაიზარდა. იგი მოიცავს როგორც ტრადიციულ, ასევე ახალ მეთოდებს, რომელიც, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული კონკრეტულ გარემო პიროებებზე, რომელიც ასევე მაქსიმალურად შეამცირებს შესაძლო დანაკარგებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული კვლევა და ანალიზია ჩატარებული, საჭიროა თეორიული პოზიციების გადახედვა და გლობალიზაციის პირობებში ფინანსური რისკების სისტემური მართვის საკითხებისადმი ახლებური მიდგომა. ეს კი მოითხოვს აღნიშნულ საკითხზე სამეცნიერო კვლევების გაღრმავებასა და გაუმჯობესებას.

**Gela Markoidze**
Caucasus International University
Postgraduate Studies
**Supervisor: Nikoloz Natsvlishvili**
Doctor of Finance,
Associate Professor

## Peculiarities of financial risk management in international business

Given the developments of recent years it has become clear that despite the scientific advances of the world, not just any particular country but the world as whole may face a challenge that could call into question the future of the world. Medicine is not subject of our discussion the subject of our discussion is the crisis and the financial risk management techniques and possible future risks faced by world day and the ways to overcome it as well as its impact on public life and many other important factors.

Any type of activity related to obtaining financial maturity is necessarily accompanied by certain risks that may result in various types of lessens which the economic entity will have to take into account.

Development and globalization have further shaken the world in the sense that today it is easier and with less effort to connect with your customers or suppliers anywhere in the world.

Therefore, financial risks and issues related to its management are gaining even more urgency in the global context.

It us the increasing role of financial risk management in the activities of financial and credit institutions and other private entities, making the right analysis of the current financial situation and making the right decisions that become very important in the context of the movement of global financial capital.

Therefore, companies resort to various methods of insurance to avoid risks the scope and needs of ethic have increased significantly recently. It incorporates both traditional and new methods which of course should be adapted as much as possible to the specific environmental conditions which also minimize possible losses.

Although some research and analysis has been conducted in this direction it is necessary to review the theoretical positions and take a new approach to the issues of systemic management of financial risks in the context of globalization. This requires the deepening and improvement of scientific research on his issue.

**გიორგი აბაშიძე**
**მუხრან ვაშაყმაძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: იამზე სურმანიძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი,
ასისტენტი

## მცირემიწიანობის შედეგები სოფლის მეურნეობაში

დღეს, საქართველოს ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობის წილი განუხრელად მცირდება, მაგრამ აღნიშნული არ ასახავს იმ ტენდენციას, რომელიც ამ მხრივ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშია, სადაც სოფლის მეურნეობის წილის შემცირება დაკავშირებულია სხვა დარგების უფრო სწრაფ ზრდასთან და, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცალკე აღებული სოფლის მეურნეობა, როგორც დარგი არ იზრდება. ზრდა ახასიათებს სოფლის მეურნეობასაც, მაგრამ მისი ზრდის მაჩვენებლები ჩამორჩება სხვა დარგების იგივე მაჩვენებლებს, სწორედ ეს განაპირობებს სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილის შემცირებას.

საქართველოში სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა. სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილის შემცირება დაკავშირებულია არა სხვა დარგების უფრო სწრაფ ზრდასთან, არამედ დარგის არაეფექტიანობასთან, კერძოდ - სოფლის მეურნების წილი დასაქმებაში 5-ჯერ აღემატება სოფლის მეურნეობის წილს მშპ-ში. აღნიშნულის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული მიწების სიმცირეა, კერძოდ - მეურნეობების სამ მეოთხედზე მეტს (77.8%-ს) სარგებლობაში აქვს 1 - ჰა ზე ნაკლები მიწა.

იმისთვის, რომ განგვესაზღვრა მიწის ფართობის გავლენა მეურნეობების შემოსავლებზე, ჩავატარეთ რაოდენობრივი კლასტერული კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა 250 შინამეურნეობა. მიწის ფართობთან ერთად შეირჩა სხვა ფაქტორებიც: ტექნოლოგიის დონე, მშრომელთა რაოდენობა, დათმობილი დრო, დამატებითი საქმიანობისა და საცხოვრებლის არსებობა. მოცემული ფაქტორებისა და საშედეგო მაჩვენებლის (შემოსავლების) საფუძველზე აიგო ეკონომეტრიკული მოდელი. მოდელის საფუძველზე დადგინდა - ცალკეული ფაქტორების გავლენა შემოსავლიანობაზე. შინამეურნეობათა უმეტესობას გააჩნია მცირე მიწა, რომელიც ხშირად დანაწილებულია კიდევ უფრო მცირე ნაკვეთებად, სხვადასხვა კულტურებისთვის, რაც კიდევ უფრო ამცირებს ნაკვეთის შემოსავლიანობას.

საკვანძო სიტყვები: შინამეურნეობა, ფართობი, შემოსავლები, მცირემიწიანობა.

**Giorgi Abashidze**
**Mukhran Vashakmadze**
Batumi Shota Rustaveli State University
Postgraduate Studies
**Supervisor: Iamze Surmanidze**
PhD Student of Business Administration,
Assistant

## Consequences of smallholding in agriculture

Today, the share of agriculture in the Georgian economy is steadily declining, but this does not reflect the trend in the developed world, where the decline in the share of agriculture is associated with faster growth in other sectors, and this does not mean that agriculture as a whole. The field is not growing. Growth is also characteristic of agriculture, but its growth rates lag behind those of other sectors, which is why the share of agriculture is declining.

The situation in Georgia is completely different. The decrease in the share of agriculture is not related to the faster growth of other sectors, but to the inefficiency of the sector, in particular - the share of farmers in employment is 5 times higher than the share of agriculture in GDP. The main determinant of this is the scarcity of land owned by households, in particular - more than three-quarters (77.8%) of households use less than 1 hectare of land.

To determine the impact of land area on farm incomes, we conducted a quantitative cluster survey in which 250 households were surveyed. Other factors were selected along with the land area: technology level, number of employees, time allotted, availability of additional activities and housing. An econometric model was built based on the given factors and the outcome indicator (revenue). Based on the model, it was determined - the impact of individual factors on profitability. Most households have small plots of land, which are often divided into even smaller plots for different crops, which further reduces the plot yield.

Keywords: household, area, income, small land.

**ამელი მდივანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ხელმძღვანელი: თეა ლაზარაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფეორი

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სიძლიერისთვის აუცილებელია უცხოური ინვესტიციების შემოდინება, მათი მაქსიმალური ათვისება და სტიმულირება. როცა ქვეყანას აქვს ინვესტიციების შემოდინების დიდი რესურსი, გარემო პირობებიდან და საინვესტიციო გარემოს რეგულირებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ უცხოური კაპიტალი ქვეყნის სავალუტო მდგომარეობის სიჯანსაღისათვის.

ნაშრომში განხილულია ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განივითარებისთვის. ინვესტიციები სხვადასხვა სახისაა და ეკონომიკაშიც საგრძნობლად განსხვავდება მათი მნიშვნელობა. უცხოური ინვესტიციების შემოდინებას სასიცოცხლო როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და კეთილდღეობაში. ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდა, ამიტომ ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით საქართველო ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რასაც განაპირობებს დაბალი საგადასახადო სისტემა, იაფი მუშახელი და აუთვისებელი ადგილობრივი ბაზრები. საქართველოს, უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით, რამდენიმე პერსპექტიული და ძლიერი დარგი გააჩნია: ენერგეტიკა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. დანარჩენ დარგებზე მოთხოვნა შედარებით დაბალია, მაგრამ გარემო პირობების შექმნით სამომავლოდ ეს დარგებიც მიმზიდველი გადება უცხოელი ინვესტორებისთვის.

**Amelie Mdivani**
Caucasus International University
Postgraduate Studies
**Supervisor: Tea Lazarashvili**
Doctor of Economics,
Associate Professor

## Foreign direct investment in Georgia

For the development and strength of the country's economy, it is necessary to attract, stimulate and maximize foreign investment. When a country has a large source of investment inflows due to environmental conditions and investment environment regulation, foreign capital should be invested as much as possible for the soundness of the country's currency.

The paper discusses the role and importance of investments for the development of the country's economy. Investments are of different kinds and their importance in the economy is also very different. The influx of foreign investments plays a vital role in the development and prosperity of the country's economy. The growth of the economy is important for all countries, so it is imperative that different measures be taken to attract investment.

In terms of attracting foreign direct investment, Georgia is one of the most successful countries in Eastern Europe, with a low tax system, cheap labor and untapped local markets. Georgia has several promising and powerful foreign investment areas: energy, transport and communications. Demand for other sectors is relatively low, but with the creation of environmental conditions these sectors will also be attractive to foreign investors in the future.

**ალიმ ხერხაძე**
ქუთაისის უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**ხელმძღვანელი: იოსებ არჩვაძე**
ეკონომიკის დოქტორი,
პროფესორი

## საქართველოს ფინანსური ბაზრების განვითარების პოტენციალი და შესაძლო ეფექტი

ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა ძირითადად ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და საბანკო სფეროს ინსტიტუციურსა და ორგანიზაციულ სიმყარეზე დგას. საბანკო სექტორთან შედარებით, რომელიც მოწინავეა რეგიონში, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი განვითარების ნულოვან საფეხურზეა, რაც გამოწვეულია საკანონმდებლო და ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ტიპის პრობლემებით.

საბანკო სექტორი საფონდო ბაზრის პირდაპირი კონკურენტია; საქართველოში კი საფონდო ბაზრის წესებისა და საქართველოს საფონდო ბირჟის მართვის სადავეები ეროვნული და კომერციული ბანკების ხელშია. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება დასაქმების პრობლემას ნაწილობრივ თვითდასაქმებით შეამცირებს, ეკონომიკა ამუშავდება ეკონომიკური სუბიექტების პირდაპირი დაფინანსების წყალობითა და ფულადი სახსრების მიმოქცევის სიჩქარის ზრდით. განვითარებული ფინანსური ბაზრების მეშვეობით იზრდება დასაქმება, ექსპორტი, სავალუტო შემოსავლები, ვითარდება ახალი ტექნოლოგიები, იზრდება კომპანიათა კაპიტალიზაცია, ლიკვიდურობა და მთლიანობაში, ქვეყნის ეკონომიკა. საქართველოს ფინანსური ბაზრების განსავითარებლად, პირველ რიგში, სასიცოცხლოდ აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, რათა კომერციულმა ბანკებმა ვეღარ შეძლონ საფონდო ბაზრის გაკონტროლება. აგრეთვე შემოსაღებია მთელი რიგი მასტიმულირებელი მექანიზმები, რათა კომპანიებს გაუჩნდეთ სურვილი, ივაჭრონ საქართველოს საფონდო ბირჟაზე.


**Alim Kherkhadze**
Kutaisi University
Doctoral Studies
**Supervisor: Ioseb Archvadze**
Doctor of Economics,
Professor


## Potential and possible effect of the development of Georgian financial markets


